

კულტურათაშორისი კომუნიკაციები
INTERCULTURAL COMMUNICATIONS
МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ

INTERCULTURAL RELATIONS SOCIETY

ISSN 1512-4363

საერთაშორისო სამეცნიერო-პერიოდული გამოცემა
International scientific periodical edition
Международное научно-периодическое издание

კულტურათაშორისი კომუნიკაციები

INTERCULTURAL COMMUNICATIONS

МЕЖКУЛЬТУРНЫЕ КОММУНИКАЦИИ



№32

თბილისი – Tbilisi – Тбилиси
2019

UDC (უკ) 008 (100)

კ-897

მთავარი რედაქტორი

Editor-in-chief

Главный редактор

ინდირა ძაგანია

Indira Dzagania

Индира Дзаганя

რედაქტორები

ლირა გაბუნია

ოლლა პეტრიაშვილი

მარინე ტურავა

ირინე ჯობავა

ირმა ზაქარაია

Editors

Lira Gabunia

Olga Petriashvili

Marina Turava

Irina Jobava

Irma Zakaraia

Редакторы

Ли́ра Габу́ния

О́льга Пе́триашви́ли

Ма́рина Тура́ва

И́рина Дžóбава

И́рма Зака́рая

კომპიუტერული

რედაქტირება

რობერტ მესხი

Computer

Editing

Robert Meskhi

Компьютерное

редактирование

Роберт Месхи

პასუხისმგებელი

მდივანი

ლიანა გვასალია

Executive

Secretary

Liana Gvasalia

Ответственный

секретарь

Лиана Гвасалия

სარედაქციო საბჭო

ვეინ ჯეიკობი (აშშ), იან კე (ჩინეთი), ბილალ დინდარი (თურქეთი), ირადა ჰუსეინოვა (აზერბაიჯანი), ენდრიუ ჰარისი (დიდი ბრიტანეთი), მარია კორნელია ბარლიბა (რუმინეთი), დორის ფეგელი (ავსტრია), სვეტლანა ტერ-მინასოვა (რუსეთი), ნილაკში სურანარაიანი (ინდოეთი), გიორგი პოპა (მოლდავეთი), ილონა მანელიდუ (საბერძნეთი), ილიას უსტუნერი (თურქეთი), ანა აგრანატი (ისრაელი), ლალა ახმედოვა (აზერბაიჯანი), აიტენ მუსტაფაევა (აზერბაიჯანი), და-ვით გოცირიძე (საქართველო), ლეონიდე ჯახაია (საქართველო), მიხეილ ბოგუტსკი (პოლონეთი), ირენა კუდლინსკა (პოლონეთი), ირინა მატიაში (უკრაინა), ვილემ ჰენდრიკ დე ბოფორტი (ნიდერლანდების სამეფო), ვენტა კოცერე (ლატვია), ჟანა ტოლისბაევა (ყაზახეთი), მერი მადარშახი (საფრანგეთი), რობერტო რიჩი (იტალია), იორდან ლიუტსკანოვი (ბულგარეთი), კემალ მაკილი-ალიევი (შვედეთი), ირინა ანდრიუშენკო (უკრაინა), მარია დიმასი (საბერძნეთი), რიტსუკო ინოუე (იაპონია), ალა საინენკო (მოლდავეთი), მანუელ ფილიპე დე კოსტა (პორტუგალია), რომან დიაკონი (ლატვია), რეგინა კარველინე (ლიტვა), ალექსანდრე გრუშა (ბელარუსია), მარია ჯუნკალ გუტიერეს მანგადო (ესპანეთი), გიორგი აგოსტონი (უნგრეთი), ენრიკე კერო ხორვილია (ესპანეთი).

Editorial Board

Wayne Jacoby (USA), Yang Ke (China), Billal Dindar (Turkey), Irada Huseynova (Azerbaijan), Andrew Harris (Great Britain), Maria Cornelia Barliba (Romania), Doris Fögel (Austria), Svetlana Ter-Minasova (Russia), Neelakshi Suryanarayan (India), Gheorghe Popa (Moldova), Ilona Manelidu (Greece), Ilyas Ustunyer (Turkey), Ann Agranat (Israel), Lala Akhmedova (Azerbaijan), Aytan Mustafaeva (Azerbaijan), David Gotsiridze (Georgia), Leonid Jakhiaia (Georgia), Mikhael Bogutski (Poland), Irena Kudlinska (Poland), Irina Matyash (Ukraine), Willem Hendrik de Beaufort (the Netherlands), Venta Kotsere (Latvia), Jhana Tolisbaeva (Kazakhstan), Mehri Madarshahi (France), Roberto Righi (Italy), Yordan Lyutskanov (Bulgarian), Kamal Makili-Aliyev (Sweden), Irina Andriushenko (Ukraine), Maria Dimasi (Greece), Ritsuko Inoue (Japan), Ala Sainenco (Moldova), Manuel Filipe da Costa (Portugal), Roman Dyakon (Latvia), Regina Karveliēne (Lithuania), Alexander Grusha (Belarus), Maria Juncal Gutierrez Mangado (Spain), Gyorgy Agoston (Hungary), Enrique Quero Gervilla (Spain).

Редакционный совет

Вэйн Джекоби (США), Ян Кэ (Китай), Билял Диндар (Турция), Ирада Гусейнова (Азербайджан), Эндриу Харрис (Великобритания), Мария Корнелия Барлиба (Румыния), Дорис Фегель (Австрия), Светлана Тер-Минасова (Россия), Нилакши Сурьянараян (Индия), Георгий Попа (Молдова), Илона Манелиду (Греция), Ильяс Устуньер (Турция), Анна Агранат (Израиль), Лала Ахмедова (Азербайджан), Айтэн Мустафаева (Азербайджан), Давид Гоциридзе (Грузия), Леонид Джахия (Грузия), Михаил Богутский (Польша), Ирэна Кудлинска (Польша), Ирина Матяш (Украина), Виллем Хендрик де Бофорт (Нидерланды), Вента Коцере (Латвия), Жанна Тольсбаева (Казахстан), Мери Мадаршахи (Франция), Роберто Ричи (Италия), Йордан Люцканов (Болгария), Кямал Макили-Алиев (Швеция), Ирина Андриушченко (Украина), Мария Димаси (Греция), Ритсуко Иноуэ (Япония), Алла Сайненко (Молдова), Мануэль Филипе де Коста (Португалия), Роман Дьякон (Латвия), Регина Карвелине (Литва), Александр Груша (Белоруссия), Мария Хункал Гутиэрэз Мангадо (Испания), Гиорги Агостон (Венгрия), Энрике Керо Хорвилья (Испания).

EAN 9771512 43 6007

ტიტე მოსია
(საქართველო)

დაკვირვებანი „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლაციებზე XIX საუკუნეში

შუა საუკუნეებში (XVI-XVIII) შოთა რუსთაველის პოემას ჰყავდა როგორც პროფესიონალი, ისე არაპროფესიონალი გადამწერნი. სწორედ ეს უკანასკნელნი აზიანებდნენ გენიალურ ნაწარმოებს. „ვეფხისტყაოსნის“ გამოუჩნდა არაერთი ინტერპოლატორი, რომელთა შორის ცნობილი არიან: სარგის თმოგველი (მეორე), ვინმე მესხი მელექსე, ნანუხა ციციშვილი, იოსებ თბილელი (სააკაძე), გიორგი თუმანიშვილი. სწორედ ინტერპოლატორთა დაუცხრომელი მცდელობით გაჩნდა პოემის ჩანართები, დანართები, გაგრძელება-დამატებანი. „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლაციებისადმი დაინტერესება გამოვლინებას პოულობდა XIX საუკუნეში როგორც ქართველთა, ისე უცხოელთა მხრიდან.

როგორც ცნობილია, 1712 წლის შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ 129 წელი დასჭირდა, რათა მეორედ დასტამბულიყო, თანაც სამშობლოს გარეთ – სანკტ-პეტერბურგში 1841 წელს. გამოქვეყნდა მარი ბროსეს, ზაქარია ფალავანდიშვილის და დავით ჩუბინაშვილის თაოსნობით. მის მომზადებაში დიდი წვლილი შეუტანია თეიმურაზ ბაგრატიონსაც.

1841 წლის გამოცემაში ყურადღებულა ინტერპოლატორთა მიერ თხზულების დამახინჯება: „წიგნი ესე გარყენილ იყო სხვადასხვა მწერალთაგან, მისთვის ვახტანგ მეფემა, როგორც ჰომერის სტიხების პერისტრატორის მიერ გასინჯულ იყო, ისე გასინჯა და შეამოწმა ძველთ ხელთწერილებსა და შემდგომად დაჰბუჭდა“ (4, 63). აქვე „წინასიტყვაობაში“ ნათქვამია: „დიდის სიხარულით იყო მიღებული „ვეფხისტყაოსანი“ ქართველთა მიერ და დიდი პატივიც დაჰსდევს მის დამწერსა, რომელნიცა ჰსჩანს იმით, რომ წიგნი ესე მარტოდ ერთადერთი სხვათა მრავალთა პოემათა შორის შენახული იყო აქამომდე. თუმცა როგორც ზევით ვჰსთქვით, მცირედ გარყვნილი რომელთაგან მწერალთაგან“ (4, 63).

გამომცემელნი ასახელებენ 48 სტროფს, რომელიც 1841 წლის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაში ჩაუმატებიათ: „რომელნიცა ჩვენ ახალ დაბეჭდილში ჩაუმატეთ, იპოვებიან მხოლოდ რომელთამე ხელნაწერებში. მრავალნი ამ ლექსებისაგანი მშვენიერად თქმულია და „ვეფხისტყაოსნისა“ ეთანხმება. თუმცა სწორეთ არ ვიცით, ვისგან არიან დაწერილნი, მაგრამ ღირსნი იყვნენ, რომ ჩაგვებუჭდა და ამიტომაც ჩაუმატეთ“ (4, 63-64). ამის შემდეგ სახელდება პარიზის „სამეფო ბიბლიოტეკაში“ პოემის 1712 წლის გამოცემამდე 10 წლით ადრე გადაწერილი ხელნაწერი, რომელშიც იპოვებიანო ზემოთ დასახელებული ლექსნი. აქვე ახსენებენ „ვინმე ციციშვილს ნანუხად ზედწოდებულს... რომელსაც მოუგონია და თვითონ გაუკეთებია სხვა რიგად „ვეფხისტყაოსნის“ ბოლო, სადაცა შეურთამს ცამეტის პუნქტით ათას ხუთასი სტინი, სტინი ესე პარიჟის ხელნაწერში იპოვებიან... ამ ახალ დაბეჭ-

დვილში არ ეგებოდა მათი დაბეჭდვა, ამიტომ რომ რუსთაველისა არ იყვნენ და ამას გარდა დიდი განხილვაც უნდოდა“ (4, 64).

რაც შეეხება ზემოთ ხსენებული 48 სტროფის ჩამატებას 1841 წლის გამოცემაში, „წინასიტყვაობის“ ავტორი იმით იმართლებს თავს, რომ „მრავალთა ქართველთა სწავლულთა მოეწონებოდათ, ძველ ხელნაწერებში იპოვებოდნენ და ამას გარდა რაოდენიმე მომწერნი ამ წიგნზე გვთხოვეს არ დატევიდა მათი“ (4, 64). თუმცა ამ განზრახვას არანაირი გამართლება არ ჰქონდა. ეს იყო პოემის ტექსტში ძალდატანებითი ჩარევა.

1842 წელს დაბეჭდილ წერილში „ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“ დავით ჩუბინაშვილი წარმოდგენას გვიქმნის 1841 წლის გამოცემის რედაქციულ მუშაობაზე. საუბრობს პოემის გამგრძელებელ ნანუხა ციციშვილზე. გვარკვევს იმაში, თუ რატომ არ დაბეჭდეს მისი გაგრძელება – ყოველგვარ მხატვრულ ღირებულებას მოკლებული არისო. ე.ი. გამოდის, რომ ნანუხას ნახელავს ეს ნაკლი რომ არ ჰქონოდა, აუცილებლად ჩამატებული იქნებოდა აღნიშნულ გამოცემაში. რაც შეეხება მათ მიერ ჩამატებულ 48 სტროფს, იგი თურმე ვახტანგ მეექვსეს გამორჩენია და 1841 წლის პუბლიკაციაში იმიტომ ჩაურთავთ. დავით ჩუბინაშვილის ნათქვამიდან ის აზრი გამოვიტანეთ, რომ ის თურმე რუსთაველის კუთვნილება ყოფილა.

გაზეთ „დროებაში“ ქვეყნდება პ. კარბელაშვილის „ვეფხისტყაოსნის“ განგრძობა“. წერილში იგი საუბრობს მის ხელთ არსებულ „ვეფხისტყაოსნის“ უცნობ ხელნაწერზე, რომელსაც პოემის ჩანართად აღიარებს. გვაზიარებს ჩანართი თავების სათაურებს, რომელიც 314 სტროფის შემცველია (8). ეს სტროფები რუსთაველის თხზულების არც ერთ გამოცემაში არ მოგვეპოვება.

პ. კარბელაშვილის წერილს იმთავითვე გამოხმაურებია გაზეთი „ობზორი“. გამოხმაურებას ავტორი არ ჰყავს. წერილში ნათქვამია, რომ ეს ხელნაწერი შემცველია პოემისთვის უცნობი სტროფების. იგი რუსთაველის არ უნდა იყოსო ეს ხელნაწერი მიგვანიშნებსო რუსთაველის ნაწარმოების გაგრძელების ტრადიციაზე (12).

იგივე გაზეთი „ობზორი“ ინფორმაციას აწვდის მკითხველს იონა მეუნარგიაზე, რომელსაც პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერიდან ამოუწერია „ვეფხისტყაოსნის“ 396 სტროფი. იგი მიუტანია გაზეთის რედაქციაში. ხსენებული ხელნაწერი 1702 წელს ყოფილა გადაწერილი ქალაქ შემახაში ბეჟანა ოცანას ქალიშვილის მიერ.

იონა მეუნარგიას მოსაზრებით, პ. კარბელაშვილის მიერ კახეთში ნაპოვნი და აღწერილი პოემის ხელნაწერის ზედმეტი ადგილების დაბეჭდვის შემდეგ გახდება შესაძლებელი გადაწვევბა საკითხისა პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერის ღირებულება-შედგენილობისა, რომელსაც 396 სტროფი მეტი ჰქონია შედარებით ბეჭდურთან. იონა მეუნარგია აღნიშნავს მარი ბროსეს ღვაწლს პარიზის ხელნაწერის შესწავლათან დაკავშირებით, რომელიც, ეტყობა, რუსთაველისად არ მიაჩნდაო (2, 67).

ჟურნალი „ივერია“ 1880 წელს ბეჭდავს პ. კარბელაშვილის მიერ მიტანილ „გაგრძელებას“ პოემისა, რომელიც 15 თავისაგან შედგება. გაგრძელებათა ტექსტი 308 სტროფიანია (9, 3-35).

ზაქარია ჭიჭინაძე 1884 წელს გამოცემულ წიგნში „შოთა რუსთაველი“ სხვა საკითხებთან ერთად საუბრობს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გაყალბებაზე, ჩამატე-

ბების ცდებზე, ნანუხა ციციშვილისა და ოთარ ჩოლოყაშვილის ჩართულ სტროფებზე.

„ზოგნი თავისებურად გადააკეთებდნენ ხოლმე. ზოგი სტრიქონებს უმატებდა, ზოგი ტაეპს და ზოგიც რამდენ რამდენიმე ადგილებსა. ბევრჯერ დაამახინჯეს ეს უკვდავი ქმნილება და აურ-დაურიეს, ყველაზე მეტი განსაცდელი და შერყევა მეჩვიდმეტე საუკუნეში გამოუვლია „ვეფხვის ტყაოსანს, რადგანაც ამ საუკუნეში ოთხმმა კაცმა გადააკეთა თავისებურად, რომელთა სახელებიც ცნობილია. შემდეგ დროებში სხვებმაც გადააკეთეს. ერთი არის ვინმე ნანუხა ციციშვილი და მეორე ოთარ ჩოლოყაშვილი. ამათაც იჯერეს გული და დღეს ციციშვილისაგან გადაკეთებული „ვეფხვის ტყაოსანი“ მოფენილია მთელს საქართველოში. უჭკველია, ამას დრო მოიტანს, გაარჩევენ და „ვეფხვის ტყაოსანს“ აღადგენენ ისე, როგორც უნდა დაეწეროს შოთა რუსთაველს“ (3, 49-50).

ზაქარია ჭიჭინაძე ცოტა მოგვიანებით კვლავ უბრუნდება პოემის გაგრძელებათა საკითხს. ჟურნალ „თეატრში“ დაბეჭდილ სტატიაში წერს: „წმიდა ბერ-მამებს დაუწერიათ „ვეფხვისტყაოსნის“ გაგრძელება ლექსად. სწორედ ამ ლექსის ზომით, იმ კილოთი და ხელოვნებით, როგორც „ვეფხვის-ტყაოსანია“ დაწერილი“ (5, 15-32). მის მიერ გარჩეულია ამ გაგრძელების ხასიათი და დამოკიდებულება თხზულებასთან.

1889 წლის გაზეთი „ივერია“ მკითხველს აუწყებს მ. ქართველიშვილის ამბავს, რომლის განკარგულებაში ყოფილა „ვეფხვისტყაოსნის“ გაგრძელებიანი ხელნაწერი, რომელიც თურმე ისე იწყებოდა, როგორც ა. ხახანაშვილის მიერ აღწერილი პარიზის ბიბლიოთეკის ხელნაწერი (იგულისხმება ომაინის ამბავი) (11).

ა. ხახანაშვილი თავის „საბიბლიოგრაფიო შენიშვნაში“ გვესაუბრება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერზე. აღწერს რა „ვეფხვისტყაოსნის“ ხელნაწერს, აღნიშნავს მის შედგენილობას: საკუთრივ პოემას და მის გაგრძელებას ომაინიანის სახით: „ამბავი პირველი ტარიელის შვილის სარიდანის ძის ომან ჭაბუკისა, რომელიცა ამბავი ესე ზედ მიებმის ამბავსა „ვეფხვისტყაოსნისასა“. ა. ხახანაშვილი გვამცნობს ამ ხელნაწერის თარიღს – 1782 წელი (გადამწერი დავით რექტორი). იგი გადმოგვცემს „ომაინიანის“ შინაარსს, გაგრძელების დაბადებას იმით ამართლებს, რომ ეს გამოწვეული იყო რუსთაველის პოემისადმი შეუნელებელი სიყვარულით. ხალხი არ სვამს ბოლო წერტილს იქ, სადაც სრულდება თხზულება (11).

ა. ხახანაშვილი გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებს წერილს „შოთა რუსთაველის პოემის გაგრძელება“, სადაც იგი გველაპარაკება მოსკოვის გარეშე საქმეთა არქივში დაცულ „ვეფხვისტყაოსნის“ ხელნაწერის გაგრძელებაზე, რომელიც არ ეკუთვნისო რუსთაველს. გამოარკვია, რომ ამ ხელნაწერის ვარიანტი უფრო ვრცელია, ვიდრე პოემის სხვა რედაქციები (6).

კიდევ ერთ ნაწევრს გავეცნოთ ა. ხახანაშვილის ნაზრევიდან: „სხვა-და-სხვა ვარიანტების შედარება გვარწმუნებს, რომ მე-XVI საუკუნის გასულს რუსთაველის პოემას ბევრი ტაეპი ჩაემატა და გაგრძელებაც გამოიწვია, 308 სტროფი მეტი აღმოჩნდა შედარებით იმ „ვეფხვისტყაოსნის“ ტექსტთან, რომელიც 1860 წელს დაბეჭდა დ. ჩუბინაშვილმა. თვით ამ მეცნიერის მიერ გამოცემულს პოემაშიაც კრიტიკამ აღმოაჩინა „ბევრი ყალბი“ ადგილები, რომელნიც გამოაქვეყნა ა. სარაჯიშვილმა ჟურნალს „მოამბეში“. პოეტის განთქმული თხზულება რაკი გავრცელდა ხალხში,

ბევრს აეშალა საღერღელი, ეცადა კალამი პოემის შესავსებ-შესაკეთებლად და ამ გზით დაიბადა ის აუარებელი ვარიანტები და ყალბი ადგილები, რომლნიც აქამდის რიგიანად ცნობაში არ არიან მოყვანილნი“ (7, 344-345).

დ. ვარდიაშვილი თავის წერილში მოგვითხრობს ერევნის ვიცე გუბერნატორ თავ. ნაკაშიძის ნაქონ ხელნაწერზე პოემისა. იგი აღმოჩენილია ერევანში, თათრის ოჯახში. პოემას თავში და ბოლოში აკლიაო სტროფები. თხზულების ნაბეჭდ ტექსტთან შედარებისას დ. ვარდიაშვილს შეუნიშნავს ბევრი ზედმეტი სტროფი და სიტყვა. ერევანში ნაპოვნ ხელნაწერს თან ახლდა თურმე ანდერძები, საიდანაც იმოწმებს სამ სტროფს (1).

ამრიგად XIX საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელი და საკითხით დაინტერესებული პირნი ყურადღებას ამახვილებენ ინტერპოლაციებზე. მიუთითებენ იმ ინტერპოლაციებზე, რომლებიც ტექსტში ჩართვა-ჩამატებებით ამახინჯებდნენ ამ გენიალურ პოემას. ინტერპოლაციებზე დაკვირვებებით თავი გამოიჩინეს მარი ბროსემ, დავით ჩუბინაშვილმა, პ. კარბელაშვილმა, იონა მკუნარგიამ, ზაქარია ჭიჭინაძემ, ა. ხახანაშვილმა, დ. ვარდიაშვილმა და სხვ.

ლიტერატურა:

1. ვარდიაშვილი დ., ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“ ერევანში, გაზ. „ივერია“, 1899, 6 თებერვალი.
2. იმედაშვილი გ., რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957.
3. მთაწმინდელი ზ., შოთა რუსთაველი, ტფ., 1884.
4. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, თბ., 1976.
5. ჭიჭინაძე ზ., რამდენიმე მოსაზრება შოთა რუსთაველზე, ჟურ. „თეატრი“, 1887, №4.
6. ხახანაშვილი ა., შოთა რუსთაველის პოემის გაგრძელება, გაზ. „ივერია“, 1885, 30 სექტემბერი.
7. ხახანაშვილი ა., ქართული სიტყვიერების ისტორია, ტფ., 1885.
8. გაზ. „დროება“, 1880, 21 ივნისი.
9. ჟურ. „ივერია“, 1884, №3.
10. გაზ. „ივერია“, 1889, 18 სექტემბერი.
11. გაზ. „ივერია“, 1889, ივლისი, აგვისტო.
12. გაზ. „ობზორი“, 1880, 22 ივლისი.

Tite Mosia

Observations of the interpolations of the poem “The Knight in the Panther’s Skin” in the 19th century

Summary

In XVI-XVIII centuries, the poem “The Knight in the Panther’s Skin” was rewritten by both professionals and non-professionals. It were these latter who distorted the essence of the poem. In addition, the interpolators appeared in the Rustaveli poem (Sargis Tmogveli, a certain Meskhetian poet, Nanuch Tsitsishvili, Iosif Saakadze, Georgi Tumanishvili). Thanks to their diligence, the poem “The Knight in the Panther's Skin” was “enriched” with inserts, attachments, extensions and additions.

In the XIX century, Georgian and foreign researchers showed active interest in the interpolation of the poem. In the edition of 1841, in the foreword of the poem, the interpolators noticeably distorted the poem “The Knight in the Panther’s Skin” by means of interpolators. The fact is that the publishers themselves made a mistake, adding to the poem as many as 48 stanzas.

In the XIX century, the publishers of the poem “The Knight in the Panther’s Skin” and all those who are interested in this issue paid special attention to interpolations. They pointed to the cases of interpolation which for a long time distorted the whole meaning of Rustaveli's unique poem. Marie Brose, David Chubinashvili, Petre Karbelashvili, Iona Meunargia, Zakharia Chichinadze, Alexander Khakhanashvili, David Vardiashvili and others stand out among the observers for interpolation.

Тите Мосия

Наблюдения за интерполяциями поэмы «Витязь в тигровой шкуре» в XIX веке

Резюме

В XVI-XVIII веках поэму «Витязь в тигровой шкуре» переписывали как профессионалы, так и непрофессионалы. Именно эти последние и искажали суть поэмы. Помимо этого, у поэмы Руставели появились интерполяторы (Саргис Тмогвели, некий месхетинский поэт, Нануча Цицишвили, Иосиф Саакадзе, Георгий Туманишвили). Благодаря их усердию поэма «Витязь в тигровой шкуре» была «обогащена» вставками, вложениями, расширениями и добавлениями.

В XIX веке к интерполяции поэмы проявили активный интерес грузинские и зарубежные исследователи. В издании от 1841 года, в предисловии поэмы интерполяторы заметно исказили поэму «Витязь в тигровой шкуре» интерполяторами. Дело в том, что издатели сами же допустили ошибку, добавив к поэме целых 48 строфов.

В XIX веке издатели поэмы «Витязь в тигровой шкуре» и все заинтересованные данным вопросом лица особое внимание уделяют интерполяциям. Они указывают на те случаи интерполяции, которые в течении долгого времени искажали весь смысл неповторимой поэмы Руставели. Среди наблюдателей за интерполяцией особо выделяются Мари Бросе, Давид Чубинашвили, Петре Карбелашвили, Иона Меунаргия, Захария Чичинадзе, Александр Хаханашвили, Давид Вардиашвили и др.

Svetlana Ter-Minasova
(Russia)

A THOUGHT SPOKEN IS A LIE

«Мысль изреченная есть ложь»
Федор Тютчев,
русский поэт

It is well-known that the concept of dialectics dates back to the philosophy of Heraclitus of Ephesus (535-475 BC), who put forward the idea that everything is in a constant change as a result of inner strife and oppositions. The opposing forces are contradictions. Consequently, the development of human knowledge and society is a dialectical process based on a clash of contradictions.

There is no doubt that a most important factor in the life and progress of mankind is a very well developed system of human communication. And that is where language comes into play because the natural human language, both oral and written, is the main means of communication (there is no harm in repeating this common truth because it is the pivot of the paper).

The contradictions of communication through language may be presented and discussed first as the permanent **basic contradiction** and then as some new contemporary contradictions resulting from modern ways and possibilities of communication presented by new technologies.

The basic, permanent contradiction, i.e. contradiction #1, appears to be implicit in the definition of language given by most dictionaries: a system of sounds, symbols, etc. for communicating thought. This widely known definition emphasizes the most important function of language: realizing thoughts by means of language units, expressing, exchanging, putting them into practice through words and their equivalents. The key role of a thought expressed by a language unit and thus realized (put into action), is well illustrated by an English set-phrase: *in thought, word and deed* (from the Book of Prayers).


But where does the basic contradiction between thought and word come from? It becomes especially clear and vivid in the case of international communication.

For example, why is a simple English sentence: *That morning she had a headache and stayed upstairs* untranslatable into Russian, or, to put it more mildly, very difficult to translate into Russian?

The short answer to this is: the problem arises because a word is not just a label attached to an object or a phenomenon of reality. However, this categorical statement requires an explanation, which will involve, among other things, again repeating some well-known truths.

Every natural human language is supposed to reflect the world, or rather both the outer and inner worlds of human beings. This is illustrated by a popular metaphor: *Language is the mirror of the world/culture*. Communication, first and foremost, implies giving and/or exchanging information. For human beings the best way to do this is via words. Thus, a word may be defined as a set of sounds (for oral communication) or that of graphic symbols (for the written form) attached to an object or a phenomenon of the human world. It sounds simple and logical but it is here that problems and difficulties arise. The relation between the human language and the world it reflects seems to be close and direct: the human language reflects the world (or – rather – the worlds, both the outer and the inner ones) by means of its units: words and their equivalents. Thus,

there seems to be two levels: the level of the World with objects and phenomena that live and function there and the level of Language where linguistic units (words and their equivalents) live and function, expressing the objects and phenomena of the world. The relation may be illustrated by fig. 1 representing the two levels participating in human communication.



If it were so straightforward and simple, communication would be also easy and simple, which would make language teachers, and especially translators and interpreters the happiest professionals in the world.

However, it is not so.

The last two words in the given example – *stayed upstairs* – do refer to seemingly clear objects of the real world but they cannot be adequately understood and translated into another – Russian – language (and, possibly, many other languages as well) because the English concept of a house with specific functions of *upstairs* in contrast with *downstairs* is different (and therefore, meaningless) to the Russian culture (and to some others). Therefore, it cannot be translated, i.e. expressed by linguistic means of those other languages that reflect culturally different worlds. Russian houses may have two or more floors and there will be *upstairs* and *downstairs* in them, but the problem with understanding the simple sentence under discussion arises from the **difference in the cultural concepts** of a dwelling expressed by the words *house* in English and *dom* in Russian.


The cultural and social structure of *dom* in the Russian-speaking world is not so strict and rigid as in the English house where *upstairs* implies only bedrooms and bathrooms, while *downstairs* is where the family’s active life goes on: cooking (kitchen), eating (dining room), rest and entertainment (sitting room), etc. In a Russian house bedrooms may be on both (or all) floors including *downstairs*: the ground floor (which Russians see as the 1st floor) is usually preferred by the older generation of the family. More than that. In the North of Russia (Arkhangelsk region, for example) “upstairs” (which is the s e c o n d floor in Russia) is where the livestock remains through the cold season which lasts for about seven months. Geography and climate have determined the “strange” but actually very clever idea which saves both the health, time and money of the owners of the livestock. Heating a cattleshed during a long and cold Russian winter is not only expensive but it also requires a lot of hard and tiresome labour. In mid-autumn, with the first hints of cold weather, the livestock is herded “upstairs” along a ramp made of logs and stays there till spring. The people “downstairs” stoke the stove, the warm air rises and keeps animals warm. This is an example of the concept of a dwelling in a particular region of the country and it is determined by the climate. It is obvious that even within one nation a word of the national language may imply a different concept of the object of the world depending on many conditions including climate.

Thus, it becomes clear that communication is not confined to the two levels given above. There exists one more level which is crucially important and dangerous because international communicators do not see this level and are unconscious of its existence.

This is **the level of thought or thinking** where **concepts and notions** of the human world objects and phenomena live and function. The latter is different in different languages as they reflect different anthropological cultures which makes international communication especially difficult.

Indeed, the problem is that words and their equivalents do reflect the human world but they give a “distorted” picture of it, the distortion caused by the level of thought where culturally determined concepts, notions, visions, images of the reflected world are presented.

This level is between the two above-mentioned ones as illustrated in fig. 2 below.



However, there is no straight line between the word and the reflected object of the world, it is rather a zigzag (**World ↗ Thought ↘ Language**) and it turns a language into a *d i s t o r t e d* *m i r r o r* hampering international and intercultural communication.

Interestingly, some writers and poets expressed all this in one line.

Fedor Tyutchev, an outstanding 19th century Russian poet, wrote: “*A thought spoken is a lie*” having squeezed the relation between language and thought into four Russian words: “Мысль изреченная есть ложь” (the same number of words in English plus the two articles which do not exist as a grammatical category in the Russian language).

One hundred years later an American writer W.S. Mervin wrote almost the same thing: “*Everywhere instead of a name there is a lie!*” (quoted by D. Crystal in *The Cambridge Encyclopedia of Language*. Third Edition, p. 384).

The contradiction between what we think and what we say, between *t h o u g h t* and *l a n g u a g e* is permanent and basic, as has been stated above.

Indeed, at the level of thinking in different languages the concepts denoted by “the same” words may differ greatly because they are determined by different cultures (different, histories, geographies, climates, etc.) of different nations.

In other words, another pitfall, even more concealed, than the mysteries and unpredictability of lexical collocation, **is the conflict between the cultural ideas held by different nations about those things and phenomena in the external world which are designated by “equivalent” words in these languages**. These cultural ideas are usually responsible for words in different languages developing varying sociocultural connotations.

For example, the lexical designation of even a universal notion expressed by the colour-term *green* arouses great doubts at the level of its absolute lexical equivalence and undoubtedly varies from language to language in view of the word’s differing metaphoric and stylistic connotations. The combination *зеленые глаза* (*green eyes*) has a poetic, romantic overtone in Russian and suggests an image of bewitching, magical or mermaid’s eyes. In English, however, the collocation *green eyes* is a metaphor for envy and contains explicit negative connotations. These negative associations were “introduced” by Shakespeare who, in “*Othello*”, referred to jealousy as a *green-eyed monster*.

And another example: the Russian word combination, *черная кошка*, just like its English equivalent, *black cat*, denotes a pet, a cat of black colour. But in Russian culture, traditionally, a black cat brings bad luck and therefore the word combination has negative connotations, while in English it is a symbol of good luck.

Kinship terms can serve as very illustrative even somewhat striking examples because terms are defined as words used for a precise expression of special concepts and/or special technical objects. *Precise* and *special* are the key words in this definition because they emphasize the limited character of both the meaning and the usage of the word. A term is just a label attached to the thing/object/phenomenon it nominates. It is not supposed to have any connotations or shades of meaning. It is meant to be precise and specific. That is why kinship terms are especially powerful illustrations of the differences in the so-called “meaning” of words of different languages referring to the same “objects” that live and function in various cultural communities.

For example, the Russian word - бабушка – and the word – grandmother - are kinship terms meaning exactly the same kinship relation: the father’s/mother’s mother. However, their social roles, sociocultural images or concepts underlying the term are different in different ethnic communities. Indeed, the Russian and English American grannies play different social roles in the family life, they are differently dressed, their family positions, behaviour, ways of life are quite different, too. All these differences are determined by their correspondent different social cultures. English speaking women having become grandmothers usually stop working and enjoy their free time having rest, travelling, pursuing hobbies, etc. Russian grandmothers’ social role is quite different. Having received a pension at the age of 55 Russian babushkas generally get a new job: looking after their grandchildren thus letting the child’s/children’s parents work and earn money. Of course, this is a generalization but it is very close to life.

Thus, the “equivalence” of words of different languages seems to be more and more unrealistic, or, rather, less and less probable.

The socio-cultural factor, i.e. those socio-cultural structures that underlie language structures, totally undermine the idea of “equivalency” of words in different languages having the same meaning, i.e. relating to the same things and phenomena in the external world.

All this becomes especially clear in case of people who are bilingual but monocultural. Of exceptional value in this regard is the information contained in Andrei Makine’s book, «Le Testament français» (“The French Testament”).

Andrei Makine, a Russian, was born in 1957 in Krasnoyarsk, Siberia, studied at Moscow State University, and emigrated to France in 1987 where he began writing novels. His fourth book, «Le Testament français», published in 1995, was the first novel in the history of French literature to win two prizes simultaneously: the most prestigious French literary award, the Goncourt prize and the Medici prize. All Makine’s novels are written in French. Since childhood he has been bilingual in two languages: Russian and French that he learnt from his French grandmother.

The conflict between the reality of life in the Russian world and that in the French world expressed by the languages of the nations becomes evident from the following excerpts from this outstanding literary work.

Speaking about her birthplace, Neuilly-sur-Seine, Makine’s grandmother, Charlotte, refers to it as a “village”.

She had said it in French but we only knew Russian villages. And a village in Russia is inevitably a ring of izbas, indeed the very word in Russian, derevnya, comes from derevo – a tree, wood. The confusion persisted, despite the clarifications which Charlotte’s stories would later

bring. At the name of “Neuilly” we had immediate visions of the village with its wooden houses, its herd and its cockerel. And when, the following summer, Charlotte spoke to us for the first time about a certain Marcel Proust: “By the way, we used to see him playing tennis at Neuilly, on the Boulevard Bineau”, we pictured the dandy with big languorous eyes (she had shown us his photo) – there among the izbas!

Beneath the fragile patina of our French words Russian reality often showed through. The President of the Republic was bound to have something Stalinesque about him in the portrait sketched by our imagination. Neuilly was peopled with kolkhozniks.

With the passage of time, this double vision of the world, the on-going conflict of two languages within a single culture, cause more and more inconvenience for the main character. Thus the use of two words: the Russian word *царь* and the French loan word *tsar*- results in a clash of two images in the boy’s mind. Language-wise, the words are full equivalents, but the Russian word *царь* stands for the bloodthirsty tyrant Nicholas II of Soviet history book frame, whereas the French word *tsar* evokes associations of the elegant young tsar Nicholas II and his beautiful wife who had come to Paris to attend the ceremony for the laying of the foundation stone of the Alexander III Bridge and of the festive atmosphere of balls and banquets given in honour of the royal couple, i.e. it ties in with the image created in the stories told by the boy’s French grandmother.

Thus, language is a mirror of both the external and cultural-conceptual world (the world of culturally dependent concepts), it reflects both of them. This mirror may be said to be distorting because, rather than an objective, impartial view of the world (which actually, does not exist), it provides a subjective, nation-specific view filtered through the prism of a nation’s spirit and mind. It would be more correct, therefore, to speak of language as **a creative**, even **magic**, rather than a distorting, **mirror**. Thus, the negative connotations of the word “distorting” can be avoided and the creative, formative role of language in reference to man – emphasized. After all, language does more than passively reflect everything that people obtain through their sensual, creative and cultural experience. It (language) moulds (in continuous interaction with culture) the native speaker as a member of the given socio-cultural community by instilling and developing in him/her a system of values, morals, attitudes and behavioral patterns.

Using the widely-spread metaphor about language (or culture) picture of the world, one can say that each nation has its own cultural vision of the world as do art trends. One and the same hay stack would be seen quite differently by a realist, impressionist, cubist, or abstract artist and therefore look quite different in their reproduction of it. Language can be compared to an artist who paints from life and creates a model of it, the real-life objects having been transformed by human creative imagination.

The reflection of the world in language is the collective artistic effort of the nation speaking that language. Along with their mother tongue, each new generation is presented with a complete cultural set of already inherent in it world-view, systems of values, national character traits, and so on.

Thus, linguistic difficulties – both open and hidden – are the problems that linguists and teachers of modern languages have to resolve.

სვეტლანა ტერ-მინასოვა
წარმოთქმული აზრი არის სიცრუე
რეზიუმე

ადამიანთა საზოგადოების განვითარება დიალექტიკურ პროცესს წარმოადგენს, რომელიც წინააღმდეგობებზეა აგებული. ნაშრომში განხილულია ადამიანის საერთაშორისო და კულტურათაშორისი კომუნიკაციის ძირითადი წინააღმდეგობა, რომელიც ენასა და აზროვნებას შორის დგას. ადამიანის ენის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა მისი ერთეულების საშუალებით აზრების გააზრება, მათი სიტყვებით გამოხატვა, გაცვლა და პრაქტიკაში გამოყენება. ამ პროცესის ფარული სირთულეები ორი ენის - ინგლისურისა და რუსულის - კონტრასტული კვლევების შედეგად ვლინდება. კვლევის შედეგად ცხადი გახდა, რომ ენა არ არის რეალური და კულტურული კონცეპტუალური სამყაროს ნეიტრალური, ობიექტური სარკე, იგი უზრუნველყოფს თითოეული ერის სპეციფიკურ ხედვას.

Светлана Тер-Минасова
Мысль изреченная есть ложь
Резюме

Развитие человеческого общества представляет диалектический процесс, который построен на противостоянии. В работе рассмотрено основное противостояние международной и межкультурной коммуникации людей, которое стоит между языком и мышлением. Важнейшей функцией языка является выражение мысли при помощи слов, передача и использование их на практике. Скрытые сложности этого процесса заключаются в контрастном исследовании двух языков – русского и английского.

В результате исследования становится ясно, что язык не является нейтральным, объективным зеркалом культурного концептуального мира, он обеспечивает специфическое видение каждого народа.

მაია მარღანია, მაია ჩოკორაია
(საქართველო)

ანგლიციზმების შემოღინების პროცესი თანამედროვე
ქართულ ლექსიკაში

ცნობილია, რომ ენა საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა წარსულის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად. რაც უფრო მეტია ენობრივი კონტაქტები, მით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი ხდება ენა თავისი სიტყვებითა და გამოთქმებით, მაგრამ, ამავე დროს, იძენს სხვა, გარე სემანტიკური შინაარსის მქონე, ასოციაციებსა და სინთეზს. ენების ურთიერთქმედება და ურთიერთგანვითარება სხვა ენების საშუალებით ყოველი ერის კულტურის სიმდიდრე და მრავალფეროვნებაა (4, 4).

ბოლო დროს ლინგვისტების ყურადღება კონცენტრირებულია ქართულ-ინგლისურ ენობრივ კონტაქტებზე. ინგლისური წარმოშობის სიტყვების დიდი რაოდენობით შემოღინება და დამკვიდრება ქართულ ენაში აიხსნება სწრაფი ცვლილებებით საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გლობალიზაციის ეპოქაში ინგლისური ენა ასრულებს საერთაშორისო ენის ფუნქციას. ისტორიულად ისე წარიმართა, რომ დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, ინგლისური ენიდან შემოდის უფრო და უფრო მეტი ახალი სიტყვა.

ნაშრომის მიზანია ქართულ ენობრივ სივრცეში ანგლიციზმების შესწავლა და ანალიზი როგორც ლინგვისტურ, ასევე ექსტრალინგვისტურ ჭრილში.

კვლევის საგანია თანამედროვე ქართულ ენაში გამოყენებული ანგლიციზმების, ინგლისური ენიდან ნასესხები სიტყვების ფუნქციონირება.

ნაშრომი ეყრდნობა მასმედიის საშუალებებს, ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, სატელევიზიო გადაცემებს, მიზნობრივად მოპოვებულ მასალას. ანალიზისათვის მოხმობილია შემდეგი ქართული ჟურნალ-გაზეთები: „კვირის პალიტრა“, „ახალი თაობა“, „ასავალ-დასავალი“, „თბილისელები“, „სარკე“, „გზა“; სატელევიზიო გადაცემები: „პრაიმ-შოუ“, „რეაქცია“, სადაც მაგალითები დაფიქსირებულია ანგლიციზმების გამოყენების თვალსაზრისით და შესაბამისი თარიღის მითითებით. აგრეთვე, ვაწარმოეთ დაკვირვება ქალაქში, კერძოდ, მაღაზიისა და სხვა დაწესებულებების აბრებზე.

ნაშრომი უმთავრესად ემყარება აღწერით და შედარებით მეთოდებს.

„მასმედია, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, დიდ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოებაში. იგი მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს და განსაზღვრავს მის ხასიათს“ (2, 35).

6. წიკლაურის აზრით, მასმედია (ბეჭდური პრესა, ტელევიზია) დიდ გავლენას ახდენს კონკრეტული ეპოქის ენობრივი სტილის ჩამოყალიბებაზე. ეს გავლენა მიზანმიმართულიც შეიძლება იყოს და სტიქიურიც. პრესა ასახავს ენაში მომხდარ ცვლილებებს და ნერგავს ამა თუ იმ ენობრივ ფორმას (5, 387).

უკანასკნელ პერიოდში მასმედიის ენა ლინგვისტიკის, სოციო-ლინგვისტიკის, ფუნქციონალური სტილისტიკისა და პრაგმატიკის სფეროში მომუშავე მკვლევართა დიდ ყურადღებას იპყრობს, რადგან ინფორმაციის ოპერატიულობა აკისრია.

მასმედის ენა მრავალფეროვანი და მუდმივად ცვალებადია. პრესა, ტელევიზია, ინტერნეტი, რეკლამა საშუალებას იძლევა ყოველდღიურად დაგაკვირდეთ ენაში მიმდინარე ცვლილებებსა და პროცესებს.

მ. ტაბიძე აღნიშნავს რომ „თამანდროვე ქართულ მასმედიაში თვალშისაცემია ენის სიწმინდის მიმართ გულგრილობა. ეს განსაკუთრებით ეხება ქართულ სალიტერატურო ენაში შემოჭრილ უცხო სიტყვებსა და გამოთქმებს. თუ ადრე რუსული ენიდან შემოსული ნეოლოგიზმების კონტროლირება და ნორმალიზება პრესის ცენტრალიზებულობის გამო (რაც თავისუფალი სიტყვისთვის არ იყო კარგი), ასე თუ ისე, ხერხდებოდა, დღევანდელ ვითარებაში პრესის „გათავისუფლება“, სამწუხაროდ, ენობრივი კულტურისაგან გათავისუფლებადაც იქნა გაგებული“ (3, 93-95).

ქართველი ჟურნალისტები ანგლიციზმებს ანიჭებენ უპირატესობას და რიგითი მაყურებლისათვის ხშირად გაუგებარია ზოგი სიტყვის მნიშვნელობა. მასმედის წარმომადგენლების მიერ ანგლიციზმების გამოყენება შეიძლება გახდეს ქართულ მეტყველებაში მათი მუდმივი ასიმილაციის მიზეზი.

უცხოელებიც კი, რომლებიც ქართულ ენაზე გამართულად მეტყველებენ, გაკვირვებულები არიან ქართულ ენობრივ სივრცეში (პრესაში, რეკლამებში) უცხოური სიტყვების რაოდენობით.

განვიხილოთ მაგალითები ქართულ ჟურნალ-გაზეთებიდან და სატელევიზიო გადაცემებიდან:

„რას ეტყოდით სამების ბაღის **ვიზიტორებს?**“ (გვ. 17).

(კვირის პალიტრა, 10-16 ივნისი, 2019, №24)

„ბატონო გია, თქვენ რა **მესიჯები** წაიკითხეთ მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუდან“.

(გაზეთი „ახალი თაობა“, 2019, 4 აპრილი, №79, გვ. 3)

„ექიმები **პრივატულ** საუბრებში ამბობენ - „ფორმა-100“ რომ დაგიწერო და მიეუთითო, რომ საზღვარგარეთ მკურნალობას საჭიროებ, სამსახურს დაგკარგავო“.

(გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 2019, 1-7 აპრილი, №13, გვ. 25)

„**ფართებს** ხშირად ვაწყობთ“ (გვ. 28).

„ჩემს გმირს დიდი **ბეგრანდი** აქვს, რაც მას უფრო საინტერესოს ხდის“ (გვ. 48).

(სარკე, 31 ოქტომბერი - 6 ნოემბერი, 2018)

„სხვა თუ არაფერი, ყველა უშედეგობა და ნეგატივი ბრალდებოდა „რესპებს“ **კლავიტაციიდან** დაწყებული, ღვთის გმობით დასრულებული“ (გვ. 4).

„მომაკვდინებელი **კიდნეპინგი**“ (გვ. 63).

(გზა, №45, 8 ნოემბერი, 2018)

„ექვსი **ლუქი** გავაგზავნე პარიზში, მოდის სახელში და იქიდან ძალიან კარგი პასუხი მომივიდა - პარიზში უნდა წავიდე და დავიწყო მუშაობა“.

„უბრალოდ ერთი მომენტია: მე იქ ვერ ვიქნები **კრეატიული** დიზაინერი“.

(თბილისელები, №14, 01/04/2019 – 07/04/2019)

„სხვათა შორის, იმ გერმანელ ქალებს ფრანკფურტში კომპანია აქვთ და ბენდთან ერთად კორპორაციულ **ივენთზე** მიმიწვიეს“ (გვ. 15).

„უკვე ლადო აფხაზავა კი არა, მოსწავლე გადაიქცა მასწავლებლების მხრიდან **ბულინგის** მსხვერპლად“ (გვ. 17).

(თბილისელები, №14, 01/04/2019 – 07/04/2019)

ჰოდა, ეს „საქართველოს საუკეთესო მასწავლებელი“ აფხაზავა სწორედ ამიტომ მოახვედრეს **„გლობალ ტიჩას“**, ანუ „მსოფლიო საუკეთესო მასწავლებელთა“ კონკურსზე (გვ. 11).

(გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 2019, 1-7 აპრილი, №13)

„ეს ამბავი „ფეისბუქზე“ დაეწერე და სააკაშვილმა **„დააშეარა“**“ (გვ. 6).

„თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ თაკო მექვაბიძის ჩვენება **„მერსედესის ფეშენ ვიკზე“** ერთ-ერთი ძალიან წარმატებულია“ (გვ. 11).

(გზა, №45 8 ნოემბერი, 2018)

„ჩემთვის ყველაფერია, არ შემიძლია, ვიღაც **„ჰელი“** მედგეს თავზე და ჯოხით მაკონტროლებდეს“ (გვ. 6).

(თბილისელები, №14, 01/04/2019 – 07/04/2019)

„ყველას მოვუწოდებ, რომ ეს არ ვარ მე, მე მხოლოდ ერთი პროფილი მაქვს და ის **„დაარეპორტე“**“.

„დასარესტარტებელი“ საქმეები ბევრი მაქვს“ (გვ. 51).

„ისინი, **„ჰეშთეგების“** საშუალებით ნახულობენ იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა“.

(თბილისელები, №14, 01/04/2019 – 07/04/2019)

დამოწმებული მაგალითებიდან ზოგი ანგლიციზმი ბრჭყალებითაა გამოყოფილი და ქართული ასოებითაა გაფორებული: მსგავსი შემთხვევების რიცხვი ნაკლებია, მაგრამ იმედის საფუძველს იძლევა.

წარმოგიდგინებ მაგალითებს ქართული სატელევიო გადაცემებიდან **„პრაიმშოუ“**, **„რეაქცია“** შესაბამისი თარიღის მითითებით. ამ რიგისაა:

„მოდით გადავიდეთ ამ ზაფხულის ყველაზე დიდ **ჰაილაითზე“**.

„რამდენი **ფოლოუერი** ყავს?“

„პირველი რაც გავაკეთებ, დავიარე ყველა **სელებრითი...“**

„პოლიტიკური ჟურნალისტიკიდან ჩვენ გადმოვედით **პროდაქშენში** და ეს არის ოდნავ განსხვავებული“.

„**გეიმ შოუა**, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მუხტია, დაძაბული რიტმი რაც ამ პროექტს, ამ ფორმატს ახლავს“.

„დამამთავრებელი **სფიჩია** ნინოსი, რომელიც დარწმუნებული ვარ არ მიწყენს რომ ნოდარმა წაიკითხოს“.

(პრაიმშოუ, 19 სექტემბერი, 2018)

„**ინთერტიმენტულ** ტერიტორიაზე არ მოიაზრები“.

„ძალიან დასამახსოვრებელი **პერფორმანსები** შევთავაზეთ მაყურებელს“.

„მე და გიომ ერთმანეთი ჩემი ახალი ფილმის **ქასთინგზე** გავიცანით და დავეძმობილდით“.

(პრაიმშოუ, 26 სექტემბერი, 2018)

„გინდ ცოლი ყოლოდა და გინდ, დავუშვათ **ბოიფრენდი** ყოლოდა“.

(პრაიმშოუ, 17 ოქტომბერი, 2018)

„მე უბრალოდ ფული გადამიხადეს, როგორც კილერი“.

(პრაიმშოუ, 31 ოქტომბერი, 2018)

„ჩვენთან ხელოვნება არის, **ინსპირაცია** იპოვო და რაღაც საინტერესო ანახო ხალხს“.

„არ მინდა რომ ამით „ქართულ ოცნებას“ რაღაც **ბენეფიტი** მივცე“.

„თემა, რომელიც დღევანდელ ჩვენს გადაცემაშია, ცოტა **სენსიტიურია**“.

(პრაიმშოუ, 14 ნოემბერი, 2018)

„ერთ-ერთი პარტიის ყრილობაზე მიდის საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელსაც ესწრება 600 ადამიანზე მეტი, **ლაივში** ხდებოდა ეს. საზოგადოებრივი მაუწყებელი იქ ეძებს ადამიანს, **ფეიკ ნიუსს** აკეთებს და ამბობს, რომ ეს ადამიანი გახდა პარტიის წევრი“.

(რეაქცია, 12/03/2019)

განხილული მაგალითებიდან ენობრივი სურათი ნათელია. ყველა სიტყვას შესაბამისი ქართული ეკვივალენტი გააჩნია, ან შეიძლება დაკბნილ იყოს ენობრივ ფონდში, რაც დასტურდება განმარტებითი და ბარბარიზმების ლექსიკონებში:

ვიზიტორი - visitor n. (ინგლ.) - სტუმარი, მნახველი; ტურისტი.

მესიჯი - message n. (ინგლ.) - შეტყობინება.

ფართი - party n. (ინგლ.) - წვეულება; შეკრება; მიღება; დროსტარება.

ბექგრაუნდი - background n. (ინგლ.) - ფონი, კონტექსტი; განათლება, ცოდნა; წარმომავლობა, ოჯახი.

იენტი - event n. (ინგლ.) - ღონისძიება; შეკრება თავყრილობა; კონცერტი.

ჰაილაითი - highlight n. (ინგლ.) - მნიშვნელოვანი მომენტი.

ფოლოუერი - follower n. (ინგლ.) - მიმდევარი.

ბულინგი - bullying n. (ინგლ.) - ჩაგვრა.

სელებრიტი - celebrity n. (ინგლ.) - ცნობილი/პოპულარული ადამიანი. ეს სიტყვა ხშირად გამოიყენება ქართულ ყვითელ პრესაში.

გეიმ - შოუ - game show (ინგლ.) - სათამაშო წარმოდგენა - ჩვენების ნაირსახეობა (შეჯიბრი, თამაშები) ინდივიდუალურად, თუ ჯგურად.

პერფორმანსი - performance n. (ინგლ.) - სპექტაკლი, წარმოდგენა, სანახაობა.

ბოიფრენდი - boyfriend n. (ინგლ.) - შეყვარებული ბიჭი, საყვარელი (მამაკაცი).

ინსპირაცია - inspiration n. (ინგლ.) - შთაგონება.

ბენეფიტი - benefit n. (ინგლ.) - სარგებელი.

სენსიტიური - sensitive n. (ინგლ.) - ფაქიზი, საფრთხილო, სათუთი.

ფეშენ უიკი - fashion week n. (ინგლ.) მოდის კვირეული.

ლაივი - live n. (ინგლ.) - პირდაპირი ეთერი.

ფეიკი - fake n. (ინგლ.) - ყალბი რამ.

(ბარბარიზმების ლექსიკონი, 2017),

ჟურნალ-გაზეთებსა და სატელევიზიო გადაცემებში ანგლიციზმების გამოყენება გამოწვეულია საკუთარი განათლების წარმოჩენის მიზნით. სიტყვებს, რომლებსაც

აქვთ ქართული შესატყვისი ბარბარიზმებად კვლიფიცირდება. ბარბარიზმი ისეთი კალკა, რომელიც მოცემული ენის სალიტერატურო ნორმას არღვევს.

როდესაც ენაში მოიძებნება შესატყვისი ქართული ეკვივალენტი, ახალი უცხო სიტყვის სესხება და გამოყენება ზეპირ და წერილობით კომუნიკაციაში გაუმართლებლად მიგვაჩნია.

ვთვლით, რომ ქართული ენის სიწმინდის, მისი სალიტერატურო ნორმების დაცვა და პასუხისმგებლობა ჟურნალისტებს ევალებათ, რადგან ყველაზე მეტად ბარბარიზმების გამოყენების თვალსაზრისით ჟურნალისტები, პოლიტიკოსები და ბომონდის წარმომადგენლები „სცოდავენ“ და (არამარტო ისინი), რათა ხაზი გაუსვან თავიანთ პრესტიჟულობას.

აქვე ყურადღება გვინდა გაგამახვილოთ მასშედის ნაირსახეობაზე - სარეკლამო აბრებზე.

ჩვენ დაკვირვება ვაწარმოეთ ქალაქში და დავაფიქსირეთ მაღაზიების და სხვა დაწესებულებების სარეკლამო აბრებზე დიდი რაოდენობით ინგლისურენოვანი წარწერები:

მაღაზიები - (ქართული და ინგლისური წარწერებით-ტრანსლიტერირებული)

ლუმენ - LUMEN

ლაით ჰაუს - Light House

ბრენდ არ - Brand R

ლითლ ვან - Little One

ტრეიდინკო - Tradeinco

ლაუ რეფაბლიქ - Love Republic

სუპერდრაი - Superdry

იუნაითედ ქოლორს ოფ ბენეტონ - United Colors Of Benetton

სახელწოდებები ინგლისური და ქართული წარწერებით:

SMUGGLERS სმაგლერსი

PATNOSE პატნოსე

Smart Light სმარტ ლაითი

Mothercare მაზერქეა

PULL LOVE ფულ ლავ

iSpace აისფეისი

სილამაზის სალონები:

„მეჯიკ ჰენდს“

მოდერნი

არტ გარდენი Art Garden

არტ ჰაუს

არტ-სთაილი

ბი ელეგანსი

ბიუთი თაიმი

კაფე - ბარები, რესტორნები:

ფლაუერსი

Hard Rock Café

ანკარა სტაილი
რივერ ჰოლი
ფორ სიზონს FOUR SeasonS

სახელწოდებები ქართული სუფიქსით:

დიზაინ ჰაუს-ი Design House
არტ გარდენ-ი Art Garden
თაიმ-ი Time
უნისტორ-ი Unistore
ოფენ დორ-ი Open Door
არტ ლაით ჰაუს-ი Art Light House
ნორთ ფეის-ი The North Face
ფუდლენდ-ი FOODLAND
ბი ელევანს-ი
SMUGGLERS სმაგლერს-ი

როგორც დავაკვირდით, ზოგ შემთხვევაში პრობლემას უცხოენოვანი სარეკლამო აბრები წარმოადგენს. ვეთანხმებით იმ აზრს, რომ „ქვეყანაში უამრავი ტურისტი ჩამოდის და რეკლამები მათთვისაც გასაგები უნდა იყოს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საკუთარი ენა ვუარყოთ. დღევანდელ სიტუაციაში კი შეიძლება ტურისტსაც კი დაავიწყდეს, რომელ ქვეყანაში იმყოფება“ (7).

მასმედიის ენისათვის დამახასიათებელია ბარბარიზმების, ანგლიციზმების მოჭარბება. ჟურნალ-გაზეთებიდან და ინტერნეტ გვერდებიდან დამოწმებული მასალები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ქართული მასმედიაში მიმდინარე ენობრივი პროცესები ინგლისური ენისადმი დამოკიდებულების ტენდენციას ავლენს. სიტყვათა სესხება არის მყისიერი რეაქცია ენობრივ, სოციალურ და კულტურულ ცვლილებებსა და კონტაქტებზე, რომლებიც გამოწვეულია როგორც საზოგადოების სოციალური შეკვეთით, ისე, გარკვეულწილად, სახელმწიფო იდეოლოგიითაც. სწორედ ამ უკანასკნელით აიხსნება, რომ სესხება ყველაზე მეტად ეხება ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: პოლიტიკა, ეკონომიკა, საინფორმაციო საშუალებები და ინოვაციური ტექნოლოგიები.

ამრიგად, ქართულ ენობრივ სივრცეში ბარბარიზმების შემოჭრას აქვს როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი მხარე.

სესხების, ანგლიციზმების სიხშირე გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: ახალი ტერმინების გამოყენება, მოდის „მიმდევრობა“, სიახლის ექსპრესიულობა, გამოთქმის ემოციურობა; მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართულენოვან ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ფლობენ ინგლისურ ენას.

ერთი მხრივ, ახალი სიტყვები ამდიდრებს ენას, მაგრამ, მეორე მხრივ, უცხო სიტყვების დამკვიდრება გაუმართლებელია, როცა ენაში საკუთარი შესატყვისი ლექსიკური ერთეულები დაიკლებნება.

ენაში მიმდინარე პროცესების მიზეზები ხშირად არის ქართული და ინგლისური ენების არასაკმარისად ცოდნა, ლექსიკონების ნაკლებობა, მათი გამოყენების უნარ-ჩვევების არქონა და სხვა.

უცხოური ლექსიკური ერთეულების შემოდინებას ქართული მასმედიის სივრცეში დროული ყურადღება უნდა მიექცეს, რათა შემცირდეს უცხო ენიდან სიტყვების შემოდღევის სწრაფი დინამიკა ქართულ ენაში. მაგრამ ენა ისეთი თვითმყარი სისტემაა, რომელიც მხოლოდ საკუთარ შინაგან კანონებს ემორჩილება.

ქართულ ენაში ანგლიციზმების მომრავლება წარმოადგენს მწვავე საკითხს ენათმეცნიერეთა შორის. ამ პრობლემას მიეძღვნა არაერთი სამეცნიერო სტატია მოხსენებები კონფერენციებზე და საერთაშორისო სიმპოზიუმები ლექსიკოგრაფიაში (2010-2012 წწ.), რომლის ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი იყო ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრი და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი თ. მარგალიტაძე. „სიმპოზიუმმა მიიღო მიმართვა საქართველოს მთავრობისა და აკადემიური საზოადოებისადმი, რომელშიც გაანალიზებული იყო ქართულ ლექსიკოგრაფიაში შექმნილი მძიმე ვითარება და მისი მიზეზები და შემუშავებული იყო რეკომენდაციები ამ პრობლემის მოსაგვარებლად...“ (1, 50).

ინტენსიური ენობრივი კონტაქტებისა და გააქტიურების ვითარებაში სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვა არის სახელმწიფოს, ლექსიკოგრაფებისა და თითოეული ადამიანის მოვალეობა! ვიზიარებთ თ. მარგალიტაძის აზრს, რომ „ქართულ ენას არ სჭირდება გაინგლისურება, მას სჭირდება განვითარება!“

ლიტერატურა:

1. მარგალიტაძე თ., სჭირდება თუ არა ქართულ ენას გაინგლისურება? ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
<https://barbarisms.ge/article1/>
2. მარღანია მ., შელია მ., ადამია ზ., უცხოური ლექსიკური ერთეულების ტენდენცია თანამედროვე ქართულ მასმედიაში, მერმისი, სამეცნიერო შრომების კრებული, V, 2012.
3. ტაბიძე მ., მასმედიის ენის სოციალური ბუნებისათვის, თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის რესპუბლიკური კონფერენცია, თბ., 2001.
4. შელია მ., ნეოლოგიზმების პრობლემა თანამედროვე ინგლისურში და მათი გავლენა ქართული მასმედიის ენაზე, გამომ. უნივერსალი, თბ., 2009.
5. წიკლაური ნ., უცხო წარმოშობის ლექსიკა თანამედროვე ქართულ პრესაში, საენათმეცნიერო ძიებანი, 2006, XXII.
6. Margalidze, T., Meladze, G. Importance of the Issue of Partial Equivalence for Bilingual Lexicography and Language Teaching. Proceedings of the XVII EURALEX International Congress: Lexicography and Linguistic Diversity. Ivane Javakhishvili State University, 2016.
7. ინტერნეტ-რესურსები:
<https://barbarisms.ge/article1/>
ქართული ენის სატკივარი, regions.ge
ბარბარიზმების ლექსიკონი, ლექსიკოგრაფიული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017.

Maia Marghania, Maia Chokoraia
The process of penetration of Anglicisms in modern Georgian vocabulary
Summary

Today, in the epoch of globalization, the English language dominates throughout the world. More and more words are borrowed from English not only in Georgian, but also in other languages of the world.

The paper deals with the penetration of Anglicisms in Georgian vocabulary. The purpose of this work is to study and analyze Anglicisms in the linguistic and extralinguistic context.

The conducted research has revealed that the frequency of anglicisms has the following reasons: one of them is the replacement of Georgian terms by English words caused by appearance of new meanings, realia, social prestige, fashion and popularity of the English language. On the other hand, it should be paid timely attention in order to reduce the rapid dynamics of English words penetration into the Georgian language vocabulary fund. The purity of the literary language is the obligation of the state, lexicographers and each person.

Майя Маргания, Майя Чокорая
Процесс проникновения англицизмов в современную грузинскую лексику
Резюме

Сегодня, в эпоху глобализации, английский язык доминирует во всем мире. Все больше и больше слов заимствовано из английского не только в грузинском языке, но и в других языках мира.

В статье рассматривается проникновение англицизмов в грузинский язык. Целью данной работы является изучение и анализ англицизмов в лингвистическом и экстралингвистическом контексте.

Проведенное исследование показало, что частота заимствований англицизмов имеет следующие причины: одна из них - замена грузинских терминов на английские слова, вызванные появлением новых значений, реалий, социального престижа, моды и популярности английского языка. С другой стороны, на это следует обратить своевременное внимание, чтобы уменьшить быструю динамику проникновения английских слов в словарный фонд грузинского языка. Чистота литературного языка является обязанностью государства, лексикографов и каждого человека.

მანანა შელია

(საქართველო)

ბრიტანული გზარეობი, როგორც ანთროპონომიური და საზოგადოებრივ-ისტორიული კატეგორია

ნებისმიერი ენა მდიდარია მრავალფეროვანი სიტყვებით, რომლებიც ასახავენ სხვადასხვა ეთნოსის ისტორიულ განვითარებას, მათ ზოგადკულტურულ მონაპოვარს.

სიტყვები, რომლებსაც ვიყენებთ ყოველდღიურ ცხოვრებაში საინტერესოა თავისი ისტორიითა და თავისებურებებით. ნებისმიერი ენის ლექსიკის განვითარებაში ყველაზე მკაფიოდ განსაზღვრულ პროცესად ითვლება ენის მუდმივი და ინტენსიური შევსება ახალი, ადრე უცნობი სატყვეებით, რაც მუდმივად ხორციელდება ჩვენს გარემომცველ სამყაროში მომხდარი ცვლილებებისა და ენის მატარებელთა მოთხოვნების შესაბამისად (5).

სახელთა სამყარო - ეს იდუმალებით სავსე საინტერესო და რთული სისტემაა მრავალსაუკუნოვანი ისტორიით. ენის ლექსიკურ ფონდში მრავლად მოიპოვება ადამიანთა საკუთარი სახელები. სახელი ძალზე მნიშვნელოვანი ელემენტია ყოველი ადამიანის ცხოვრებაში. სახელი გავლენას ახდენს პიროვნების სოციუმთან ურთიერთობაზე, მის ხასიათსა და ბედზე.

ონომასტიკური ლექსიკა საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა, ისტორიულად იცვლებოდა და ვითარდებოდა. ონომასტიკის შესახებ ა. სუპერანსკაია წერს შემდეგს: „ტერმინ ონომასტიკას ორი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, ის აღნიშნავს საკუთარი სახელების შესახებ კომპლექსურ მეცნიერებას; მეორე, თავად საკუთარ სახელებს ონიმებსაც უწოდებენ“. ყველა საკუთარი სახელი საზოგადო სახელისაგან წარმოიქმნა. საკუთარი სახელის ლექსიკური (ონომასტიკური) მნიშვნელობის ლინგვისტური თეორიის შემუშავება XX საუკუნეში დაიწყო (7, 5).

საკუთარი სახელები ფლობს დიდ კულტურას და სოციალურ ინფორმაციას, რომელიც მოგვითხრობს შორეული წინაპრების ტრადიციებსა და მენტალიტეტზე. საკუთარი სახელები უნდა განიხილებოდეს როგორც ენაში ყველაზე „არსებითი“ - „ნომინალური“ გამოხატვის მქონე (6, 337).

ადამიანის საკუთარი სახელები ენის ლექსიკის უძველესი ფონდის კუთვნილებაა. საკუთარ სახელებს სხვადასხვა წარმოშობა აქვთ და მათ გავრცელებას სხვადასხვა პირობები განსაზღვრავდა. უწინარეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ მათი წარმოშობა პრაქტიკულმა საჭიროებამ გახადა აუცილებელი - ერთი პიროვნება უნდა გარჩეულიყო მეორისაგან. ერთგან ცხოვრება-ურთიერთობის პრაქტიკულმა მოთხოვნილებამ სახელის აუცილებლობა გამოიწვია (1, 116).

როგორც ცნობილია, პიროვნებათა ერთმანეთისაგან განსასხვავებლად მიღებული სახელების ისეთი ფორმები, როგორებიცაა გვარი, სახელი, მამის სახელი, ფსევდონიმი, მეტსახელი. სიტყვათა ამ ჯგუფს ეწოდება ანთროპონიმია (ბერძ. ანთროპოს – ადამიანი, ონომა – სახელი). ის ადამიანის სახელების ლექსიკას შეიწავლის, რომელიც წარმოადგენს ლექსიკოლოგიის განუყოფელ ნაწილს. ყოველ კულტურას გააჩნია ანთროპონიმთა განვითარების ისტორია.

ამასთან დაკავშირებით რ. ქოუტსი აღნიშნავს: „ანთროპონომიკა მრავალმხრივი დისციპლინაა და, შესაბამისად, გასათვალისწინებელია ის, რომ არსებობს მრავალი განსხვავებული ტიპის პროექტი გვარების შესახებ. გვარები, უპირველეს ყოვლისა, ლინგვისტური ობიექტებია და, შესაბამისად, მათი გამოკვლევა შესაძლებელია როგორც ლინგვისტური, განსაკუთრებით კი – ისტორიული და პრაგმატული თვალსაზრისით“ (4, 27).

ყოველ კულტურაში საკუთარი სახელები წარმოადგენს თავისებურ მოზაიკას, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანი ელემენტია თითოეული ადამიანის ცხოვრებაში, ის გავლენას ახდენს პიროვნების სოციუმთან ურთიერთობაზე, ხასიათსა და ადამიანთა ბედზე.

თანამედროვე ინგლისური ენის საკუთარ სახელთა სისტემა წარმოადგენს ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს ძველისა და ახლის, ძირეული ინგლისურისა და ნასესხები სიტყვების, ტრადიციულისა და გამოგონილის, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება სტრუქტურული და სემანტიკური ნიშან-თვისებებით.

თანამედროვე ინგლისური ანთროპონიმული სისტემა წარმოიშვა სხვადასხვა ისტორიული ფაქტის საფუძველზე, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა ენასა და ენათა სისტემაზე. ამჟამად ინგლისური გვარ-სახელები შედგება მცირე რაოდენობის კელტური სუბსტრატისგან, უფრო მნიშვნელოვანი წილი მოდის გერმანულ ფენაზე, ფრანკულ-ნორმანდიული სუპერსტრატის ზეგავლენის გამო [სუბსტრატი – ლათ. substratum. ლინგვ. ენათა შერევის დროს - ენა, რომელიც გამოდევნა მეორე ენამ, მაგრამ გარკვეული გავლენა მოახდინა ამ უკანასკნელზე. სუპერსტრატი – ლათ. Superstratum. ენაში შემორჩენილი კვალი სხვა ენის გავლენისა] (3, 63-68).

ჩვენი ნაშრომი ეძღვნება ბრიტანული წარმოშობის გვარების შესწავლასა და განხილვას დესკრიპტიული, სემანტიკური და ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის მეტოდის გამოყენებით.

როგორც ცნობილია, გვარი ეს პიროვნების მემკვიდრეობით მიღებული ოფიციალური სახელია, რომელიც მიუთითებს ადამიანის ამა თუ იმ წარმომავლობაზე და რომლის სათავე მომდინარეობს საერთო წინაპრიდან ან, ვიწრო გაგებით, ერთი ოჯახიდან. ის წარმოიქმნა შორეულ წარსულში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 600 წელს, რომში. შემდეგ გავრცელდა სხვა ევროპულ ქვეყნებში: ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში.

ბრიტანული გვარების წარმოშობა, როგორც საზოგადოებრივ-ისტორიული კატეგორია, მჭიდროდაა დაკავშირებული ბრიტანელი ხალხისა და ენის ისტორიასთან, ქვეყნაში მიმდინარე მოვლენებთან, საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური განვითარების ძირითად ეტაპებთან; ინახავს საინტერესო და თვითმყოფად სიტყვებს, რომლებიც დაკავშირებული მის ისტორიასთან, კულტურასთან, რელიგიასთან და ტრადიციებთან. ასევე, ბრიტანული გვარების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს ბიბლია, ლიტერატურა, მითოლოგია, რეალური ცხოვრება.

XVIII საუკუნეში ბრიტანელებს საერთოდ არ გააჩნდათ გვარები. ბრიტანული გვარების წარმოშობამდე, ხშირად ადამიანთა მეტსახელებს იყენებდნენ. ბრიტანეთში გვარის გამოყენება პირველად დაიწყო ტიტულოვანმა არისტოკრატებმა და მდიდარმა მემკვიდრეებმა, შემდეგ კი – ვაჭრებმა და მოქალაქეებმა, ხოლო ბოლოს – სოფლის მოსახ-

ლებამ. ეს პროცესი გრძელდებოდა რამდენიმე საუკუნე და, შესაბამისად, გვარების ჩამოყალიბება სხვადასხვა წყაროდან ხდებოდა.

ადამიანთა მეტსახელების გადასვლა გვარებზე ინგლისის ზოგ რაიონში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა, მაგალითად: ტანსაცმლის ფერისგან (ნათელი წითელი ფერის ტანსაცმელი – **Scarlett**), ზოგჯერ, ჩვეულებრივ, ფერებით გამოიხატებოდა სახის ფერი ან წვერი. ასე, მაგალითად: **Nutbrown** (კაკლისფერ-ყავისფერი), **Silverlock** (ვერცხლისფერი კულუღი), **Brownbeard** (ყავისფერ წვერიანი) და **Whitehead** (თეთრთავიანი) და ა.შ. სხვა ქვეყნების კულტურები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა გვარებზე. მრავალ გვარს აქვს გერმანული, ფრანგული ან თუნდაც აზიური წარმოშობა.

ბრიტანული გვარები წარმოშობილია **პირადი ან პროფესიის აღმნიშვნელი სახელებისგან** (გვარები – **Baker, Gardener, Farmer, Miller, Thatcher** და ა.შ.), **გეოგრაფიულ** საფუძველზე (ქალაქების, ქვეყნების, კუნძულების, ტბების, მთების, მდინარეების სახელები და სხვა, მაგალითად, **Drayton** ან **Debenham**). ზოგიერთი ბრიტანული გვარი წარმოშობილია უნიკალური არსებებისა და ნივთების თუ ობიექტების სახელებისგან: მაგალითად, ძველები, შენობები, გემები, ბუნების მოვლენები – **Snow, Storm**, ლანდშაფტი და რელიეფი, მაგალითად, **Brook**, ნიადაგი, მაგალითად: **Sand, Stone**; ცხოველური სამყარო, მაგალითად: **Bull, Swan**, საშინაო ნივთები, მაგალითად, **Box**, საკვები: **Onions** (onion-სახვი); მასალები და ნედლეული, მაგალითად, **Iron**, გადაადგილების საშუალებები – **Train, Bus**, მუსიკალური ინსტრუმენტი – **Drum**, იარაღი და შეიარაღებები – **Sword** ვაჭრობა და ფინანსები – **Dollar**, ფუფუნების ნივთები – **Crystal, Diamond**, საკვები – **Onions**, იურიდიულ, პოლიტიკური ტერმინები: **Justice, Judge** და ა. შ.

სკანდინავიური წარმოშობის გვარები სათავეს იღებს ადამიანთა სახელებისგან: **Swain, Swanson, Rogers' Rogerson' 'Rendall'**. ასევე დაბოლოებებით – **'son'** ან **'sen'**. **“Ivar's son” – ივარის ვაჟი.**

ინგლისელების მსგავსად, შოტლანდიელები არ იყენებდნენ გვარებს ნორმანდიელების მიერ ინგლისის დაპყრობამდე. მრავალი შოტლანდიური გვარი წარმოშობილია გაელური სახელებისგან. გვარები, რომლებსაც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, დართული აქვთ **Mc** ანუ **Mac**, აღნიშნავენ „**ვაჟს**“ და ისინი ძირითადად გამოიყენებოდა მაღალმთიან ადგილებში.

ამჯერად განვიხილავთ რამდენიმე შოტლანდიურ გვარს:

Allaway – წარმოშობილია შოტლანდიური ტოპონიმისგან - **alla** - **“wild”** - „ველური“, ხოლო – **mhagh** – ნიშნავს მაღალმთიან გზას; **Blair** – წარმოშობილია გაელური სიტყვისგან **blár**, რომელიც ნიშნავს „**დაბლობს დიდი ფართობით და ცოტა ხეებით, მინდორს, ბრძოლის ველს**“ – **“plain, field, battlefield”**; **Burns** – წარმოშობილია ძველი ინგლისური სიტყვისგან **burne**, რომელიც ნიშნავს „დინებას“ – **“stream”**; **Colquhoun** – გაელურ ენაზე ნიშნავს „ვიწრო კუთხეს“ – **“narrow corner”**, „ჭაღის ტყეს“ – **“narrow wood”**; **Coutts** – ამ გვარის წარმოშობა უკავშირდება აბერდინში მდებარე ტოპონიმს **Cults**, რომელიც წარმოშობილია გაელური სიტყვისგან „ტყეები“ - **“woods”**; **Cowden** – წარმოშობილია სხვადასხვა გეოგრაფიული სახელისგან, რომელიც ძველ ინგლისურში გამოხატავს მნიშვნელობას – „ქვანახშირის ველი“ – **“coal valley”**, „ქვანახშირის

ბორცვი” – “coal hill”, ან თუნდაც „ძროხის საძოვარი” – “cow pasture”; **Donne** – ამ გვარის წარმოშობა უკავშირდება გაელურ სიტყვას “**donn**”, რომელიც ნიშნავს „ყავისფერს” – “brown”, „ადამიანის ზედმეტ სახელს ყავისფერი თმით”; **Duff** – წარმოშობილია გაელური სიტყვისგან “**dubh**” მნიშვნელობით „მუქი” – “dark”; **Fairbairn** – სიტყვის წარმოშობა მიეკუთვნის საშუალო ინგლისურს, რომელიც ნიშნავს „ლამაზ ბავშვს” – “beautiful child”; **Faulkner** – არის ძველი ინგლისური წარმოშობის სიტყვა “falconer” და ნიშნავს „შევარდნით მონადირეს; ბაზიერს”; **Glenn** – არის გაელური სიტყვა **gleann** – “valley” და ნიშნავს „ხევს”; **Keith** – ამ გვარის მნიშვნელობა შესაძლოა უკავშირდებოდეს სიტყვა „ტყეა” – “wood”; **Kelly** – წარმოშობილია შოტლანდიური ტოპონიმისგან **coille**, რომელიც „ჭაღას” ნიშნავს – “grove”; **Lusk** – შესაძლოა გაელურად ნიშნავდეს „გამოქვაბულს” – “cave”; **Mcgill** ნიშნავს „უცხოელის ვაჟს” – “son of the foreigner” ან gall – „უცხოელს” – “foreigner”; **Taggart** – ნიშნავს „მღვდელს” – “priest” და ა. შ.

1645 წელს ინგლისელები შეეცადნენ, რომ ყველა ირლანდიელს დაეთმო თავისი გვარი და გადასულიყვნენ ინგლისურზე. კანონი ითვალისწინებდა, რომ ყოველ ირლანდიელს აეღო გვარის სახელწოდება ინგლისური ქალაქების სახელებიდან (**Brigg, Chester, Skipton, Swinton, Totton**) ან ფერის აღმნიშვნელი ტერმინებისგან (**Black, Blue, Brown, Red White**), ან თუნდაც ხელობის აღმნიშვნელი სიტყვებისგან (**Baker, ქალიმცხობელი – Baxter, Butler, Carpenter, Brewer, Ditcher, Smith, Slatter – slate** – ინგლისში ამჟამადაც პოპულარული საფარი მასალა, **Thatcher, Taylor**) და ა. შ.

რაც შეეხება ირლანდიურ გვარებს, მათ უმრავლესობას აქვს თავსართი **Mac** – **მაკ** – ვაჟი, ან **O' ო'** (მაგალითად, **O'Neill „ო'ნილ-ი”** – ნილის კლანის შთამომავალი).

გვარი **Flanagan**-ის გაელური ეკვივალენცია ო Flannagáin – წითური; **Hogan** – გვარის გაელური ეკვივალენცია ო hÓgáin, რომელიც ნიშნავს ახალგაზრდას; **Johnston** – მისი გაელური ეკვივალენცია Mac Seáin, მნიშვნელობა – ჯონის ვაჟი; **Kennedy** – ამ გვარს აქვს ორი მნიშვნელობა: წარმოშობილია გაელური სიტყვისგან “chieftain” (კლანის ან ტომის ლიდერი) და “helmeted chief or leader” – „მუზარადიანი ბელადი ან ლიდერი”; გვარი **Lyons** ირლანდიური ან ნორმანდიული წარმოშობისაა – ო Laighin – მისი გრაფიკული ვარიანტებია: **Lyon Lane, Leon, Lion** და **Lyne**. ამ გვარის წარმოშობა, ასევე, უკავშირდება სახელს **Leo**; **O'Brien**-ის გაელური ეკვივალენცია ო Briain, რომელიც ნიშნავს მალაღს, კეთილშობილურს; **O'Sullivan** – მისი გაელური ეკვივალენცია ო Súilleabháin და ნიშნავს მუქთვალისანს; **Molony**-ის გაელური ეკვივალენცია ო Maolomhnaigh და ეკლესიის მსახურს ნიშნავს; **Moore**-ის გაელური ეკვივალენცია ო Mordha, რომლის მნიშვნელობაა ო Mordha, ნიშნავს დიდებულს, დიადს, ბრწყინვალეს; **Regan**-ის გაელური ეკვივალენცია ო Riagáin, **Ryan**-ის გაელური ეკვივალენცია ო Maoilriain, რომელიც ნიშნავს მეფეს; გვარი **White**-ის გაელური ეკვივალენცია Mac Giolla Bháin, რომელიც ნიშნავს ღია ფერის კანს.

უელსური გვარების დიდი ნაწილი ძველი უელსური პატრონიმული სახელებისგან იღებს სათავეს. როგორც ცნობილია, პატრონიმი ეს ანთროპონიმის სახეა, რომელიც წარმოშობილია მამის ან შორეული წინაპრის სახელისგან. შეილი იღებდა მამის სახელს გვარად. ოჯახური კვშირის მაჩვენებელი იყო პრეფიქსი ‘**ap**’ თუ ‘**ab**’ (უელსური სიტყვის ‘**mab**’-ის – ვაჟიშვილის შემოკლებული ვერსია), **ap Llewellyn ap Thomas ab**

Dafydd ap Evan ap Owen ap John Thomas ab Dafydd ap Evan ap Owen ap John. ქალის შემთხვევაში გამოიყენებოდა **“ferch”** (უელსურად – ქალიშვილი).

ისტორიკოსების აზრით, გვარები იცვლებოდა თაობიდან თაობამდე და მამის სახელიდან წარმოშობილი გვარების სისტემა შემოღებული იყო უელსური კანონის – Welsh Law – შედეგად, რომელიც იყო ფორმალურად დაწესებული უელსელი მეფის ჰიველ დას მიერ – Hywel Dda (“Hywel the Good”), პრესტატინიდან ფემბროკამდე დაახლოებით 915AD-950AD წლებში. კანონი გულისხმობდა იმას, რომ გვარები წარმოადგენდა ადამიანის გენეალოგიური ისტორიისთვის მნიშვნელოვანს და ამიტომაც ფართოდ ცნობილი და დარეგისტრირებული უნდა ყოფილიყო. მოგვიანებით კი, უელსურ სახელებს დაემატა დაბოლოება ‘s’. მაშასადამე, თანამედროვე უელსური გვარები, როგორებიცაა **Jones, Williams, Davies** და **Evans**, წარმოიშვა იმ მიზნით, რათა თავიდან აეცილებინათ გაურკვევლობა იგივე გვარის არამონათესავე პირებს შორის. უელსურ გვარებში ყველაზე გავრცელებულია: **Davies, Evans, Griffiths, Hughes, Jones, Lewis, Morgan, Roberts, Thomas, Williams, Edwards, James, Lloyd, Morris, Owen, Parry, Phillips, Powell, Price, Rees, Richards, Bevan, Bowen, David, Ellis, Harris, Hopkins, Howells, Humphreys, Jenkins, John, Llewelyn, Pritchard, Pugh, Rowlands, Watkins, Allen, Arthur, Ashton, Austin, Bennett, Beynon, Breese, Brown, Daniel, Edmunds, Foulkes, Francies, George, Harry, Havard, Herbert, Matthews, Prosser, Prothero, Rogers, Smith, Stephens** და ა. შ.

ბრიტანეთში, ქრისტიანობის შემოღების შემდეგ, მრავალი ბიბლიური სახელი დაედო საფუძვლად უელსურ გვარებს, მაგალითად, როგორებიცაა **John, Thomas, David** და სამეფო სახელები – **Richard, Edward, Henry**.

შუა საუკუნეების პერიოდში ინგლისში დაიწყო ბიბლიური სახელების გვარებად გადაკეთების პროცესი. მაგალითად: **St. Lawrence – Lawrence, Lawson, Larson, Larkin**. ხშირად შეხვედებით ფორმანტს **son** – ვაჟიშვილი: **Thompson, Abbotson, Johnson, Matthewson** და ა. შ.

გვარებს იშვიათად იყენებენ არაოფიციალური მიმართვის დროს. ოფიციალურად გვარები გამოიყენება მთლიანი ოჯახების დასახელებისას: **The Bakers, the Tyles, the Gordens**.

ფერის აღმნიშვნელი გვარები სხვადასხვა წარმოშობისაა და დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ კულტურულ გარემოში მოხვდნენ.

გვარებს შეუძლიათ მოგვითხრონ, თუ რა ფერის თმები ჰქონდა ოჯახის წინაპარს: **Black (Blake), White (Whiteman), Grey (Grissel, Grizzle), Brown (Brunet, Brunell)**, ვითურთმიანს **red**-ს უწოდებდნენ – **Reid, Reed, Read** ან **Redman**, ხოლო კორნუოლში კი შესხვედებით ასეთ გვარებს – **Rouse, Russell** ან **Ross**.

ინგლისური გვარები, რომლებიც დაკავშირებულია ფერთა სახელწოდებებთან, გავრცელებულია ინგლისურენოვან ქვეყნებში, მაგალითად – **White, Black, Green, Gray** და **Brown**.

გვარი **White** ირლანდიური წარმოშობისაა – **gaelic celtic**. ის მომდინარეობს ზედმეტსახელიდან თეთრი თმის ფერის ან სახის ფერმკრთალი ფერის გამო.

ფრანგი ჰუგენოტების ოჯახები ატარებდნენ გვარს **Blanc**, ხოლო ინგლისში ჩამოსახლების შემდეგ მიიღეს გვარი **White**.

შუა საუკუნეების ინგლისში ამბობდნენ **“John White”**, რათა განესხვავებინათ ქალაქში მცხოვრები სხვა ჯონისგან. **John the Brown (tanned – გარუჯული)**, **John the Black (Black haired – შავთმიანი)**, მოგვიანებით კი, გამოჩნდა სხვა გვარები ადგილმდებარეობის მიხედვით – **John Greenfield -> John Green; Arthur Whiteford -> Arthur White.**

სელებრიტებს შორის ამ გვარის ცნობილი წარმომადგენლებია მომღერალი **ბარი უაითი – Barry White**, ბრიტანელი შეფ-მზარეული **მარკო პიერ უაითი – Marco Pierre White**, კომპოზიტორი **ჯონ უაითი – John White** და ა. შ.

Forebears-ის საიტზე გვარს **White** გაგრცელების მიხედვით მსოფლიოში 436-ე ადგილი უკავია, მისი გრაფიკული ვარიანტია **hwit: Whyte, Whight, Wight** (8; 11).

შავი ფერის გამოსახატავად საშუალო ინგლისურში არსებობდა ორი სიტყვა **swart** – დაბინდული შავი ფერი და **bleak** – მზინავი. **swart**-მა შეინარჩუნა თანამედროვე ფორმა **swarthy** – შავგვრემანი, მუქი, **black look** – მრისხანე გამოხედვა, შავი ფერის დამატებითი კონოტაციაა **black** – მრისხანე. **Black** ხედმეტსახელს უძველეს დროში უწოდებდნენ შავგვრემან ან მუქთმიან მამაკაცებს, მისი ვარიანტია **Blake**. ეს გვარი ამჟამად პოპულარულია ინგლისსა და შოტლანდიაში. **1840** წლიდან **420** ბლეიკების ოჯახი ცხოვრობს პენსილვანიაში.

ინგლისური გვარების შემადგენლობაში ფერი **bleak** გამოირჩევა მაღალი დერივაციული პროდუქტიულობით, მაგალითად: **Blac, Blacki, Blackie, Blackk, Blackky, Blackye.** ორშემადგენლიანი კომპოზიტები – **Blackbeard, Blackeye, Blackeyed, Blackeye-Chingw Blackman/Blackmon, Blackkettle, Blackface, Blackfox, Blackwelder, Blackweir, Blackweasel, Blackwood, Blackwode, Blakewood, Blaikwood** და ა. შ.

პირველი გვარის **William de Blackwood**-ის ჩანაწერი თარიღდება 1327 წლით სტირლინშირში – **Stirlingshire.**

ბლეკუდები – **Blackwoods** – ერთ-ერთი პირველი ახალმოსახლეები იყვნენ ამერიკის კონტინენტზე. ისინი მე-19 საუკუნეში დასახლდნენ ბონავისტაში, ნიუფაუნდლენდში.

ფერებთან დაკავშირებული ზოგიერთი გვარ-სახელი ტოპონიმიური ან მცენარეული წარმოშობისაა. მაგალითად: **Blackwood**, შოტლანდიური წარმოშობისაა, რომელიც შავ ტყეს ნიშნავს – **“black wood”**, **Blackwood**, ასევე, არის სოფელი შოტლანდიაში, [https://en.wikipedia.org/wiki/Blackwood_\(surname\) - cite_note-1](https://en.wikipedia.org/wiki/Blackwood_(surname) - cite_note-1) ტოპონიმიური წარმოშობისაა გვარები: **Blackburn, Blackwell, Blakeley, Blakesley** და ა. შ. **Blackwood** მდებარეობს თვალწარმტაცი ქლაიდ ველის – **Clyde Valley** – სამხრეთ-დასავლეთ მხარეში, ქრეიგნეთის ციხე-სიმაგრის – **Craignethan Castle**-ის ახლოს, სადაც შოტლანდიელთა **დედოფალი მარია – Mary Queen of Scots** მოგზაურობის დროს დარჩა და სიკვდილით დასჯილ იქნა ინგლისის დედოფალ ელისაბედის I-ის მიერ.

ცნობილ ადამიანებს შორის ბლეკ – **Black** გვარის მატარებლები არიან: **ქლინთ ბლეკი – Clint Black** – ქანთრის სტილის მომღერალი (country singer), **შირლი თემპლ ბლეკი – Shirley Temple Black** (April 23, 1928-February 10, 2014) იყო ამერიკელი მსახიობი ქალი, ასევე – ამერიკის შეერთებული შტატის ელჩი განასა და ჩეხოსლოვაკიაში.

ადამ ბლეკი – Adam Black გამომცემელი ედინბურგიდან (1784-1874), რომელმაც 1827 წელს მიიღო **Encyclopedia Britannica**-ის გამოცემის უფლება. **Clint Patrick Black**

არის ქანთრის ცნობილი ამერიკელი მომღერალი, მუსიკოსი, მულტი-ინსტრუმენტალისტი, ჩანაწერების პროდიუსერი და მსახიობი.

Forebears-ის საიტის მონაცემებით, გვარი **bleak**, გავრცელების მიხედვით, იკავებს მსოფლიოში 1743-ე ადგილს. დაახლოებით 318 ათასი ადამიანი არის ამ გვარის მატარებელი, შოტლანდიაში მათი რაოდენობა ყველაზე მეტია.

გვარი **Orange**-ის წარმოშობა გაურკვეველია. მისი გრაფიკული ვარიანტებია: **Orange, Orenge, Orringe**. ორანელების სამთავროს ჩაყარა საფუძველი XVI საუკუნეში, სამხრეთ საფრანგეთის ველ პროვინციაში. **უილიამ – William of Orange – ორანელი** მიეკუთვნებოდა ნიდერლანდებში ცნობილ **ორანელთა** გვარს. 1688 წელს უილიამმა მიიღო ინგლისიდან მოწვევა ტახტის დასაკავებლად. ამ გვარის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან **ჯეიმს ორინჯი – James Orange (1943-2008)**, ამერიკის მოქალაქეთა უფლებების აქტივისტი, **რასან ორინჯი – Rhasaan Orange** – ამერიკელი მსახიობი, რობერტ ორინჯი – **Robert Orange**, კანადელი პოლიტიკოსი და ეკონომისტი, **ურსულა ორინჯი – Ursula Orange (1909-1955)** – ბრიტანელი ნოველისტი, ვინსენტ ორინჯი – **Vincent Orange** – ამერიკელი პოლიტიკოსი.

გვარი **Green**, ვარიანტი – **Greene**, ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებულია ინგლისსა და ირლანდიაში. ეს გვარი პირველად გამოჩნდა კენტში, ადრეული ჩანაწერი ისტორიულ დოკუმენტში თარიღდება 1188 წლით, მისი სახელი იყო ჯეფრი გრინი – **Geoffrey Greene**. ეს გვარი გავრცელდა შუა საუკუნეებში ინგლისის სხვადასხვა ნაწილში.

გრინების რაოდენობა გაიზარდა აშშ-ში, კანადაში 1840 წელს. ამ დროისთვის გრინების დაახლოებით 1.332 ოჯახი ცხოვრობდა ნიუ იორკში.

ინგლისურენოვან სამყაროში გრინების გვარის ცნობილი წარმომადგენლები არიან: **ჰენრი გრამ გრინი** (ingl. Graham Greene; 2 ოქტომბერი, 1904-3 აპრილი, 1991) – ინგლისელი დრამატურგი, სცენარისტი და კრიტიკოსი. ის არის ავტორი ნოველებისა: „კონფიდენციალური აგენტი“ – *The Confidential Agent*, „მესამე კაცი“ – *The Third Man*, „წყნარი ამერიკელი“ – *The Quiet American*, „ჩვენი კაცი ჰავანაში“ – *Our Man in Havana*, და ა. შ., **კანდიდა როუზ ლისეტ გრინი – Candida Rose Lycett Green (1942-2014)** - ინგლისელი მწერალი, ცნობილი თავისი ნაწარმოებებით *English Cottages*, *Goodbye London*, *The Perfect English House*. **ჰენრი გრინი – Henry Green (1905-1973)**, მისი ფსევდონიმია ჰენრი ვინსენტ იორკი – *Henry Vincent Yorke*, ინგლისელი ნოველისტი, რომლის ნოველა „Loving“ გამოირჩეოდა და მოხვდა *Time*-ში, 1923-დან 2005-წლამდე 100 საუკეთესო ინგლისურენოვანი ნოველების სიაში და სხვ.

გვარი ბრაუნი **Brown** საკმაოდ გავრცელებულია. ის წარმოიშვა ზედმეტსახელისგან, რომელსაც უწოდებენ ყავისფერთმიან, მუქი კანის ან ყავისფერ სამოსში ჩაცმულ ადამიანებს. სიტყვა **Brown**-ს გააჩნია ძველინგლისური ფესვები. პირველად ეს გვარი მოიხსენიება 1066 წელს ფორმებით **Brun** და **Brunus**. ძირითადად გავრცელებულია ინგლისსა და ირლანდიაში, მისი ვარიანტი **Browne** ასოცირდება ირლანდიასთან.

პირველი ჩანაწერი, სადაც ნახსენებია სახელი **William le Brun**, თარიღდება 1169 წლით, ნორთუმბერლენდის საგრაფოში. ადრეულ ჩანაწერებში, ასევე, ფიქსირდება გვარი **Anthony Browne**, მონტეგიუს პირველი ლორდი – **Anthony Browne, the 1st Lord Montague (1526-1592)**.

ამ გვარის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ: ინგლისელი სატირიკოსი, ედვარდ გორდონ ბრაუნი – **Edward Gordon Brown** (1872-1966), ინგლისელი მსახიობი და სცენის დიზაინერი, **ჰერბერტ ჩარლზ ბრაუნი – Herbert Charles Brown** – ამერიკელი ქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ნაშრომისთვის ორგანობორჰიდრიდები (**organoboranes**), ქრისტოფერ მორის ბრაუნი – **Christopher Maurice Brown**, ამერიკელი მომღერალი, კომპოზიტორი, მოცეკვავე და მსახიობი, **მარგარეტ უაის ბრაუნი – Margaret Wise Brown**, საბავშვო წიგნების ავტორი; **ქლაიდ ჯექსონ ბრაუნი – Clyde Jackson Browne** – ამერიკელი მომღერალი და კომპოზიტორი, **დენ ბრაუნი – Dan Brown** (დ. 22 ივნისი, 1964, ექსეტერი, ნიუ-ჰემფშირი, აშშ) – ამერიკელი მწერალი. მისი ყველაზე გახმაურებული რომანია „da vinCis kodi“ – **The DaVinci Code** (2003) და სხვ.

გვარი **Browning** – ბრაუნინგის (ძვ. ინგლისური ფორმა – **Brūning**) ცნობილი წარმომადგენელი არის მეწარმე, ნახევრად-ავტობატური მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღის დიზაინერი **ჯონ მ. ბრაუნინგი – John M. Browning**, ასევე ცნობილი ინგლისელი პოეტი და სცენარისტი **რობერტ ბრაუნინგი – Robert Browning** (7 მაისი, 1812 - 12 დეკემბერი, 1889), **ელიზაბეტ ბარეტ ბრაუნინგი**, ვიქტორიანული ეპოქის გამოჩენილი ინგლისელი პოეტი ქალი (6 მარტი, 1806 - 29 ივნისი, 1861).

ამერიკის ახალ კოლონიებში ყველაზე ადრეულ ჩამოსახლებულებს შორის იყო **Edward Browne**, რომელიც ჩამოვიდა ლონდონიდან და დასახლდა ვირჯინიაში 1635 წლის სექტემბერში. ამჟამად **Browne** აშშ-ში მე-2 ყველაზე პოპულარული გვარია ბრიტანულ და აფრიკელ ამერიკელებს შორის.

ფიქრობენ, რომ ძველ შოტლანდიურ სამეფოში დაღრიადას – **Dalriada** გვარი **Blue**-ს წინაპრები ცხოვრობდნენ. ამ გვარის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ **Argyll**-ის საგრაფოშიც, ამჟამინდელი სთრასკლაიდის რეგიონში – **Strathclyde region**. სახელი **Blues** შესაძლოა წარმოშობილია გაელური სიტყვა **“gorm”**-ისგან, რომელიც ნიშნავს ლურჯს/ცისფერს – **Blue** .

გვარი **Blue** გავრცელებულია აშშ-ში, ბრიტანეთში, კანადაში. ამ გვარის დაახლოებით 51 ოჯახი ცხოვრობდა ოჰაიოს შტატში. მისი ვარიანტებია: **Blue, Blues, Bleu, Bleue, Blew, Blewis** და **Blewes**.

ამ გვარის ცნობილი წარმომადგენლები არიან: **ელია ბლუ ალმანი – Elijah Blue Allman** – ამერიკელი მუსიკოსი, ყველასთვის ცნობილი ამერიკელი მომღერლის **შერის და გრეგ ალმანის** ვაჟიშვილი, **ჯოშ ბლუ – Josh Blue** – ამერიკელი კომიკოსი, დევიდ ბლუ – **David Blue** – მერიკელი მსახიობი, მომღერალი და მოცეკვავე.

Gray-ს უწოდებდნენ ადამიანს, რომელსაც ჰქონდა ნაცრისფერი თმა. შოტლანდიაში გვარი **Gray** წარმოიშვა ორი სხვადასხვა დერივაციით. ზედმეტსახელი მომდინარეობს გაელური სიტყვისგან **riabhach**, რომელიც ნიშნავს ნაცრისფერს – **gray**. გვარი **Gray** პირველად გამოჩნდა ნორთუმბერლენდში. ამ გვარის მატარებელია **John de Gray**, ნორვიჩის ეპისკოპოსი, მოგვიანებით კი, ის კენტერბერის არქიეპისკოპოსი გახდა.

გვარს **Gray** უამრავი ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ადამიანი ატარებს: **ლინდა გრეი – Linda Gray** – ამერიკული კინოს, სცენისა და ტელევიზიის მსახიობია, მონაწილეობს ცნობილ ტერესერიად „დალასში“, 2013 წელს ჟურნალმა **People**-მა შეარჩია „მსოფლიოს 10 ულამაზეს ქალს შორის“, პროფესორი სერ **ალექსანდრ გრეი –**

Alexander Gray – შოტლანდიელი ეკონომისტი, აკადემიკოსი, თარჯიმანი, მწერალი და პოეტი, **ვინსენტ რიჩარდ გრეი – Vincent Richard Gray** – ახალზელანდიელი ქიმიკოსი, ახალი ზელანდიის კლიმატის მეცნიერების კოალიციის დამფუძნებელი, **პოლ გრეი – Paul Gray**, ავსტრალიელი კომპოზიტორი, პიანისტი, მომღერალი და მუსიკალური პროდიუსერი და სხვ.

გვარი **Red** წარმოშობილია ინგლისური სიტყვისგან “**read**”, მნიშვნელობით “**red**”, წარმოშობილი სიტყვისგან “**hreed**” – “**ryht**”, მნიშვნელობით **reeds** – მდინარეში მზარდი ლერწმები, ან სოფელი **Reed** – რიდი ჰერტფორდშირში – **Hertfordshire**. ადრე, სანამ გვარები გამოჩნდებოდა, ეს სიტყვა გამოიყენებოდა როგორც ზედმეტსახელი წითურთმიანი ადამიანების მიმართ, შოტლანდიაში “**Reid**” და, სავარაუდოდ, “**Roy**” წარმოშობილი გაელურიდან. პირველი ჩანაწერი ამ გვარის მატარებელი ადამიანის – **Leofwine se Reade**, თარიღდება 1016 წლით, მოიპოვება ისტორიულ ჩანაწერში “**Olde English Bynames for the county of Kent**”, მეფე კანუტის King Canute მმართველობის პერიოდში 1016-1035.

საჭიროა აღინიშნოს, რომ 1880 წლისთვის გვარი **Red**-ის მატარებელი ადამიანები აშშ-ში უკვე საკმაოდ იყვნენ, მათი რაოდენობა მისისიპის შტატში აღწევდა 226-ს. რაც შეეხება გვარს **Rede**, ის გავრცელებული იყო **ვესტონსა და საფოლკში – Weston, Suffolk**.

ცნობილი ადამიანებიდან წითელი ფერის აღმნიშვნელი გვარის წარმომადგენლები არიან: ამერიკელი მსახიობი, რეჟისორი და პროდიუსერი **რობერტ რედფორდი – Robert Redford**, **ოტის რეი რედინგი უმცროსი** (ინგლ. *Otis Ray Redding, Jr.*; 9 სექტემბერი, 1941 - 10 დეკემბერი, 1967) – ამერიკელი მომღერალი, იგი მიჩნეულია ერთ-ერთ უდიდეს მომღერლად ამერიკის პუპულარული მუსიკის ისტორიაში, ლინ რედგრევი – **Lynn Redgrave**, ბრიტანელი მსახიობი, რედგრევიების ბრიტანული დინასტიიდან, „გლობუსის“ ორი პრემიის მფლობელი, ასევე, ამერიკული კინოაკადემიის პრემიის ორჯერ ნომინანტი, უფროსი და **ვანესა რედგრევი – Vanessa Redgrave** – სცენის, კინოსა და ტელევიზიის ცნობილი ბრიტანელი მსახიობი, პოლიტიკური აქტივისტი. პოპულარობა მოუტანა როსალინდას როლმა სპექტაკლში „როგორც გენებოთ“. შესრულებული აქვს 80-ზე მეტი როლი და სხვ.

გვარი **Yellow** პირველად გამოჩნდა მე-17 საუკუნეში აშშ-ში. ამ გვარის წარმომადგენელი იყო ელაიზა იელოუ – **Eliza Yellow**, ხოლო 1653 წელს კი მარგ იელოუ – **Marg Yellow**. ამ გვარის მატარებელთა ყველაზე დიდი რაოდენობა არიზონას შტატში ცხოვრობს.

ყვითელ ფერთან დაკავშირებული ყველაზე ცნობილი გვარის მატარებელია ჯიმ ბოუი – **Jim Bowie**, რომლის გვარი წარმოიშვა გაელურიდან და ნიშნავს ყვითელს და აღნიშნავს ქერათმიანს. გვარი **yellow**-ს გრაფიკული ვარიაციებია – **Yelley, Yeley, Yello, Yellow, Yellew, Yellewe, Yelleye, Yellowley**.

ინგლისური გვარი **Pink**-ის გრაფიკული ვარიანტებია – **Pinch, Pinck, Pincke, Pinks**, ხოლო მისი დიალექტური ფორმებია – **Penk** და **Penke**, ის გამოჩნდა ადრეულ შუა საუკუნეებში და დაკავშირებულია ზედმეტსახელთან მნიშვნელობით ნიჭიერი, მხიარული, აქტიური, ხალისიანი პიროვნება, ან შესაძლოა გვარი წარმოშობილია შუა ინგლისუ-

რის პერიოდში, რომელიც გრაფიკულად ასე გამოიყურება – **pink, penk** – ‘minnow’ და ნიშნავს მდინარის თევზს ჭიჭყინას. ამ გვარის ძველი ინგლისური ვარიანტი **pinc** ნიშნავს პატარა ადამიანს. გვარი **Pink**-ის გრაფიკული ვარიანტებია:

Pick, Pine, Pinn, Penk, Fink, Pin, Zink, Pinks, Spink, Pins.

ცნობილი ამერიკელი მომღერლისა და კომპოზიტორის ალიშა ბეთ მურის – **Alecia Beth Moore** – პროფესიული ფსევდონიმია **პინქი – Pink**, რომელიც სამი გრემის ჯილდოს მფლობელია. ამ გვარის მფლობელები არიან: **სელინდა ფინქი – Celinda Pink** - ამერიკელი მუსიკოსი, **სიდნი უ. პინქი – Sidney W. Pink** – ფილმის რეჟისორი და პროდიუსერი, სტივ ფინქი – **Steve Pink** – ამერიკელი მსახიობი, მწერალი და ფილმის რეჟისორი. დანიელ მანუს ფინქუოტერი – **Daniel Manus Pinkwater** – საბავშვო მოთხრობების, მათ შორის, ცნობილი წიგნის **The Big Orange Splot**-ის ავტორი.

გვარი **Purple** ანგლო-საქსური წარმოშობისაა, რომელიც გამონდა ძველ ინგლისურში **“purpul”**-ის სახით. თავის მხრივ, მისი წარმოშობა უკავშირდება ლათინურ **“purpure”**-ს, მნიშვნელობით მეწამული ფერი – **“purple”**. ამ გვარის გრაფიკული ვარიანტებია: **Purple, Purpel, Purpul**. ეს გვარი პირველად გამონდა ნორფოლკში, სადაც ფერფლების ოჯახის საგვარეულო მოსახლეობდა.

ამ გვარის ახალმოსახლეები – ცოლ-ქმარი ჯონ და ალისა ფერფლი – **John Purple, Alice Purple** თავიანთ ქალიშვილებთან – აბიგაილ, ფერთენია და მერსისთან – **Abigail, Perthenia, Mersey**-თან ერთად გამონდნენ ნიუ ჯერსში 1720 წელს. **Purple** გვარის მატარებელი სხვა ცნობილი ადამიანები არიან: ამერიკელი დემოკრატი პოლიტიკოსი **ნორმან ჰ. ფერფლი – Norman H. Purple**, ცნობილი ამერიკელი ექიმი **სემუელ სმიტ ფერფლი – Samuel Smith Purple**, ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის პროფესორი **დევიდ ფერფლი – David Purple** და სხვ.

მოცემულ ნაშრომში რამდენიმე ბრიტანული გვარი განვიხილეთ როგორც ლინგვისტურ, ასევე ექსტრალინგვისტურ ჭრილში. მათი წარმოშობა, გავრცელება და თავისებურებები მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის ისტორიულ პროცესებთან და როგორც ანთროპონიმულმა და საზოგადოებრივ-ისტორიულმა კატეგორიამ, ღრმა კვალი დატოვეს ლინგვისტურ სამყაროში. ეს გვარები დღემდე წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფენომენს დიდი ბრიტანეთის ისტორიასა და კულტურაში.

ლიტერატურა:

1. ლლონტი ალ., ქართული საკუთარი სახელები, თბ., 1986.
2. ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, ტ. I, თბ., 2008.
3. ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი / შეადგინა [და წინასიტყვ. დაურთო] მიხეილ ჭაბაშვილმა. მე-3 შესწ. და შევს. გამოც., თბ., 1989.
4. Coates R., The Family Names of the United Kingdom (FaNUK) Project: Retrospect and Prospect, ‘Names and Their Environment’ Proceedings of the 25th International Congress of Onomastic Sciences Glasgow, 25-29 August 2014.
5. Crystal D., The Cambridge Encyclopedia of the English Language, Cambridge University Press, 2007.
6. Lyons J., Introduction to Theoretical Linguistics, London, Cambridge University Press.
7. Суперанская А.В., Общая теория имени собственного, М., 1975.

8. Forebears [El.resource]. URL: <https://forebears.io/> (13.01.2019).
9. Online Etymology Dictionary. URL: <http://www.etymonline.com/>
10. Shorter Oxford English Dictionary, 5th Edition, Oxford University Press.
11. Forebears URL: [El.resource]. <https://forebears.io/> 2019.
12. Forebears URL: [El.resource]. <https://forebears.io/> 2019.
<https://api.fortuna.ge/legenda-shavsa-da-tetr-aragvze-sayvareli-debi>.

Manana Shelia

British surnames as an anthroponic and socio-historical category

Summary

Many British surnames have a unique history and have come down to us from Celtic, Anglo-Saxon, Danish, and Norman ancestors. Surnames are evidence of the language and cultural movement of people who have settled in Britain over history and their study can give a rich insight into the development of human society.

The origins of British surnames date back to the pre-medieval period. Before the Norman Conquest of Britain, people did not have hereditary surnames: they were known just by a personal name or nickname.

The origin from which family names are derived and linked to a name of a parent, an occupation, a place, place-names, estate names, colours, physical attributes, baptismal names, trades and almost every known object.

In the paper we particularly draw attention to the British surnames including colour names. The object of our study is to provide a descriptive discussion of surnames in an etymological, semantic and extra-linguistic viewpoint.

Манана Шелия

Британские фамилии как антропологическая и социально-историческая категория

Резюме

Многие британские фамилии имеют уникальную историю, которые дошли до нас от кельтских, датских, саксонских или нормандских предков. Фамилии - свидетельство языкового и культурного перемещения людей, поселившихся в Британии в ходе истории и их изучение, может дать богатое представление о развитии человеческого общества.

Истоки британских фамилий восходят к раннему средневековому периоду. До нормандского завоевания Британии у людей не было фамилий, они использовали личные имена или прозвища.

Как известно, британские фамилии, связаны с именем родителя, рода занятий, названия мест, имен имений, различного цвета, физических атрибутов и почти всех известных объектов.

В статье особенное внимание уделено дескриптивному анализу британских фамилий с цветовыми названиями с помощью методов этимологического, семантического и экстралингвистического анализа.

ნანა ლეონიძე, ქეთი გალობერი
(საქართველო)

ფრანგულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან

ქართულ-ფრანგულ ლიტერატურულ ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს. ორივე ქვეყანის სურვილი იყო ერთმანეთის გაცნობა, ერთმანეთთან დაახლოება. დასავლეთ ევროპის ხალხის დაინტერესებამ საქართველოთი თავი იჩინა XIII საუკუნეში. XIV საუკუნიდან განსაკუთრებით ვითარდება ვაჭრობა და სავაჭრო ქარაფნები ხმელთაშუა ზღვიდან კასპიის ზღვამდე აღწევენ. XVI საუკუნეში კი ქ. თბილისის სავაჭრო გზების გადაკვეთის მთავარი ცენტრი ხდება. აღსანიშნავია ცნობილი ქართველი მწერლისა და სახელმწიფო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია ლუი XIV-ის კარზე და მისი ვიზიტი რომის პაპთან, კლემენტი XI-სთან. ცნობილი ქართველი მწერლები და მოღვაწენი აღ. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ივანე მახაბელი, კიტა აბაშიძე, თედო სახოკია და სხვ. დაინტერესებული იყვნენ ფრანგული ლიტერატურით, თარგმნიდნენ ფრანგ მწერალთა ნაწარმოებებს. ფრანგული კულტურისა და ლიტერატურის წარმომადგენლებიც არ დარჩენილან ვალში საფრანგეთის ქართველი მეხოტბეების წინაშე, ისინიც თვალყურს ადევნებდნენ ქართველი ხალხის ცხოვრებას, ლიტერატურას, მოდიოდნენ საქართველოში, რომ შეესწავლათ ქართული ენა, კულტურა, ლიტერატურა, ხალხის ზნე-ჩვეულებანი და მიღებული შთაბეჭდილებები გამოექვეყნებინათ.

საქართველოში ჩამოსულ და მოღვაწე მრავალრიცხოვან ფრანგებს შორის, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ფრანგი ფილოლოგის, ჟიულ მურიეს მოღვაწეობა. მურიე დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში. მან დაგვიტოვა მთელი რიგი შრომები ქართული ლიტერატურის სხვადასხვა დარგის შესახებ. მისი რედაქტორობით ფრანგულ ენაზე თბილისში გამოდიოდა ჟურნალი „le Caucase illustré“, რომელშიც ბევრი საინტერესო წერილი, ნარკვევი, ცნობა იბეჭდებოდა ქართული ლიტერატურის შესახებ, ქვეყნდებოდა ქართული ნაწარმოებების ფრანგული თარგმანები.

მურიეს ნაშრომებს შორის საყურადღებოა მისი წიგნი „სამეგრელო“ (ძველი კოლხიდა), რომელიც 1883 წელს ოდესაში გამოვიდა ფრანგულ ენაზე. ნაშრომი 435-გვერდიანია, დართული აქვს ავტორის მიერ შედგენილი სამეგრელოს რუკა და უხვად არის ილუსტრირებული. წიგნში გაშუქებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა სამეგრელოს ისტორია, გეოგრაფია, გეოლოგია და მინერალოგია, ფლორა, ფაუნა, ჰიგიენა, ეთნოგრაფია, ლიტერატურა, განათლება, მუსიკა, მმართველობა, სამართალი, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა, არქეოლოგია, ეკლესიებისა და მონასტრების მხატვრობა, არქიტექტურა. პირდაპირ გვაოცებს ამ ადამიანის ენთუზიაზმი, სურვილი, რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდეს საქართველოს ცხოვრების ყველა მხარეს. წიგნის შესავალი ნათელს ხდის ავტორის მიზანს. მას სურს, ნაშრომმა დაინტერესოს მკითხველი და აღუძრას ამ მშვენიერი კუთხის – სამეგრელოს ნახვის სურვილი. სამეგრელო, მურიეს აზრით, ნაკლებად ცნობილი და ამავე დროს ერთ-ერთი საინტერესო კუთხეა დედამიწის ზურგზე. იგი დიდი მადლიერების გრძნობით იხსენებს სამეგრელოს მთავრის

ოჯახს და იონა მეუნარგიას, რომელმაც მას მიაწოდა მნიშვნელოვანი ცნობები, ახსნა-განმარტებები თავისი წიგნის დასაწერად. იგი მას თითქმის თანავეტორად თვლის.

ქართველებს მურიე მცირერიცხოვან და მებრძოლ ხალხს უწოდებს, საქართველოს მატიანეს კი, მისი აზრით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართველებისათვის, არამედ სომხეთის, სპარსეთისა და თურქეთის ისტორიისთვისაც. მეგრელები, ამ მატიანის მიხედვით, თარგამოსის მერვე შვილის, ეგროსის შთამომავლები არიან. მურიე ვრცლად მიმოიხილავს საქართველოს ისტორიას, რომელსაც ურთავს ქუთაისის ტაძრის ნანგრევების, გელათის მონასტრის, დადიანის სასახლის ილუსტრაციებს, თამარის ფრესკის ანაბეჭდს ბეთანიის ეკლესიიდან. ავტორი აშუქებს თამარის მეფობის წლებს, აღნიშნავს, რომ მის სახელთანაა დაკავშირებული მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეების, ტაძრების მშენებლობა. ქართული ხელოვნებისა და კულტურის განვითარება. წიგნში მოხსენიებულია ძველი საქართველოს მრავალი დიდი მოღვაწე, მათ შორის, რუსთაველი, მოსე ხონელი, სარგის თმოგველი, შავთელი, ჩახრუხაძე, რომელთა თხზულებებმაც გაამდიდრეს ქართული ლიტერატურა.

საკმაო ხანს უცხოვრია მურიეს სამეგრელოში, საშუალება ჰქონია, დაჰკვირვებოდა ხალხის ცხოვრებას, შეესწავლა იგი. ამიტომ დიდი ინტერესით და საქმის ცოდნით ლაპარაკობს ამ კუთხის ჯერ კიდევ შეუსწავლელ მინერალურ სიმდიდრეზე, თუნუჩვეულებებსა და ტრადიციებზე.

საინტერესოდ და დაწვრილებით მოგვითხრობს იგი სამეგრელოს ფაუნაზე. მურიე აღნიშნავს, რომ სამეგრელო ნაყოფიერი ქვეყანაა. აქ მცენარე გასაოცარი სისწრაფით იზრდება. პირველ წელს აღმონაცენი გასაკაფია, ხუთ წელიწადში კი ტყედ იქცევა. გოლიათი ხეები კენწეროებს შემოხვეული ხვიარებით აცვიფრებენ მნახველთ. ტყე აჯანსაღებს ჰაერს, აკავებს ქარს, იცავს ხეობებს სიცივისაგან, ნიადაგს კი - გამოშრობისაგან. ტყის წყალობით წყაროში წყალი არ შრება. ტყე ფარავს სამეგრელოს ტერიტორიის სამ მეოთხედს. დაჭაობებული ადგილები და ტყე ბევრია. დასამუშავებლად ვარგისი ფართობი კი - ნაკლები. ტყის უგუნურად გაჩეხვას სავალალო შედეგი მოსდევს, გამდნარ თოვლს, გაზაფხულის წვიმას წინააღმდეგობა აღარ ხვდება მთის ფერდობზე და წყალი სწრაფად მიედინება ბარისაკენ. ტყეს, კორდს კი შეეძლო ნიაღვრის შეკავება, მისი განაწილება; ტყის წყალობით შემცირდებოდა წყლის დინების ძალა და ჯანმრთელობისთვის საშიში ჭაობების რიცხვიც. მურიეს აზრით, ტყის გაჩეხვა ასე ბარბაროსულად არ უნდა ხდებოდეს. ტყე უნდა გაშენდეს ციცაბო ფერდობებზე ყველგან, სადაც ძნელია მიწის დამუშავება. ტყის გაჩეხვაზე, ამ სარფიან შემოსავალზე მხოლოდ რჩევა-დარიგებებით ვერ ათქმევინებ გლეხს უარს, ამ შემთხვევაში მთავრობამ თავისი სიტყვა უნდა თქვას, ტყის მფლობელთა ნდობა მოიპოვოს, ავანსითაც დაეხმაროს, როგორც ეს მრეწველობაში ხდება, მიაწოდოს მარცვლეული, თესლი, ნერგი. აღნიშნულ საქმიან წინადადებას მოსდევს მურიეს მიერ თეკლათის, ჭალადიდის, საირემოს, ჭუბურხინჯის საუკეთესო ტყეთა აღწერა. ინფექციური დაავადებები მუსრს ავლებენ სამეგრელოს მოსახლეობას. აცრას იშვიათად აკეთებენ. აუცილებელი საჭიროების დროს მთავრობა სპეციალურად აგზავნის რუს ექიმებს სხვადასხვა მაზრებში. მაღარიით დაავადებული მეგრელები სვამენ ქინაქინას, უმეტესად კი წიფლის, მუხის და ტირიფის ქერქის ნაყენს, რადგან სამეგრელოში ექიმი იშვიათია, აქაური მცხოვრებლები მკურნალობის შინაურ საშუალებებს მიმართავენ. ასე, მაგალითად, მორიე-

ლის ნაკებზე იფენენ ალუბლის დანაყულ ფოთლებს, გველის ნაკებზე კი იდებენ ინდურ ფარმაცევტიკაში ცნობილ ხამანწკას, რომელიც ისრუტავს შხამს, აქრობს ანთებით პროცესს და რამდენიმე წუთში მწვანდება, შემდეგ მას ჩააგდებენ რძეში, რომელშიც ამოანთხევს.

გარეგნულად ლამაზი, თხელი, პროპორციული მეგრული მამაკაცები, მართალია, კბილებამდე შეიარაღებულნი დადიან, მაგრამ ბუნებით მშვიდობისმოყვარულნი არიან, იარაღს მხოლოდ თავდაცვისთვის იყენებენ, სიფხიზლე მათი ერთ-ერთი საუკეთესო თვისებაა, დათრობა არ უყვართ, ღვინოც იშვიათად მოაქვთ მაგიდაზე. მეგრული ქალი, ქერა თუ შავგვრემანი, თითქმის ყველა ლამაზია.

მურიე განიხილავს ლეიბნიცის, ბროსეს, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის მ. ცაგარლის შრომებს, რომლებიც ქართული ენის წარმომავლობას შეეხება. მურიეს უთარგმნია ფრანგულად მის მიერ ჩაწერილი მეგრული ზღაპრები: ქურდი ძმები, ღარიბი კაცის ზღაპარი, ზღაპარი სანართიაზე. მურიეს სიბლავს მეგრული სიმღერა, რომელსაც მელანქოლიური იერი დაჰკრავს...

მურიე, აგრეთვე, საუბრობს გლეხობაზე და წერს: საუკუნეთა განმავლობაში საცოდავ გლეხობას ერთი ტკბილი დღეც არ უნახავს, გლეხი ინახავდა ბატონის ოჯახს, საკუთარ ოჯახს, ბატონზე იყო დამოკიდებული მისი ქონებაც და არსებობაც. მისი შრომის ნაყოფი ბატონის ბედელში გადადიოდა. „ფეოდალობის ყველა საზიზღარი ფორმა განხორციელებული იყო ამ მშვენიერ ქვეყანაში, რომელიც თუმცა ბუნებისგან უხვად იყო დაჯილდოებული, განა მთელს ქვეყნიერებაზე ამაზე ღარიბი მხარე არ მოიძებნება“. ბატონყმობის გადაგდებამ ყმებს, მართალია, ზნეობრივი დამოუკიდებლობა და პირადი თავისუფლებაც მიანიჭა, მაგრამ ჩამოაცილა იმ მიწებს, რომლებსაც ამუშავებდნენ, ამიტომ მურიე მათ სანახევროდ გათავისუფლებულებს უწოდებს.

სამეგრელოში, მურიეს ცნობით, ექსპორტი გაცილებით სჭარბობს იმპორტს, საზღვარგარეთ გააქვთ აბრეშუმი, სელი, დაფნის ფოთოლი, კაკალი, ხე-ტყე, ცვილი, სიმინდი, ბზა. სიმინდის გატანა ხდება შავი ზღვით კონსტანტინოპოლში, რუსეთსა და საფრანგეთში. ბზას კარგი ფასი აქვს მანჩესტერსა და მარსელში. ზუგდიდსა და ორპირში ამოხვეული აბრეშუმი დიდი მოწონებით სარგებლობდა საფრანგეთში, კერძოდ, მარსელში. ზუგდიდის ქარხანა 1848 წელს გახსნა დავით დადიანის მიერ საფრანგეთიდან სპეციალურად მოწვეულმა გრაფმა როზმურდეკმა. გრაფის მიერ ჩამოყვანილმა ორმა ფრანგმა ქალმა - მარიმ და სუზეტამ ასწავლეს მეგრულ ქალებს აბრეშუმის ამოხვევა.

გორდში მურიე პირადად გასცნობია ნიკოლოზ დადიანის ბიბლიოთეკას და უნახავს: ჰიმნების კრებული (ხუცური ხელნაწერი), არჩილიანი, ქილილა და დამანა, სულხან-საბას ლექსიკონი, თეიმურაზ პირველის ლექსები, ყარამანიანი (135-გვერდიანი ქართული ხელნაწერი), ამირან-დარეჯანიანი, ძილის-პირი (ჰიმნების კრებული), სულხან საბას მოგზაურობა ევროპაში (ხუცური ხელნაწერი), მამუკა ბარათაშვილის პოეზია, 1833 წელს დავით დადიანის მიერ თარგმნილი მსოფლიო ისტორია, სამსახეობა რაინდის (იმერეთში ნაპოვნი უძველესი სამმოქმედებიანი პიესა, გადაწერილი 1846 წელს უფლისწულ თეიმურაზის მიერ), წმინდა კირილე ალექსანდრიელის საუნჯე, ლექსად დაწერილი როსტომიანი, სამოციქულო, სვინაქსარი ეტრატზე. ბიბლიოთეკის მარგალიტად მიიჩნევენ მურიე დედოფალ ეკატერინეს კუთვნილი სახარების მიკროსკოპულ ხელნაწერს ეტრატზე. 190-ზე მეტი თავხატულობითა თუ პორტრეტით. მურიე

ცალკე განიხილავს და აღწერს სერგიეთის, ეკის, ნოქალაქევის, სუჯუნის, მარტვილის, გორდის ეკლესიებსა და მონასტრებს. გორდის წმინდა გიორგის სამლოცველოში მურიე განუცვიფრებია ლინქერანის ღვთისმშობლის ხატს, რომელიც ბაგრატ მეოთხის საცოლეს, ბიზანტიის იმპერატორის ქალიშვილს - ელენეს ჩამოუტანია საქართველოში. ერთი მეტრის სიმაღლის ეს სამკარედი 300 პატიოსანი თვლით ყოფილა შექმული. ღვთისმშობლის თავზე ოქროს შარავანდედის სხივებში 329 მარგალიტი და 82 მსხვილი ბრილიანტი, ხოლო ხატის ქვედა, ოქროს ქათიბში 79 ლალი, 20 საფირონი, 9 ბრილიანტი და 93 ზურმუხტი კიაფობდა.

მურიეს ცნობით, 1860 წელს სამეგრელოში 469 მღვდლის ოჯახი ცხოვრობდა, მღვდლები აწარმოებდნენ ნათლობის, ქორწინების, გარდაცვალების ჩაწერას. რადგან მღვდლები მთავრობისგან არ ღებულობდნენ ჯამაგირს, მრევლის თითოეული გლეხი წელიწადში იხდიდა ერთ ან ორ მანეთს, ხოლო ქორწინების, ნათლობისა და ოჯახის წევრის გარდაცვალებისას გაიღებდა გარკვეულ თანხას. მურიეს წიგნში ჩართულია ნოქალაქევის ორმოცი წამებულის ეკლესიის ნახატი, შესრულებული სკალეხის მიერ, მარტვილის, ნოქალაქევის ეკლესიათა გეგმა [დიუბუა დე მონპერეს მიხედვით, მარტვილის სამრეკლოსა და მარტვილის ჯვრის ნახატი (ბატონი სუტნერი)].

„სამეგრელოს“ გარდა მურიეს დაწერილი აქვს არაერთი ნაშრომი, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ: მე-17 და მე-18 საუკუნეების ქართული ზღაპრები, ვლადიკავკაზიდან თბილისამდე არქეოლოგია კავკასიაში, თბილისის მუზეუმი, შუასაუკუნეების ქართული არმია, ბათუმის და ჭოროხის აუზი, შოთა რუსთაველი, XII საუკუნის ქართველი პოეტი, მეცნიერული მისიით კავკასიაში. აღნიშნული შრომები დასტურია მურიეს დიდი სიყვარულისა საქართველოსადმი. საქართველოში ჩამოსული მურიე თითქმის ქართველთა ცხოვრებით ცხოვრობს, თხოულობს და იღებს რუსულ-ფრანგული ჟურნალის „კავკასიის ვაჭრობისა და მრეწველობის მიმოხილვის“ ბეჭდვის ნებართვას, აღელვებს ბეთანიის ეკლესიის ნგრევა და „დროების“ ფურცლებზე წერს მისი დაცვის აუცილებლობაზე, თბილისის მოურავს ევანგელოვს უგზავნის წერილს და თხოვს, თბილისის ქუჩებს უწოდონ ბროსეს და დიუბუა დე მონპერეს სახელი, 1880 წელს ფრანგულად თარგმნის პეტერბურგში 1805 წელს გამოცემულ სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიას“. შემდგომ იღია ჭავჭავაძის ცნობილ პოემას - „განდეგილი“. 1884 წლის 28 ნოემბერს კი „დროების“ ფურცლებზე განიხილავს იონა მეუნარგიას ფრანგულად ნათარგმნ „ვეფხისტყაოსანს“. მაღალ შეფასებას აძლევს თარგმანს და თვით ფრანგულ ენაზე ამ უკვდავი პოემის გადათარგმნისა და გამოცემის ფაქტს, რადგან, მისი აზრით. „მნელად მოსაფიქრებელია, რომ მდიდარმა ქართველმა კომერსანტმა, ახალმა მეცენატმა ათას თუმნამდე გადასდოს ლიტერატურის ნაწარმოებთა დასაბეჭდავად, - ამგვარი ფაქტი ერთადერთია კავკასიის ლიტერატურის ისტორიაში და ამიტომ ღირს ამაზე ლაპარაკი“. მურიე ცდილობს, ახსნას, თუ როგორ შეთხზა რუსთაველმა თავისი ვრცელი ეპიკური პოემა, რისთვის, ვისთვის, რა გარემოებაში, რა არის ამ პოემის ღირსება და მნიშვნელობა.

1884 წლის 30 ნოემბერს, პარასკევს, „დროების“ რედაქციამ საფრანგეთის კონსული, ფრანგების საქველმოქმედო კომიტეტის წევრები და ორმოცდაათამდე პატივცემული პირი მიიწვია ჩაიზე და საუზმეზე. იღია ჭავჭავაძემ რუსთაველი მზეს შეადარა, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი მეუნარგია კი - მთვარეს, რომელიც მუდმივად მნათო-

ბებს ჩვენი ერის მოღვაწეთა შორის რუსთაველის შუქით, როგორც მზის შუქით მნათობს მთვარე.

ამ საღამოს მურიეც დაესწრო. ის ხომ ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვისაც ეკუთვნოდა „დროების“ რედაქტორის ი. მაჩაბლის მიერ წარმოთქმული მისაღმების შემდეგი სიტყვები: „ეს პირველი არ არის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უკანასკნელიც არ იქნება, რაც ფრანგუზებს მიუქცევიათ თავიანთი ყურადღება ჩვენის ქვეყნისა და ლიტერატურისათვის, არც ერთს ევროპიელს უცხო ხალხს იმდენი არ უღვაწია, როგორც თქვენსას, ჩვენი ისტორიისა და ერის განვითარებისათვის“.

„მურიეს „სამეგრელოთ“ შეიძლება დაინტერესდნენ ეთნოგრაფებიც, ბიოლოგებიცა და მინერალოგებიც. ას წელზე მეტი გავიდა ამ წიგნის გამოქვეყნებიდან. იგი საქართველოს სიყვარულითაა დაწერილი.

Nana Leonidze, Ketii Galoberi
From history of French-Georgian literary relationship
Summary

The paper discusses Georgian-French literary relationship, which have centuries old traditions. The Western European people's interest in Georgia rose in the XIII century. Among many Frenchmen who have arrived and worked in Georgia the French philologist Jules Muret's creative work is particularly distinguished. Special attention should be drawn to his book "Samegrelo" (Old Kolkhida), which was published in the French language in Odessa in 1883. The work consists of 435 pages and Samegrelo's map with a set of illustrations drawn up by the author. The book covers the following issues: History, Geography, Geology and Mineralogy, Flora, Fauna, Hygiene, Ethnography, Literature, Education, Music, Management, Law, Agriculture, Architecture, etc.

Нана Леонидзе, Кети Галобери
Из истории французско-грузинских литературных отношений
Резюме

В статье говорится о многовековых литературных отношениях Грузии и Франции. Заинтересованность Грузией Западом проявляется в XIII веке. Среди многочисленных французов, которые посетили Грузию, выделяется деятельность французского филолога Жюль Мурье. Его книга Мегрелия (Древняя Колхида) вышла в Одессе 1883 году на французском языке, она состояла из 435 страниц, иллюстрированная и с географической картой Мегрелии, составленной автором. В книге освещены такие вопросы, как история Мегрелии, география, геология, этнография, литература, образование, музыка, право, сельское хозяйство и т. д.

კობა წურწუშია (საქართველო)

ანტიკური და რენესანსული პარადიგმები დევიდ ლოურენსის რომანში

დევიდ ლოურენსის გამოჩენას სამწერლო ასპარეზზე ნამდვილი ინკვიზიცია მოჰყვა. მისი ზოგიერთი წიგნის ბედი თვით სასამართლოზე გადაწყდა. კრიტიკოსები გულგრილად შეხედნენ მწერლის თამამი და ინტიმური თემების სიჭარბეს. იგივე ბედი ხვდათ წილად ლოურენსის იმაჟისტურ პოეზიასა და ფერწერულ ტილოებს. პოეტი ლოურენსის იმაჟისტური ხედვები გაკრიტიკებული იქნა (იმაჟიზმი (Imagism) იყო მოდერნისტული სკოლა ინგლისურ და ამერიკულ პოეზიაში, რომელიც თავდაპირველად ლონდონში გასული საუკუნის დასაწყისში აღმოცენდა. იმაჟიზმი გულისხმობდა პოეზიაში გართულებული მეტაფორების, ენიგმების, სიმბოლოების შემოტანას). ყოველივე ეს იყო თანამედროვე აუტოდაფე! მოგვიანებით დასავლური კრიტიკა ჩაწვდა ლოურენსის პროზისა და პოეზიის ძირითად მახასიათებელ ნიშნებს, მწერლის აქცენტებს, ღრმააზროვან სიმბოლოებსა და მეტაფორებს, პრობლემის გამომწვევ მიზეზებს. კრიტიკა, ზოგადად, უძღური იყო „შეჩერებინა“ ამგვარი წიგნების არსებობა. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ლოურენსის სამწერლო მოღვაწეობის ეტაპი მოდერნისტული რომანის აყვავების ეტაპს დაემთხვა. იქმნებოდა აუარებელი მოდერნისტული და ავანგარდისტული რომანები და ცხადია, კრიტიკის „აკრძალვები“ მათ ვერაფერს აკლებდა.

დევიდ ლოურენს კრიტიკა ნამდვილად არ სწყალობდა. მიუხედავად ამისა, მან ხელი შეუწყო მოდერნისტული რომანის განვითარებას. სრულიად განსხვავებული თემები და განწყობა შემოიტანა ლიტერატურაში და კიდევ ერთხელ დააფიქრა ომის შემდგომი ინგლისის ვიქტორიანული საზოგადოება. დევიდ ლოურენსი მოწყვეტილი არ ყოფილა იმ პროცესებს, რომლებსაც ბრიტანული და ზოგადად, ევროპისა და ამერიკის ლიტერატურა აშუქებდა. მწერალი მუდამ ახალი ფორმების ძიებაში იყო.

ექსპლიციტური მესხიერების მქონე მკითხველთ კარგად ახსოვთ თუ როგორ დაისაჯნენ თამამი და გამომწვევი სცენებისათვის: ჰ. მილერი, ვ. ნაბაკოვი, ფ. როთი, პ. კოელიო და სხვა ავანგარდისტი მწერლები. „მადამ ბოვარის“ ავტორს თავს დაატყდა მთელი საფრანგეთის რისხვა. გუსტავ ფლობერს საზოგადოებრივი მორალის შეურაცხყოფისათვის სასამართლოში უჩივლეს. ქართულ რეალობაში „ჯაყოს ხიზნების“ გამოქვეყნებას მწვავე რეაქცია მოჰყვა. მ. ჯავახიშვილს დიდი უსიამოვნება შეხვდა! მწერალს ნატურალისტური ეპიზოდებისათვის მკითხველმაც და კრიტიკამაც მკაცრი ვერდიქტი გამოიტანა. შორეულ საუკუნეებშიც იგივე მდგომარეობა იყო. არ ყოფილა ადვილი „დეკამერონის“, „მანონ ლესკოს“ და სხვა ამგვარი წიგნების ბედი. ფრანგი თეორეტიკოსი და კრიტიკოსო როლან ბარტი უხეშ ლიტერატურულ „ჩარევებს“ ასეთ შეფასებას აძლევს: „სინამდვილეში, კულტურის ნებისმიერი შეზღუდვა ტერორისტული მიდგომაა“ (1, 38).

გასულ საუკუნეში ნიკო ყიასაშვილი იყო პრველი, რომელმაც ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა დევიდ ლოურენსის შემოქმედებას. ნიკო ყიასაშვილს სურდა ქართველ მკითხველს მშობლიურ ენაზე გაეცნო დევიდ ლოურენსის რომანები (უნდა ითარგმნოს

To sum up we can definitely say that the purpose of learning a word is to put it in an actual use. Collocation is one of the most important aspects of knowing a word and in order to deepen the understanding of a word, students must know collocations. The very paper is devoted to the elaboration on the concept of collocation, the importance of collocation and necessity of learning

collocations. In our paper we focused on the very issue that learning vocabulary through collocations is an effective strategy which positively contributes to the development of vocabulary learning and retention of vocabulary. Teaching vocabulary through collocations can be an effective factor in helping students remember and use the new words easily. We believe that increased knowledge of collocations aids students in accurate and naturalistic language use. Learning collocations will offer the learners alternative ways of saying something, which may be more colorful or more precise. As we have stated earlier, collocations do play a vital role in many aspects of language acquisition, comprehension and use. They are really a quite important aspect in vocabulary acquisition.

Literature:

1. Wallace M. J., Teaching Vocabulary. London: Heinemann Educational Books, 1982.
2. Ma Q., Second Language Vocabulary Acquisition. New York, Bern, Berlin, Brussels, Frankfurt am Main, Oxford, Wien: Peter Lang Publishing Group, 2009.
3. Wilkins D. A., Linguistics in Language Teaching. Cambridge: MFT Press, 1972.
4. Milton J., Measuring second language vocabulary acquisition. Bristol, England: Multilingual Matters, 2009.
5. Conklin K. & Schmitt N., Formulaic sequences: Are they processed more quickly than nonformulaic language by native and nonnative speakers? Applied Linguistics, 2007.
6. Nattinger J., Some current trends in vocabulary teaching, in R. Carter & M. McCarthy (Eds.), Vocabulary and Language Teaching, London & New York: Longman, 1988.
7. Wray A., Formulaic language and the lexicon. Cambridge: Cambridge University Press, 2002.

მაია აგაია
ლექსიკის სწავლებაზე კოლოკაციების მეშვეობით
რეზიუმე

ლექსიკის სწავლება კოლოკაციების მეშვეობით არის საკმაოდ ეფექტური საშუალება. კოლოკაციები მნიშვნელოვან და გადამწყვეტ როლს ასრულებენ ენის ლექსიკის სწავლებაში, რადგან ისინი ამდიდრებენ და უფრო ლაკონურს ხდიან ენას. მდიდარი ლექსიკური მარაგი კომუნიკაციას უფრო ეფექტურს ხდის. კოლოკაციების მეშვეობით ენის შემსწავლელი ადვილად დაიმასხოვრებენ და მეტყველებაში აქტიურად გამოიყენებენ ახალ სიტყვებს. ახალი სიტყვის სწავლის დროს ენის შემსწავლელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს არა მარტო სიტყვის მნიშვნელობაზე, არამედ იმ სიტყვებზეც, რომლებთანაც ის ახალი სიტყვა ასოცირდება და გამოიყენება.

Майя Агаия
Об обучении лексики с помощью коллокаций
Резюме

Обучение лексики с помощью коллокаций является наиболее эффективным путем. Коллокации играют важную и решающую роль в изучении лексики языка, потому что они обогащают и делают языка более лаконичным. Богатые лексические ресурсы делают общение более эффективным. С помощью коллокаций, изучающие язык могут легко запоминать и активно использовать новые слова в речи. При изучении новых слов изучающие язык должны сосредоточиться на изучении не только значения слова, но также и о словах, с которыми новое слово ассоциируется и используется.

იავლინა გუჯეჯიანი
(საქართველო)

მასდარი სვანურში

მასდარი სვანური ზმნისთვის დამახასიათებელი მკვიდრი ფორმაა. მასდარს აწარმოებს როგორც თავსართი, ისე ბოლოსართი, უმრავლეს შემთხვევაში თავსართიც და ბოლოსართიც ერთდროულად. მაწარმოებელ აფიქსთა გამოყოფა ნაზმნარ სახელებში უშუალოდ დაკავშირებულია ფუძის გამოყოფასთან. ფუძის გამოყოფისას სვანურში (ისე როგორც სხვა ქართველურ ენებში) ვაწყდებით მთელ რიგ სირთულეებს, სირთულე გამოწვეულია, უპირველეს ყოვლისა, თემის ნიშანთა სიჭრელით. სირთულეს სვანურში, აფიქსების თვალსაზრისით, კილოთა სიმრავლაც წარმოადგენს.

სვანური მასდარი, ჩვეულებრივ, აწმყოს ფუძეს ეყრდნობა. ფუძეში წარმოდგენილია მეტ-ნაკლები ცვლილებებით თემის ნიშნები, რომლებიც წინ უძღვის მასდარის მაწარმოებელს.

სვანურში მასდარს აწარმოებს ძირითადად **ლი-** პრეფიქსი და **-ე** ან **-ი** სუფიქსი, ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილია უსუფიქსოდაც. განყენებულ სახელებთან **ლი-** პრეფიქსის გვერდით **მა-** პრეფიქსიც მოგვეპოვება ანუ განყენებული სახელების საწარმოებლად გვაქვს როგორც **ლი-** პრეფიქსი, ისე **მა-** პრეფიქსიც.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ **ლი-** და **მა-** პრეფიქსი ისეთი განყენებული სახელების მასდარებს აწარმოებენ, რომლებიც აბსტრაქტული სახელებისაგან არის ნაწარმოები, ხოლო კონკრეტულ სახელებისგან ნაწარმოებ განყენებული სახელების მასდარს, მხოლოდ **ლი-** პრეფიქსი მოეპოვება.

მასდარის განხილვისას კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ესა თუ ის გრამატიკული მოვლენა სხვადასხვა დოზით და ფორმით არის დამახასიათებელი ქართველური ენების თითოეული წევრისთვის, მაგრამ გადაკვეთა, ანუ მათი ძირი ენის არსებობა უდავოა. სახელზმნა, რომელიც სამივე ენაში სრული ფორმით არის წარმოდგენილი, სვანურში ისეთ თავისებურებებს ავლენს, რომლებიც უცხოა სხვა ქართველური ენებისათვის, მაგრამ ზოგადი საერთო მახასიათებლები მაინც მოიძებნება სამსავე ენაში. საწყისი ანუ მასდარი ქართულ ენაში -ა სუფიქსის წარმოებით არის ნიშანდობლივი, ხოლო სვანურში -ა სუფიქსიანი მასდარის მაგალითები მცირე რაოდენობით მოგვეპოვება.

როგორც ვიცით, ზმნები სვანურში, ისევე, როგორც საზოგადოდ ყველა ენაში, ორგანოა: პირველადი ანუ ძირეული და მეორადი ანუ ნასახელარი. ნასახელარი ზმნების საწარმოებლად ყველაზე ხშირად არსებითი და ზედსართავი სახელები გამოიყენება, სხვა მეტყველების ნაწილებისგან კი იშვიათად იწარმოება. სახელის გაზმნავება ხდება პრეფიქს-სუფიქსების საშუალებით და სუფიქსებად ძირითადად, როგორც ზემოთ ვთქვით, **-ი** და **-ე** გხვდება. ამ სუფიქსების წინ თავს იჩენს აგრეთვე სხვა აფიქსები.

სვანურში, ისე როგორც სხვა ქართველურ ენებში, როგორც უკვე ვთქვით, მრავლადაა სხვა მეტყველების ნაწილებისაგან ნაწარმოები მასდარის ფორმები. როცა სახელს ვაზმნავთ, თავში დაერთვის პირისა და ქცევის ნიშნები, ზოგიერთი მწკრივის ფორმა მოითხოვს ზმნისწინის დართვას, ბოლოში კი ემატება სხვადასხვა ზმნური სუ-

ფიქსი, რომლებიც დამახასიათებელია აგრეთვე პირველადი ზმნებისთვისაც. სვანურისთვის უცხოა სპეციალური ფორმანტის დამატება ნასახელარ ზმნებზე, ისე როგორც ეს ნიშანდობლივია ძველი ქართულისთვის ნარი ფორმანტის დამატებით და თანამედროვე ქართულისთვის დონი ფორმანტის დამატებით.

მასდარს (ზმნის საწყისს) სვანურში ვაწარმოებთ აწმყოს ფუძისაგან პირისა და ქცევის ნიშანთა ჩამოცილებით და მათ ნაცვლად უმეტეს შემთხვევაში **ლი-** პრეფიქსის დართვით. ხოლო ის ზმნური სუფიქსები, რომელიც აწმყოში ყველაზე ხშირად გვაქვს, კერძოდ, **-ი** და **-ჟ**, მასდარში შენარჩუნდება. ესე იგი, სუფიქსის მხრივ იგივე სურათი გვაქვს, რაც აწმყოშია.

სვანურში თითქმის არ გვაქვს უპრეფიქსო მასდარი. ქართულისთვის დამახასიათებელი სუფიქსური მასდარი სვანურში მხოლოდ ერთი-ორ ზმნაში მოგვეპოვება. ანუ ის უპრეფიქსო მასდარები, რომლებიც მწირი რაოდენობითაა სვანურში, მასდარს ქართულისთვის დამახასიათებელი **-ა** სუფიქსით აწარმოებენ, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ მასდარებს პარალელურად პრეფიქსიანი ფორმებიც მოეპოვებათ და ორივე ფორმა, პრეფიქსიანიც და უპრეფიქსოც, ერთნაირად ითარგმნება.

ხშირად ერთი და იგივე მასდარი სხვადასხვა კილოში სხვადასხვაგვარად არის გაფორმებული. ეს სხვადასხვაგვარობა არ ეხება აფიქსებს, აფიქსები კილოს მიხედვით არ იცვლება, ცვლილება გამოიხატება ძირითადად ბგერათა გადასმაში და უფრო მეტად უმლაუტების გამოყენებასა და ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლის ჩვენებაში.

სათავისო ქცევის **ი** ნიშნის გავლენით პრეფერბის ხმოვანი **ა** იქცევა **ჶ**-დ სვანურის სამ კილოში: ბალსხემოურსა, ბალსქვემოურსა და ლენტესურში. ლაშხურ კლოს **ჶ** არ მოეპოვება და მის მაგივრად **ე**-ს ან **ჲ**-ს ხმარობს. ეს მოვლენა მასდარის ფორმებშიც გარკვევით ჩანს.

იმ სიტყვათა ერთი ნაწილი, საიდანაც მასდარს ვაწარმოებთ, ქართველურ ენათა მემკვიდრეობით არის შესული სვანურში, ან შესაძლებელია ერთი ძირიდან გაიშალა ქართველურ ენებში. ხშირად ასეთ ზმნებს სვანურში სხვა შემცველი სიტყვა არ მოეპოვებათ.

საინტერესოა განხილულ მაგალითებში ის ფაქტი, რომ როცა მასდარის წარმოება სახელებისგან წარმოებს, საკმარისი არ არის მხოლოდ იმ აფიქსების დართვა, რითაც ჩვეულებრივ მასდარი იწარმოება სვანურში. ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება სახადასხვა ფორმანტების გამოყენება. ეს ფორმანტები წარმოადგენს ნარნარი თანხმოვნებისა და ხმოვნების კომბინაციას.

საინტერესოა ზმნის მასდარული ფორმების განხილვა მოქმედებითი და ვნებითი გვარის თვალსაზრისით. სვანურში ფუძედრეკადი ზმნებისათვის დამახასიათებელია მოქმედებითი და ვნებითი გვარის დაპირისპირება, დაფუძნებული ფუძისეულ **ი** და **ჟ** ხმოვანთა მონაცვლეობაზე: მოქმედებითი გვარის ზმნებს ფუძეში **ი** აქვთ, ვნებითი გვარისას - **ჟ**. ეს დაპირისპირება თავს იჩენს საწყისშიც, ოღონდ აქ მოქმედებითი გვარის ფუძისეული **ი** ხმოვანი რედუცირებულია, ვნებითის **ჟ** კი დაცულია. მაგალითებზე დაკვირვებამ თვალნათლივ გვიჩვენა, რომ ქართულში ამგვარი გარჩევა შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმე ზმნის საწყისში, სვანურ ფუძედრეკად ზმნებში კი საზოგადოდ არის გატარებული, ამიტომ სვანურის როგორც მოქმედებითი, ისე ვნებითი გვარის საწყ-

ყისი ქართულად მეტწილად ერთნაირად ითარგმნება. ესე იგი, სვანური ზმნის მასდარის წარმოებისას საინტერესო და მნიშვნელოვან სურათს გვიხატავს აქტივ-პასივის ფორმები. ამ ფორმებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ის ფორმები, რომლებიც სვანურში მნიშვნელობითა და ბგერათა განლაგებით განსხვავებულია, ქართულ თარგმანში განსხვავებას არ გვაძლევს.

ურთიერთობა მოქმედებითსა და ვნებით გვარს შორის არ არის მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთშეპირისპირებით შემოფარგლული. სვანურში მოქმედებითი და ვნებითი გვარის ურთიერთობა უფრო მეტად საინტერესო და განსხვავებულია.

ის ფაქტი, რომ ურთიერთობა მოქმედებით გვარსა და ვნებითს შორის ანუ აქტივსა და პასივს შორის ისეთია, რომ ერთი წარმოადგენს მეორის მობრუნებულ სახეს, თუ გამოსავლად მოქმედებით გვარს მივიღებთ, ვნებითი იქნება მისი მობრუნებული სახე, ხოლო თუ გამოსავლად ვნებითს მივიჩნევთ მაშინ პირიქით, მოქმედებითი აღმოჩნდება ვნებითის მობრუნებული სახე, გვეხმარება აქტივ პასივის ფორმების გარკვევაში. რაც პირდაპირს მოსდის სუბიექტური პირისაგან აქტივში, იმას სუბიექტური პირი თვითონ განიცდის პასივში. ეს ყველაფერი სვანურის აქტივ-პასივის მასდარულ ფორმებში შემდეგნაირად არის გადმოცემული: **ლი-ბჟკუ-ე** და **ლი-ბჟკუ** თარგმანში ორივე გვაძლევს გასკდომას, მაგრამ სინამდვილეში მოქმედებითის გასკდომა არის ისეთი ქმედება, რომელიც ვიღაცის ზემოქმედებით ხდება, ხოლო ვნებითის გასკდომა კი, არის ქმედება, რომელიც თავისთავად ხდება ზემოქმედების გარეშე. მაგალითად: **მი მაკუ ვისგუ ილიბჟკუ ე** - მე მინდა ვაშლის გახლეჩვა (გასკდომა) და **ვისგუ ს ნამჟიშ ლიბჟკუ ლუბნე ხარ** - ვაშლს სიმწიფისაგან გასკდომა დაწყებული აქვს. ესე იგი, სვანურში „გასკდომა“, არამარტო ეს, მოქმედებითი გვარისთვის გადმოიცემა **ლი-** პრეფიქსით და **-ე** სუფიქსით, ხოლო ვნებითი გვარისთვის **ლი-** პრეფიქსით და უსუფიქსოდ. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მოქმედებითის **-ე** სუფიქსი, ვნებითში მთლიანად კი არ ამოვარდება, არამედ სუფიქსის მნიშვნელობას კარგავს და ფუძეში გადაინაცვლებს ერთი ან ორი ბგერით უკან.

და ბოლოს, ქართველურ ენათა ზმნას, გვარის კატეგორიის დადგენისათვის, კერძოდ, აქტივ-პასივის ურთიერთობისათვის, ძირითადში სჭირდება აქტიურ და პასიურ პირთა გამორკვევა. რაც პირდაპირს მოსდის სუბიექტური პირისაგან აქტივში, იმას სუბიექტური პირი თვითონვე განიცდის პასივში. მაგრამ კვლევის შედეგად მეტად მნიშვნელოვანი რამ გახდა თვალსაჩინო, აქ მასდარშივე ჩანს რომელია მოქმედებითის ფორმა და რომელი პასივის. ანუ ეს კიდევ ერთი ხელშემწყობი ფაქტია იმისთვის, რომ ზმნის საწყისშივე გავერკვეთ ზმნის გარდამავლობაში.

მოქმედების მრავალგზისობის გამომხატველი ზმნების განხილვისას, მეტად საინტერესო აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ზმნებს, რომელთაც მოქმედების მრავალგზისობის საწარმოებლად -აღ, -ააღ სუფიქსები გააჩნიათ, მასდარში მრავალგზისობის ფორმის გვერდით, სხვა ფორმაც მოეპოვებათ, მაგრამ არა ყოველთვის.

მაგალითებიდან ჩანს, რომ მრავალგზისობის მაჩვენებელ ნასახელარ ზმნებს გააჩნიათ სხვა ფორმაც, რომელიც გამოხატავს მოქმედების მრავალგზისობის საპირისპიროს, მოგმედების ერთგზისობას. ესე იგი, ამ მაგალითებში -აღ, -ააღ სუფიქსები ნამდვილად მოქმედების მრავალგზისობის გამომხატველი უნდა იყოს. აუცილებელია აქ

აღვნიშნოთ ის, რომ ქართულ თარგმანში ორივე ფორმას ერთი მნიშვნელობა აქვს, სვანურში კი კარგად ჩანს მათ შორის განსხვავება, სწორედ ამაშია ალბათ სვანურის უნიკალურობა.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელის გაზმნავენა სვანურში, ისე როგორც სხვა ქართველურ ენებში, სხვადასხვა აფიქსებით ხდება. ზმნას მოქმედებას მრავალგზისობის ფორმა რომ გააჩნია და მის საწარმოებლად სვანურში გამოიყენება -ვლ, -ვლ სუფიქსები (არამარტო ეს სუფიქსები), სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ სუფიქსებით ნაწარმოები მასდარული ფორმები ყოველთვის ქმედების მრავალგზისობას გამოხატავს, ამის მტკიცებაში ხელს გვიწყოფს ის მაგალითები, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ. აქ საინტერესოა ის, რომ შინარსობრივად მათ შორის არის განსხვავება და ამ განსხვავებას ქართული თარგმანი ვერ ავლენს. ქართულში ორივე ფორმა ერთი მნიშვნელობით გადმოიცემა.

სტატიკური ზმნების განხილვისას აღმოჩნდა, რომ ის სტატიკური ვნებითები, რომლებიც აწმყოში ა სუფიქსით არიან წარმოდგენილი, მასდარში მიიღებენ ლი- თავსართს და -ე ბოლოსართს. როგორც უკვე ვთქვით, ზოგადად მასდარი სვანურში იწარმოება ლი- პრეფიქსით და -ი ან -ე სუფიქსით, ზოგ შემთხვევაში კი, უსუფიქსოდ.

მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ სტატიკური ვნებითები, რომლებიც სახედაო სიტუაციას აღნიშნავენ, მასდარში იღებენ -ე დაბოლოებას. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ამ ზმნის მასდარის თარგმანი გვაქვს მითითებული, ზოგიერთი მასდარის თარგმანი ზუსტად ვერ ასახავს მნიშვნელობის ისეთი გაგებას, როგორც ეს სვანურში მოეპოვება. ამ სტატიკური ზმნების მასდარის მნიშვნელობა სვანურში რაღაცა დოზით მაინც განსხვავდება ქართული თარგმანისგან. გარდა ამისა, ამ მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ აწმყოში უსუფიქსოდ წარმოდგენილი ზმნები, მასდარშიც უსუფიქსოდ გხვდება. ხოლო, აწმყოში -ა სუფიქსიანები, მასდარში -ე სუფიქსით არიან წარმოდგენილი.

ეს მასდარები ბრუნებისას თავისებურ ხასიათს ავლენენ.

ზემოთ თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ის სტატიკური ვნებითები, რომელთა მასდარი -ე სუფიქსით არის წარმოდგენილი, ბრუნებისას ნათესაობით ბრუნვაში -ეშ ბრუნვის ნიშანს დაირთავენ, ხოლო ის სტატიკური ვნებითები, რომელთა მასდარიცა და აწმყოც უსუფიქსოდ არის წარმოდგენილი, ბრუნებისას ნათესაობითში იღებენ -იშ ბრუნვის ნიშანს. სხვა ბრუნვებში კი სუფიქსიანიც და უსუფიქსოდ თითქმის ერთნაირად იბრუნვის.

სვანურ ენაში მასდარის არა მარტო წარმოება იქცევეს ყურადღებას, არამედ სემანტიკური თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა ამ მონაცემთა შეპირისპირება.

სვანურის მასდარი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ საინტერესო და განსაკუთრებული ღირებულებების მქონეა. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ლი- და მა- პრეფიქსიანი ვარიანტები ერთი და იმავე ფუძისაგან აწარმოებენ განყენებულ ნაზმნარ სახელებს.

სვანურში მოიპოვება წყება განყენებულ სახელთა, რომლებიც შეიძლება ზემოხსენებულ მა- პრეფიქსიან მასდარებს გვერდში ამოუყვენოთ. ანუ მოიპოვება წყება სახელებისა, რომელთაც მა- პრეფიქსის პარალელურად ლა- პრეფიქსიც გააჩნიათ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ აბსტრაქტული სახელებისგან ნაწარმოებ მასდარებს ხშირ შემთხვევაში **მა-** პრეფიქსიანი ფორმაც გააჩნიათ და **ლა-** პრეფიქსიანიც. ხოლო კონკრეტულ სახელთაგან ნაწარმოებ განყენებული ზმნების მასდარის ფორმებს ძირითადადში **ლი-** პრეფიქსი დაერთვით.

ასეთი სახელები არც ისე მცირეა.

1). როცა **მა-** პრეფიქსით აბსტრაქტულ სახელებისგან ვაწარმოებთ განყენებულ სახელებს მათ პარალელურად მოეპოვებათ **ლა-** პრეფიქსიანი ფორმაც და უმეტეს შემთხვევაში არ გააჩნიათ სუფიქსი:

მა-მჭირ - ლი-მჭირ - დაზარება.

2). ზოგჯერ **მა-** პრეფიქსთან ერთად განყენებულ სახელს მოეპოვება სუფიქსიც, თუ **მა-** პრეფიქსიანს -ა სუფიქსი აქვს, **ლი-** პრეფიქსიან პარალელურ ფორმას -ე სიფიქსი ექნება:

მა-რკუნა - ლირკუნე - კანკალი.

3). ზოგ **მა-** პრეფიქსიანს აქვს -ა სუფიქსი, მაგრამ მის პარალელურ **ლა-** პრეფიქსიანს არ მოეპოვება სუფიქსი:

მა-სოყალნა - ლი-სოყალ - გიჟობა, სიგიჟე.

მა-კლა - ლი-მკლ - ნაკლებობა.

4). კონკრეტული სახელებისაგან ნაწარმოებ განყენებულ სახელებს, ძირითადადში, მხოლოდ **ლა-** პრეფიქსიანი ფორმები მოეპოვებათ:

ამსუ აღდ - ლი-მსუაღდ - ადამიანი - ადამიანობა.

5). მაგალითებმა გვიჩვენა, რომ **მა-** და **ლა-** პრეფიქსის გარდა განყენებულ სახელებს **ნა-** პრეფიქსიც აწარმოებს:

ბუ გი - იბგალ - ნა-ბგი - მაგარი - მაგრობს - სიმაგრე, ძალა.

განყენებული სახელების განხილვამ ნათლად დაგვიხატა ის უნიკალური განსხვავებულობა მათი წარმოებისა, **მა-**, **ლა-** პრეფიქსების სახით, რაც არ არის დამახასიათებელი სხვა ქართველური ენებისთვის.

განხილული მიმიკის, ჟესტიკულაციისა და მიმოსვრა-მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები და მასდარული ფორმები იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ სვანური ენა ამ მხრივ მეტად მრავალფეროვანი და საინტერესოა.

ამრიგად, მიმიკების გამოსატყობით სვანური, ერთი მხრივ, ქართველური ენების ვითარებასთან ახლოს დგას, მაგრამ მეორე მხრივ, საგრძნობლად განსხვავდება მისგან. სვანური არ საჭიროებს კონკრეტიზაციას იმისთვის, თუ რა სხეულის ნაწილი მოიაზრება კონკრეტულ ქმედებაში, ქართულში კი გვჭირდება, რომ დავაკონკრეტოთ, მაგალითად: **ლიფხივანელ** - ითქმის გრძელწამწამიანი თვალების ხამხამზე, **ლიმიჭუნელ** - ითქმის პირმოკუმულ გაბუტულ ყურებაზე, **ლიციცანელ** - თვალების იქით-აქით ცეცეებაზე, **ლიტფუ რალ** - ღოყების ხოკვაზე და ა.შ.

განხილულ მასალაში ადვილი შესამჩნევია, რომ მაგალითებში არ არის დაკონკრეტებული კილოები, ამის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ ინფორმატორები არიან სხვადასხვა კილოზე მოსაუბრე და ვადამოწმების თანახმად კილოებში ფორმანტები, ძირითადად, ერთი და იგივეა აღმოჩნდა (ბალსქვემოურში ხმოვნები გრძელი არ არის, ლაშხურში არ მოგვეპოვება -ყლ სუფიქსი ანუ უძლაუტი, ლენტეხურში კი ამ სუფიქსს

არ ვხვდებით). ზემოთ ჩამოთვლილ ფორმათა შორის ერთი-ორი ისეთიც გვხვდება, რომელიც ქართულის ანალოგიას წარმოადგენს, ანუ რომელსაც სუფთა წყლის სვანური ფორმა არ მოეპოვება და, შეიძლება ითქვას, ქართველური ენიდან არის შეთვისებული.

ლიტერატურა:

1. თოფურია ვ., ქაღანი მ., სვანური ლექსიკონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბ., 2000.
2. ჭუმბურიძე ზ., ნიჟარაძე ლ., ქურდაძე რ. (ზ. ჭუმბურიძის რედაქციით), სვანური ენა, თბ., 2007.
3. ანტონ I, ქართული ღრამატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, ტფ., 1885.
4. თოფურია ვ., სვანური ენის სახელმძღვანელო, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული ენის ინსტიტუტის შრომები, N1, თბ., 1974.
5. ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
6. შანიძე ა., თხზულებანი, ტომი II, თბ., 1981.
7. ცხადაძე ბ., მასდარის წარმოება ძველ ქართულში, თბ., 1984.
8. ჭუმბურიძე ზ., მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986.
9. აბესაძე ნ., ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში, თსუ შრომები, ტ. 93, თბ., 1960.
10. აბესაძე ნ., შერწყმული წინადადებები სვანურში, შრომები, ენათმეცნიერება, ტ. 174, თბ., 1976.
11. ნაჭყებია მ., მსაზღვრელ საზღრულის ურთიერთობა ქართველურ ენებში, თბ., 2005.
12. ონიანი ა., სვანური ენა, თბ., 1998.
13. ელენტი ს., სვანური ენის ფონეტიკის ძირითადისაკითხები, თბ., 1949.

Iavlina Gujejiani

Masdari (infinitve) in the Svan language

Summary

In the Svan language Masdari (infinitve) is formed by the prefix – “ლი/li“, but as the suffixes we often meet “ი-I” and “ე-e”. These are the same suffixes that the verb has in the Present Tense. In some cases “Masdari” as the verb in the Present Tense is presented without a suffix. The derivation of “Masdari” is similarly possible as from initial verbs also from the derived ones. Besides the above mentioned characteristics, more interesting is the fact that in Svanetian language the verb is characterized by multifunctionality. The number of these verbs is not few and the verbs which form action multifunctionality by adding affixes, but do not have other forms, may not be considered as the indication of multifunctionality.

Иавлина Гуджеджиани
Масдари (инфинитив) в Сванском языке
Резюме

Масдари (инфинитив) является характерной формой для сванского глагола. Инфинитив образуется как с помощью префикса так и суффикса, в большинстве случаев одновременно и с помощью префикса и с помощью суффикса. Выделение производного аффикса из отглагольных имен связано с выделением основы. При выделении основы в сванском языке (также как и в других картвельских языках) сталкиваемся с рядом сложностей, вызванными, в первую очередь, пестротой фонетических вариантов в основе и причастии. Сложность сванского языка с точки зрения аффиксов обуславливается также многообразием произношения.

Кристина Айвазян-Татевосян
(Грузия)

БИ-ПОЛИЛИНГВЫ КАК УЧАСТНИКИ МЕЖКУЛЬТУРНОЙ КОММУНИКАЦИИ И ИЗМЕНЕНИЕ ФУНКЦИОНИРОВАНИЯ РЯ В БАТУМИ

Билингвизм, а часто и полилингвизм, проникая в различные сферы деятельности человека, стал неотъемлемой частью современной реальности, а изучение этого социолингвистического явления требует интердисциплинарного подхода ученых, представителей таких смежных наук, как лингвистика, социолингвистика, лингвокультурология, теория коммуникации, теория перевода и пр.

В разные времена ученые по-разному относились к сущности билингвизма, а также по-разному определяли данное понятие. Поэтому в лингвистике до сих пор нет однозначного толкования этого термина. Билингвизм в определении крупнейшего теоретика языковых контактов У. Вайнрайха представляет собой «практику попеременного пользования двумя языками. Лица, осуществляющие эту практику, называются двуязычными или билингвами» (1, 22).

Современный период характеризуется переходом от билингвизма к полилингвизму. По данным статистики подавляющее число людей на планете пользуются двумя и более языками. Казалось бы, данное обстоятельство должно обусловить облегчение межкультурных коммуникаций, но нет. Владение языковым кодом не обязательно подразумевает даже минимальную осведомленность об этнической (культурной) составляющей. Отсюда напрашивается вопрос, всегда ли полилингвизм подразумевает поликультуризм. Тем не менее, в современном мире без знаний языков, в большей или меньшей степени, не обойтись. Ведь «национальные языки и культуры стали тем утесом, о которые сейчас разбиваются все великие достижения» (5).

В нашей реальности ребенок может стать билингвом в нескольких случаях:

- Родители разговаривают на разных языках (например, папа - грузин, мама - русская).
- Родители говорят на одном и том же языке, но живут в обществе, где люди общаются на другом (например, русскоязычные, армяноязычные, тюркоязычные и т.д. семьи в Грузии).
- Ребенок изучает в школе как минимум два иностранных языка, из них первый язык (в настоящее время это английский) он изучает в течение 8-10 лет.

В первом случае, если родители имеют желание со своими детьми общаться каждый на своем родном языке, ребенок становится билингвом, зачастую, общаясь по схеме один родитель – один язык. Во втором случае, если родители также имеют желание сохранить общение в семье на родном языке, независимо от того, что за пределами дома ребенку нужно общаться на государственном языке, то ребенок становится билингвом. В третьем случае ребенок, при наличии соответствующей языковой ситуации (общение с англоязычными сверстниками в лагерях, в поездках, в летних школах и пр.) также становится билингвом.

Первые два случая имеют схожесть в виде билингвизма, а именно, ребенок становится т.н. «домашним билингвом» (6). Именно этот вид билингвизма представляет для нас особый интерес и будет рассмотрен ниже.

Есть еще ряд случаев, осознанно не введенных в перечень, например, когда родители нанимают иноязычную няню, дают детей в садики, школы, где обучение полностью ведется на иностранном языке, чтобы дети с детства окунаясь в иноязычную среду не испытывали в будущем трудностей с изучением конкретного иностранного языка. Но на наш взгляд, в большинстве случаев с билингвизмом этих детей не все однозначно. Одного детства не достаточно для изучения и, главное, сохранения знаний, а в иноязычные школы не все идут, и их популярность колеблется от времени к времени. В основном, если говорить о нашей стране, это касается английского языка и англоязычных учебных заведений. Насколько сознательное изучение языка перерастает во владение языком – это с ложный вопрос, который мы не будем затрагивать в нашей статье.

Что касается первых двух случаев, они вызывают наибольший интерес в условиях многонациональной Грузии. Как известно, в Грузии мирно сосуществуют несколько национальных меньшинств, частично они рассеяны в городах, селах, деревнях, в некоторых случаях они сконцентрированы в разных регионах Грузии. По данным Центра национальных меньшинств Европы они составляют примерно шестую часть населения страны, но уровень их социальной включенности в постсоветскую Грузию достаточно низкий (7).

Виной этому в большинстве случаев незнание государственного грузинского языка. Поэтому в этом направлении государством ведется работа, что выражается в ряде политически-социальных программ, в том числе образовательных. Так, например, уже несколько лет в национальных школах и секторах при Публичных школах Грузии учебники по ряду предметов выдаются с 5 класса двуязычные. То есть одна часть, например в русских секторах, по-русски, а другая по-грузински. Также периодически задействуются программы для интеграции иноязычного населения в общественно-политическую жизнь страны.

Что касается армянской общины нашего родного города – Батуми, она в основном представлена армяно- и русскоязычным населением. Если государство ведет плановую работу в этом направлении, то армянская община всерьез задумалась об интеграции относительно недавно. Осознавая, что без знания государственного языка человек не может быть полноценным гражданином и вносить вклад в развитие страны, пользоваться общедоступными благами и, наконец, быть полностью интегрированным в общество, армянская община решила сделать процесс изучения грузинского языка более интенсивным и с этой целью, собрав достаточное количество подписей, община обратилась в министерство образования Грузии с просьбой открыть при государственной школе классы, где армяно- и русскоязычные дети будут обучаться на грузинском языке, а также дополнительно будут изучать армянский язык по государственной программе. На что был получен положительный ответ. И вот уже второй год одна из Публичных школ города Батуми принимает первоклассников, этнических армян, из преимущественно русскоязычных семей.

Что это дает в языковом плане? Уже сейчас можно говорить о первых результатах. Выпускники-первоклассники, для которых в начале учебного года единственным языком, охватывающим все сферы их жизни, был русский язык, овладели грузинским письмом/чтением, элементарными навыками говорения. При этом они не растеряли своих мыслеречевых навыков на русском языке, ведь в семье они также продолжают общаться на русском. А через 11-12 лет мы увидим поколение батумчан уже даже не билингвов, а полилингвов, которые будут владеть государственным грузинским и родным армянским языками, а также языком общения в семье – русским языком и, конечно же, английским языком.

Увидев актуальность и востребованность в изучении государственного языка коренным населением, а также эмигрантами из Украины, Казахстана и других стран, армянская община в лице батумского Культурно-просветительского центра имени А.Манташева запустила еще один беспрецедентный проект – Летнюю интеграционную школу грузинского языка и культуры. Проект был анонсирован на официальной странице в Фейсбуке и горячо принят публикой. Летняя интеграционная школа начала свою работу на безвозмездной основе 1 июля 2019 года. Учащиеся были отобраны по заявкам на Фейсбуке в ответ на пост-анонс из преимущественно приезжих украинцев и белорусов, недавно эмигрировавших в Батуми, а также детей из армяно- и русскоязычных семей коренных батумчан.

На постоянной основе в Летней интеграционной школе грузинского языка и культуры введена рубрика «гость недели». «Гостями недели» становятся известные в городе, стране люди, почетные граждане Грузии. Все они как один во время бесед с детьми и родителями отмечают актуальность проекта и важность владения государственным языком для здоровой интеграции в общество, дружбе и отношениях народов, культуре и культурных ценностях, толерантности. Все эти ценности всегда поддерживались в поликультурной Грузии, которая стала родной для многих национальностей.

Все вышеописанные проекты помогают здоровой двухсторонней интеграции. То есть, если иноязычные дети интегрируются в грузинское общество, преимущественно в общество своих сверстников, то и дети-грузины учатся полилингвальному общению и здоровому восприятию культуры своих соседей, а также основным европейским ценностям уважения человеческого достоинства, свободы, демократии, равенства закона и уважения прав человека, включая права лиц, принадлежащих к национальным меньшинствам (4).

Возвращаясь к языку, хочется отметить, что одним из важнейших результатов владения двумя или несколькими языками является восприятие иной культуры и умение адекватно транслировать свою. Билингвизм это не просто запоминание слов на двух языках и даже не просто умение общаться на этих языках. Язык – это общение, а за языковой сложностью текстов всегда стоят особенности культуры данного народа. Если человек владеет более чем одним языком, он обогащает свой духовный мир, устанавливает крепкие эмоциональные отношения с людьми, говорящими на этом языке, ему открывается культурный мир другого народа.

Владение другим языком предоставляет человеку путь к иному социальному сознанию и контексту его развития. Таким образом, открывается созданная языком иная картина мира. Ведь, как говорил В. Гумбольдт и отмечалось в трудах многих ученых: «Различия между языками суть нечто большее, чем просто знаковые различия, что слова и формы слов образуют и определяют понятия и что различные языки по своей сути, по своему влиянию на познание и на чувства являются в действительности различными мировидениями» (2, 370-382).

В современных условиях всеобщей глобализации и интеграции (сегодня в Европейском Союзе двадцать три официальных языка) студенты и молодые специалисты все чаще оказываются в инокультурной среде, когда владение несколькими иностранными языками становится необходимым условием их конкурентоспособности (3). Языковая, а точнее, коммуникативная компетентность (помимо компетентности профессиональной) - одно из главных условий успешного трудоустройства и карьеры. Таким образом, языковая личность развивается по поликультурному и би/полилингвальному принципу, а система образования и государственная политика должны создавать все условия для этого, как это

происходит в многонациональной Грузии, в которой представители всех национальностей могут получить полноценное языковое образование, являющееся основой любой профессиональной деятельности.

Литერატურა:

1. Вайнрайх У., Языковые контакты: состояние и проблемы исследования. Киев, Вища школа, 1979.
2. Гумбольдт В., Язык и философия культуры. М., 1985. Русский перевод Гулыга О.А.
3. Европейский парламент на упрощенном языке: <https://goo-gl.su/xXEJ5x> [дата обращения 23.05.2017. 18:57].
4. Европейские ценности: <https://goo-gl.su/5yWUjx> [дата обращения 16.07.2019. 18:30].
5. Тер-Минасова С. Г., Видео-курс «Язык, культура и межкультурная коммуникация» на сайте openedu.ru, 2017,
6. Antonella Sorace and Bob Ladd “Raising bilingual Children”, 1325 18th St, NW, Suite 211 Washington, DC.
7. ტრიერი ტ., ეთნიკური უმცირესობები და არჩევნები. უმცირესობების საკითხთა ევროპული ცენტრი. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა. <https://goo-gl.su/Ox8YPywU> [дата обращения 16.07.2019. 15:30].

ქრისტინა აივაზიანი-ტატევოსიანი

ბი-პოლილინგვები, როგორც კულტურათა შორისი კომუნიკაციის მონაწილეები და რუსული ენის ფუნქციონირების ცვლილებები ბათუმში
რეზიუმე

სტატიაში განხილულია ბილინგვიზმის მოვლენა, ბილინგვიზმიდან პოლილინგვიზმისაკენ გადასვლის პროცესი, თანამედროვე საზოგადოების დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი და მათი მდგომარეობა ბათუმში. თანამედროვე სამყაროში ენების ცოდნა მეტ-ნაკლებად აუცილებელია. ახალი თაობის მშობლებსა, რომლებიც შეგნებულად ზრდიან შეილებს ბი-პოლილინგვებს, და სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებს ეს შესანიშნავად აქვთ გააზრებული. განსაკუთრებით საინტერესოა ბათუმელ სომეხთა საზოგადოების დამოკიდებულება ახალგაზრდა თაობის ენობრივი პოტენციალის შენარჩუნების პრობლემისა და მისი მოგვარებისადმი.

Christina Aivazyan-Tatevosyan

Bi-multilinguals as part of intercultural communication and modification of functionality of Russian language in Batumi

Summary

The article focuses on the emergence of bilingualism, the process of bilingualism, multilingualism, the attitudes of contemporary societies towards these phenomena in Batumi. Knowledge of foreign languages plays significant role in modern times. The new generation of parents who deliberately raise their children as bi- and multilinguals and government officials are well aware of it. The attitude of the Armenian community in Batumi to the problem of preserving and solving the language potential of the younger generation is of particular interest.

თენა თურმანიძე

(საქართველო)

ბარბარიზმებისა და ეზოთიზმების გამოყენების პრობლემა მდინარეში

ქართული ენა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ენაა. ნიშანდობლივია, რომ მსოფლიოში არსებულ 14 დამწერლობას შორის ერთ-ერთს ქართული ენა ფლობს. მისი სიძველიდან გამომდინარე, ქართულმა ენამ გაიარა განვითარების სხვადასხვა საფეხური, გაუძლო უამრავ ისტორიულ ქარტეხილს და დღემდე ღირსეულად უჭირავს თავისი კუთვნილი ადგილი მსოფლიოში. ამ ენაზე შექმნილა უამრავი მსოფლიო მნიშვნელობის კლასიკური ნაწარმოები და უპირველესია მათ შორის მე-12 საუკუნის გენიალური „ვეფხისტყაოსანი“. პოემა უმდიდრესი ქართული ლექსიკითაა გაჯერებული და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სიტყვა თანამედროვე ქართულში ან განსხვავებული ფორმითაა წარმოდგენილი ან საერთოდ გამქრალია, მაინც ძალიან მარტივია, გასაგები და უბრალოების სისადავით გამოირჩევა. პირველი ლიტერატურული წყარო კი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, „ვეფხისტყაოსანზე“ ბევრად ძველია – მე-5 საუკუნეს განეკუთვნება, მაგრამ ისიც ასეთივე ლექსიკური მარაგითაა გამორჩეული.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ენა ცოცხალი ორგანიზმია: იგი წარმოიშობა (იბადება), ვითარდება (იზრდება) და ქრება (კვდება) კიდევ. კაცობრიობის ისტორიაში არაერთი ფაქტია ერების გაქრობისა და, შესაბამისად, ენების კვდომისა.

ზოგადად ენის განვითარება, მისი ლექსიკური ფონდის გაფართოება და გამრავალფეროვნება ფეხდაფეხ მისდევს საზოგადოებრივი განვითარების საფეხურს, რომლის განმავლობაშიც განუწყვეტლივ ივსება ენა ახალი მასალით: საგამოთქმო ერთეულით, ახალი სიტყვებით, რომლებიც საზოგადოების ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას ასახავენ.

ენის სიმდიდრე, უპირველესად, მისი ლექსიკური ფონდის მოცულობით განისაზღვრება. ლექსიკა ყველაზე მოქნილი და ცვალებადი ნაწილია ენისა. ყოველ ენას, მათ შორის ქართულ ენასაც, ლექსიკის გამდიდრების საკუთარი საშუალებები გააჩნია, რომელთა შორის ძირითადია: სიტყვათწარმოება, დიალექტური მეტყველება და ნასესხები სიტყვები. ყველა ამ საშუალებას ქართული ენა იყენებს დასაბამიდან დღემდე, ამიტომაცაა, რომ იგი თავისი ლექსიკური მარაგით მდიდარ ენათა რიგს განეკუთვნება.

დროთა ვითარებაში ენის ლექსიკური ფონდი ფართოვდებოდა ხალხის ყოფაცხოვრების, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთდამოკიდებულების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ამსახველ სიტყვათა ხარჯზე.

ქართული ენა მდიდარი ლექსიკის წყალობით იმდენად მოქნილი ენაა, რომ მისი საშუალებით გამოითქმება ნებისმიერი აზრი და ამ ენაზე შესაძლებელია გადმოითარგმნოს ყოველგვარი სახისა და შინაარსის ნაწარმოები, იქნება ეს მხატვრული, ხელოვნების, მეცნიერების, ტექნიკისა თუ ნებისმიერი დარგისა. ამასთანავე, იგი (ქართულ ენა) თვითმყოფელია და გამომსახველობითი საშუალებებით მდიდარი და მტკიცე გრამატიკული სტრუქტურის მქონე ენაა. ყოველივე ამის გამოა ის, რომ ქართულ ენაში ძნელად იმკვიდრებს ადგილს უცხოური წარმოშობის სიტყვები და გამოთქმები, თუმცადა მე-19 საუკუნიდან ჩვენს ენაში შეინიშნება მეზობელი ქვეყნის – რუსული ენის ზეგავ-

ლენა და ტენდენცია რუსული სიტყვების დამკვიდრებისა. გარდა რუსულისა, მსგავსი პროცესი მომდინარეობს სხვა ევროპული ქვეყნების ენათაგანაც. ასე შემოჭრილი და შემდგომ ენაში დამკვიდრებული სიტყვებითა თუ გამოთქმებით, ე.წ. ნასესხები სიტყვებით – ბარბარიზმებითა და ეგზოტიზმებითაც მდიდრდება, ზოგადად, ენის ლექსიკური ფონდი. ასეთი საშუალებით ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრებას მიმართავს დედამიწაზე არსებული ყველა ენა, ზოგი – მეტად, ზოგი – ნაკლებად. აღნიშნულ პროცესს კი, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, უპირველესად – ტექნიკის განვითარება და მისი თანამედროვე მიღწევები. თუმცა ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ქართველი მწიგნობრები, როგორც ჩანს, არ იღვნენ ენის საღაროს სადარაჯოზე პურიტანული პრინციპებით – საყოველთაოდ გავრცელებულ ტერმინოლოგიას სიამოვნებით იღებდნენ უცხო ენებისგან და უმტკივნეულოდ უგუებდნენ ქართული ენის სტრუქტურულ-სემანტიკურ ნორმებს.

დღესდღეობით, თითქმის ყოველდღიურად მკვიდრდება ახალი სიტყვა ქართულ ენაში. ბევრად განსხვავებული ტერმინოლოგიით საუბრობენ დღეს ადამიანები, ვიდრე წლების წინ, თუნდაც ახლო წარსულში. ლექსიკურმა მარაგმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა 21-ე საუკუნეში, რაც გარემო ობიექტური პირობებით იქნა განპირობებული (მიმდინარე სიტუაცია, დრო, ახალი ტექნოლოგიები და ა. შ.)

თარგმანში უამრავი სირთულე არსებობს, რომელთა გადაწყვეტა, ზოგიერთ შემთხვევაში, მთარგმნელისგან მოითხოვს შემოქმედებით სვლას. ეს პრობლემები არსებობს როგორც ლექსიკურ დონეზე, ასევე სინტაქსურ პლანში. იქიდან გამომდინარე, რომ ლექსიკურ დონეზე არჩევანი ხშირად სუბიექტურია, ლექსიკა წარმოადგენს კრეატიულობის განსაკუთრებულ სფეროს (1, 97).

სხვა ენებიდან (უმთავრესად, ინგლისურიდან) შემოჭრილი სიტყვები გვხვდება მხატვრულ, სამეცნიერო თუ პოლიტიკურ ლიტერატურაში.

ბარბარიზმებისა და და მეტწილად ეგზოტიზმების დამკვიდრებას ენაში ხელს უწყობს მედიასაშუალებები. ადამიანებს, უმთავრესად, მოზარდებს, ხშირად არც კი ესმით ამა თუ იმ უცხო სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ აქტიურად გამოიყენებენ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში საუბრისას და მეტიც – აქცევენ მათ ქართული გრამატიკის ჩარჩოებში ანუ ურთავენ ქართულის შესაბამის აფიქსებს, რითაც ქართულ ჟღერადობას აძლევენ სიტყვას, მაგ.: სიტყვა Like [ლაიქ] (ინგლისურია და მოწონებას ნიშნავს) ისე „გაქართულდა“, რომ თითქმის დავიწყებულ იქნა მისი ქართული შესატყვისი. ადამიანები, რომელთაც სურთ, რომ მეგობრებმა მოუწონონ რომელიმე სოცქსელში გამოქვეყნებული ფოტო ან გამონათქვამი, სთხოვენ ერთანეთს: – დამილაიქე! თუ სურთ, რომ გააზიარონ მათი ვიდეო ან ფოტო, მიმართავენ: – გააშიარე! (სიტყვიდან - Share); ჟურნალისტი, რომელიც სტუდიის გარეთ იმყოფება და მიჰყავს რეპორტაჟი, პირდაპირი ჩართვის შემოწმების მიზნით კითხულობს: – ლაივში ვარ?!

უცხო ენიდან ქართულში დამკვიდრებული სიტყვები კომპიუტერულ ეპოქამდეც გვხვდებოდა, მაგ.: კოლეჯი, ავტობუსი, ინსტიტუტი, ჟურნალი და სხვ. ზოგი სიტყვა ისე მყარად მოერგო ქართული ენის ყალიბს, რომ აღარც კი გვახსოვს მისი ძირეული მნიშვნელობა და არც მათი წარმომავლობით ვინტერესდებით: აკვარელი, პლატინა, კომფორტი, პოლკი, გროში, კოლორიტი, ლაზარეთი, ნოველა, გონდოლა, პიჯაკი, პროფილი, კომბინიზონი, კომფორტი, კლუბი, კიტელი, გრუნტი, გონდოლა, პოლკი, პლაში,

სამოვარი და ა. შ. – ბარბარიზმების კლასიკური ნიმუშებია, რომლებიც ენამ მიიღო, გაითავისა და შეისისხლხორცა, მიუხედავად იმისა, რომ მათგან უმრავლესს ქართულ ენაში მოეპოვება ზუსტი შესატყვისი. ამას კონკრეტული ახსნა არა აქვს, გარდა ერთისა, რომ მოცემულ კონკრეტულ კონტექსტში ის ახალი სიტყვა უფრო მისაღები გახდა მომხმარებლისთვის. თუმცა ისიცაა, რომ ენა ყოველთვის არ არის მზად თავისი ერთეული დაახვედროს უცხო სიტყვას, რომელიც შემდგომ უპრობლემოდ იმკვიდრებს ადგილს ახალ ენაში. ყოველივე ეს ენის გამდიდრების უწყვეტი პროცესია, რაც ყოველთვის იყო მეტ-ნაკლები დოზით, არის ახლაც და იქნება კვლავაც, ვინაიდან ენა ცოცხალი ორგანიზმია და მასში ბუნებრივი პროცესები მიმდინარეობს და ამას ვერანაირი დადგენილებები, სალიტერატურო ენის ნორმებიც კი კონკრეტულად ვერაფერს უცვლის, ანუ ენა განვითარების თავისი ტენდენციის შესაბამისად ობიექტური გარემოდან და რეალობიდან გამომდინარე იღებს, ავითარებს, აფართოებს ან ავიწროებს კონკრეტული სიტყვების სემანტიკურ ველს და ა. შ.

როგორც წესი, ყოველი ლექსიკური „სიახლე“ შესაბამისი ენის ლექსიკონშია დაფიქსირებული, თუმცა ახალი სიტყვების რაოდენობა 21-ე საუკუნეში ისეთი სისწრაფით იზრდება, ლექსიკონები მათ ასახვას ვერ ასწრებენ.

ენის გამდიდრებისთვის აუცილებელ ბარბარიზმებს ხალხი ითვისებს და მათ თავისებურ (ეროვნულ) ფორმას აძლევს. მსგავსი გათავისებურება ამდიდრებს და აძლიერებს ენას. უცხო ენიდან შემოსული და ეროვნულ ბუნებასთან შეხამებული აუცილებელი სიტყვებით გამდიდრდა ქართული ენა და შეინარჩუნა თავისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი.

ყოველივე ზემოთქმული არ უნდა იქნეს ისე გაგებული, თითქოს ბარბარიზმების თვითნებურ შემოჭრა-დამკვიდრებას მივესალმებოდეთ. ეს ასე ნამდვილად არაა! გვესმის რა, რომ ენა სისტემაა, რომელსაც თავისი შინაგანი კანონები გააჩნია და თუ არ ვიძალადებთ მასზე, შეგნებულად არ მოვახვევთ თავს უცხო წარმომავლობის სიტყვას, რომელიც დიდ პრობლემას ვერ შეუქმნის ენას და თუ მასობრივ წიგნიერებასაც დავახვედრებთ, საფრთხე არ გვემუქრება, თუმცა ვთვლით, რომ ამ მხრივ მშვიდად ყოფნის უფლება მაინც არა გვაქვს; მარტივად ნამდვილად ვერ შევხედავთ ამ პროცესს.

ენა კომუნიკაციის საშუალებაა კონკრეტულ მოსახლეობაში და კომუნიკაციისას არასწორი ფორმების გამოყენებით მასობრივად დამკვიდრდება ენაში არაორგანული ფორმები.

მეორე საკითხი, რაზედაც ყურადღებას გავამახვილებთ, არის ეგზოტიზმები და მათი გამოყენების პრობლემა მედიატექსტებში.

შედარებით უმტკივნეულო პროცესია ენაში ეგზოტიზმების შემოსვლა იმდენად, რამდენადაც მათ ბარბარიზმებისგან განსხვავებით იმ ენაში, სადაც იმკვიდრებს ადგილს, შესატყვისი ფორმა არ მოეპოვებათ, ანუ ბარბარიზმებისგან უთარგმნელობით განსხვავდებიან. ეგზოტიზმები წარმოადგენენ მატერიალური კულტურის საგნებსა და მოვლენებს, ეთნონაციონალურ თავისებურებებს, წეს-ჩვეულებებისა და ისტორიული ფაქტების აღმნიშვნელ სიტყვებს, რომელთაც არ გააჩნიათ ეკვივალენტი და რომლებიც კულტურის, ისტორიული ეპოქის, სოციალური წყობის, სახელმწიფო მოწყობის აღმნიშვნელ კონცეპტებთან დაკავშირებულ ცნებებსა და საგნებს აღნიშნავენ და წარ-

მოგვიდგენენ ნაციონალურს, თვითმყოფადს, თავისთავადს; ამიტომაც არ ითარგმნება და უფრო ფართოდ ეხსნება კარი სხვა ენის ლექსიკური ფონდისა.

ეგ ზოტიზმები ბარბარიზმების მსგავსად, მედიატექსტების ხშირი „სტუმარია“, საიდანაც შემდგომ მკვიდრდება ჩვეულებრივ მეტყველებაში.

ეგ ზოტიზმების შემთხვევაში საქმე გვაქვს „უთარგმნელობის“ პრობლემებთან, რაც თარგმანთმცოდნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს და სათარგმნი მასალის ნაციონალურ-კულტურულ სპეციფიკასთანაა დაკავშირებული. მისი აქტუალობა განსაკუთრებით იკვეთება კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესში, რომლის ერთ-ერთ ნაირსახეობას მხატვრული კომუნიკაცია წარმოადგენს. ორი (ზოგჯერ – მეტი) სამყაროს დაკავშირების პროცესში დიდ როლს თამაშობს მთარგმნელის უნარი, მკითხველამდე რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგით მიიტანოს რეციპიენტ კულტურაში არსებული ცნებები და მნიშვნელობები და შეინარჩუნოს ორიგინალში არსებული სტილური ნიუანსები. სხვადასხვა წყაროში ამგვარი ერთეულების აღსანიშნად სხვადასხვა ტერმინს იყენებენ: „უთარგმნელი ლექსიკა“, „უეკვივალენტო ლექსიკა“, „ეგ ზოტიზმები“ და ა. შ. ყველა აღნიშნული ტერმინი კულტურათაშორისი ასიმეტრიის ფაქტს ეფუძნება და ისეთი რეალიების არსებობას გულისხმობს, რომელთა ასახვა თარგმანში სპეციალურ სტრატეგიას მოითხოვს.

მთარგმნელმა უნდა მოძებნოს ისეთი ეკვივალენტი, რომელიც გასაგებს გახდის სათარგმნი ტექსტის არსს მათთვის, ვისაც მხოლოდ თარგმანის იმედი აქვთ (5, 41).

ქართულ ენაშიც მრავლადაა ეგ ზოტიზმები უცხო ენიდან შემოსული, თუმცა ქართულსაც აქვს თავის მხრივ ისეთი სიტყვები, რომლებიც სხვა ენებზე არ ითარგმნება, ნაციონალურია და უცხო ენაში უცვლელი ფორმით მკვიდრდება (მაგ.: თამადა, ჩურჩხელა, ხაჭაპური, ხინკალი, გენაცვალე). ასეთი სიტყვების მნიშვნელობის ასახსნელად დიდი ძალისხმევაა საჭირო, ანუ გამოიყენება ახსნითი თარგმანი. ქართულ ენაში დამკვიდრებულია ძირითადად, ინგლისური, რუსული ენებიდან შემოსული ბევრი ისეთი უთარგმნელი სიტყვა, რომელიც გასაგები ხდება თვით იმ ადამიანებისთვისაც კი, რომელთაც წარმოდგენა არა აქვთ ამ ენებზე, ეს სიტყვები სისხლხორცეულად შეერწყენ თანამედროვე ქართულ ენას:

ინგლისურიდან: penny-პენი, gentleman-ჯელტმენი, elf-ელფი, grape-fruit-გრეიფრუტი, Lord-ლორდი, dollar-დოლარი და ა.შ.; რუსულიდან: рубль-რუბლი, пельмень-პელმენი, матрешка-მატრიოშკა და ა.შ.

უდაგოა, ენა ყოველდღიურად ვითარდება და შეუძლებელია იმ პროცესების შეჩერება, რასაც უცხო სიტყვების შემოჭრა-დამკვიდრება ჰქვია, თუმცა ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ, რომ გადაჭარბებულად და არასაჭიროდ დავუმიკვიდროთ ადგილი ჩვენს ენაში სიტყვებს, რომელთაც შესანიშნავი შესატყვისი ფორმა მოეპოვათ ქართულ ენაში.

ლიტერატურა:

1. Бреус Е. В., УРАО. Теория и практика перевода санглийского на русский, М., 2003.
2. ჭყონია ნ., ლექციები ენათმეცნიერებაში, თბ., 2016.
3. კოდუხოვი ნ., ზოგადი ენათმეცნიერება, თბ., 1982.
4. საყვარელიძე ნ., თარგმნის თეორიის საკითხები, თბ., 2001.

5. სელესკოვიჩი დ., თარგმნის ხელოვნება და სწავლების მეთოდი, თბ., 2001.
6. სურგულაძე ი., იბერი ე., მასობრივი კომუნიკაცია, თბ., 2003.

Teona Turmanidze

The problem of the use of barbarism and exoticism in media texts

Summary

The article presents the trends and changes that are common in languages throughout their existence. The focus is on the reasons for the enrichment and diversity of language lexical foundation and environmental factors. The article explains the process of establishing barbarism and exoticism in the language and the need to focus on this tendency.

Теона Турманидзе

Проблема использования варваризмов и экзотизмов в медиа текстах

Резюме

В статье описываются тенденции и изменения, которые языки обычно испытывают на протяжении всего своего существования. Это ориентировано на причины и факторы среды обогащения и разнообразия лексического фона языка. Процесс установления варварства и экзотики объясняется необходимостью обратить внимание на эту тенденцию.

იავლინა გუჯეჯიანი
(საქართველო)

მიმიკის გამომხატველი ზმნების მასლარი სმანურში

მიმიკა - უპირველეს ყოვლისა, ეს არის სახის კუნთების (მოძრაობა) გამომხატველი მოქმედებები, რაც თავის მხრივ არის გრძნობების, განცდების და აზრების გამოხატვის საშუალება. როგორც წესი, სახის კუნთების უმეტეს მოძრაობას ადამიანი ვერ აკონტროლებს. მიმიკა გვეხმარება ამოვიცნოთ მოსაუბრის გუნება-განწყობა, მიღვომა ამა თუ იმ საკითხის მიმართ, რას გრძნობს პიროვნება სხვადასხვა სიტუაციაში. მიმიკით შეგვიძლია განვსაზღვროთ სიმართლეს ამბობს თუ არა პიროვნება. იგივე შეიძლება ითქვას ქუსტებზეც. ჩვენი ტანის მოძრაობისას ზოგიერთ ქუსტს ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ, ყველაფერი ხდება ავტომატურად და ემოციებიდან გამომდინარე.

მიმიკა და ქუსტი - ეს თავის მხრივ არის საშუალება გამოხატოს ან ხაზი გაუსვას სხვადასხვა გრძნობას ან სიტყვას, რაც მას გამოხატავს.

ჩვენი სხეულის ენა გაცილებით მეტ ინფორმაციას გასცემს ჩვენს განწყობასა და ემოციებზე, ვიდრე ვერბალურად მათი გამოხატვა. ჩვენ მიერ გაკეთებული ნებისმიერი ქუსტი სხვა ადამიანების მიერ ქვეცნობიერად თავისებურად აღიქმება. ამან შეიძლება იმოქმედოს ჩვენს სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, რადგან ზოგიერთი ქუსტი ძალიან პოზიტიურ ასოციაციას ქმნის, ზოგი კი - ნეგატიურს. შედეგად შეიძლება გამოვჩნდეთ მერყევი და ნერვიული, ან მცირე ძალისხმევით შეგვიძლია რადიკალურად შევცვალოთ საკუთარი პოზიცია საზოგადოებაში. ადამიანები ფრთხილობენ, საუბრისას რაიმე ზედმეტი არ წამოცდეთ, ფიქრობენ, თითოეულ სიტყვას წარმოთქმამდე წონიან, ზომავენ, სინჯავენ, რომ მერე არ ინანონ, ამ დროს კი სულ ავიწყდებათ, რომ არა მარტო სიტყვები, არამედ ადამიანის ნებისმიერი მოქმედება, მიმიკა და ქუსტი მის ხასიათსა და მდგომარეობას გამოხატავს. მხოლოდ ზოგიერთმა თუ იცის, რომ გამცემი ამ შემთხვევაში ისევ ჩვენ თვითონ ვართ, უფრო სწორედ კი, ჩვენი სხეული.

გამოკვლევებით დადგინდა, რომ ადამიანებს შორის ურთიერთობის დროს კომუნიკაციის 60-80% ხდება არავერბალურად, ინფორმაციის მხოლოდ 20-40% გადაეცემა სიტყვიერად. სხეულის ენა არის არავერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი სახე. არავერბალური კომუნიკაცია ნიშნავს კომუნიკაციას სიტყვების გარეშე. ეს არის ენა, რომლითაც საუბრობს ყველა, ისიც კი, ვინც არ იცის ამ ენის არსებობის შესახებ. ასეთი ხერხი ადამიანს ურთიერთობაში და ქვეტექსტის აღქმაში ეხმარება. იგი გულისხმობს კომუნიკაციას ხმის ტონის, მეტყველების ტემპის, ქუსტების, სხეულის, გამომეტყველების, თვალით კონტაქტის, შეხების, გარეგნობისა და ურთიერთობისას დაკავებული მანძილის მეშვეობით.

ემოციების გამოხატვის მხრივ, ადამიანის სხეულის ყველაზე მაღალგანვითარებული ნაწილი მისი სახეა. ზოგიერთი ადამიანისათვის იმდენად ჩვეულია ესა თუ ის ემოცია, რომ მისი სახის კუნთები ერთგვარად აფიქსირებს ამ ემოციას.

მიმიკით შეგვიძლია გამოვხატოთ უკმაყოფილება, სიხარული, ზიზღი, გაოცება, მოწყენა, ბრაზი, შიში. ეს არის ძირითადი ემოცია, რომელიც შეიძლება შევამჩნიოთ

ადამიანის სახეზე, მაგრამ არამარტო სახეზე შეიძლება გამოიხატოს ემოცია, იგი ასევე შეიძლება გამოიხატოს იქნეს რაიმე მოძრაობით ან ჟესტით.

ზემოთ ჩამოთვლილი მიმიკა-ჟესტიკულაციის სიტყვიერად გამოსახატავად არსებობს შესაფერისი ლექსიკონი.

სვანური ენა საკმაოდ სიტყვაუხვია ამ მხრივ. ზოგი მიმიკის ფორმა სათარგმნადაც ძნელი აღმოჩნდა. ხშირ შემთხვევაში თარგმანი ზუსტი ფორმით ვერ ასახავს იმას, რაც მოცემულ სიტყვაში არის ნაგულისხმევი. განვიხილოთ ის ფორმები, რაც მოპოვებულ იქნა ველზე მუშაობისას.

ამულჭუნე - უმნოდ, პირლიად ლაპარაკობს - **ლი-მულჭუნე** - უმნო ლაპარაკი. **ვარსახას მკჷად ლიმულჭუნე ხმთქუა** - ვარსახას უმნო ლაპარაკი სჩვევია ყოველთვის (ინფ. მ.ფ.).

აციცანე - თვალებს აცეცებს - **ლი-ციცანწლ** - თვალების ცეცება. დივოს მამ ხესგივ ლიციცანწლ - გოგოს არ უხდება თვალების ცეცება (ინფ. მ.ფ.).

აკვიჭანე - მოჭმუნული იყურება - **ლი-კვიჭანე** - უკმაყოფილო ყურება. **იმდა როქ აკვიჭანე მიჩა დადა?** - რატომ იყურება უკმაყოფილოდ მისი ბებია? - **ლიკვიჭანე ხოლა წეს ლი** - ყკმაყოფილოდ ყურება ცუდია (ინფ. მ.ფ.).

არიჭვანე - თვალ-წარბ აზიდული იყურება - **ლი-რიჭვანწლ** - ყურების დაცქვეტა ახალი რაღაცის მოსასმენად, წარბაზიდული ყურება. **ჩილად ხალტუნ მერმემ ლიჭუნარი ი ლირიჭვანწლ ხოხრობუნდევ** - პატარობიდანვე ყოველთვის უყვარდა მიყურადება და ყურების ცქვეტა (ინფ. თ.გ.).

ისხვირანწლ - თვალებს აბრიალებს - **ლი-სხვირანწლ** - გაბრაზებული ყურება, თვალების ბრიალი. **ერასტოს მაშდმწრჷი აშგარ ხმთქუა ლისხვირანწლ** - ერასტოს სიმთვრალეში ყოველთვის სჩვევია თვალების ბრიალი (ინფ. მ.ფ.).

ისიღვანწლ - თვალებს აელმებს - **ლი-სიღვანწლ** - ელამი გამოსხედვა, თვალების გაელამება. **ალექსანდრე ჟი იხრინოლ ეჩქას ლისიღვანწლს იბნა** - ალექსანდრე გაბრაზების დროს თვალებს აელმებდა (ინფ. მ.ფ.).

ისხვიპანწლ - თვალ-წარბ ასხეპილი იყურება - **ლი-სხვიპანწლ** - თვალ-წარბის ასხეპვა, აზიდვა ისე გამოსხედვა. **მახა ნაჯიდ თელდურას მამა ხესგუნე ლისხვიპანწლ** - ახალ მოყვანილ რძალს არ უხდება თვალწარბაზიდული ყურება (ინფ. მ.ფ.).

არიკვანე - თვალებს იქით-აქით ცოცხლად ატრიალებს - **ლი-რიკვანე** - სიფხიზლე, ფხიზელი გამოსხედვა (როცა თოთო ბავშვს ძილი არ ეკარება, მაშინ ამბობენ). **ღეთ ი ლადწლ ჟი ლჷუმე ხარ, ლადწლშუ ატჷე ი ლეთშუ ლირიკვანე ხოცხა** - დღე და ღამე არეული აქვს, დღე სძინავს და ღამე ღვიძავს (ინფ. მ.ფ.).

შიჭვანე - რაღაცის გამო გაბრაზებული და ტუნმობუხული იყურება - **ლი-მიჭვანე** - ტუნმობოკუმიული ყურება, გაბუსხვა. **დოდოს გადნი ლიტხეს ერჷა ხატწლდა ჩწს ლი-მიჭვანეს ხობნა** - დოდოს ვინც ვალის დაბრუნებას სთხოვდა, იმას გაბუსხული უყურებდა (ინფ. მ.ფ.).

აჭვიფანე - სახემოდრეცილი იყურება - **ლი-ჭვიფანა** - გამოხედვა, როცა ვერ იტან ვიღაცას, სახის მოდრეცვა. **დემნას მკვედ მამ ხალტნ**, **შიშდ ლიჭვიფანა** - დემნას მომხველელი არ უყვარდა, ხელათ სახე მოდრეცილი იყურებდა ყურებას (ინფ. მ.ფ.).

ამიბგანე - ვიღაცის მიმართ ზიზღს გამოხატავს გამოხედვით - **ლი-ამიბგანე** - ზიზღნარევი გამოხედვა, უკმაყოფილო ყურება. **შომა გვეშ მასარდ ხტდეე დადა ივდი-თეს ი დარ ხომტრჯვი ლიამიბგანეს იბნე** - როცა ბებია ივდითეს ბევრი საქმე აქვს და არაინ ეხმარება, უკმაყოფილო, ზიზღნარევი გამოხედვა იცის (ინფ. მ.ფ.).

აღვიპანე - დანადგლიანებული, სატირლად ემზადება - **ლი-ღვიპანა** - ცრემლნარევი გამოხედვა, სატირლად გამზადებული ყურება. **კტლთხი ჰერს იმჟი მრშ ჟი აპრ იკედ, ჰენწისგა დივოლ ლიღვიპანა** - თუ ვინმე ხმამაღალ საუბარს იწყებდა, აკვანში მწოლიარე გოგონა სატირლად გამზადებული იყურებოდა (ინფ. თ.გ.).

აბღვირანე - ვიღაცაზე გაბრაზებული, დაბღვერილი იყურება - **ლი-ბღვირანე** - დაბღვერილი გამოხედვა, გაბრაზებული ყურება. **ნინუცას ლიბღვირანა** **დწსა ხოსხალ**,

ჩილად ხონა ხასაათ ხტდეე - ნინუცამ არ იცის დაბღვერილი გამოხედვა, ის ყოველთვის კარგ ხასიათზეა (ინფ. მ.ფ.).

აზგვიჭანე - გაბრაზებული იყურება - **ლი-სგვიჭანა** - გაბრაზებული, თან საქმიანი გამოხედვა. კოპების შეკერა. **სირმახან მჟად აშგარ აზგვიჭანე, ლისგვიჭანა** **დწს ხესგუჟ** - სირმახანი მუდამ დღე კოპებ შეკრულია, გაბრაზებული ყურება არავის არ უხდება (ინფ. მ.ფ.).

აპაჭვანა - იპრანტება - **ლი-პაჭვანა** - პრანტილობა, მეტიწრობა. **ერასტოშ დი-განლს ჩილად ლიპაჭვანა ხამთქვას** - ერასტოს გოგოებს ყოველთვის სწვეოდით მეტიწრობა (ინფ. თ.გ.).

აფულჟუნე - რაღაცას ბოდავს, გაურკვეველად საუბრობს - **ლი-ფულჟუნე** - გაურკვეველი საუბარი, ბოღვა. **ხონამდ მტრგანდის მგ ხოსგნარი, ლიფულჟუნე** **დწს ხწსინამ** - კარგად მოსაუბრეს ყველა უსმენს, გაურკვეველი საუბარი არავის სიამოვნებს (ინფ. მ.ფ.).

ილქადანა - თან მეტიწრობს, თან იკვეხნის - **ლი-ლქადანა** - მეტიწრობა, კვეხნა. **მჟად ლილქადანა** **დწს ხალანტ** - ყოველთვის მეტიწრობა, კვეხნა არავის მოსწონს (ინფ. მ.ფ.).

აქულჟუნე - **ლი-ქულჟუნე** - სწრაფი უაზრო ლაპარაკი, დაუკვირვებლად საუბარი. **მიხა ლიქულჟუნე ჩიმი მწვინ როქ ომკედ** - მისმა უაზრო საუბარმა ყველა დააზარადა (ინფ. მ.ფ.).

აქიჟანე - იქით-აქით ჯიქურად, უაზროდ აქნევს თავს - **ლი-ქიჟანე** - აქეთ-იქით უაზრო ყურება, ქაჯური გამოხედვა. **ხონამდა ი ხოლამდა ჩილად ლიქიჟანე** **დწს ხოც-ხრა** - კარგზე და ცუდზე ორივეზე უაზრო, ქაჯური გამოხედვა, არავის გაუგია. (ინფ. მ.ფ.)

აბრიღვანე - ლი-ბრიღვანე - დასაშინებლად თვალების ბრიალი, დასაშინებელი გამოხედვა. **მეთხვაჭრს აჩრუ ტუეტჟი მეგნე დაშუდ ლახთხანენა** ი უშხვრეიშდ **ლიბრიღვანე** **ოთბინას** - მონადირეს ორ ფეხზე შემდგარი დათვი შეხვედრია და ერთმანეთისათვის თვალებით ბრიალი დაუწყიათ (ინფ. მ.ფ.).

აბლიღვანე - პირღია იყურება - **ლი-ბლიღვანე** - გაუგებრობით გამოწვეული ყურება, პირის დაფჩენა. **ნენსგა ზაგაჭჟი ჩუ ლუგან ი დესა ხოსაღღ იმთე მწზი ლას, პიღპრ მკაჭრ აბლიღვანა** - შუა გორაზე იღვა და არ იცოდა, სად წასულიყო, პირდაფჩენილი იყურებოდა (ინფ. მ.ფ.).

აწიკვანე - ლი-წიკვანე - წუწკი გამოხედვა, თვალების მოწკურვა. **მეჭად ამშა ლიწიკვანე ლევ ლესგდი ესერ ლი** - ძალიან ცუდი საყურებელია ამის წუწკი გამოხედვა მუდმივად (ინფ. მ.ფ.).

აგლიღვანე - ლი-გლიღვანე - მოღებილო გამოხედვა, პირღია გამოხედვა. უაზროდ ყურება. **ლიგლიღვანელი მტუჭაფ გეგშს როქუ ლოსოგან სგა** - უაზროდ ყურების მაგიერად, სჯობია საქმეს შეუდგესო (ინფ. მ.ფ.).

აშიყვანე - ლი-შიყვანე - უაზრო ყურება, გაბუსხული გამოხედვა. **აშგარ ლიშიყვანელ ხოსაღ ნაღქადღოშ ვარსახას** - მედიდურობისაგან მუდამ გაბუსხული ყურება სჩვევია ვარსახას (ინფ. მ.ფ.).

აწლიღვანე - ლი-წლიღვანე - პირდაღებული ყურება, პირდაფჩენილი გამოხედვა. **უმხერა ამსტაღღ ჩიღად აწლიღვანე** - მოუფიქრებელი ადამიანი ყოველთვის პირდაფჩენილი იყურება (ინფ. მ.ფ.).

აყულჩუნე - გაუგებრად საუბრობს - **ლი-ყულჩუნე** - არაფრისმთქმელი საუბარი, უაზრო ლაპარაკი, რომელიც მიმიკითაც შესამჩნევია. **საბრად დაღღო ი ბაბოღღ ნამჩოშ აშგარ აყულჩუნეს** - საწყალი ბებია და ბაბუა სიბერისგან ძლივს ახერხებენ არაფრისმთქმელ საუბარს (ინფ. მ.ფ.).

აბრიღვანე - ლი-ბრიღვანე - უხეში სიარული, სიბრაზე, რომელიც სიარულზე ეტყობა. **ლიბრიღვანე ჟი ლუნე ხარ აღ ლუსოყე მწრა** - ამ გიჟ კაცს დაწყებული აქვს ხმაურით გაბრაზებული სიარული (ინფ. თ.გ.).

იყვინყვლავეღ - უწყინრად, თავისთვის ფუსფუსებს - **ლი-ყვინყვლავეღ** - მოყუჩვა, თავისთვის წყნარად და ჩუმიად ფუსფუსი. **თინიღს მიჩოგშ ლიყვინყვლავეღ ხოცხან მერმემ ლიმტრჯვის** - თინის თავისთვის წყნარად ფუსფუსი ერჩინა სხვის დახმარებას (ინფ. მ.ფ.).

იღრიზანელ - ტღამად, მოუქნელად მიიზღაზნება - **ლი-ღრიზანელ** - მოუქნელი სიარული, ტღანქად გადაადგილება. **გტეშ მამგეშ ხოსყა მიშას ლიღრიზანელუნქა** - საგმე არაფერი გაუკეთებია მიხეიღს, მხოლოდ ტღანქად გადაადგილებისა (ინფ. ი.კ.).

ივიინჩლაგელ - შეუმჩნევლად, მშვიდად ფუსფუსებს თავისთვის - **ლი-ვიინჩლაგელ** - მოყუჩვა, უხმაუროდ ფუსფუსი. **დაღღოღ დანს ესერ ხომწვინე, მიჩოღშ ივიინჩლაგელ ჰარტა-მისგა** - ბებია არავის უშღის ხელს, თავისთვის ფუსფუსებს ბოსტანში (ინფ. თ.გ.).

იფიშყვანლ - ლი-ფიშყვანლ - მშვიდი, დაწყნარებული ყოფა, როცა ადამიანი შინაგან სიმშვიდეს ინარჩუნებს. **დეც მურგვლ როქ იცოლნი ივლითე ეჯღბი ლიფიშყვანლს დემ როქ იშდნე** - ცამრგვალი რომ იქცეოდეს, ივლიტე მაინც სიმშვიდეს არ დაკარგავს და წყნარად არის (ინფ. მ.ფ.).

წფხიჭანე - ყველაფერს მიედ-მოედება - **ლი-ფხიჭანე** - სწრაფი და მოუსვენარი მოძრაობა. ხელის ტაცება ხან რაზე, ხან რაზე. **ხოლა ლუგზდილე ბობშარს მეჰად ლიფხიჭანლ სშთაქუახ** - ცუდად აღზრდილი ბავშვები ხან რას სტაცებენ ხელს ხან რას (ინფ. თ.გ.).

წშკიფანე - დაბნეულია, გაურკვეველობაშია - **ლი-შკიფანლ** - დაბნეული, გაურკვეველი, უახრო, ყურება. **სანდრო ი ალექსანდრე უშხუარ ხემქტრლს ლიშკიფანლს** - ალექსანდრე და სანდრო ერთმანეთს ეჯიბრებიან დაბნეულ, გაურკვეველ ყურებაში (ინფ. მ.ფ.).

წფიფანე - გიჟიანობს, უახროდ იყურება - **ლი-ფიფანლ** - სულელური, არასერიოზული ყურება იქით-აქით. **ჟობშარე სირმახან ნამშდუმოშ ლიფიფანლს დემ ხეყენი** - ზემოთურების სირმახანი სიმთვრალისგან სულელურ ყურებას იქით-აქით ვედარ ეშეება (ინფ. მ.ფ.).

წშტიტანე - გაბრაზებული იყურება - **ლი-შტიტანელ** - სიბრაზისგან გაელამებული ყურება. **როლანდი ნალფეთოშ აშგარ წშტიტანე** - როლანდი სიბრაზისაგან გაელამებული იყურება (ინფ. მ.გ.).

იფუცხვანლ - ლი-ფუცხვანლ - რაღაცის გამო აქარებული ტრიალი, შეფუცხუნება, მიედ-მოედება. **მუშტრინშ ლიყედს მართა მეჰად ოხდეღდა, შიშდ ლიფუცხვანლს იბნა** - სტუმრის მოსვლას მართა ყოველთვის ელოდა, რადგან ხელათ შეფუცხუნდებოდა და ტრიალს იწყებდა (ინფ. მ.ფ.).

იპრიტანლ - გაურკვეველობაშია - ლი-პრიტანლ - ყურების ცქვეტა, ამას დიდყოფიან ადამიანზე ამბობენ. **ლიპრიტანლ აღბინე** - ყურები დაცქვიტა (ინფ. მ.გ.).

იშუნდრუკლ - იბუტება - **ლი-შუნდრუკლ** - გაბუტვა, ამრეზვა, გაბუსხვა. **მეჰად ლიშუნდრუკლ ხოლა ლესგდი ლი** - ყოველთვის გაბუტვა ცუდი საყურებელია (ინფ. მ.ფ.).

იფეთლ - ცოფებს ყრის - **ლი-ფეთლ** - გაცოფება, გაბრაზება. **დემნა შომა ლი-ფეთლს იბნა, ნინ სგა ხოშყდენდა** - დემნა როცა გაბრაზებას იწყებდა, ენა უკან უვარდებოდა (ინფ. მ.ფ.).

იბურგტანლ - ისრისება, იჭმუჭნება - **ლი-ბურგტანლ** - თვალების სრესა გაკვირვებისაგან. **შომა ჯჷმილ ანტვხ ზესნახედ მამბაჟშე თერლლე ლიბურგვანლ აღბინე** - როცა ძმა ცოცხალი დაბრუნდა, ზესნახემ გაკვირვებისაგან თვალების სრესა დაიწყო (ინფ. მ.ფ.).

აკარუნე - პირს ალებს წარამარა - **ლი-კარუნე** - პირის დაღება, მთქნარება. **დი-ვოლს მჷგიდ ვხჭონან ი ლიკარუნე აღბინე** - გოგონას ძილი მოერია და მთქნარება დაიწყო (ინფ. მ.ფ.).

აჟუშყე - კეკს ღეჭავს, ან ლუკმას დიდხანს ღეჭავს - **ლი-ჟუშყე** - პირის ქნევა, ლუკმის დიდხანს ღეჭვა. **ნაპუშუ ლიჟუშყე ხაღხისგა ხოშაღს შგუირდ ხაბუახ** - ლუკმის ღეჭვა დიდხანს საზოგადოებაში უფროსებს სირცხვილად მიაჩნიათ (ინფ. მ.ფ.).

იტყუიფანაღ - ლოყებგაწითლებული იყურება - **ლი-ტყუიფანაღ** - ლოყების ალექწვა, ალმურის ადენა. **ლიტყუიფანაღ ლუშგურ ადამიანს ხოსაღ** - ლოყების ალექწვა მორცხვ ადამიანს სჩვევია (ინფ. მ.ფ.).

იშღკუიღღ - ასლოკინებს - **ლი-შღკუიღღ** - დასლოკინება. **ხოსრა დაშღღღღს ნამბიზოშ ლიშღკუიღღ ოთბინა** - პატარა დათუნის მამდროობისგან სლოკინი დაუწყვია (ინფ. მ.ფ.).

იქშიელ - ამოქნარებს - **ლი-ქშიელ** - მოქნარება. **ნაქუ ლი მეჰად ლიქშიელ მამჭირაღს ხამთქუახ** - ოდიტგანვე ნათქვამია ყოველთვის მოქნარება ზარმაცებს სჩვევიათ (ინფ. მ.ფ.).

იმუქტანაღ - **ლი-მუქტანაღ** - გაღიმება. **ივღითეს ხოღამღა ი ხოჩამღა ჩიღად ლიმუქტანაღ ხამთქუა** - ივღითეს კარგზეც და ცუდზეც, ყველაფერზე გაღიმება სჩვევია (ინფ. მ.ფ.).

ქეშღე - პირს არ აჩერებს, ტარტარებს - **ლი-ქეშღე** - ენის ტარტარი უაზროდ. **ახაღგაზრღას მამა ხესგუღ ლიქეშღე** - ახაღგაზრღას არ უხდება უაზროდ ენის ტარტარი (ინფ. მ.ფ.).

იტენტაღ - **ლი-ტენტაღ** - ხელების წაშენა სახეში დატირების, მოთქმის დროს, რითაც გამოსატავს წუხილს, უბედურებას. **დაღღღღ ლირენტაღ აღბინე, შომა ღიმიტრიშ დაღრა აცხირ** - ბებიამ სახეში ხელები წაიშინა როცა ღიმიტრის გარდაცვალება გაიგო (ინფ. თ.გ.).

აპიტკანე - **ლი-პიტკანე** - თვალების ხამხამი, თვალის ჩაკვრა. **ერასტო ნამშღღღღღ აშგარ აპიტკანე თერაღს** - ერასტო სიმთვრალისგან თვალებს ახამხამებს მუღამ (ინფ. მ.ფ.).

აშტივანე - **ლი-შტივანე** - თვალების გაღმობაკრკვლა. **ბაბა თემრაზ ლმბჟე აშტივანა დაბისგა** - ბაბუა თემირაზი თვალეზგაღმობაკრკული (გაოცებული) იყურებოდა ყანაში (ინფ. მ.ფ.).

იფეკვანაღ - **ლი-ფეკვანაღ** - სახტად დარჩენა, მშრალად დარჩენა. **შომა თუეფი ჰერ ახსუღდა, დთიკოდ ლიფეკვანაღ აღბინე** - სახტად დარჩა დათიკო, როცა თოფის ხმა გაიგო (ინფ. მ.ფ.).

ხეჭესგენი - ეპარება - **ლი-ჭესგე** - მიპარვა, იგულისხმება წელში მოხრილი, მოღუნული მიპარვა. **ბაბოღ ლეთრეს ლაწესგე** - ბაბუა სასმელს მიეპარა ჩუღად (ინფ. მ.ფ.).

ხეჭერაღ - ემუღარება, ეხვეწება, ევეღრება - **ლი-ჭერაღ** - ხეწვნა, მუღარა, ევეღრება. **ნატრეზს მიჩა დი კანჭოღღღღ ზეჭერაღ ნაუზის** - ნავრეზს დედამისი ნეკათითებგადაგრეხილი ემუღარებოდა, ეხვეწებოდა, ევეღრებოდა წაუსვლელობას (ინფ. მ.ფ.).

იტფურწლ - ლოყებს იხოკავს, იკაწრავს - **ლი-ტფურწლ** - ლოყების ხოკვა, ერთგვარი ჩვევა, როცა ახლობლის გარდაცვალებას იგებენ. **საშა ჩიმი დაგრადა აშგარ იტფურწლ** - საშას წესად ჰქონდა ლოყების ხოკვა, კაწვრა, თუ ვინმეს გარდაცვალებას გაიგებდა (ინფ. მ.ფ.).

ალკნე - ენას უყოფს, არ აჩერებს, ეტლიკინება - **ლი-ლკნე** - ენის გამოყოფა. **ბობშწრს აშგარ ხწმთქტახ ლილკნე** - ბავშვებს ხშირად სჩვევიათ ენის გამოყოფა (ინფ. ი.კ.).

ჟღუღი - **ლი-ჟღუღი** - დიდი ხმით ტირილი. **ცხეკხწნ აწსტულწმიშ ხოშა ჰერჟი ლიჟღუღი ისმოლდა ურიჰღ** - ტყვიან ვიდაცის დიდი ხმით ტირილი ისმოდა უთენიაზე (ინფ. მ.ფ.).

ითენთწლ - იწყებს მოთენთვას - **ლი-თენთწლ** - მოთენთილობა. **საბრალ დადოლ ნამჩოშ აშგარ ითენთწლ** - საწყალი ბებია სიბერისგან სულ მოთენთილია (ინფ. მ.ფ.).

იყუბე - ილუკმება, იტენის პირში - **ლი-ყუბე** - პირის გამოტენვა. **წაპუწრე ძალოუშ ლიყუბე ბობშწრს მწმედ მწმა ხარხ** - ლუკმების ძალით ჩატენვა ბავშვებს არ რგებთ (ინფ. მ.ფ.).

იჰონწლ - ლასლასებს, წაქცევაზეა - **ლი-ჰონწლ** - სისუსტისგან დნობა, ლასლა-სი. **მწიდტუშ აშგარ იჰონწლხ მტუშდბა** - შიმშილისაგან მუშები ძლივს ლასლასებენ (ინფ. მ.ფ.).

აჟულფუნე - იყეფება, ყველას ერჩის - **ლი-ჟულფუნ-ე** - ყეფა ძაღლივით. **ნინუცა მეგჭად ლტუფეთე ლი, ჟედშალ ლიჟულფუნე ხოხად** - ნინუცა ძაღლიან ბრაზიანია, ძაღლივით ყეფს ყოველთვის (ინფ. თ.გ.)

იჭურჭლანელ - იჭმუჭნება, იგრიხება, მორცხობს - **ლი-ჭურჭლანელ** - დაჭმუჭნა, მორცხობს, იგრიხება. **ჩიდად ლიჭურჭლანელ ხწმთქტა ივდითეშ თელღურას** - ივდითეს რძალს ყოველთვის დაჭმუჭვნა, დაგრეხვა, მორცხობა სჩვევია (ინფორმატ. თ.გ.).

ივლარელ - **ლი-ვლარელ** - მკლავი-მკლავ გადახვევა. **მაშდმწრუს ნამშდტომშ ლივლარელ ხოხალხ** - მთვრალებს სიმთვრალეში მკლავის გადახვევა სჩვევიათ (ინფ. მ.ფ.).

იდუწწლ - **ლი-დუწწლ** - მიიწელება, გაწელება, წოწიალი. **ჩილადწღ შუკწრქა ლიდუწწლ უპატრონწლს როქ ხოხალხ** - ყოველდღე გზებზე წოწიალი, გაწელება უპატრონომ იცისო (ინფ. მ.ფ.).

ზემთო ჩამოთვლილი მიმიკის, უესტიკულაციისა და მიმოხვრა-მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები და მასდარული ფორმები იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ სვანური ენა ამ მხრივ მეტად მრავალფეროვანი და საინტერესოა.

ამრიგად, მიმიკების გამოხატვით სვანური, ერთი მხრივ, ქართველური ენების ვითარებასთან ახლოს დგას, მაგრამ, მეორე მხრივ, საგრძნობლად განსხვავდება მისგან. სვანური არ საჭიროებს კონკრეტიზაციას იმისთვის, თუ რა სხეულის ნაწილი მოიაზრება კონკრეტულ ქმედებაში, თარგმანი კი საჭიროებს კონკრეტიზაციას. მაგალითად:

ლიფხივანელ - ითქმის გრძელწამწამიან თვალების სამხამზე. **ლიმიჭტანელ** - ითქმის პირმოკუმულ გაბუტულ ყურებაზე. **ლიციცანელ** - თვალების იქით-აქით ცეცებაზე. **ლიტფურალ** - ლოყების ხოკვაზე და ა.შ.

ლიტერატურა:

1. თოფურია ვ., ქალდანი მ., სვანური ლექსიკონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არნ, ჩიქობავას სახელობისენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბ., 2000.
2. ჭუმბურიძე ზ., ნიჟარაძე ლ., ქურდაძე რ. (ზ.ჭუმბურიძის რედაქციით), სვანური ენა, თბ., 2007.
3. თოფურია ვ., სვანური ენის სახელმძღვანელო, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართული ენის ინსტიტუტის შრომები, N1, თბ., 1974.
4. ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
5. შანიძე ა., თხზულებანი, II ტომი, თბ., 1981.
6. ონიანი ა., სვანური ენა, თბ., 1998.
7. ელენტი ს., სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1949.
8. ინფორმატორი მაღიშ ფილფანი (პედაგოგი).
9. ინფორმატორი მურთაზ ვიბლიანი (ისტორიკოსი).
10. ინფორმატორი თამარა გუჯეჯიანი (ფილოლოგი).

Iavlina Gujejani
Masdari in the Svan Language
Summary

Masdari is the oldest occurrence in the Kartvelian languages. In the Svan language, “masdari” (infinitive) is mainly formed with the prefix -li or with the suffixes -e and -i, in some cases without the help of a suffix, with the distant nouns next to the prefix -li can also detect the prefix -ma. That is, for the formation of abstract words, we have both the prefix -li and the prefix -ma. The forms of the verb masdari expressing facial expressions in the Svan language create an interesting aspect.

Иавлина Гуджеджиани
Масдарные формы глагола выражающие мимики в сванском языке
Резюме

Масдар является древнейшим явлением в картвельских языках. В сванском языке «масдари» (инфинитив) в основном образуется с помощью префикса -ლი («ли») или с помощью суффиксов -ე («э») и -ი («и»), в некоторых случаях без помощи суффикса, с отвлеченными существительными рядом с префиксом -ლი («ли») можем также обнаружить префикс -მა («ма»). То есть для образования отвлеченных слов мы имеем как префикс -ლი («ли»), так и префикс -მა («ма»). Формы глагола масдар, выражающие мимики в сванском языке создают интересную картину.

რუსუდან ხომერიკი

(საქართველო)

ორჰან ფამუქის ლიტერატურული იდენტობა

2006 წელს თურქი მწერლის ორჰან ფამუქისათვის ნობელის პრემიის მინიჭება იყო მსოფლიოს მიერ თურქული ლიტერატურის ოფიციალურად პირველი აღიარების დასტური. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის თურქულ ლიტერატურაში უკვე არსებობდა თანამედროვე ლიტერატურული მიმდინარეობების საკმაოდ საინტერესო ნიმუშები, თურქულმა ლიტერატურამ, სწორედ, ამ ფაქტის შემდეგ მიიქცია მსოფლიოს ყურადღება.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან თურქული ლიტერატურის გამოცოცხლება და მასში ახალი, ავანგარდული და მოდერნისტული მიმდინარეობების გამოჩენა, შეიძლება ითქვას, შეუმჩნეველი დარჩა მსოფლიო ლიტერატურისთვის. რამდენადაც ამერიკული და ევროპული ლიტერატურა უფრო გასაგები და ადვილად მისაღები აღმოჩნდა უცხოელი მკითხველისათვის, იმდენად თურქული ლიტერატურა, რომელიც საკმაოდ გაჯერებული იყო თურქული სპეციფიკური რეალიებით, უფრო შორეული და ძნელად აღსაქმელი აღმოჩნდა მათთვის. ამას თურქი ლიტერატურათმცოდნეები ხსნიან თურქულ ყოფაში ნაკლებად გათვითცნობიერებული და თურქეთისა და თურქი ხალხის ზედაპირულად მცოდნე მთარგმნელების არსებობით, რომლებმაც სათანადოდ ვერ მიაწოდეს უცხოელ მკითხველს თურქული ლიტერატურა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას გამორჩეული მოდერნისტი მწერლების: აჰმეთ ჰამდი თანფინარისა და ოღუზ ათაის ნაკლებად ცნობადობა მსოფლიო ლიტერატურაში. ისინი არ მიეკუთვნებიან ადვილად სათარგმნ მწერალთა რიცხვს, მათთვის დამახასიათებელი წერის მანერით, თხრობის სტილითა თუ ენით (ოსმალურით, თანამედროვე თურქულით, ფრანგულად მოსაუბრე საზოგადოების სლენგით) ბევრ თავსატეხს უჩენენ მთარგმნელებს.

პერიფერიული ქვეყნების მწერლები, მსოფლიოს მკითხველამდე რომ მიეტანათ თავიანთი სათქმელი, იძულებულნი იყვნენ შეეცვალათ და განევითარებინათ ლიტერატურული გამოხატვის საშუალებები და მეთოდები.

თავისი წინამორბედებისგან განსხვავებით, ორჰან ფამუქმა, ამ დროისათვის საკმაოდ „ჩაკეტილი“ თურქული ლიტერატურის პირობებშიც კი, მოახერხა უცხოურ ლიტერატურაში დამკვიდრებული ნორმებისა და ხერხების გამოყენებით ეროვნული ტრადიციებისა და ყოფის ყოველგვარი შელამაზების გარეშე, უმტკივნეულოდ, ყველასათვის გასაგებ ენაზე ქვეყნის გარეთ გატანა. მაგრამ ამავედროულად იგი არასდროს ივიწყებს იმ თურქ მწერალთა გავლენას, რომელთა დამსახურებადაც მიიჩნევს თავის იმ ტიპის მწერლად ჩამოყალიბებას, როგორადაც ის ევლინება დღეს მსოფლიოს.

ორჰან ფამუქი მოდერნისტებზე საუბრისას ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს: „ჩემი გმირები არიან აჰმეთ ჰამდი თანფინარი, ოღუზ ათაი და უსუფ ათილგანი. მათი გავლენით გავხდი რომანისტი. თანფინართან დავინახე, თუ როგორ შეიძლება უყვარდეს ადამიანს თავისი წარსული, კულტურა და ამავე დროს იყოს სისხლით-ხორცამდე თანამედროვე. ოღუზ ათაისგან კი ვისწავლე საშუალო ფენის, ინტელექტუალთა ცხოვრების შესახებ წერა, ბედზე მომჩივანი ადამიანიდან ჩეხოვისეულ ადამიანის გაგებაზე გადას-

ვლა, დასავლური ინოვაციების გამოყენება და მისი მშობლიურად გარდაქმნა. ოღუხ ათაი ჯეიმს ჯოისის, ნაბოკოვის დიდ გავლენას განიცდიდა, მაგრამ მას, როგორც მშობლიურს, ისე ვკითხულობთ. ამიტომ მიყვარს უსუფ ათილგანიც. მანაც იგივე ფოლკნერისა და დასავლური ტექნიკის გამოყენებით შეძლო დარჩენილიყო ეროვნულ მწერლად. ესენი არიან ჩემი გმირები“ (1).

ფამუქის პოსტმოდერნისტ მწერლად ჩამოყალიბებაში, აგრეთვე, დიდი წვლილი მიუძღვის იტალიელ მწერალს, უმბერტო ეკოს, რომელსაც ის თავის „ინტელექტუალურ მამასაც“ კი უწოდებს. ფამუქი იხსენებს: „80-იან წლებში, როცა პოსტმოდერნისტულ, ექსპერიმენტზე ორიენტირებულ ავტორად ქცევას ვცდილობდი, ვკითხულობდი მის წიგნებს და ვრწმუნდებოდი, რომ მისეული პოსტმოდერნისტული სიგიჟმავე, ისტორიულ რომანში გამოყენებული გონებამახვილობა, ინტელექტი და ირონია ძალიან მეხმარებოდა. სამყაროს იმ ნაწილში, სადაც მე ვცხოვრობ, თავისებური პრობლემები გვაქვს ისტორიასა და ტრადიციებთან მიმართებაში. უმბერტოს წიგნები მიჩვენებდნენ გზებს, როგორ მივსულიყავი ამ პრობლემებთან ახლოს“ (2).

მე-20 საუკუნის თურქეთში არავინ ელოდა ორჰან ფამუქის მსგავსი მწერლის გამოჩენას, მწერლისა, რომელიც გულახდილიც იყო და თამაშობდა კიდევ კულტურული მეტაფორებით. მისი პირველი პოსტმოდერნისტული ნაწარმოების „თეთრი ციხესიმაგრის“ გამოჩენა თურქულ ლიტერატურაში შოკისმომგვრელი აღმოჩნდა თურქი მკითხველისთვის, რომელიც მანამდე არ იცნობდა ამ ტიპის თურქულ ლიტერატურას. ორჰან ფამუქმა ერთ-ერთმა პირველმა სცადა თანამედროვე ლიტერატურული ხერხებით აეხსნა ის ფაქტორები, რომლებიც იწვევდა დესტაბილიზაციას თურქულ საზოგადოებაში. ფამუქი ტრადიციონალისტი არ არის, მაგრამ ჯერ კიდევ აქვს იმ ტრადიციებისა და ღირებულებებისადმი პატივისცემა, რაც მას ბავშვობიდან მოჰყვება და ასე ნათლად ჩანს მის რომანებში.

თურქულ ნიადაგზე პოსტმოდერნისტული ლიტერატურის ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული გავლენა იქონია თვით ორჰან ფამუქის პიროვნებამ, მისმა არაორდინალურობამ. მან პირველმა შემოიტანა ეროვნულ ლიტერატურაში პოსტმოდერნისტული მსოფლმხედველობა: ჭეშმარიტების მრავალფეროვნების შეცნობა, რომელსაც არ მიეყვართ ერთ, ცენტრალურ ნიშნულთან, დინება, გახსნილობა და ამავდროულად ქაოსის შეგრძნება, თანამედროვე სამყაროს ფრაგმენტულობა, სამყარო, სადაც არ არსებობს ღირებულებების რაიმე კრიტერიუმები და „რწმენის კრიზისი“. ორჰან ფამუქის, როგორც მწერლის, თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მის შემოქმედებაში გვხვდება როგორც პოსტმოდერნისტული, ასევე არაპოსტმოდერნისტული ნაწარმოებები. ფამუქის შემოქმედებაში შინაარსობრივი და სტრუქტურული თვალსაზრისით წმინდა პოსტმოდერნისტული ნაწარმოებებია: „თეთრი ციხესიმაგრე“, „მე წითელი მქვია“, „შავი წიგნი“, „ახალი ცხოვრება“, „თოვლი“, „უმანკოების მუხეუმი“, „ჩემი უცნაური ფიქრები“, „წითური ქალი“. რომანები: „ჯევედეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები“ და „მდუმარე სახლი“ კი მოიაზრება სპეციფიკური პოსტმოდერნისტული წერის მანერის ჩარჩოებს მიღმა, ისინი უფრო ლოგიკურად ამზადებენ პოსტმოდერნისტულ ეტაპს ფამუქის შემოქმედებაში.

ორჰან ფამუქის შემოქმედება განიხილება თურქეთის ისტორიული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, იდეოლოგიური, კულტურული და ეკონომიკური ცვლილებების კონ-

ტექსტში, რომლებსაც განიცდიდა მისი ქვეყანა მე-20 საუკუნეში. ძირითადი ყურადღება ექცევა ისტორიულ ასპექტებს, რომლებიც დაკავშირებულია თურქეთის ევროპეიზაციის პროცესთან, აგრეთვე ქემალიზმის იდეოლოგიასთან, თანამედროვე თურქულ საზოგადოებაში ჩასახულ ექსტრემიზმთან, მასებზე სულ უფრო მზარდ „პოლიტიკური ისლამის“ გავლენასთან, ეროვნულ მოძრაობებსა და ქურთების თემასთან.

ორჰან ფამუქის შემოქმედება თავისი თემატური შინაარსით, მართლაც, გამორჩეულია. იგი ყველა ამ ისტორიულ მოვლენაში ხედავს მხოლოდ მთავარს - ოსმალური ტრადიციული მსოფლმხედველობის ახალი ღირებულებებით შეცვლის შედეგს. მწერლის აზრით, ქემალიზმმა თავის თანამემამულეებს წაართვა ინდივიდუალიზმის შეგრძნება. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ყოველ მის ნაწარმოებში იგრძნობა არასრულფასოვნების განცდა, მისი გმირები ვერ პოულობენ ადგილს თანამედროვე საზოგადოებაში, მუდმივად განიცდიან სიახლისა და ტრადიციულის დაკარგვის შიშს.

ორჰან ფამუქის შემოქმედებას მთავარ ლეიტმოტივად გასდევს თავისი თანამემამულეების თვითდენტიფიკაციის მცდელობა. თურქისთვის უცხო აღმოჩნდა ორივე კულტურა: ერთი მხრივ, დასავლური ინდივიდუალური კულტურა, რომელსაც საფუძვლად უდევს ქრისტიანობა და, მეორე მხრივ, მუსლიმური, რომელიც პოლიტიკური კონიუნქტურის ზეგავლენის ქვეშაა. ეს შინაგანი კონფლიქტი მუდმივად იგრძნობა მწერლის შემოქმედებაში. ის ფარულად აკრიტიკებს ქემალიზმს, მისთვის მიუღებელია ძალდატანებითი ევროპეიზაცია, უჩნდება შიში ინდივიდუალიზმის, ტრადიციულის დაკარგვისა, მაგრამ ამავდროულად მოსწონს დასავლური კულტურა, თავისუფალი აზროვნება და სურს, რომ მის ქვეყანაშიც ეს იყოს ბუნებრივი და არა ძალდატანებით თავსმოხვეული მიმბაძველობა. ეროვნებით თურქი ორჰან ფამუქისთვის თურქეთის იმპერიულ წარსულში მოგზაურობა არის მცდელობა, ახსნას მუსლიმური ქვეყნის ევროპეიზაციის პროექტის სიმულაცია. მწერალი კარგად ითავისებს იმ ფაქტს, რომ თურქი ცდილობს იცხოვროს როგორც ევროპელმა და მთელი ქვეყანაც ცხოვრობს ისე, თითქოს ის არ არის ის, რაც სინამდვილეშია. სწორედ ამაში ხედავს მწერალი თურქეთის ევროპეიზაციის პროცესის სიმულაციას და ამიტომაც არიან მისი გმირები უბედურები, დროში დაკარგულები და არ იციან, რომელი ცხოვრებისეული სტრატეგია აირჩიონ.

პოსტმოდერნისტული მიმართულებისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ელემენტის თანხლებით ფამუქის შემოქმედებას გამოარჩევს მისი კონტრასტული განწყობები. ერთი მხრივ, დასავლური და აღმოსავლური სამყაროების ერთმანეთთან დაპირისპირება და მწერლის განცდა, რომ თურქეთი ბოლომდე ვერ გახდა ევროპული შეხედულებების ქვეყანა, რომ თურქეთი ბოლომდე ვერ იღებს ევროპულ ცივილიზაციასა და ღირებულებებს, რომ თურქეთს, თითქოსდა, ეშინია ახალი, დასავლური ღირებულებების მიღებით არ დაკარგოს თვითმყოფადობა და, მეორე მხრივ, იგი მძიმედ განიცდის, როცა ხედავს, რომ თურქეთი ტრადიციების რღვევის რელსებზეა შემდგარი. თუმცა მე-19 საუკუნის ბოლოს თურქულ ლიტერატურაში არაერთხელ იქნა წამოწეული საკითხი დასავლეთის მიმბაძველობისა და ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვისა. მაგრამ ფამუქმა ეს თემა თავის შემოქმედებაში ახლებურად, სხვა რაკურსით დაანახა მკითხველს. მწერალმა ეს თემა თავის ნაწარმოებებში ფართოდ გაშალა ზედმეტად გავეროპელებული და ზედმეტად კონსერვატიული საზოგადოებების დაპირისპირების ფონზე.

ო. ფამუქის შემოქმედებაში მკვეთრად გამოირჩევა სამი ძირითადი შტრიხი. ესენია: ოჯახური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული კონტექსტი. მწერლის ნაწარმოებებში მთავარი სახია მისი ბიოგრაფია, ოჯახური ურთიერთობები და ამ ფონზე თურქეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გაშლა. და ეს ყველაფერი ინტერპრეტირებულია ფამუქისეული შეფასებებით. მის შემოქმედებას თუ გადავხედავთ, ნათლად დავინახავთ მესამე მნიშვნელოვან ხაზსაც - რომანის ჟანრის განვითარებას თურქულ ლიტერატურაში. ეს სამივე მთავარი შტრიხი კარგად გამოჩნდა მის პირველივე რომანში „ჯევედთ ბეი და მისი ვაჟიშვილები“ (1982 წ.).

„რომანი-ოჯახური ქრონიკა“ გვიჩვენებს, რომ მწერალმა გამოიყენა მე-20 საუკუნის პირველი ნახევრისათვის დამახასიათებელი წერის ტრადიციული მოდელი, როცა დომინანტური ჟანრი იყო „რომანი-მდინარე“. ოჯახური ქრონიკის მოვლენები იშლება მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან 70-იან წლებამდე, თუმცა წიგნში დასმული პრობლემები დღესაც აქტუალურია არა მხოლოდ თურქეთის, არამედ მთელი აღმოსავლური სამყაროსათვის. ერთი ოჯახის სამი თაობის ისტორიის ფონზე ასახულია თურქული საზოგადოების განვითარებისა და თურქეთის რესპუბლიკის ჩამოყალიბების რთული გზა. მისი გმირები არიან ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენლები, რომლებიც ცხოვრობენ ევროპული საზოგადოების ღირებულებებით.

„ჯევედთ ბეი და მისი ვაჟიშვილები“ მოდერნის შემდეგ კლასიკურ სტილში დაწერილი თანამედროვე რომანია. მასში ყველაზე ნაკლებადაა წარმოდგენილი პოსტმოდერნისტული ელემენტები. ფამუქი აღნიშნავს, რომ სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში, როცა ქმნიდა თავის პირველ რომანს „ჯევედთ ბეი და მისი ვაჟიშვილები“, ის მე-19 საუკუნის კლასიკოსების: ტოლსტოის, დოსტოვესკის, სტენდალის დიდ გავლენას განიცდიდა, მაგრამ ფოლკნერის, ვირჯინია ვულფისა და ამერიკული მოდერნისტული ლიტერატურის წყალობით მალევე გათავისუფლდა ამ გავლენისგან. „ასე მივედი იმ აზრამდე, რომ პირველ რიგში, რაც უნდა იცოდე, არის ის, რომ რომანისტიკა არის არა წესების სამყარო, არამედ წესების გარეშე სამყარო, ჩემამდე შექმნილი ლიტერატურა კი მხოლოდ ის ქვებია, რომელსაც ფეხს დაჰკრავ და მაღლა გააკეთებ ნახტომს!“ - ამბობს მწერალი (3, 8).

ო. ფამუქის მეორე რომანიც „მდუმარე სახლი“ (1983 წ.) ასევე არ შეიძლება ჩათვალოს პოსტმოდერნისტულ ნაწარმოებად, თუმცა მწერალი აქაც შესანიშნავად ახდენს თანამედროვე წერის ტექნიკის დემონსტრირებას: შინაგანი დიალოგი, ცნობიერების ნაკადი, სიუჟეტურ ხაზში თურქეთის ისტორიული რეალობის ფრაგმენტული ჩანართები და სხვა. რომანში ფამუქის საავტორო სტილის სპეციფიკას შეიძლება მივაკუთვნოთ ინტერტექსტუალური კავშირები მისივე სხვა ნაწარმოებებთან. აქ წამოჭრილი პრობლემები: იაკობინიზმი, გაუცხოება, არასრულფასოვნების განცდა - არახალია მსოფლიო ლიტერატურისათვის, მაგრამ ფამუქის, როგორც დიდი მწერლის, ღირსება იმაშია, რომ მეტ სიმძაფრეს სძენს კაცობრიობის მარადიულ სატკივარს. ამას ერთვის აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის საკითხიც, რომელიც ფამუქის შემოქმედებაში პირველად სწორედ „მდუმარე სახლში“ წამოიჭრა და შემდეგ მის სხვა ნაწარმოებებში ჰპოვა განვითარება. პირველად ამ რომანში დაფიქსირდა აზრი, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ზღვარის მოშლის მცდელობა განწირულია.

ფამუქის რიგით მესამე რომანი „თეთრი ციხესიმაგრე“ (1985 წ.) არის პირდაპირი მნიშვნელობით პოსტმოდერნისტული ნაწარმოები, სადაც მკაფიოდ ისმის ირონიული კრიტიკა ორიენტალიზმისა, რომელიც თავისი ვიწრო მნიშვნელობით აღმოსავლეთის ევროპული კლიშეებითა და სტერეოტიპებით ხედვასა და გაგებას გულისხმობს. რომანში კომიკურად გამოიყურება ჰოჯასა და ვენეციელი ტყვე ვაჭრის წყვილი, რომელიც წარმოადგენს ორი კულტურის სიმბოლოს. თურქულ ტყვეობაში აღმოჩენილი ვაჭრის თავგადასავალი, რომლის ბოლოსაც ის ტყვე მონიდან გადაიქცევა ჰოჯას საუკეთესო მეგობრად და დამრიგებლად, წარმოადგენს ტექსტის მხოლოდ ზედაპირულ იდეას. ფამუქი რომანში, როგორც პოსტმოდერნისტი, არღვევს წარსულის, აწმყოსა და მომავლის კავშირსა და თანმიმდევრულობას და აცამტკვერებს „ნათელი მომავლის“ იდეას, რომელიც წარმოდგენილია „თეთრი ციხესიმაგრის“ სახით. სწორედ ამიტომაც, რომ ოსმალთა ჯარი წლების მანძილზე ვერ ახერხებს თეთრი ციხესიმაგრის ხელში ჩაგდებას. უფრო მეტიც, რომანში მომავალი წარმოდგენილია, როგორც კატასტროფა, რაც სრულიად შეესატყვისება პოსტმოდერნისტულ მსოფლმხედველობას - უწყვეტ მოძრაობას ცივილიზაციის „გარდაცვალებისაკენ“.

ფამუქის შემოქმედებაში ფართოდაა წარმოდგენილი მე-20 საუკუნის ბოლოს თურქულ ლიტერატურაში განვითარებული დეტექტიური ჟანრი. მის რომანებში: „ახალი ცხოვრება“, „მე წითელი მქვია“ და „შავი წიგნი“ დეტექტიური ჟანრის თანამედროვე ნარატიულ პრინციპებთან შესაბამისობას ადასტურებს „ორმაგი თამაშის“ ხერხი როგორც ავტორსა და მკითხველს შორის, ასევე დეტექტივსა და დამნაშავეს შორის.

ფამუქმა რომანში „თეთრი ციხესიმაგრე“ წარმოდგენილი იდეები და წერის მანერა კიდევ უფრო განავითარა შემდეგ ნაწარმოებში „შავი წიგნი“ (1990 წ.), სადაც გაორების თემა უფრო მკვეთრი ფერებითაა წარმოდგენილი. წიგნის სიუჟეტი ბევრ შემთხვევაში იმეორებს და ახდენს შუა საუკუნეების აღმოსავლურ ლიტერატურაში განვითარებული სიუჟეტური ხაზის პაროდირებას, სადაც გმირი დაკარგული სატრფოს ძიებაში თავის თავში აღმოაჩენს ახალ სულიერ ძალასა და საყრდენს. რომანი გაჯერებულია დასავლურ და აღმოსავლურ ლიტერატურასთან ინტერტექსტუალური კავშირებით. წიგნში გმირის მოგზაურობა სტამბოლში და მასთან დაკავშირებული თავგადასავლები სრულად შეესატყვისება საკუთარი თავის ძიებაში მყოფი სულის სუფისტურ მოტივებს. ამგვარად, წინა პლანზე გამოდის ფამუქის შემოქმედების მთავარი თემა - თურქების ეთნო-კულტურული თვითიდენტიფიკაციის პრობლემა.

რომანში „ახალი ცხოვრება“ (1994 წ.) ჩნდება ახალი სტილისტური თავისებურებები, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს პერსონაჟების თვისობრივად მახასიათებელი სახელების, ე.წ. „მოლაპარაკე სახელების“ ფართოდ გამოყენებას. ავტორის მიერ გმირებისათვის შერქმეული სახელები განსაზღვრავენ მათ ხასიათსა და ქმედებებს. რომანის ამ ჟანრობრივ მოდელში ერთიანდება დეტექტიური, მისტიკური და სათავგადასავლო ელემენტები გროტესკის ელემენტებთან ერთად. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ინტერტექსტუალური კავშირები (როდესაც ფამუქი მიმართავს რილკესა და დანტეს გამოცდილებას) და სიმბოლოების მთელი კოლაჟი (წიგნები, ანგელოზები, ლაბირინთი, სიკვდილი, როგორც ახალი სიცოცხლის დასაწყისი და სხვ.). აქაც აქტუალურია საკუთარი თავის ძიება, მარტოობის განცდა.

რომანი „მე წითელი მქვია“ (1998 წ.) გადმოცემის ფორმით წინამორბედებთან შედარებით ბევრად მრავალფეროვანია. მე-16 საუკუნის თოვლიან სტამბოლში ცხრა დღეში განვითარებული სიუჟეტის ფონზე აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციები ეჯახება ერთმანეთს. პოსტმოდერნისტულ დეტექტიურ ჟანრში დაწერილ რომანში მკვლელი, მოკლულები, მათი მეგობრები, ძაღლები, ხეები, ნახატები, ფული და, რაც მთავარია, წითელი ფერი - რომანის მთავარი ხმა - ცალ-ცალკე მოგვითხრობენ ჯერ ერთი მხატვრის, შემდეგ მხატვართუხუცესის მკვლევლობის ამბავს. წინამორბედი რომანის მსგავსად ავტორი აქაც აგრძელებს ე.წ. „მოლაპარაკე სახელების“ ხაზს. წიგნის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, როგორც ნამდვილი პოსტმოდერნისტული გმირი, აწყდება რა მისტიკურ და ირაციონალურ მოვლენებს, იწყებს გამოძიებას, ცდილობს ცოდნისა და ლოგიკის საშუალებით გაიგოს სიმართლე და ჩასწვდეს ირაციონალურს. ავტორი მკითხველს აბამს ამ თამაშში, გმირებთან ერთად დაჰყავს ლაბირინთებში და სხვადასხვა კოდებითა და მინიშნებებით მიჰყავს კვანძის გახსნისკენ, მაგრამ მაინც უტოვებს მკითხველს „ღია“ ადგილებს ინტერპრეტაციისთვის.

ფამუქი თავისი რომანების პარადელურად აკეთებდა ჩანაწერებს, რომლებიც 1999 წელს გამოვიდა კრებულის სახით „სხვა ფერების“ სახელწოდებით. როგორც ჩანაწერების ტექსტების ფორმები (ესე, სტატია, საჯარო გამოსვლა, ინტერვიუ, მოთხრობა...), ასევე მათი თემატიკაც განსხვავებულია: კულტურათა დაპირისპირება, ისტორია, პოლიტიკა, რელიგია, თანამედროვე და კლასიკური ლიტერატურა... ამ მასშტაბურ თემებზე მსჯელობა წიგნის მხოლოდ ნაწილია. აქვია ჩანაწერები, რომლებიც ყოფით და, შესაძლოა, მკითხველისთვის უფრო საინტერესო ამბებს ეხება; ის გულახდილად საუბრობს საყვარელი მწერლების: ფიოდორ დოსტოვესკის, აჰმეთ ჰამდი თანფინარის, ოლუხ ათაის, ქემალ თაჰირისა და სხვათა შემოქმედებაზე, ქალიშვილ რუიასთან მეგობრობის, მისი კინოს სიყვარულის, საზოგადოებისა და საკუთარი შიშებისა და პარანოიის შესახებ, როგორ დაანება თავი მოწევას, ან რა ახირებები აქვს მაჯის საათებთან დაკავშირებით... ჩანაწერების გარდა კრებულში შედის ერთი ავტობიოგრაფიული მოთხრობა „ფანჯრიდან მხერა“, რომლის მთავარი თემაა მოთხრობელის ბავშვობაში გადატანილი ტრავმა, რომლის შემდეგაც მთავარი გმირი განიცდის მთლიანობის დაკარგვის, მარტოობისა და წარუმატებლობის განცდას, რასაც თან ახლავს ქვეცნობიერად ემბრიონად გადაქცევისა და დედის სხეულში დაბრუნების გაუცნობიერებელი სურვილი. ერთი მხრივ, მოდერნიზმისათვის დამახასიათებელი ამ სიმბოლოების გამოყენებით, მეორე მხრივ, ზიგმუნდ ფროიდის ფსიქო-ანალიტიკური და კლასიკური მითოლოგიის მოტივების ერთმანეთში აღრევით ფამუქი წარმოგვიდგება ერთსა და იმავე დროს როგორც მოდერნისტი, ისე პოსტმოდერნისტი მწერლად.

„ჩემი პირველი და უკანასკნელი პოლიტიკური რომანი“ - ასე დაასათაურა ფამუქმა რომანი „თოვლი“ (2002 წ.), რომელიც 70-იანი წლების თურქული პოლიტიკური რომანის პოსტმოდერნისტული, პაროდული ვარიანტია. მწერალი, პოსტმოდერნისტული თითქმის ყველა ხერხის გამოყენებით, იქნება ეს „ავტორის ნიღაბი“, თეატრალური ფარსი, ე.წ. „მოლაპარაკე სახელები“ თუ ინტერტექსტუალური კავშირები როგორც საკუთარ, ისე სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებთან - დაუნდობლად კიცხავს და ყოველგვარი შელამაზების გარეშე წარმოაჩენს რეალობას.

ფსევდოავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში „სტამბოლი - მოგონებები და ქალაქი“ (2003 წ.) ავტორი ხდება პოსტმოდერნისტული გმირი, რაც ზუსტად შეესაბამება პოსტმოდერნიზმის სულისკვეთებას. მშობლიური ქალაქის ფონზე მწერლის მიერ დახატული ოჯახური პორტრეტი, მოგონებები და მის მიერ განცდილი და დანახული მეღანქოური სტამბოლი - ავტორსა და ტექსტს შორის აყალიბებს განსაკუთრებულ ურთიერთობას. პირველ რიგში აღსანიშნავია ნარატივის ფრაგმენტულობა, რომლითაც მწერალი საბოლოოდ ერთიან სურათს კრავს. წარსული, აწმყო და მომავალი ტექსტში იმის მიხედვით ირევა, თუ რა დროს რა გაახსენდება მთავარ პერსონაჟს. ეს არის წიგნი ფამუქის პირადი ალბომიდან და არქივებიდან მოძიებული ფოტოსურათების თანხლებით აქამდე მკითხველისთვის სრულიად უცნობი სტამბოლისა და მწერლის წარსულში მოგზაურობის შესახებ.

პოსტმოდერნისტული რომანის ერთ-ერთ მთავარ თავისებურებას, აგრეთვე, წარმოადგენს მკითხველის ჩაბმა პროცესში - ის უკვე აღარ არის შორიდან მაყურებელი. მკითხველი ერთვება ამ პროცესში და რომანის გმირებთან ერთად მოვლენების თანამონაწილე ხდება. ამის ყველაზე კარგი მაგალითია ორჰან ფამუქის რომანი „უმანკობის მუზეუმი“ (2008 წ.). ერთი მხრივ, სიყვარულის ისტორიას, მეორე მხრივ, 70-იანი წლების სტამბოლის ამბავს ორი მთხრობელი ჰყავს: მთავარი გმირისა და თვით ორჰან ფამუქის სახით, რომელიც მთავარი გმირის გარდაცვალების შემდეგ აგრძელებს თხრობას. მწერალი ეთამაშება მკითხველს, როცა მკითხველი მთავარ გმირს (ქემალს) აღიქვამს ავტორად და შეგრძნებაც კი ეუფლება, რომ ეს მთავარი გმირი ფამუქია, ამ დროს ჩნდება რომანში პერსონაჟი - მწერალი, სახელად ორჰანი, როგორც ამბის ერთ-ერთი მონაწილე და მთხრობელი. სასიყვარულო ისტორიის ბოლოს მწერალი მკითხველს აჩვენებს გზას, რომელსაც იგი სტამბოლის ერთ-ერთ უბანში მწერლის მიერ გახსნილ მუზეუმში მიჰყავს. მუზეუმში მოხვედრილი მკითხველი რომანის ერთ-ერთ გმირად გრძნობს თავს. მუზეუმში კარგი დასტურია იმისა, რომ პოსტმოდერნიზმი ორჰან ფამუქისთვის არ არის მხოლოდ ლიტერატურული მოვლენა, რომ ის მისი ცხოვრების სტილიცაა.

„პოსტმოდერნიზმის თეორეტიკოსები ამგვარ მოვლენებს აღიქვამენ, როგორც თავიანთი ეპოქის სახეს, ანუ სოციალურ სახეს. ამავე დროს, პოსტმოდერნისტული ხელოვნება კვალავაც ქმნის ეპოქის მხატვრულ სახეებს. ხშირად ამგვარი ხელოვნებისათვის რელური სულიერი ვითარების ასახვის ფორმა ხდება ყოფიერი რეალობის სახეთა გამოვლინება. მხატვრული სახე იქმნება სოციალური სახის სახეობრიობის დაფიქსირებით. მაგალითად, მხატვარმა შეიძლება საგამოფენო ექსპონატად აქციოს ყოფის ესა თუ ის საგანი, რათა დააფიქსიროს ყოფიერებაზე მიჯაჭვულობა ან, მეორე მხრივ, ყოფიერების, მატერიალური სამყაროს ნამდვილობის ძიება“ (5, 426-427).

რომანში „ჩემი უცნაური ფიქრები“ (2014 წ.) ორჰან ფამუქი კვლავ საყვარელი ქალაქის - სტამბოლის თემას უბრუნდება და მთავარი გმირის თავგადასავლის აღწერის ფონზე აცოცხლებს ქალაქის ცხოვრების თითქმის 40 წლის (1969-დან 2012-მდე) ისტორიას. წიგნი დიდი ადგილი აქვს დათმობილი სტამბოლის ქუჩებს, ძველ არქიტექტურას, ტრადიციებს. როგორც მწერალი თავად ამბობს, ეს არის მე-19 საუკუნის სტილში დაწერილი ძველმოდური რომანი.

რაც შეეხება ორჰან ფამუქის პოსტმოდერნისტულ შეხედულებებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ განსაკუთრებით ბოლო ხანებში დაწერილ მის რომანებში „ინტერტექსტი“ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, ანუ ერთმანეთისგან განსხვავებული ტექსტების კავშირი მასთან ბუნებრივი პროცესია. ეს ეხება არა მარტო მისი რომანების ერთმანეთთან თემატურ კავშირს, არამედ მსოფლიო ლიტერატურასთან სიახლოვესაც. ამ მხრივ გამოირჩევა 2016 წელს გამოცემული რომანი „წითური ქალი“, რომელიც წარმოადგენს ინტერტექსტუალობის შესანიშნავ მაგალითს. სოფოკლეს „ოიდიპოსისა“ და ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ისტორიების შთაბეჭდილების ქვეშ მყოფ მთავარ გმირს მთელი სიცოცხლის მანძილზე თან სდევს დანაშაულის გრძობა, რომელიც აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების სიღრმეებიდან იღებს სათავეს.

ორჰან ფამუქის ნაწარმოებებს ერთი მთავარი საკითხი - იდენტობის პრობლემა აერთიანებს. პიროვნული თუ ეროვნული იდენტობის თემა თვითმყოფადობის შენარჩუნება-არშენარჩუნებასთან ჭიდილში სხვადასხვაგვარად წარმოჩინდება მის რომანებში. რომანის „ჯევედთ ბეი და მისი ვაჟიშვილების“ გმირები ისტორიის ცვალებადობაში ეძებენ ხელის მოსაჭიდსა და საყრდენს, ცდილობენ განსაზღვრონ თავიანთი ადგილი ახალ საზოგადოებაში და თავიანთი ქვეყნის ადგილი სწრაფად განვითარებად მსოფლიოში. „შავი წიგნის“ მთავარი გმირი გალიფი დაკარგული ცოლისა და ბიძაშვილის ძებნაში ცდილობს რა საიდუმლო ნიშნებისა და კოდების ამოხსნას, ხვდება უცნაურ სამყაროში, სადაც ძნელია რეალურის ფანტასტიკისგან გარჩევა. ეს ძებნა-ძიება იშლება რამდენიმე მიმართულებით სხვადასხვა აზრობრივ პლანში. რომანში წამოწეულია თურქების ეთნოკულტურული თვითიდენტიფიკაციის პრობლემა. მწერლის აზრით, ქემალისტური იდეოლოგიის გამოისობით მისი თანამემამულეები „გაიჭედნენ“ ორ სამყაროს შორის, ისინი არ ეკუთვნოდნენ არც თანამედროვე დასავლეთს და აღარც თურქულ-ისლამურ კულტურას. რომანში მკვეთრად ისმის მწერლის მთავარი გზავნილი, რომ ყველაზე რთულია იდენტობის შენარჩუნება და ერი, რომელიც ამ საკითხს არ გადაჭრის, განწირულია გადაშენების, ნგრევისა და მონობისათვის. რომანში „მე წითელი მქვია“ ფამუქი კვლავ უბრუნდება თურქების მიერ ეთნიკური და კულტურული თვითმყოფადობის დაკარგვის თემას. მწერალი ცდილობს ჩაწვდეს, თუ როდის დაიწყო ეს პროცესი და რომელი კულტურისა და ტრადიციების დაკარგვა გამოიწვია ამ პროცესმა. ფამუქი წიგნში „სტამბოლი - მოგონებები, ქალაქი“ აღწერს, როგორ იმოქმედა მშობლიურმა ქალაქმა მის ცხოვრებასა და მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე. რომანებს „სხვა ფერები“ („ფანჯრიდან მზერა“) და „წითური ქალი“ მწერლის სხვა ნაწარმოებებისგან გამოარჩევს ის გარემოება, რომ მათი მთავარი პერსონაჟები არიან არა მოწიფული ადამიანები, არამედ - ბავშვები და ამგვარად, მათში მოთხრობილი ამბები სხვებისგან განსხვავებით არ წარმოადგენს ადრე არსებული იდენტობის ცვლით ან დაკარგვით გამოწვეული პრობლემებისა თუ სევდის დემონსტრირებას, არამედ პირიქით - გვიჩვენებს ახალ გარემოში ახალი იდენტობის, ახალი „მეს“ ჩასახვის პროცესს და ფრანგი ფსიქონალიტიკოსი ჟაკ ლაკანის კონცეფციის მსგავსად, „სარკისებური მე“-ს „სოციალურ მე“-დ გარდაქმნის პროცესს.

ფამუქის შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას აგრეთვე წარმოადგენს ნაციონალური აღგზორის გამოყენება. მას, თავისი გმირების სულიერ სიმარტოვეზე, გარემოსთან და ირგვლივ მყოფ საზოგადოებასთან გაუცხოებაზე, მათ მსოფ-

ღმსხედველობასა თუ ყოფაზე საუბრისას წინა პლანზე გამოაქვს ზოგადად საზოგადოების სახე. მან ამით შეძლო, გარედან დაენახა ის საზოგადოება, რომლის წევრადაც თვლის საკუთარ თავს. მწერლის მიერ გარედან დანახული პერსონაჟები ატარებენ ყველა იმ სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ თუ რელიგიურ ნიშან-თვისებას, რაც დამახასიათებელი იყო ამა თუ იმ პერიოდში თურქული საზოგადოებისთვის. „განსხვავება ორჰან ფამუქსა და სხვა თურქ მწერლებს შორის, რომლებიც იყენებენ ნაციონალურ აღეგორიას, არის ის, რომ მან შეცვალა მიდგომა: „შიდა მხარე“ დაანახო „შიგნით მყოფ მკითხველს“ ახალი მიდგომით - „შიდა მხარე“ დაანახო როგორც „შიგნით მყოფ“, ისე „გარეთ მყოფ“ მკითხველს. სწორედ, ესაა მისი წარმატების საიდუმლო“ (6, 71).

ორჰან ფამუქი თავისი ლიტერატურული იდენტობით ევროპელია. იგი თავადაც აღნიშნავს, რომ აღმოსავლურ ფესვებზე ამოზრდილი დასავლური მსოფლმხედველობის მქონე ადამიანია. ევროპელობისაკენ სწრაფვა და გულისწყვეტა იმაზე, თუ რატომ ვერ გახდნენ თურქები დღემდე ევროპელები, მისი პოსტმოდერნისტული რომანის მთავარი ლეიტმოტივია. იგი კარგად გრძნობს, რომ დიდი უფსკრული ყოფს აღმოსავლეთსა და დასავლეთს, თურქსა და ევროპელს. “Corriere Della Sera“ იტალიური გაზეთის კითხვაზე: შეძლებენ კი თურქები როდესმე ევროპელების გაგებას, მწერალი პასუხობს: „ამისათვის თურქებმა ჯერ საკუთარ თავს უნდა გაუგონ!“ (7).

ლიტერატურა:

1. Kültür Sanat Haberleri, İkur Yazar, “Orhan Pamuk: Kahramanlarım Ahmet Hamdi Tanpınar, Oğuz Atay ve Yusuf Atılgan’dır” 18.08.2013.
<https://okuryazarsanat.wordpress.com/2013/08/18/orhan-pamuk-kahramanlarim-ahmet-hamdi-tanpinar-oguz-atay-ve-yusuf-atilgandir>.
2. Frankfurter Allgemeine, 22.02.2016.
3. Biçer Bora, Orhan Pamuk’un Romancılığı ve Romanları Üzerine Bir İnceleme. Isparta: Süleyman Demirel Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü. 1998.
4. ПОГ Анна, Жанрово-Стилевые Модели Современного Турецкого Романа (80-90г.) Украина, 2006.
5. წიფურიან ბ., ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნულ კონტექსტში, თბ., 2016.
6. DOĞAN Zafer, Orhan Pamuk Edebiyatında Tarih ve Kimlik Söylemi, İstanbul, 2014.
7. Corriere Della Sera, 2007, თებერვალი.

Rusudan Khomeriki
The Literary Identity of Orhan Pamuk
Summary

The article discusses the work of the Turkish postmodern literature leading novelist Orhan Pamuk, his place in Turkish and world literature, as well as the influence of Turkish and European literature on his works. Orhan Pamuk's work is presented in the context of historical, socio-political, ideological, cultural, and economic changes in Turkey, which the country experienced in the

XX century. The article contains a brief analysis of Pamuk's novels and notes that he is a European writer with a Western outlook on the Eastern roots.

Русудан Хомерики
Литературная идентичность Орхана Памука
Резюме

В статье рассмотрена деятельность ведущего романиста терецкой постмодернистской литературы, писателя нобельянта Орхана Памука, его место в турецкой и мировой литературе, влияние турецкой и европейской литературы на его творчество. Творчество Орхана Памука представлено в контексте исторических, общественно-политических, идеологических, культурных и экономических перемен, которые имели место в его стране в XX-ом веке. В статье представлен короткий анализ произведений Памука и отмечено, что он является европейским писателем, с восточными корнями и западным мировоззрением.

ვიკა ქარდავა

(საქართველო)

ანგლოამერიკული რემინისცენციები კონსტანტინე გამსახურდიას პროზაში (ნოველებსა და „ბოეტას ცხოვრების რომანზე“ დაყრდნობით)

კ. გამსახურდიას უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობა მრავალი რაკურსითაა საკვლევ. ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ანგლოამერიკული რემინისცენციები ნოველებსა და რომან „ბოეტეს ცხოვრების რომანში“.

მკვლევარ ზაზა გოგიას აზრით, მეოცე საუკუნის „ათიანი წლების მიწურულიდან იწყება საკაცობრიო კულტურის არეალში საკუთარი პიროვნული თუ ეროვნული იდენტობის, როლისა და ადგილის თანდათანობითი ძიების პროცესი. ამ გზაზე ყველაზე მკაფიო ორიენტირად პოსტბიურგერული გერმანიის ინტელექტუალური სამყარო იქცა, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობდა არა მხოლოდ ცალკეულ კონცეფციათა, მთელ კულტურათა (ხაზი ჩვენია - ვ. ქ.) გეოგრაფიული, რასობრივი, ენობრივი ნიშნებით გადახარისხების პროცესი“ (3, 57).

„მთელ კულტურათა“ სივრცეში ანგლოამერიკული სამყაროც მოიაზრება.

ინგლისურ ცივილიზაციასთან დაკავშირებულ პასაჟებს მრავლად ვხვდებით კ. გამსახურდიას ნოველისტიკაში. ეს, ძირითადად, ცალკეული დეტალია, შტრიხი. მწერალი ბრბოში გამოარჩევს ინგლისელის ფსიქოლოგიურ და ვიზუალურ ტიპს:

„შემდეგ სადგურზე კოხტად თმაგადავარცხნილი, ინგლისურ კოსტუმიანი ჯენტლმენები შემოვიდნენ. ორი უქულო ვაჟია, ორივე ორიგინალურად ჩაცმული. ორთავეს სტეკები უჭირავთ ხელში, დაჯდომისას ორივემ შარვლები წამოიწიეს. ორივეს ლილისფერი წინდები უჩანდათ და გვერდის ჯიბიდან ლილისფერივე ცხვირსახოცები“ (2, 32).

სხვა ტექსტში ამერიკა გაკრთება, როგორც კულტურის ანტითეზური პარადიგმა:

„- ომმა ცხოვრება გააძვირა „მონ შერ ამი“, ცხოვრება შეუძლებელი გახდა. ჩვენსას ერთი ამერიკელი ჟურნალისტი იყო, მან დიდი ფული შემომთავაზა ჩვენს პორცელანში ნიუ-იორკის ერთი მუზეუმისთვის, მეტი გზა არ იყო, უნდა გაგვეყიდა... - მითხრა ბარონმა, როცა დამიმარტოხელა სალონში“ (2, 27).

„სად არის ნეტავ ბარონ როსტრუპის პორცელანი? ვფიქრობ ხანდახან... ეგებ ნიუ იორკის რომელიმე მუზეუმში. კმ, მუზეუმი! მუზეუმი სხვა რაღაა თუ არა უშველებელი სასაფლაო, სადაც ყოველი ერი, ყოველი რასსა, თავის გრძნობებს ჰმარხავს... დიდი საფლავი მიცვალებულ გრძნობათა, დრომოჭმულ ფერადებისა და რითმების...“ (2, 28).

ნოველაში „ლილ“ ინგლისის ცივილიზაციის (აქ: მედიცინის) პარადიგმულ სახედ ჩნდება:

„საგანგებოდ შევიძინე ინგლისური სამგზავრო აფთიაქი, გადაწყვეტილი მქონდა, მთელი ჩემი სიცოცხლე მეარნა, და ხალხი განმეკურნა ამ საშინელი სენისაგან, რომელიც ასე უმოწყალოდ მუსრავს ჩვენს მხარეში მცირეწლოვანებს და მოზრდილებს სამუდამოდ ასახიჩრებს. მაღარია ჩვენი უდიდესი ეროვნული უბედურება“ (2, 58).

საინტერესოა კოლხური და ბრიტანული ფსიქოტიპების შედარება (ამავე ტექსტში):

„მე საოცრად გამახელა ამ დედაკაცის კადნიერმა მოპყრობამ, რაც ჩემს ღონეუანურ პრაქტიკაში ერთხელაც არ მიგემნია. ექიმის ცოლი ჩინებულად იფერებდა თავის მეფურ სილამაზის უპირატესობას, მაგრამ ზედმიწევნით სინაზით უღიმოდა მის გვერდით მჯდარ თავადყოფილს, ანჩაბაძეს, რომელიც თავისი აბხაზურ-მეგრული დუენტლმენური ქცევითა და სიტყვა-პასუხით, ალბათ, რომელიმე ლედი ბიკონსფილდსაც კი მოხიბლავდა“ (2, 51).

მწერალი ხანდახან საკუთარ თავს (ღირიკულ ალტერ ეგოს) ინგლისურ ტიპაჟად წარმოადგენს:

„არა, მე ჩემსავე „მე“-ს შევეჩხე. მას, მეორეს, ნაცრისფერი ფორეჯიანი, ინგლისური ჰომპსონის კოსტიუმი ეცვა. მაღალი ჩალისფერი ქუდი ეხურა, ქედანისფერ ზორტშემორტყმული ჟღალი, შვედური ტყავის თათმანი. მრგვალცხვირიანი, სქელლანჩებიანი ამერიკული ფეხსაცმელი“ (2, 97).

ერთდროულად ტრაგიკულ-გროტესკულია უბირი ადამიანის მიმართება ბრიტანულ იმპერიასთან კონსტანტინე გამსახურდიას ნოველაში „ქოსა გახუ“: „ერთი ამ ბოლშევიკებს მინდა ვუჩივლო. რა იქნება, ანგლიაში რომ მიმიწეროთ?“

„როგორ? ინგლისთან გინდა ქართველ კომუნისტებს უჩივლო?“

„თქვენ რას იტყვით? ანგლია ყურადღებას არ მიაქცევს ჩემს თხოვნას?“

„პა, პა, პა, ეს არსად წავცდეს, ჩემო ტაგუ, თორემ ორივეს ფეხით მოგვიხდება საიქიოს წასვლა“.

„მერე ავუხსენი ტაგუ სამუგიას, რომ კომუნისტები ინგლისის მთავრობას არ ექვემდებარებიან და არც ინგლისი გამოიდებს თავს მისი ჩამურის გამო“ (2, 178).

„ვერცხლის ბეჭედში“ ვეროპელთა დამოკიდებულება ცნაურადღება ბრიტანეთისადმი:

„გარდა ამისა, ჩვენ, ფაშისტები, განა მარტო ებრაელებს ვებრძვით, ყველას, ვინც სლავებს და ინგლის-საქსონებს მხარში უდგას ამ გადამწყვეტ ომში“ (2, 399).

ამავე ტექსტში ინგლისისა და ამერიკის სხვა რეფლექსიებიც გვხვდება: „გვიან გავიგე ბევრი რამ. ტფილისში მობრუნებულს შემთხვევით ჩამივარდა ამერიკული ჟურნალის "THE JOURNAL OF AMERICAN MEDICAL ASSOCIATION"-ის რამდენიმე ნომერი, თურმე ფაშისტი ფიზიკოსები და ექიმები ბოკმაიერისებრ ცდებს აწარმოებდნენ აუშვიცის და დახაუს საკონცენტრაციო ლაგერებში. ნიურნბერგის პროცესში გაასამართლეს 29 გერმანელი ფიზიკოსი, რომელთა გაუგონარი გულმხეცობის ამბავი მოახსენა სამსჯავროს ამერიკელმა დოქტორმა ივიმ: ფიზიკოსები კანქვეშ უშხაპუნებდნენ თურმე ტყვეებს ტუბერკულოზის და ტიფის ბაცილებს, აწარმოებდნენ ფაჩუნური ნაწილებიდან გლუადგილებზე თმების გადანერგვას“ (2, 401).

„ინგლისელი დოქტორ ბრეიდ მოგვითხრობს: ათონელი ბერები ექსტატიურ ლოცვის დროს შეიპყრო კატალეპტიურმა ძილმა. მონასტრის წინამძღვარმა სიტყვით გამოაბრუნა ისინი“ (2, 409).

„მტრების მეგობრობაშიც“ გაკრთება ინგლისის (კონკრეტულად, ინგლისური ენის ალუზია):

„როცა პატიმრები დაიძინებდნენ, მე ავიღებდი ჩემს ბიბლიას, ამავე წიგნის ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ თარგმანს და ქართულს ვადარებდი ამ სამ ენაზე თარგმნილს“ (2, 420).

უაღრესად საინტერესო ანგლოამერიკულ რემინისცენციებს ვხვდებით კონსტანტინე გამსახურდიას მრავალმხრივ საინტერესო თხზულებაში „გოეტეს (ტრანსკრიფცია ავტორისეულია - ვ. ქ.) ცხოვრების რომანი“, რომელიც მწერლის ადრეულ ტექსტებს განეკუთვნება.

ამოვწერ ციტატებს საილუსტრაციოდ:

„(გერმანელებს) ჯერაც არ ჰქონდათ შეგნებული, რომ ბავშვებს საკუთარი იდეური სამყარო მოეპოვებათ და, მაშასადამე, საგანგებო ბიბლიოთეკა უნდა მიუჩინო. კიპლინგი ჯერაც არ იყო დაბადებული და არც ფრანგული, ინგლისური და გერმანული პირველხარისხოვანი საბავშვო ლიტერატურა არსებობდა“ (2, 13). იმდროინდელ გერმანიაში ჯერაც შუა-საუკუნეთა მემკვიდრეობა მძლავრობდა, ჟამი, კეთრი და ყვაველი მუსრს ავლებდა ხალხს. აცრას ჯერ კიდევ იჭვის თვალთ უცქერდნენ. ზოგიერთი ავანტიურისტი ინგლისელი ევროპის ხმელზე გადმოდიოდა და ფრიად წარჩინებულ ოჯახის წევრებს უცრიდნენ, უშველებელ ჯილდოს ღებულობდნენ გასამრჯელოდ (1, 14).

„გრაფ დე ტორნაკის და მხატვარ ზეკაცის მენტორობით ეცნობა [პერსონაჟი] პლასტიურსა და თეატრალურ ხელოვნებებს. პარალელურად მამის სასტიკი პედაგოგიური განსწავლის წყალობით ლათინურს, იტალიურს და ინგლისურს სწავლობს“ (1, 21) გამსახურდია ერთურთს ადარებს აღზრდის ინგლისურ-გერმანულ სისტემებს:

„ბუნება, ოჯახი და აღზრდა, პატრიციული ოჯახის ბიურგერული მორალი, ეს ყოველივე შეზღუდულ ატმოსფეროს ბადებდა ყრმა ვოლფგანგის გარშემო. „რობინზონ კრუზოსა“ და ინგლისურ სენტიმენტალურ რომანებს, მოგზაურობის მემუარებს დაწაფებული ბავშვის ფანტაზია რაიმე არაჩვეულებრივისა და სახიფათო განცდის მონატრებული იყო“ (1, 27). გამსახურდია ეპოქალურ ქრონოტოპოსსაც მიაპყრობს ყურადღებას:

„მხატვრობით, ლიტერატურითა და ენებით უზომოდ დაინტერესებულ ჭაბუკს უშველებელი ასპარეზი თვალწინ გადაეშალა. ლაიპციგი მაშინაც წიგნით ვაჭრობის მსოფლიო ბაზარი იყო, სწორედ ლაიპციგის მესხე. მაშინაც ამ მესხეზე ჩამოდიოდნენ მთელი ევროპის და აზიის სხვადასხვა კუთხის ვაჭრები, ინგლისელები, ესპანელები, ფრანგები, იტალიელები, ბალკანელები, თურქები, რუსები, ჩინელები, სპარსები. ზოგს თავიანთი ნაწარმოები მოჰქონდა, ზოგიც საქონლის შესაძენად ჩამოდიოდა“ (1, 46) [ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო პასაჟი ლაიპციგის წიგნის ბაზრობის შესახებ. დიდი კულტურტრეგერი - კ. გამსახურდია დეტალითაც დიდი ინფორმაციას გვაწვდის].

გარდა საკუთრივ გოეტესი, მწერალი სხვა პერსონაჟთა პორტრეტებსაც გამოკვეთს: „შლოსერი თავათ მწერლობდა. უცხო ენების ცოდნაში ფრიად დახელოვნებული იყო, ლექსსა და პროზას სწერდა, ინგლისურ პოეზიის ნიმუშებს დიდ უპირატესობას აძლევდა და მომეტებულის სიამოვნებით სწავლობდა ინგლისურ ფილოსოფიასა და ლიტერატურას“ (1, 50). „ხშირი მიმოსვლა ჰქონდა ვოლფგანგს ბრაიტკოფის ოჯახთან, ამ უკანასკნელმა გამოიგონა პირველად ნოტების ბეჭდვა, მისნი ქალ-ვაჟნი მუსიკას ეტანებოდნენ, ვოლფგანგს უყვარდა შინაური მუსიკაც“ (1, 52).

ლორდ ბაირონის ფრიად მოუსვენარი ტემპერამენტი და მისი მოგზაურობის ჟინი ინგლისური სპლინით უნდა აიხსნას (1, 54) - ინგლისური რომანტიზმის ცენტრალური პერსონაც ჩნდება გერმანელი კლასიციისადმი მიძღვნილ რომანში. „მას შემდეგ რაც

ვოლფგანგი ოჯახიდან წავიდა, ოჯახის მამამ მთელი თავისი პედანტური პედაგოგობა კორნელიას მონდობა. კორნელია იძულებული იყო ბეჯითად ესწავლა იტალიური, ფრანგული და ინგლისური, პიანინოსთვის დიდძალი დრო შეეწირა“ (1, 59) - ეს (და ზემოთ მოყვანილი სხვა დეტალები) ცხადყოფს, რომ უკვე გერმანული კლასიციზმის დაისა და რომანტიზმის ეპოქის დასაწყისში ცხადი ხდება ინგლისური ენის მნიშვნელობის გაცნობიერება ევროპის სხვა ძველკლასიკურ სახელმწიფოთა მხრიდან, ნიადაგის ერთგვარი შემზადება იმისათვის, რომ საუკუნე ნახევარში ინგლისური ფაქტობრივად, ლინგვა ფრანკად ქცეულიყო.

„ზნეობრივად ეს საზოგადოება გახრწნილი იყო, მაგრამ ცხოვრების გარეგანი ფორმები სასტიკი ეტიკეტების საფარველით ნიღაბდებოდა. უკეთუ პოეტი ან პირად ცხოვრებაში ან თავის შემოქმედებაში ამ საზოგადოებრივი მორალის წინააღმდეგ გაილაშქრებდა, იგი უთუოდ გაიკიცხებოდა. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ეს გაბედეს ინგლისში ღორდ ბაირონმა და ოსკარ უაილდმა, კვლავ გამოჩნდა ბაირონის აბრისი, - ფილისტერულმა საზოგადოებამ ბნელი დილეგი მიუჩინა უაილდს, ხოლო მისოლუნგის გმირი ტროპიულ ციებას რომ არ მოეკლა, სულერთია ინგლისის საზოგადოების გესლი მოშხამავდა მას“ (1,73).

გერმანიის უახლესი ლიტერატურიდან იგი (ჰერდერი) გოეტეს „გოცს“ შეეხო და „შექსპირისადმი საცოდავ მიბაძვად“ გამოაცხადა (1, 73).

ლესსინგი გრძნობდა: „გერმანული პოეზია ჯერაც ვერ შეძლებდა საკუთარი მუხლებისადმი მინდობას, ამიტომ მისმა ლიტერატურულმა პოლიტიკამ მოითხოვა ახალგაზრდობის გასაგონად შექსპირი აეყვანა ფარზე. ამ ხანებშივე იწყება ვოლფგანგის შექსპირით გატაცება. შექსპირი ევროპაში ყველაზე უკეთ გერმანელებმა შეიცნეს და შეისწავლეს. ეს ბუნებრივია, რადგან თავათ ინგლისურ-საქსური ენის ინსტრუმენტი ძლიერ ახლოსაა გერმანულ ენასა და სულობასთან“- მართებულადაა აღნიშნული პასაჟში. ჯერ კიდევ ლაიპციგში ყოფნისას ვოლფგანგი გაეცნო დოდის Beauties of Shakespeare-ს. იმავე ხანებში გამოქვეყნდა ვილანდის თარგმანიც.

ევროპაში ხშირად შეხვედებით პოეტური ქმნილებების პროზაულ თარგმანებს, რადგან ეს იძლევა შინაარსის ზუსტი ბადალის გადმოცემის საშუალებას. ასევე პროზით აქეთ მაგალითად ფრანგებს ჰომეროსი, შექსპირი და დანტე თარგმნილი. გოეტეც სიამოვნებით კითხულობდა შექსპირის პირველ პროზაულ თარგმანებს (1, 79), - ეს დეტალი არსებითია (საგულისხმოა, რომ იგივე პრინციპი ირჩიეს ჰომეროსის ქართველმა მთარგმნელებმაც). გამსახურდიას მიხედვით, „შტრასსბურგში ვოლფგანგი დიდის ყურადღებით სწავლობდა შექსპირს, როგორც ორიგინალის, ისე პროზაული თარგმანების მიხედვით. ჰერდერმა საგანგებო წერილი უძღვნა შექსპირს. შექსპირის თეატრალური ქმნილებები გაარჩია ლენცმა. მოკლედ: შექსპირი უდიდესი კერპი გახდა ვოლფგანგისა და მისი შტრასსბურგელი ამხანაგებისათვის“ - გერმანული და ინგლისური ლიტერატურის კორიფეთა პორტრეტებს პარაფელიზმის ლიტერატურული ხერხით ხატავს გამსახურდია: "შექსპირი გახდა მისთვის თვალშეუვლებელ სახატედ, რომელშიც ყოველი მისი ლიტერატურული გატაცება ერთბაშად თავს იყრიდა: ჰომეროსის სახეების გმირული პლასტიკა, დაბადების საკრალური პათეტიზმი, ოსსიანის პრიმიტიული ფანტასტიკა და საშინელების აპოლოგია. შტრასსბურგშივე წარმოთქმულ სიტყვაში ვოლფგანგმა აღიარა (შექსპირის შეცნობის შემდეგ): „მე ვიგრძენი რომ ჩემი არსობა განუ-

ზომელად გავრცელდა, ყოველივე ახლად და ახლასდ შეცნობილად მომეჩვენა, ამ უშველებელმა სინათლის ჩქერალმა მატკინა თვალნი... ზეწამოვიჭერ და პირველად ვიგრძენ, რომ ხელ-ფეხი მესხა“ (1, 80). ცალკე შტრიხად ჩნდება ინგლისური და გერმანული პოეზიის რეცეფცია: „პასტორების ოჯახების იდილია მრავალგზისაა შექმნილი ინგლისურსა და გერმანულ პოეზიაში.

ჯერ კიდევ ჰერდერმა ჩამოიტანა სტრასბურგში ინგლისელი მწერლის ოლივერ გოლდსმიტის რომანი: *The Vicar of Wakefield* („ვეკფილდელი ვიკარი“), ამ სენტიმენტალურ რომანში აღწერილია ფრიად სათნო პროტესტანტი მღვდლის ცხოვრება“ (1, 81). გამსახურდია მართებულად შენიშნავს, რომ „ჰერდერის, ვოლტერის, შექსპირის და რუსოს გარდა, გოეტეს სულიერ სამყაროზე დიდი ზეგავლენა ჰქონდა ლაფატერსაც. მალე მიწერ-მოწერა გაიმართა გოეტეს და ლაფატერს შორის. ლაფატერი თავისი დიდი ფიზიონომისტური შრომებისთვის ემზადებოდა“ (1, 107). რაც შეეხება უაილდს, მის შემოქმედებით კონცეპტთან დაკავშირებით, გამსახურდია წერს: „გადაჭარბებულ მიმანია ინგლისელი ესთეტიკოსის ოსკარ უაილდის თეორია, რომლის მიხედვით ხელოვნება სინამდვილის უდიდესი რეფორმატორი იყოს თითქოს“ (1, 118). „... ლორდ ბაირონიც უადრესად დემონური უნდა ყოფილიყო, მიტომაც ჯადოსნურ ზეგავლენას ახდენდა იგი მასსებზე. განსაკუთრებით ქალები ვედარ უძლებდნენ ბუნების მისის მომხიბვლელობას“ (1, 138). მაგრამ მოაწია აპოლონურმა პერიოდმა და ამ ჰასაკისათვის არც ბაირონს მიუღწევია, არც პოლ ვერლენს, არც ნიკო ბარათაშვილს. აქ კი იუპიტერის კაპარჭის მტვრითველი გოეტე ერთბაშად ზავს ჩამოაგდებს ამ საზოგადოებასთან“ (1, 145), ლაპიდარულად ასკვნის მწერალი ბიოგრაფოსი, - ყოველი დროის დიდ პოეტს ამ *eternal feminin*-ისაგან მიუღია შთაგონება და სასიცოცხლო ენერჯია. თვით თავაწყვეტილი ლორდ ბაირონი ვერ გაექცა ამ ატმოსფეროს, მაგრამ ბაირონს უფრო ჯიქური, უფრო მეტად მამაკაცური ბუნება ჰქონდა, ვიდრე გოეტეს“ (1, 152). იტალია მუდამ შთაგონების წყარო იყო ევროპის ჩრდილო და დასავლეთის პოეტებისა და მხატვრებისათვის. იტალიამ აღაფრთოვანა ბაირონი და შელლი, გოეტე და უაილდი, ტორვალდსენი და ტიშბაინ, ვინკელმან, ბურკჰარტ, ჰიპოლიტ ტენი და დანტე გაბრიელ როზეტი (1, 160).

უნდა ითქვას, გოეტეს ეს ქმნილება [გამსახურდია გულისხმობს „დასავლურ - აღმოსავლურ დივანს“ - ვ. ქ.] უბრწყინვალესი ძეგლია ევროპულ მოგზაურობათა ლიტერატურაში, მას სტერნის „სენტიმენტალური მოგზაურობა“ თუ შეედრება ამ მხრივ (1, 161). მართებულია ის რემარკაც, რომ „მთელი დასავლეთის ლიტერატურა და პოეზია საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა საბერძნეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოსულ მორაულ ციკლებსა და სიუჟეტებს. არც არიოსტოს და არც დანტეს, არც შექსპირს, არც გოეტეს, და არც ერთ თანამედროვე დიდოსტატს სიტყვისას აბსოლუტურად ახალი არა უთქვამთ რა, არც თემატიკისა და არც ფორმის შერჩევის თვალსაზრისით, რაც ძველ ჰინდოთა, არაბთა, სპარსთა პოეზიაში არ ყოფილიყო აღძრული და ცნობილი“ (1, 165).

გამსახურდია, რასაკვირველია, განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოაჩენს დიდი გერმანელის შემოქმედების ენგადს - ბიბლიას: „თავად გოეტეც განუსაზღვრელად დავალებულია როგორც ბიბლიის, ძველ ჰინდოთა, სპარსთა, არაბთა პოეზიის, ისე ძველი ბერძნების, რომაელების, რენესანსის იტალიელების, ფრანგი პოეტების და შექსპირის

მიმართ. მაგრამ ეს ოდნავ ჩრდილს არ აყენებს პოეზიის მისის ორიგინალობას და სიხალასეს (1, 165).

შემდეგ გოეთესადმი მიძღვნილ რომანში კვლავ უბრუნდება ბაირონის პერსონას: „გოეტე არა ყოფილა ბაირონივით ანარქისტი და ამიტომაც საესეებით ბუნებრივია, რომ მას შილლერის „ყაჩაღები“ არ მოსწონდა (1, 186). ასე მოუვიდა ნაპოლეონსაც და სხვას მრავალს მისთანას. მოცარტი 36 წლის დაიღუპა, რაფაელიც ამავე ასაკში, ბაირონი ცოტა უფრო ხნიერი მოკვდა, მაგრამ ყველამ ბრწყინვალედ შეასრულა ზენარისაგან დაკისრებული მისსია (1, 191). „ღორდ ბაირონი, - უამბობს ეკერმანს გოეტე, - ცეცხლმოკიდებული ჯაგი იყო, ლიბანის წმინდა ნაძვები ხანძრით რომ მოსრნა. იგი უჩვეულო ტალანტი იყო. ერთხელ შობილი უბადლო ნიჭი და უნდა ითქვას, მისოდენი ტალანტი ჯერ არავის ჰქონია დედისაგან შობილს“.

საუკუნის უდიდესი სულები ურთიერთს გაეხმაურნენ. ბაირონმა ტრაგედია უძღვნა ვაიმარელ ბრძენს შემდეგის წარწერით: „ბრწყინვალე გოეტეს“. გოეტემ უპასუხა ლექსით: "Ein freundlich wort kommt eines nach dem andern". ლექსმა ლივორნოში მოუსწრო ბაირონს, საბერძნეთის განმათავისუფლებელ ომში გამგზავრების წინ. 1824 წელს მისოლუნგში დაიღუპა ღორდ ბაირონი. გოეტე ამ საშინელმა ამბავმა ფრიად შეაძრწუნა. თუმცა ბაირონის პიროვნული გენია ტრაგიკულად დაღუპვის გარეშე წარმოუდგენელია. აბა, რა იქნებოდა ქრისტე, ან სოკრატე, შხამის ფიალა არ დაელია და ცრემლებით გამოესყიდა დანაშაული (1, 197). „ფაუსტის“ მეორე ნაწილში გოეტემ ამ თავაწყვეტილი ღორდის მოუსვენარი და უკვდავი სული ეუფორიონში განაპიროვნა. ეუფორიონი სიბრძნისა და მშვენიერების პირმშოა.

თავდაპირველად გოეტეს არ მოსწონდა ექზალტიური ბაირონი, მაგრამ როცა მისი შემოქმედება კარგად შეიცნო, აზრი შეიცვალა. ეკერმანთან საუბარში გოეტე აღიარებს: „მე მისი (ბაირონის) Deformed Transformed ისევ გადავიკითხე და უნდა გამოვტყდე: რაც დრო გადის, მისი ტალანტი უფრო და უფრო დიდად მეჩვენება. ამ ნაწარმოების ეშმაკი ჩემი მეფისტოფელიდანაა გამოსული, მაგრამ ეს მიმბაძველობა როდია, იგი საესეებით ახალია და ორიგინალური. ჰიპოხონდრია ხელს უშლის ბაირონს, უამისოდ იგი შექსპირისა და ანტიკური პოეტების ბადალი იქნებოდა“ (1, 198). ამ სტრიქონების კითხვისას შეუძლებელია წიგნიერ ქართველს არ მოაგონდეს ილია ჭავჭავაძის ქრესტომათიულ „მგზავრის წერილებში“ რეცეფცირებული პოლარული პორტრეტები გოეთესი და ბაირონისა (გოეთე-მეინვარად, ბაირონი-თერგად ენიგმირებული). უაღრესად საინტერესოა კონცეპტი, რომელიც რემარკის სახით აქვს წარმოდგენილი სოსო სიგუას: კ. გამსახურდია „1921 წელს ავითარებდა შეხედულებას, რომ უნდა შეკავშირდნენ ინგლისი და გერმანია ამერიკის წინააღმდეგ“ (4, 468).

ვფიქრობთ, აღნიშნული კონცეპტის ანალიზი მნიშვნელოვანია ეპოქის გასააზრებლად.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ქართული პლასტი „გოეტეს ცხოვრების რომანში“. 1787, 13, I-ით დათარიღებულ წერილში გოეტე დასცინის კარდინალებს. ამავე ბარათში იგი ახსენებს ქართულს („კოლხურს“). ამის გამო მე მინდა ეს ბარათი გადმოვაქართულო: „... ჯიუსტინიანის სასახლეში ერთი მინევრა სდგას. მას ეკუთვნის ჩემგან უდიდესი თავყვანისცემა... როცა ამ ქანდაკებას ვათვალიერებდით, სასხლის კუსტოდე ქალმა გვიამბო: ეს ქანდაკება ოდესღაც წმინდა ხატი ყოფილაო და ინგლეზი

(იტალიელები ასე ინგლისელებს უწოდებდნენ), რომელნიც ამავე სჯულისანი იყვნენ, კვლავინდებურად თაყვანსცემდნენო მას და ხელებს უკოცნიდნენო იუნონას. რადგანაც მლოცველები ცალ ხელზე ჰკოცნიდნენ, ეს ხელი გათეთრებიაო. მართლაცდა განაგრძობს პოეტი, - ეს ცალი ხელი კოცნისაგან მთლად გათეთრებული იყო, ხოლო თავათ ქანდაკება სინგურისფერს გადაიკრავს ოდნავ. ამას წინათ ვინმე ინგლეზის სჯულის ქალი იყო აქ, -განაგრძო დედაკაცმა, - მუხლებზე დაეცა და თაყვანი სცაო. მე სიცილი ვერ შევიკავეო და დარბაზიდან გავედიო. რაკი მეც არ ვეშვებოდი იუნონას ქანდაკებას, კუსტოდე ქალი შემეკითხა, შენც ინგლეზის სჯულისაგან ხომ არა ხარო. ამ კეთილ ქალისათვის დიახაც გასაგები იყო თაყვანისცემა და სიყვარული, მაგრამ მას ვერ შეეგნო წმინდა გაცემა ამ შესანიშნავი ქმნილების მიერ ჩემში აღძრული და ველარც ძმური აღტაცება აღამიანის ქმნილებისადმი...

„... ახლა სხვაგვარი სანახაობის შესახებ მოგითხრობთ. „ამას წინად პროპაგანდაში ვიყავით. აქ სამი კარდინალისა და დიდძალი საზოგადოების წინაშე ლათინურად წარმოსთქვეს სიტყვა, ორატორი არკვევდა, ბოსელში მიიღო ღვთიშობელმა მარიამ აღმოსავლეთის სამი მეფე თუ სხვაგან სადმე? ამის შემდეგ ლათინური ლექსები წარმოსთქვეს. 30 სემინარიელი გამოვიდა და ყოველმა მათგანმა თავიანთ ენაზე ლექსი სთქვა. მაღაბარულ, ეპიროტულ, თურქულ, მოლდავეურ, სპარსულ, კოლხურ, ჰებრაულ, არაბულ, სირიულ, კოპტურ, სარაცინულ, სომხურ, ბერძნულ, მადაგასკარულ, ისლანდიურ, ეგვიპტურ და ეთიოპიურ ენებზე. ეს ლექსები ნაციონალური მეტრით იყვნენ დაწერილი. საზოგადოება იცინოდა, ხარხარებდა ამ უცხო ბგერების გამგონე, ასე რომ ეს სპექტაკლი ფარსად გადაიქცა (1, 170).

ზემოთქმული მხოლოდ ცალკეული პასაჟებია კ. გამსახურდიას ანგლოამერიკული რემინისცენციების მრავალწახნაგოვანი სპექტრიდან.

ლიტერატურა:

1. გამსახურდია კ., თხზულებათა ათტომეული, ტომი VI, თბ., 1980.
2. გამსახურდია კ., თხზულებათა ოცტომეული, ტომი I, თბ., 1992.
3. გოგია ზ., ძველი სურათები ახალ ჩარჩოებში (შტრიხები კ. გამსახურდიას პორტრეტისათვის), „ჩვენი მწერლობა“, №9 (217), 2 მაისი, 2014.
4. სიგუა ს., მარტვილი და ალაშდარი (კ. გამსახურდიას შემოქმედება), თბ., 1991.

Vika Kardava
English and American Reminiscences in Konstantine Gamsakhurdia's Prose
(Short Stories and the Novel "Goethe's Life")
Summary

The subject of the article is the analysis of English and American reminiscences in Konstantine Gamsakhurdia's prose. We have studied short stories of the writer ("Klara", "Porcelain", "Lil", "Taboo", "Friendship of enemies", among others) as well as his novel "Goethe's Life".

The outstanding Georgian writer, one of the most important representatives of Georgian modernism - Konstantine Gamsakhurdia in the beginning of the XX century followed the world

literary process, analyzing the global problems and painting the greatest English and American characters (Shakespeare, Wilde, Byron, Whitman, Eliot, etc.).

Вика Кардава

*Англо-американские реминисценции в прозе Константинэ Гамсахурдия
(Новеллы, роман «Жизнь Гете»)*

Резюме

В статье проанализированы англо-американские реминисценции в прозе К. Гамсахурдия (новеллы «Клара», «Порцелан», «Лили», «Табу», «Дружба Врагов», «Роман Жизнь Гете»). Известный грузинский писатель, один из самых ярких представителей грузинского модернизма в начале двадцатого столетия следовал за мировым литературным процессом, рефлексирюя глобальные проблемы, рисовал портреты великих англичан и американцев (Шекспира, Уайльда, Байрона, Уитмена, Элиота).

სოფიო მუჯირი

(საქართველო)

პაულ ცელანი – ცხოვრება, შემოქმედება და ლირიკა – როგორც ინტეგრირებული და ტრანსლაციის ობიექტი

I.1. პაულ ცელანის ბიოგრაფიული მონაცემები

პაულ ცელანი (1920-1970) დამსახურებულად მოიაზრება XX საუკუნის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პოეზიის უდიდეს ლირიკოსად, რომლის შემოქმედება 10 ლექსთა ტომშია განთავსებული. 1950-60-იან წლებში შექმნილია ცელანის სამი კრებული; კერძოდ, „ზღურბლიდან ზღურბლამდე“ („Von Schwelle zu Schwelle“, 1955)¹ „ენის გისოსი“ („Sprachgitter“, 1959)² და „არავის ვარდი“ („Die Niemandrose“, 1963)³.

პოეტს მსოფლიოს ახალი ისტორიის უმძიმეს პერიოდში მოუწია ცხოვრება, რამაც ჩამოაყალიბა მისი პიროვნება და განსაზღვრა არა მხოლოდ მისი ბედი, არამედ მისი პოეზიის თავისებურებაც. ამიტომ პოეტის შემოქმედების განხილვისას მის ბიოგრაფიას გვერდს ვერ ავუვლით.

პაულ ანჩელი (ანაგრამა⁴ რუმინული Ancel-ისა) - ლიტერატურაში პაულ ცელანის ფსევდონიმით ცნობილი პოეტი, დაიბადა ბუკოვინაში, ჩერნოვციში,⁵ საშუალო შექცევის ებრაულ ოჯახში. ბუკოვინა რუმინულ, უკრაინულ, ავსტრიულ, გერმანულ და ებრაულ კულტურათა გზაჯვარედინზე მდებარეობდა. ის იყო მთელი რიგი ცნობილი პოეტების, მათ შორის, ისეთი გერმანულენოვანი ებრაელი პოეტების სამშობლო, როგორებიც არიან: როზე აუსლენდერი, მოზეს როზენკრანცი, კლარა ბლუმი, ალფრედ გონგი და სხვები.

პაულ ცელანის მამა – ლეო ანჩელ-ტაილერი, განათლებით მშენებელი, მუშაობდა ხე-ტყის გამსაღებელ მაკლერად. დედა – ფრედერიკა შრაგერი, მახვილგონიერებით გამოირჩეული ქალი იყო, ბევრს კითხულობდა და უყვარდა გერმანული ლიტერატურა. პ. ცელანს დედამ შეაყვარა გერმანული ენა და ლიტერატურა, რომლის საუკეთესო ნიმუშებს თავად უკითხავდა შვილს. მამა დიდ ყურადღებას აქცევდა შვილის ებრაულ აღზრდას. 1927-1930 წლებში პატარა პ. ცელანი დადიოდა ებრაულ სახალხო სკოლაში „Saffa ivria“, რომელშიც სიონიზმის გავლენა იგრძნობოდა. თავად პ. ცელანი არ თვლიდა თავს ორთოდოქს ებრაელად, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი ატარებდა ებრაელობას, როგორც მის ბედს, მის ისტორიას და კავშირს ებრაელ ხალხთან, რომე-

¹ პირველი კრებულის შექმნის პერიოდია 1952-1954 წწ., ხოლო ლექსების ხელნაწერი ვერსია დათარიღებულია 1954 წლის დეკემბრით.

² მეორე კრებულის ლექსები დაიწერა 1955-1958 წწ., ხელნაწერი დათარიღებულია 1958 წლის 3 ნოემბრით.

³ მესამე კრებულის ლექსები შეიქმნა 1959-1963 წწ., ხოლო ხელნაწერი დათარიღებულია 1963 წლის 29 მაისით.

⁴ ანაგრამა - ასოების გადასმა ისე, რომ ერთი სიტყვიდან სხვა სიტყვა მივიდეთ.

⁵ ქალაქი მაშინ რუმინეთს ეკუთვნოდა, დღეს კი ის უკრაინის იურისდიქციაშია.

ლიც მასიურად განადგურდა ჰოლოკოსტის მოვლენების დროს.⁶ ანტისემიტიზმთან პ. ცელანს ახალგაზრდობის წლებიდანვე ჰქონდა შეხება. მის უდარდელ ბავშვობას: ბუკოვინის ტყეებში ხეტიალს თუ მდინარეში ბანაობას, ბოტანიკით გატაცებას, კითხვის წრეში აქტიურ მონაწილეობას და არტისტულ ნიჭს ჩრდილავედა ზოგიერთი მასწავლებლის ანტისემიტური განწყობა. გიმნაზიაში მან ანტიფაშისტურ ჯგუფთან ერთად დააარსა ჟურნალი „წითელი მოსწავლე“.

პაულ ცელანი 15 წლის ასაკიდან იყო გატაცებული ლირიკით. იგი უპირატესობას ანიჭებდა გოეთესა და ფ. შილერს, გ. თრაკლსა და ფ. ჰიოდერლინს. პ. ცელანს განსაკუთრებით უყვარდა რ. მ. რილკეს ლექსები და ფ. კაფკას ნაწარმოებები. ექსპრესიონიზმისა და სურრეალიზმის გავლენით მის მელოდიურ ლექსებში დომინირებდა მეტაფორებისა და ფერების სიმბოლიკა. 18 წლის ასაკში პ. ცელანმა დაამთავრა ლიბერალური გიმნაზია ჩერნოვციში. მშობლებს უნდოდათ, რომ მათი ვაჟი ექიმში გამოსულიყო, რაც იმ პერიოდში ჩერნოვციში გავრცელებული ანტისემიტიზმის გამო ვერ მოხერხდა. 1938 წელს პ. ცელანი გაემგზავრა საფრანგეთის ქალაქ ტურში, მედიცინის შესასწავლად. 1939 წლის ივლისში პ. ცელანი არდადეგებზე ჩამოვიდა ჩერნოვციში, სადაც მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო დარჩა. ნოემბრიდან პ. ცელანმა ჩერნოვცის უნივერსიტეტში დაიწყო რომანისტიკის შესწავლა. მეორე მსოფლიო ომის წინამორბედმა მოვლენებმა შეცვალა პ. ცელანის ლირიკის შინაარსი. თუ ადრე მისი ლექსების მთავარი თემა „ოცნება და სიზმარი“ იყო, ახლა უკვე დომინირებდნენ შიშისა და მუქარის სურათ-ხატები და სიმბოლოები. ომი იწყებოდა და გარშემო შიშს თესავდა. 1940 წელს ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილი საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს, 1941 წლის ივლისში ქალაქში გერმანიისა და რუმინეთის ჯარები შემოვიდნენ და ჩერნოვციში ებრაული გეტო დააარსეს. ნაცისტებმა პ. ცელანის მშობლებს ჯერ ადგილობრივ გეტოში მიუჩინეს ადგილი, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთ უკრაინაში გადაასახლეს. გადასახლებაში პ. ცელანს ჯერ მამა გარდაეცვალა ტიფით, რამდენიმე თვის შემდეგ კი დედა დაუხვრიტეს. პ. ცელანი დედისერთა იყო და დედასთან განსაკუთრებული სულიერი სიახლოვე აკავშირებდა, ამიტომ დედის ტრაგიკულ აღსასრულს ის სიცოცხლის ბოლომდე მტკივნეულად განიცდიდა.⁷ მეორე მსოფლიო ომის კატასტროფა, მშობლებისა და ახლობლების დაკარგვა მწვავედ აისახა პოეტის ფსიქიკასა და შემოქმედებაზე. ჰოლოკოსტი მისი ცხოვრებისა და პოეზიის თანმდევი და ამოუწურავ თემად იქცა.

გეტოში ცხოვრებამ და რუმინეთის ბანაკში იძულებითი სამუშაოების შესრულებამ პაულ ცელანსაც მოუწია. 1944 წლის ზამთარში პ. ცელანი ჩერნოვციში ბრუნდება და უნივერსიტეტში სწავლას განაგრძობს. 1945 წლიდან ის იწყებს მთარგმნელობით საქმიანო-

⁶ პ. ცელანი იცავს ებრაელობას და ამჟღავნებს მათდამი სიყვარულს ევროპული ცხოვრების ყოფით სიტუაციებში, იგი იცავს თავის პიროვნებას და თავის უფლებას უყვარდეს ეს ხალხი. ცელანი თავის ცოლს, რომელიც ფრანგი კათოლიკი თავადაზნაურების ოჯახიდან იყო, მიმართავს ფრაზით: „ჩემო ებრაელო“, რითაც გამოხატავდა ურთიერთგაგებას, სიყვარულსა და სიახლოვეს მის მიმართ.

⁷ ლექსს „Nähe der Gräber“ („საფლავების სიახლოვეს“) პ. ცელანი უძღვნის ჰოლოკოსტის დროს გარდაცვლილ დედას, რომელიც ცდილობდა მიეცა შვილისათვის გერმანულენოვანი აღზრდა და გაეღვივებინა სიყვარული გერმანულენოვანი კულტურისადმი. ლექსში „გერმანული რითმა“ გადაქცეულია ტკივილის მომგვრელ მოგონებად დედასა და სახლზე.

ბას ბუქარესტში და გამოსცემს რუსულ ლიტერატურას. 1947 წლის მაისში პირველად გამოქვეყნდა პ. ცვლანის გერმანულენოვანი ლექსები რუმინულ ჟურნალში „აგორა“, რომელიც იონ კარაიონმა გამოსცა. 1947 წლის დეკემბერში პაულ ცვლანი რუმინეთიდან⁸ არალეგალურად გადადის ავსტრიაში, სადაც ცოტა ხანს ცხოვრობს და თანამშრომლობს მწერალთა გაერთიანებასთან „ჯგუფი 47“. ამავე პერიოდში იგი უახლოვდება პოეტ ინგებორგ ბახმანს⁹, რომელთანაც აერთიანებს თეორიულ-ესთეტიკური და ფილოსოფიური შეხედულებები. 1948 წელს პ. ცვლანი გადადის პარიზში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე რჩება. 1950 წელს ის სორბონაში იწვევს გერმანისტიკისა და ენათმეცნიერების შესწავლას. 1952 წელს პ. ცვლანი ქორწინდება გრაფიკოს ჟიზელ ლესტრანჟზე¹⁰. 1959 წლიდან პ. ცვლანი პარიზის უმაღლეს სკოლაში (École Normale Supérieure) იწვევს მუშაობას გერმანული ენისა და ლიტერატურის ლექტორად და ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას, რომელსაც იგი უადრესი სერიოზულობით ეკიდებოდა. პ. ცვლანი მრავალ ენას ფლობდა და თარგმნიდა ფრანგულიდან, ინგლისურიდან, იტალიურიდან, რუსულიდან, ივრითიდან, რუმინულიდან და პორტუგალიურიდან. პ. ცვლანმა თარგმნა გიომო აპოლინერის, პოლ ვალერის, არტურ რემბოს, პოლ ელუარის, შარლ ბოდლერის, უილიამ შექსპირის, ემილი დიკინსონის, რობერტ ფროსტის, მიხეილ ლერმონტოვის, ალექსანდრე ბლოკის, სერგეი ესენინის, ოსიპ მანდელშტამის, ჯუზეპე უნგარეტისა და სხვათა ნაწარმოებები. 1968 წელს იგი თანარედაქტორია ჟურნალ „L'Éphémère“-ში. 1969 წლის შემოდგომაზე ცვლანი მიემგზავრება ისრაელსა და პალესტინაში.

პაულ ცვლანი მთელი ცხოვრების მანძილზე ავადმყოფურად განიცდიდა ანტისემიტიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, რაც მისი ღრმა დეპრესიის მიზეზი ხდებოდა. პაულ ცვლანი თარგმნიდა მისი ებრაელი მეგობრის, პოეტ ივან გოლის ლექსებს. ივან გოლის ცოლმა პ. ცვლანს პლაგიატში დასდო ბრალი. საქმე სასამართლომდე მივიდა, სადაც ანტისემიტიური განწყობა იგრძნობოდა. ყოველივე ამან პ. ცვლანის ფსიქიკას სერიოზული დარტყმა მიაყენა. პ. ცვლანი რამდენჯერმე მოხვდა ფსიქიატრულ საავადმყოფოში.¹¹

სიცოცხლის ბოლოს პ. ცვლანი ცოლს დაცილდა. ის ცოლის ნაყიდ პატარა ბინაში მეტად მძიმე პირობებში ცხოვრობდა და იძულებული იყო რეპეტიტორობით ერჩინა თავი. ბოლოს მას პურის ფულის შოვნაც აღარ შეეძლო.

პ. ცვლანს სიცოცხლის ბოლო პერიოდში მიმოწერა ჰქონდა ილანა შმუელთან, რომელსაც იგი ახალგაზრდობიდანვე იცნობდა და თავისი ცხოვრების ბოლო წლებში ისრაელში შეხვდა. მათ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, თითქმის ყოველდღე წერდნენ ერთმანეთს წერილებს. მაგრამ ბოლოს პაულ ცვლანმა თავის ბოლო სიყ-

⁸ პ. ცვლანის რუმინეთიდან წასვლის შემდეგ ჩერნოვცი გასაბჭოურდა.

⁹ მათი მიმოწერა 2008 წელს გამოქვეყნდა სახელწოდებით „ჟამი გულისა“.

¹⁰ პ. ცვლანი ცოლისადმი მიწერილ ზოგიერთ წერილში ხმარობს ორ ნაცვალსახელს: ხან „შენ“-ს, ხან „თქვენ“-ს. ეს თავისებურად მათ ურთიერთობაზე მეტყველებს. ცვლანის ცოლი ჟიზელი ქმრის ლექსების ილუსტრაციებით იყო დაკავებული და ცვლანს მოსწონდა ეს ილუსტრაციები. მიუხედავად მათი სიახლოვისა, მათ ურთიერთობაში თანდათან ბზარი გაჩნდა, რაც შესაძლოა მათი აღზრდის განსხვავებულობითა და თავისებურებით აიხსნას.

¹¹ ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გამოგზავნილი წერილები მეტად თავშეკავებული ტონისაა, რომლებშიც გამოსჭვივის სურვილი, არავითარი სირთულე არ შეუქმნას სხვებს.

ვარულთანაც გაწვევითა ურთიერთობა. იგი მას წერდა, რომ აღარ შესწევს ძალა ყველაფერი თავიდან დაიწყო. მთავარი მიზეზი მისი ტრაგედიისა იყო ის, რომ მან წამლების შემოქმედებით მესხიერება დაკარგა და აღარ შეეძლო ლექსების წერა. 1970 წლის 20 აპრილს 50 წლის პაულ ცვლანი მირაბოს ხიდიდან გადავარდა მდინარე სენაში. მხოლოდ პირველ მაისს გამოორიყა მდინარემ მისი ცხედარი, პარიზიდან ათიოდე კილომეტრში. თვითმკვლელობა მისი გაცნობიერებული გადაწყვეტილების შედეგი იყო, რაც ჩანს სიკვდილამდე ორი კვირით ადრე ილანასადმი მიწერილ წერილში: „ნუ შეწუხდები, თუ გარკვეული დროის მანძილზე, 8 ან 10 დღის მანძილზე ვერ მიიღებ ჩემგან წერილებს. ხვალინდელი დღიდან ფოსტის მოხელეთა გაფიცვაა გამოცხადებული“. პ. ცვლანმა უბრალოდ გათვალა, რომ ურთიერთობის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და მიმოწერა ასე დაასრულა: „შენ იცი ჩემთვის ლექსები რასაც ნიშნავს. წაიკითხე ისინი და მე ამას ვიგრძნობ“ (11).

პაულ ცვლანი საკმაოდ გულჩახვეული ადამიანი იყო, მაგრამ წერილებში, რომლებსაც იგი ახლობელ ადამიანებს წერდა, მთლიანად იხსნებოდა, რაც განსაკუთრებით ილანასთან ურთიერთობისას იგრძნობოდა. ისინი ერთმანეთთან ლექსებით საუბრობდნენ პირად ურთიერთობებზე, სრულიად მიწიერ, მათთვის მეტად რთულ და ტრაგიკულ თემებზე. ამ მიმოწერაში მათი უცნაური ერთობა სუფევდა.

პაულ ცვლანი თავისი შემოქმედებისათვის დაჯილდოებულია სხვადასხვა ლიტერატურული პრემიით: 1957 წელს მან მიიღო გერმანული ინდუსტრიის ფედერალური ასოციაციისაგან კულტურის კომიტეტის ჰონორარი, 1958 წელს მას მიენიჭა ჰანზის თავისუფალი ქალაქის - ბრემენის ლიტერატურული პრემია, 1960 წელს ენისა და ლიტერატურის გერმანული აკადემიის - გეორგ ბუხნერის პრემია დარმშტადში, ხოლო 1964 წელს ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის დედაქალაქის - დიუსელდორფის ხელოვნების პრემია.

პოეტის გარდაცვალების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა მისი პოეზიის დამფასებელთა რიცხვი. მის შესახებ შეიქმნა ფილმები, დაიწერა უამრავი წიგნი და მოგონება. 1988 წელს პოეტის სახელის უკვდავსაყოფად გერმანული ლიტერატურის ფონდმა მთარგმნელთათვის პაულ ცვლანის პრემია დააწესა. მისი მემკვიდრეობა გერმანიაში, ქ. მარბახის ლიტერატურის არქივშია დაცული. ამავე ქალაქში, თანამედროვე ლიტერატურის მუზეუმში, დაინტერესებულ პირს მისი „სიკვდილის ფუგის“ ტიპოსკრიპტის ნახვაც შეუძლია.

I.2. პაულ ცვლანის შემოქმედება

პ. ცვლანის შემოქმედება გასული საუკუნის 40-70-იან წლებს მოიცავს. მის ორიგინალურ პოეზიაში აირეკლა XX საუკუნის ტრაგიკული ისტორია და ფილოსოფია, ევროპული პოეზიის სიმბოლიზმი და სურრეალიზმი, ქრისტიანული მისტიკა და იუდაიზმი, ებრაული კულტურა და აზროვნება, ხასიდური ტრადიციები და ებრაულ-მისტიკური სწავლება („კაბალა“). პ. ცვლანის პოეზიასა და შემოქმედებაში, ასევე, შეიმჩნევა მისი გატაცება მარტინ ბუბერის, გერშომ შოლემისა და სხვა ცნობილ მოაზროვნეთა ნაშრომებით და მათთან მისი სულიერი თანხვედრის კვალი.

პ. ცვლანის მოღვაწეობა განეკუთვნება ომისშემდგომი გერმანული ლიტერატურის პერიოდს. ომის შემდგომ გერმანული ლიტერატურას „ნანგრევების ლიტერატურასაც“ უწოდებენ. ნანგრევებში მოიაზრება არა მხოლოდ ფერფლად ქცეული ქალაქები,

არამედ ადამიანთა განადგურებული იდეალები. ძირითადი ჟანრი ლირიკაა. იმ პერიოდში მიაჩნდათ, რომ მძიმე განცდებს პროზა ვერ დაიტევდა და სათქმელს ხელოვნურს გახდიდა. ამიტომაც უმეტესად იწერებოდა ლექსები. იმდროინდელი პროზაული ნაწარმოებები ძირითადად ნოველების სახითაა წარმოდგენილი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში პოეტთა ერთგვარი გაერთიანება, „გრუპე 47“ შეიქმნა. ჯგუფის წევრები იკრიბებოდნენ, კითხულობდნენ საკუთარ ნაწარმოებებს და ერთმანეთის კრიტიკასაც ისმენდნენ. „გრუპე 47“ კარგი პლატფორმა იყო ახალბედა პოეტებისთვის. „გრუპე 47“-ის ერთ-ერთ შეკრებაზე პაულ ცელანიც გამოვიდა პოეტთა ფართო წრის წინაშე, მაგრამ დებიუტი წარუმატებელი აღმოჩნდა. მოგვიანებით, 80-იან წლებში, ვალტერ იენსი (გერმანული ლიტერატურის თეორეტიკოსი, მწერალი, კრიტიკოსი და მთარგმნელი) იხსენებდა: „როდესაც ცელანმა ხმა ამოიღო, ჩოჩქოლი ატყდა – ამას რა მოგვასმენინებსო. ძალზე პათეტიკურად კითხულობდა, ისე, რომ სიცილი ვერ შევიკავეთ“ (1, 67). მაშინ იქ მყოფმა საზოგადოებამ არაფერი იცოდა არც პაულ ცელანის მწარე ბედის შესახებ და არც ებრაულ-რუმინული ლექსის რითმის, რიტმისა და ინტონაციის გაეგებოდა რამე. ამიტომ მათი ასეთი რეაქცია გასაკვირი არც იყო. პაულ ცელანის ლექსების კრებულის გამოცემის შემდეგ „გრუპე 47“ არაერთხელ დაინტერესებდა ლირიკოსით. თუმცა, მიწვევების მიუხედავად, ცელანი ამ გაერთიანებაში აღარ გამოჩენილა.

„გრუპე 47“-ის ახალგაზრდა ლიტერატორებმა შექმნეს სრულიად ახლებური პოეზია და საფუძველი დაუდეს ახალ თეორიულ შეხედულებებსა და ლიტერატურულ სტილს. კონვენციური ლირიკული ფორმები და რომანტიკული მოტივები მათ შეცვალეს ჰერმეტიკული, ირაციონალური სალექსო ფორმებით, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ლირიკოსთა შინაგანი სამყარო სრულიად განსხვავდებოდა როგორც ტრადიციული პოეზიისაგან, ასევე იმ გარე სამყაროს ინტერესებისა და მოთხოვნებისაგან, რომელშიც მათ ცხოვრება და მოღვაწეობა უწევდათ.

ომის შემდგომი (1945-1965 წწ.) გერმანული ლირიკის სპეციფიკა, როგორც პოეტური, ასევე თეორიული თვალსაზრისით, ყველაზე მეტად პაულ ცელანისა და ინგებორგ ბახმანის შემოქმედებაში აისახა. მათ ორიგინალურ პოეზიაში ნათლად იჩენს თავს სულიერი და სოციალური პრობლემები, რომელთა წინაშეც ომის შემდგომი საზოგადოება იდგა. ორივე პოეტი თავის თეორიულ-ესთეტიკურ შრომებში განიხილავდა პოეზიის ისეთ ძირეულ საკითხებს, როგორებიცაა: ლირიკის ფუნქციისა და დანიშნულების საკითხი, პოეტური ენის სპეციფიკა, პოეტის დამოკიდებულება სინამდვილის მიმართ, ლირიკული „მე“, ფილოსოფიური გავლენები პოეტის შემოქმედებაზე და სხვ. ძველი ლიტერატურული ტრადიციების უარყოფა გამოწვეული იყო მათი სურვილით, ახალი სიტყვა ეთქვათ პოეზიაში, შეექმნათ „ახალი ენა“, რომელსაც გამოხატვის ახალი მანერა ექნებოდა. ი. ბახმანის და განსაკუთრებით, პ. ცელანის ლირიკაში სწორედ ეს ფუნქცია აქვს ლექსების დაშიფვრას, ლაკონურობას, რიტმისა და სასვენი ნიშნების უარყოფას, რითმისა და სინტაქსური წესების დარღვევას. მათ „ახალ“ ლირიკას ახასიათებს მეტაფორების, ალეგორიებისა და სიმბოლოების სიუხვე, ლექსის ბჭკარედული ფორმა, თავისუფალი რიტმი, ლირიკული „მე“-ს ფუნქციის შესუსტება და უშუალო „საუბარი“ მკითხველთან.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა სინამდვილემ განაპირობა პ. ცელანისა და ი. ბახმანის ლექსების თემატიკაც, რომელშიც დომინანტურია ნეგატიური განწყობის,

ილუზიების მსხვერვისა და ტოტალური უიმედობის გამოხატვა. ორივე პოეტისათვის უადრესად მნიშვნელოვანი ხდება იმ მორალურ-ფსიქოლოგიური შედეგების აღწერა, რაც მეორე მსოფლიო ომმა მოუტანა გერმანიასა და ავსტრიას, ისევე როგორც მთელ მსოფლიოს. მათ ლექსებში განსხეულებული პროტესტისა და დუმილის, სიკეთისა და სიბოროტის, სიკვდილისა და სიცოცხლის მოტივები უშუალო კორელაციაშია ომის შემდგომი ფილოსოფიის პრობლემატიკასთან, რომელშიც ასევე მძლავრობს მეღანქო-ლიური განწყობა, გაუცხოება, შიში, სულიერი კრიზისი და სიცარიელე. პ. ცელანსა და ი. ბახმანზე დიდ ზეგავლენას ახდენს ლუდვიგ ვითგენშტაინისა და მარტინ ჰაიდეგერის ეგზისტენციალური ფილოსოფია, რაც მათ ლექსებში და თეორიულ ნაშრომებშიცაა ასახული. ომის შემდგომი პესიმიზმი პ. ცელანის ლირიკაში მუქი ფერებითაა გადმოცემული: შავ, ნაცრისფერ და ლურჯს ფერებს, ერთგვარი სემანტიკური დატვირთვა გააჩნიათ. ისინი მტკივნეული წარსულის, დარდის, ადამიანის სულის ბნელი მხარეების სიმბოლოებია. შავი და თეთრი ფერების დაპირისპირებას პ. ცელანთან სიბოროტისა და სიკეთის კონტრაცია აქვს. შავი ფერი პ. ცელანთან „შოას“ პრობლემებს აღწერებს (9, 330-331). „შოა“ ებრაული სიტყვაა და „უბედურებას“, „განადგურებას“ ნიშნავს. ის დასავლეთ ევროპაში დამკვიდრდა ტერმინ ჰოლოკოსტის პარალელურად. „შოას“ პ. ცელანი პოეზიის „ახალი“ ენით უპირისპირდება. ამისათვის პ. ცელანი თავის ჰერმეტიკულ ლექსებში იყენებს მის მიერ ღრმად გააზრებულ ბიბლიურ მინიშნებებსა და მითოლოგიურ სიმბოლოებს, ცალკეულ ებრაულ სიტყვებს, რომლებსაც ის არაცალსახა მნიშვნელობებს ანიჭებს. ყურადღების გადატანა ბიბლიურ, მითოლოგიურ სიუჟეტებსა და პერსონაჟებზე ეხმარება პ. ცელანს მათი მეშვეობით აღწეროს ომის შემდგომი მძიმე ფსიქოლოგიური სიტუაცია. პ. ცელანის აზრით, პოეზიის დანიშნულებაა სინამდვილის მწვავე მხარეების შეცნობა და თავისი თანამედროვე საზოგადოების გამოფხიზლება (8, 185-186). პ. ცელანის ლექსებში ლირიკული „მე“ აღარ დომინირებს, ის ლირიკული მთხრობელის ფუნქციას ასრულებს, რომელიც ემსახურება გარკვეული მოვლენების გაშუქებას. პ. ცელანი თვლის, რომ ლექსი უნდა წარმოადგენდეს საიდუმლოს, პოეტის აზრის თარგმანს, რომელიც მკითხველისაგან მოითხოვს დიდ ყურადღებას მისი ყოველი დეტალის, სტრუქტურის, მინიშნებისა თუ სტილისტური შეფერილობის მიმართ. ლექსი ძნელად ამოსაცნობია. მკითხველმა, თავად უნდა გაიკვლიოს გზა ლექსის ლაბირინთში. ლექსის გაგებას აძნელებს პოეტის მიერ შერჩეული ლექსიკა, რომელიც ბილინგვური და მრავალაზროვანია, ასევე, რთული სინტაქსი და ლექსის ელიპსური ხასიათი. პ. ცელანის ლექსებში ხორცს ისხამს მ. ჰაიდეგერის მოსაზრება თანამედროვე ეპოქის შესახებ, რომელიც სიკვდილის განცდითაა დაღდასმული და აიძულებს ადამიანებს უსასრულობაზე ფიქრს. პ. ცელანი მ. ჰაიდეგერის ფილოსოფიას უკავშირებდა თავის ტრაგიკულ ბედს იმ რთულ ისტორიულ ვითარებაში, რომელში ცხოვრებაც მას იძულებით უწევდა. პ. ცელანი ემხრობა ასევე ლ. ვითგენშტაინის ფილოსოფიურ მსჯელობას ენის მეშვეობით სამყაროს აღქმისა და გაზომვის შესახებ: „ჩემი ენის საზღვრები ნიშნავს ჩემი სამყაროს საზღვრებს“. ლ. ვითგენშტაინი, რომელიც „გამოუთქმელის“ განსაზღვრას ცდილობს, ამტკიცებს, რომ რასაც წინადადება ასახავს, მისტიკურია. ის არ შეიძლება გამოითქვას (12, 1-22). აქ შესაძლებელია პარალელი გაგავლათ პ. ცელანის „მერიდიანში“ გამოთქმულ მოსაზრებასთან, პოეზიის მიწიერი და არამატერიალური, მეტაფიზიკური ბუნების შესახებ. პ. ცელანის აზრით, ეს

ორი საწყისი ერთ წრედ იკვრება და „მერიდიანს“ ქმნის, რომელიც ლექსში ამოსახსნელ საიდუმლოს შეიცავს: Die Aufmerksamkeit, die das Gedicht allem ihm Begegnenden zu widmen versucht, sein *schärferer Sinn für das Detail, für Umriß, für Struktur, für Farbe, aber auch für die 'Zuckungen' und die 'Andeutungen'...*“ (8, 197-198, 202).

პ. ცვლანი თავის ლექსებში ცალკეული ებრაული სიტყვებისა და სიმბოლოების ჩართვით, მკითხველს მრავალჯერადი სიღრმისეული გააზრების წინაშე აყენებს. ებრაული სიტყვები მოითხოვენ ინტენსიური გაგების პროცესს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მკითხველის მიახლოებას ებრაულ აზროვნებასთან და ებრაელი ხალხის ბედთან. ებრაული სიტყვებით „დალუქული წერილი“ ეგზავნება უცნობ მკითხველს, ადრესატს, რომელმაც მოვლენები თავად უნდა შეაფასოს.

პაულ ცვლანის პოეზია გამსჭვალულია ბიბლიური სახეებითა და თემებით. ცვლანმა ბიბლია იცოდა მისი წაკითხვისა და განმარტების ძირძველი ებრაული ტრადიციების დონეზე. ამიტომ მკითხველის, ისევე როგორც მთარგმნელის წინაშე, ისმის კითხვა, შესაძლებელია თუ არა გავიგოთ და ვთარგმნოთ ცვლანი ისე, რომ არ გაგვიანდეს იუდაიზმის საფუძვლიანი ცოდნა. ცხადია, რომ მკითხველი, რომელიც არ იცნობს იუდაიზმს, ვერ გაიგებს ცვლანის პოეზიის ყველა პლასტს, თუმცა ავტორის აზრის რეცეფცია მაინც შესაძლებელია.

პაულ ცვლანისათვის პოეზიას საკრალური აზრი აქვს. მისი ლექსები გათვლილია ადამიანზე, რომელიც მათ ყურადღებით და დაკვირვებით წაკითხავს და კვლავ დაუბრუნდება მათ კითხვას, რადგან სწორედ ამ შემთხვევაში შეძლებს მკითხველი პოეტის ლექსების გაგებას. ცვლანი მაქსიმალურად ლაკონურია, მისი ყოველი სიტყვა სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს აღქმული, რაც მკითხველსა და მთარგმნელს დიდ სირთულეებს უქმნის.

სწორედ ამიტომ, პაულ ცვლანის ჰერმეტიული პოეზიის კვლევისას უპირველეს მეთოდოლოგიურ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ლირიკული ტექსტის გაგება და ინტერპრეტაცია მისი მხატვრული ფასეულობების კონტექსტში, ჩვეულებრივი მკითხველის ორდინალური თვალთახედვისათვის დაფარული პოეტური ჩანაფიქრის დეკოდირება, პ. ცვლანის ენობრივ-გამომსახველობითი ფორმების კომპარატივისტული რეცეფცია და გერმანულ და ებრაულ ენათა, კულტურათა და რელიგიათა შორის არსებული მიმართებების წვდომა.

I.3. პაულ ცვლანის ლექსების ქართული თარგმანების ანალიზის ცდა

თარგმანზე მსჯელობისას ყველაზე ხელსაყრელ მასალას ერთი დედნის რამდენიმე თარგმანი იძლევა. ორიგინალის სხვადასხვა თარგმანის შედარება საშუალებას გვაძლევს უკეთ დავადგინოთ როგორც თარგმანის ობიექტურად შესაძლებელი სიზუსტისა და ადეკვატურობის ხარისხი, ასევე მთარგმნელთა „პოეტური“ თავისუფლების საზღვრებიც. უფრო იოლი ხდება ობიექტური დასკვნის გამოტანა, თუ რამდენად ადეკვატურადაა თარგმნილი კულტურულად სპეციფიკური ლექსიკა და სიმბოლოები, რამდენად შეინარჩუნა მთარგმნელმა ლექსის ფორმა, ავტორისეული განწყობა, სტილი, რიტმი და ინტონაცია და რამდენად მართებულია მთარგმნელთა მიერ გამეორებების, ჩანამატებისა და სუბსტიტუციების გამოყენება.

მთარგმნელი შემოქმედია, რომელსაც შესაბამისი ცოდნა, ნიჭი და ოსტატობა საშუალებას აძლევს ამოსავალ ენაზე გაიგოს ტექსტი, მიზან-ენაზე გადაიტანოს და შექმნას ისეთი ადეკვატი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება, როგორც ორიგინალის ავტორის, ასევე მიმღები ენის და კულტურის სპეციფიკა. ამისათვის საჭიროა, ერთი მხრივ, ავტორის ბიოგრაფიული მონაცემების, იმ ეპოქისა და ლიტერატურული მიმართულების ზედმიწევნით შესწავლა, რომელსაც ის განეკუთვნება. მეორე მხრივ, თარგმანზე მუშაობის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია ორი კონკრეტული კულტურის სპეციფიკის, ენათა წყვილების ტიპური პრობლემების, პოეტური და თარგმანის ტრადიციების ცოდნა. მთარგმნელის უმთავრესი მიზანია, რომ უცხოური ენის სიტყვასა და გამოთქმას მშობლიურ ენაში მოუძებნოს მაქსიმალურად შესატყვისი სიტყვა და გამოთქმა. ეს ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება. ზუსტი ეკვივალენტების პოვნა განსაკუთრებით რთულია იმ ენებში, რომლებიც მიეკუთვნებიან არამონათესავე ენათა ჯგუფს.¹² თუმცა, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ მკითხველისათვის ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ე.წ. ფუნქციონალური ეკვივალენტობის ხარისხს, ანუ როდესაც მას შეუძლია მთარგმნელის მიერ შემოთავაზებული ცნება თუ გამოთქმა გაიგოს ცოდნისა და თეზაურუსის იმავე ფუნქციონალური სფეროს შესაბამისად, რაც დედანშია მოცემული. ამასთან, მთარგმნელმა შეძლებისდაგვარად უნდა გაითვალისწინოს კონტექსტი და ორიგინალის სიტყვების ექსპლიციტურ და იმპლიციტურ მნიშვნელობათა ურთიერთმიმართებები. დ. ფანჯიკიძე აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმის ცოდნა, თუ ქართულში რომელი სიტყვით უნდა გადმოვცეთ ორიგინალში მოცემული ცნება, ალეგორია თუ სიმბოლო, არამედ საჭიროა იმ იმპლიციტური მნიშვნელობების გათვალისწინებაც, რომლებიც მათ უცხოურ ენაში აქვთ. „აქცენტი უნდა კეთდებოდეს არა დედნის ზუსტ კოპირებაზე, არამედ შინაარსის ძირითადი კომპონენტების, ემოციური და სტილისტური შეფერილობის გადმოცემაზე“ (7, 49). დ. ფანჯიკიძის აზრით, პოეზიის თარგმნისას ფუნქციურ კომპენსაციას ემორჩილება სტილის აბსტრაქტირებული ნიშნები, როგორცაა სისადავე თუ მრავალფარდოვანება, ენობრივი სიმშრადლე თუ სიუხვე, მწიგნობრული თუ სასაუბრო მეტყველება, განწყობილება, რიტმი და ინტონაცია, ემოცია თუ განსჯა, დამოკიდებულება ენის ცალკეულ შრეებთან. მთარგმნელი შემოქმედია, მაგრამ მან არ უნდა აირჩიოს გალექსვის გაიოლებული გზა. მისი მთავარი მიზანი უნდა იყოს დედნის ინდივიდუალური სტილის შენარჩუნება და თარგმანის დედანთან მაქსიმალური მიახლოება. მთარგმნელმა მკითხველს უნდა მიაწოდოს ცოდნა, მისთვის უცხო სამყაროს შესახებ. თარგმანი სრულად ვერ ავსებს იმ განსხვავებას, რომელიც ამ ორ სამყაროს შორის არსებობს, მაგრამ მას შეუძლია „შეაღოს ფანჯარა“ უცხო კულტურის სამყაროში. „თარგმნა ნიშნავს, მოახდინო ამოსავალ - ენაზე შექმნილი ტექსტის ხელახალი ფორმულირება მიზან-ენის მატარებელი ადრესატებისათვის“ (4, 23).

განვიხილოთ, თუ რამდენად შეესაბამება მთარგმნელისადმი ზემოთ წაყენებულ მოთხოვნებს პაულ ცელანის ლირიკის დათო ბარბაქაძისეული და ზვიად რატიანისეული თარგმანები.

დათო ბარბაქაძე გერმანულენოვანი სამყაროსთვის კარგად ცნობილი მწერალი, ესეისტი და მთარგმნელია. ის კარგად ფლობს გერმანულ, რუსულ და ინგლისურ ენებს.

¹² მაგ., ქართული მიეკუთვნება ქართველურ ენათა ჯგუფს, ხოლო გერმანული - ინდოევროპულ ენათა ჯგუფს.

პაულ ცელანის (1920-1970) ლექსების დავით ბარბაქაძისეული თარგმანი წიგნად გამოვიდა 2001 წელს. წიგნში გვერდიგვერდაა დაბეჭდილი გერმანული ორიგინალები და მათი ქართული თარგმანები, რაც აიოლებს ორიგინალისა და თარგმანის შედარებას.

ზვიად რატიანი თარგმნის გერმანული და ინგლისური ენებიდან. ის არის ხუთი პოეტური კრებულის ავტორი და პრემია „საბას“ 2010 წლის ლაურეატი. დავიწყოთ ლექსით, რომლის სათაურია „Marianne“.

Marianne

Fliederlos ist dein Haar, dein Antlitz aus Spiegelglas.
Von Auge zu Aug zieht die Wolke, wie Sodom nach Babel:
wie Blattwerk zerpfückt sie den Turm und tobt um das Schwefelgesträuch.
Dann zuckt dir ein Blitz um den Mund – *jene Schlucht mit den Resten der Geige*.
Mit schneeigen Zähnen führt einer den Bogen: O schöner tönte das Schilf!
Geliebte, auch du bist das Schilf und wir alle der Regen;
ein Wein ohnegleichen dein Leib, und wir bechern *zu zehnt*;
ein Kahn im Getreide dein Herz, wir rudern ihn nachwärts;
ein Krüglein Bläue, so hüpfest du leicht über uns, und wir schlafen . . .
Vorm Zelt zieht die Hundertschaft auf, und wir tragen dich *zehend* zu Grabe.
Nun klingt auf den Fliesen der Welt der harte Taler der Träume.

მარიანა (დავით ბარბაქაძის თარგმანი)

უიასამნოდ დაშთა შენი თმა და სარკესავით გაიყინა შენი იერი.
თვალით თვალამდე ღრუბელია გაწელილი, როგორც სოდომი ბაბილონამდე;
ის კოშკს ჩამოშლის, როგორც ფოთლეულს, გოგირდის ბუჩქის ირგვლივ ბობოქრობს.
ელვა აცხრება მერე შენს ბაგეს – ქვაბურს, რომელიც ვიოლინოს ნარჩენებით *ამოუ-*
სებულა.

ხეშე სრიალებს თოვლით ფენილი კბილი მავანის: ო, ლერწმის ღერო რა ტკბილად
ელერდა!

ძვირფასო, შენც ხომ ლერწამი ხარ, ჩვენ კი – წვიმები;
ღვინოს – შენს სხეულს შეუდარებელს – ვეწაფებით *დაურწყულებლივ*;
პურის ყანაში ნავს – შენს გულს – ღამის მიმართულებით მივასრიალებთ;
შენ, ლურჯი ტოლჩა, თავს მსუბუქად გადაგვევლები, და ძილს ვეძღვეთ...
მერე კარვის წინ ასეული წამოიშლება, და სამარისკენ მივასვენებთ *სმით და მოღხე-*
ნით.

სიზმრების მტკიცე ტალერია, ამ სამყაროს ქვაფილებზე რომ წკრიალებს ამიერი-
დან.

მარიანა (ზვიად რატიანის თარგმანი)

თმა იასამნად აღარ გიყვავის, შენი სახე – სარკის შუშაა.
როგორც სოდომი ბაბილონისკენ, ერთი თვალიდან მეორესკენ იწევს ღრუბელი.
კოშკს ისე მოწყვეტს, როგორც ფოთოლს, და გოგირდის ბუჩქნარივით აბუყბუყდება.

ელვად იპობა შენი ბაგე – ბნელ უფსკრულში ვიოლინოს ნამსხვრევი მოჩანს.
ხემს აატოკებს თოვლისფერი კბილებით ვილაც: მშვენიერო ლერწამო, ამღერდი!
საყვარელო, შენ ხომ ჯერაც ლერწამი ხარ, ხოლო ჩვენ – წვიმა;
უძვირფასესი და უბადლო ღვინო არის შენი ტანი და ვეწაფებით;
პურის ყანაში გარიყული ნავი არის შენი გული, მივაცურებთ ჩვენ მას ღამისკენ;
სიღურჯით სავსე ქოთანს ხარ და მსუბუქად ზედ გვეღვრები, როცა ვიძინებთ.
აი, კარვის წინ იკრიბება ისეული, ჩვენ კი გმარხავთ, შენით მოვრადლები.
აი, სამყაროს საფლავის ქვაზე აწკრიალდა ჟანგიანი მონეტა სიზმრის.

მთარგმნელმა დავით ბარბაქაძემ ლექსის სათაური „მარიანად“ თარგმნა. ვინაი-
დან სათაური საკუთარი სახელია, ალბად ჯობს, ის დედნისეული ტრანსლიტერაციით
გადმოვიდეს თარგმანში, რადგან სათაურით „მარიანა“ ლექსის უცხოობის ელფერი
იკარგება. ლექსის თარგმანში შინაარსობრივი უზუსტობაა შემდეგ ბჭკარში: „Mit
schneeigen Zähnen führt einer den Bogen“ - „ხემზე სრიალებს თოვლით ფენილი კბილი მა-
ვანის“. ჩვენი აზრით, ეს ბჭკარი უნდა ითარგმნოს როგორც: „ხემს ასრიალებს მავანი
თოვლივით თეთრი კბილებით“. სიტყვა „კბილის“ მრავლობითი რიცხვის უგულველყო-
ფამ თარგმანში გამოიწვია როგორც ფორმალური, ასევე შინაარსობრივი შეცდომა: ვი-
ოლინოს ხემზე კბილით სრიალი შეუძლებელია. პ. ცელანის ლექსი არაა გალექსილი,
რითაც პოეტი თავის ინდივიდუალურ, იმ დროინდელი ლიტერატურული მიმდინარეობი-
სათვის დამახასიათებელ სტილს ქმნის – მუქი ტონებით აღწერილს და ემოციურად
მძიმეს. პ. ცელანის ლექსის განწყობა მძიმეა, რომელიც ქართული თარგმანის მკით-
ხველმაც უნდა შეიგრძნოს და დათო ბარბაქაძე ამას შესანიშნავად ასერხებს. მისი
თარგმანი მაღალ დონეზეა შესრულებული. მთარგმნელი თითქმის მიჰყვება პჭკარედს,
რითაც ცდილობს დედნის ერთგულება შეინარჩუნოს და გამოხატოს ლექსის განწყობა
და სტილი. დათო ბარბაქაძეს თარგმანში აქვს დამატებული სიტყვები, მაგ., „wir tragen
dich zehend zu Grabe“ თარგმნილია როგორც: „სამარისკენ მიგასვენებთ *სმით და მოღ-
ხენით*“. პჭკარი: „Dann zuckt dir ein Blitz um den Mund – jene Schlucht mit den Resten der
Geige“ თარგმნილია როგორც: „ელვა აცხრება მერე შენს ბაგეს – ქვაბურს, რომელიც
ვიოლინოს ნარჩენებით *ამოვსებულა*“. როგორც ჩანს, მთარგმნელს ორიგინალის შინა-
არსობრივი მხარის გავრცობა იმისთვის დასჭირდა, რომ რიტმი მოერგო ქართული
ლექსისთვის.

თარგმანში გვხვდება სიტყვების სუბსტიტუცია: „ein Wein ohnegleichen dein Leib,
und wir bechern zu zehnt“ თარგმნილია როგორც: „ღვინოს – შენს სხეულს შეუდარებელს
– ვეწაფებით *დაურწყულებლივ*“. საერთო ჯამში ლექსის რიტმი, ინტონაცია და განწყო-
ბა გადმოტანილია და ქართული პოეზიის ენასთანაც მისადაგებულია.

რაც შეეხება ზვიად რატიანის თარგმანს, ის უფრო თამამადაა მორგებული ქარ-
თულ ლექსზე. მოვიყვანოთ ნაწყვეტი მისი თარგმანიდან: „ein Kahn im Getreide dein Herz,
wir rudern ihn nachwärts“ – „პურის ყანაში *გარიყული* ნავი არის შენი გული, მივაცურებთ
ჩვენ მას ღამისკენ.“ აქ სიტყვა „*გარიყული*“ დამატებულია. „ein Krüglein Bläue, so hüpfest
du leicht über uns, und wir schlafen“ – „*სიღურჯით სავსე ქოთანს ხარ* და მსუბუქად *ზედ
გვეღვრები, როცა* ვიძინებთ“. ასევე: „Vorm Zelt zieht die Hundertschaft auf, und wir tragen
dich zehend zu Grabe“ – „აი, კარვის წინ იკრიბება ისეული, ჩვენ კი გმარხავთ, შენით

მოვრალეობ“. „Nun klingt auf den Fliesen der Welt der harte Taler der Träume“ - „აი, სამყაროს საფლავის ქვაზე აწკრიალდა ჟანგიანი მონეტა სიზმრის“. სიტყვები „საფლავი“ და „ჟანგიანი“ მთარგმნელს დამატებული აქვს. თარგმანში დახრილი შრიფტით გამოყოფილი სიტყვები ვერ გამოხატავენ ადეკვატურად ორიგინალის აზრს. „der harte Taler der Träume“ ალბათ ჯობს ითარგმნოს როგორც: „ოცნებათა მძიმე მონეტა“.

შინაარსობრივ შეცდომას ვხვდებით, ასევე, ლექსში “Talglicht”(„ქონის სანთელი“):

Talglicht

Die Mönche mit haarigen Fingern schlugen das Buch auf: September.

Jason wirft nun mit Schnee nach der aufgegangenen Saat.

Ein Halsband aus Händen gab dir der Wald, so schreitest du tot
übers Seil.

Ein dunkleres Blau wird zuteil deinem Haar, und ich rede von Liebe.

Muscheln red ich und leichtes Gewölk, und ein Boot knospt im Regen.

Ein kleiner Hengst jagt über die blätternden Finger –

Schwarz springt das Tor auf, ich singe:

Wie lebten wir hier?

ქონის სანთელი (დავით ბარბაქაძის თარგმანი)

ბერებმა წიგნი გადაშალეს თმიან თითებით: სექტემბერია.

აწ იაზონი მოწვეულ ნათესს თოვლის საფარს გადააფარებს.

შენ ტყემ ხელების ყელსაბამი გამოგიწოდა, და მიაბიჯებ ბაგირზე, მკვდარი.

ბნელი სიღურჯე ერგება წილად შენს თმას, ხოლო მე სიყვარულის შესახებ ვყვები.

ნიჟარებს ვყვები, მსუბუქ ღრუბლებს, და წვიმაში ყვავილობს ნავი.

გადაუქროლებს მფურცლავ თითებს კვიცი-ულაყი –

შავად იღება კარი, მე ვიმღერ:

ჩვენ აქ დღემდე როგორ ვიცხოვრეთ?

სანთლის შუქზე (ზვიად რატიანის თარგმანი)

წიგნს გადაფურცლავს ბალნიანი თითებით ბერი: სექტემბერია.

ნაადრევ თოვლად დაემხო იაზონი მაღალ ყანაში.

ტყე სამაჯურად მოგექდუნება; როგორც მკვდარი, გაუყვები დაჭიმულ კანაფს.

სიღურჯეთაგან უბნელესი ჩაგედვრება გაშლილ თმაში, სიყვარულზე გიამბობ ამბავს:

ღრუბლებისა და ნიჟარების, და წვიმაში გაკვირტული ნავების ამბავს,

ამბავს ფურცლისას თითებშორის გამსხლტარი კვიცის –

წყვილი კარსაც შემომტვრევს, მე კი ვიმღერი:

როგორ ვცხოვრობდით აქ?

სათაურის თარგმანი უფრო ადეკვატურია დათო ბარბაქაძესთან. ლექსის პირველივე სტრიქონში მოცემული „die Mönche“ მრავლობით ფორმაშია, რაც დაცულია დათო ბარბაქაძის თარგმანში, თუმცა ზვიად რატიანთან ეს სიტყვა მხოლოდით რიცხვშია მოცემული. გადამწვევტი შინაარსობრივი დატვირთვა აღნიშნულ სიტყვას ლექსში არა აქვს, თუმცა

ემოციურად „ბერებმა წიგნი გადაშალეს თმიან თითებით: სექტემბერია“ (დათო ბარბაქაძე) უფრო ზუსტი თარგმანია ვიდრე: „წიგნს გადაფურცლავს ბალნიანი თითებით ბერი: სექტემბერია“ (ზვიად რატიანი). მესამე სტრიქონის პწკარის: „Ein Halsband aus Händen gab dir der Wald, so schreitest du tot übers Seil“ დათო ბარბაქაძის მიერ შემოთავაზებული თარგმანი ძალიან კარგია: „შენ ტყემ ხელების ყელსაბამი გამოგიწოდა, და მიაბიჯებ ბაგირზე, მკვდარი“. იგივე მონაკვეთი ზ. რატიანთან შემდეგნაირადაა მოცემული: „ტყე სამაჯურად მოგეძღვნება; როგორც მკვდარი, გაუყვები დაჭიმულ კანაფს“. უნდა იყოს: „ტყემ შენ ხელების ყელსაბამი გამოგიწოდა“, სადაც ტყე ჰოლოკოსტის მსხვერპლთა სიმბოლოა. ლექსის სრულდება შემდეგნაირად: „ნიჟარებს ვყვები, მსუბუქ ღრუბლებს, და წვიმაში ყვავილობს ნავი. გადაუქროლებს მფურცლავ თითებს კვიცი-ულაყი – შავად იღება კარი, მე ვიმღერ: ჩვენ აქ დღემდე როგორ ვიცხოვრეთ? (დ. ბარბაქაძე).

„ღრუბლებისა და ნიჟარების, და წვიმაში გაკვირტული ნავეების ამბავს, ამბავს ფურცვლისას თითებ შორის გამსხლტარი კვიცის - წყვილიანი კარსაც შემომამტვრევს, მე კი ვიმღერი: როგორ ვცხოვრობდით აქ?“ (ზ. რატიანი)

ორიგინალის გამომსახველობითი ენობრივი საშუალებები და სტილი, ორიგინალის ავტორის იდეურ-მხატვრული პოზიცია მეტადაა გამოხატული დათო ბარბაქაძისეულ თარგმანში. მართალია, მასში ჩამატებულია სიტყვა „დღემდე“, მაგრამ ის უფრო აღამაზებს თარგმანს. დათო ბარბაქაძის თარგმანი მეტადაა მისადაგებული როგორც პ. ცელანის, ასევე ქართული პოეზიის ენასთან.

პაულ ცელანის შემოქმედებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გერმანულ ლიტერატურაში. ქართველი მთარგმნელები მკითხველს დახვეწილი სახით აწვდიან მისი პოეზიის ნიმუშებს. ჩვენ გავამახვილეთ ყურადღება ორ მათგანზე – დავით ბარბაქაძესა და ზვიად რატიანზე. დ. ბარბაქაძისეული თარგმანების ორიგინალთან ადეკვატურობის ხარისხი გაცილებით მაღალია. ამას აღვნიშნავთ დ. ბარბაქაძის იმ თარგმანების გაცნობის საფუძველზეც, რაც აქ ნიმუშად არ მოგვიყვანია. მთარგმნელი უბადლოდ ფლობს გერმანულ ენას და კარგად იცნობს ამ ხალხის კულტურას, რაც მისეულ თარგმანებშიცაა ასახული.

რაც შეეხება ზვიად რატიანისეულ თარგმანებს, აქ სტილი გაცილებით თავისუფალია და ნაკლებადაა დაცული. მაგ., თარგმანში მონაკვეთები გაღექსილია, რომლებიც ორიგინალში ვერლიბრიტაა გადმოცემული, თუმცა ზ. რატიანის თარგმანები ჩვენში პოპულარობით ნამდვილად სარგებლობენ. პაულ ცელანის რთულად გასაგები ლექსები სხვადასხვა მთარგმნელების ხელში იცვლებიან, რიტმულ-ინტონაციურ დონეზე სხვადასხვაგვარად ჟღერენ. თუმცა, საბოლოო ჯამში, მათი თარგმანები ასრულებენ იმ მიზნებს, რომლებიც პ. ცელანის პოეზიას ქართულენოვანი მკითხველისათვის სრულიად გასაგებსა და მისაღებს ხდის.

ლიტერატურა:

1. Arnold H. L., Die Gruppe 47, Hamburg, Verlag Rowolt, 2004.
2. ბარბაქაძე დ., გაუცხოებული ეპოქა და გაუცხოებული ადამიანი, საუნჯე, №4, თბ., 1992.
3. ბარბაქაძე დ., მთარგმ. პ. ცელანი, „ლექსები“, თბ., 2001.

4. კაუცი უ., წერილობითი და ზეპირი თარგმანის დიდაქტიკა, მიუნხენი, 2006.
5. მუჯირი ს., პოეტური ენის სპეციფიკა ომის შემდგომ გერმანულ ლირიკაში (პაულ ცელანისა და ინგებორგ ბახმანის თეორიული შეხედულებების მაგალითზე), ლექს-სმცოდნეობა, თბ., 2019.
6. მუჯირი ს., პაულ ცელანის ჰერმეტიკული ლექსების პოეტიკისა და ტრანსფერის საკითხები. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ენა და კულტურა“, 2-3.06.2017. ეძღვნ. ლ. ასათიანის დაბ. 100 წლისთავს. ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი, ქუთაისი, 2017.
7. ფანჯიკიძე დ., თარგმანის თეორია და პრაქტიკა, თბ., 1988.
8. Celan P., Der Meridian. In: Gesammelte Werke in fünf Bänden. Hrsg. von B. Allemann und St. Reichert. Band 3. Frankfurt a. M.: Suhrkamp, 1992.
9. Strelka J. P., Zwischen Wirklichkeit und Traum. Das Wesen des Österreichischen in der Literatur. Tübingen und Basel: A. Francke, 1994.
10. Neumann P., Zur Lyrik Paul Celans. Eine Einführung. Vandenhöck u. Ruprecht, Göttingen, 1990.
11. <http://olgasedakova.com/Poetica/261>: Пауль Целан. Заметки переводчика.
12. Wittgenstein https://www.uibk.ac.at/brennerarchiv/literatur/tirol/lilit_6_2015/zeitblende/links/vortrag-lw_teil-2.pdf

Sophio Mujiri

Paul Celan - life, creativity and lyric - the subject of interpretation and translation

Summary

This work is dedicated to discussing Paul Celan's life and creativity, the interpretation and translation of his poetry. Celan's German-language poems, which are a reflection of not only German but also Hebrew and culture, pose problems in their reception and translation. The hermetic poems of Celan, both at the content and linguistic-expressive levels, pose particular difficulties for translators. The present paper critically discusses Georgian translations of several verses of Celan ("Marianne", "The Light of Wax", "The Death Fugue") and conclusions are drawn.

Софио Муджири

Пауль Целан - жизнь, творчество и лирика - как объект интерпретации и передачи

Резюме

Данная работа посвящена обсуждению жизни и творчества Пауля Целана, интерпретации и переводу его поэзии. Немецкоязычные стихи Целана, которые отражают не только немецкий, но и еврейский язык и культуру, представляют сложность при переводе и сложны для восприятия. Герметические стихи Целана, как на содержательном, так и на лингвистически-выразительном уровнях, создают особые трудности для переводчиков. В настоящей статье анализируются грузинские переводы нескольких стихов Целана («Марианна», «Свет воска», «Фуга смерти»).

ნინო თოდუა (საქართველო)

პალაოზის თემა სანდრო კაკულიას პიესაში „ხიღზე წვიმს ან ცრის“

დღესდღეობით მსოფლიოში ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას, სხვადასხვა ფორმითა და მოტივით, განსხვავებულ სოციუმსა და საზოგადოებაში არსებული ძალადობა წარმოადგენს. ამ თემას მიეძღვნა კრებული „9 პიესა VS ძალადობა“, რომელშიც ცხრა დრამატურგის თითო პიესაა შესული. წარმოდგენილ სტატიში ერთი მათგანის შესახებ ვისაუბრებთ.

სანდრო კაკულიას პიესაში „ხიღზე წვიმს ან ცრის“ მოქმედება ვენაში, კონკრეტულად აუგარტენის ხიღზე, ვითარდება. მოქმედების უცხო სივრცეში გადატანით, ავტორი მიგვანიშნებს, რომ ძალადობა მსოფლიო პრობლემაა და მას ლოკალური სივრცე არ აქვს. პიესის პერსონაჟები არიან ვენაში მცხოვრები ქართველი ბიჭი ოთო, ორმოც წლამდე ავსტრიელი ქალი, შტეფანია, შტეფანიას ახალგაზრდა საყვარელი, ჰერმანი და შტეფანიას ქმარი, მოკრივე.

სიგარეტის საყიდლად გამოსული ოთო დაინახავს ხიდის მოაჯირზე მდგარ შტეფანიას და მის გადარჩენას ცდილობს. მათი საუბრიდან ხდება ცხადი ქალ-ვაჟის ბიოგრაფიული მომენტები.

დრამატურგი პიესას გარემოს აღწერით იწყებს. შუალამა. აუგარტენის ხიღზე ახალგაზრდა ქალის ფესსაცმელსა და ფეხებს ვხედავთ წვივამდე, რომელიც ყანყალებს - ზემოთქმულის ხაზგასგმა ქალის არამყარ, მერყევ ხასიათზე უნდა მიუთითებდეს. მაღე ის მთლიანად ჩნდება. სასიამოვნო გარეგნობისაა, თუმცა სახე შეშლილი აქვს. შემდეგ მოქმედება მისაღებ ოთახში გადადის. ქალი სიგარეტს ეწევა, რაც კონკრეტულ მონაკვეთში (და შემდეგაც) მის მღელვარებაზე მიანიშნებს. ოთახში მამაკაცის შემოსვლისთანავე აქრობს სიგარეტს. კაცი შტეფანიას ქმარია, სახელი არ აქვს, მოკრივეა, რაც ძალისა (და ძალადობის) დემონსტრირებაზე მიანიშნებს. მამაკაცისთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ მისი პროფესიაა და ყველაფერი, რაც მისგან მომდინარეობს - მატერიალური კეთილდღეობა და სახელი. მოკრივესათვის ქალი მხოლოდ გარეგნობით ფასობს და მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, თუ როგორია მისი შინაგანი სამყარო. ის შტეფანიას გამუდმებით აყვედრის, რომ უზრუნველად და მდიდრულად აცხოვრებს, რომ დღესაც ვინმეს მეგობარი გოგო იქნებოდა, „მხსნელად“ ის რომ არ გამოჩენილიყო და არ მაღავს, რომ მოფერების შემდეგ, მისი აღარაფერი უნდა. ხშირად ლაპარაკის უფლებასაც არ აძლევს და მოითხოვს, რომ დადუმებული მაგნიტაფონით ჩუმად იყოს. არ აძლევს უფლებას მოუსმინოს მუსიკას ყურსასმენების გარეშე. მისთვის შტეფანიას არანაირი ღირებულება არ აქვს, ის იმ ნივთს ჰგავს, რომლითაც ადამიანი ერთობა და მობეზრებისთანავე მიატოვებს: „ჩემი მომავალი შენთან ერთად ან შენს გარეშე ერთია! და ის კრივს, ჩემს სპორტულ კლუბსა და აი ამ ჯილდოებს უკავშირდება“ (1, 268). საბოლოოდ, შტეფანია სახლიდან გამორბის, რადგან მოკრივე ორგიაში მონაწილეობის მიღებას აძალეებს. მოკრივე მოძალადე მამაკაცის ტიპური სახეა. მისი მხრიდან ძალადობა ვლინდება როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ის მეტისმეტად პატივმოყვარეა და, საკუთარი თავისა და ინტერესების გარ-

და, ვერაფერს ამჩნევს. „პატივმოყვარეობის ყველაზე დიდი საფრთხეა ინდივიდუუმის რეალობისაგან მოწყვეტა. ის კარგავს ადამიანთშორისი ურთიერთობების გაგებას და მისი რეალობისადმი დამოკიდებულება მახინჯდება. მას ავიწყდება ადამიანური არსების მოვალეობები და კარგავს საზოგადოებაში, როგორც ერთიან მთლიანში, თავისი როლის შესახებ წარმოდგენას. არცერთ მანკიერ თვისებას არ შეუძლია ადამიანის თავისუფალი განვითარების ისე დამახინჯება, როგორც მას პატივმოყვარეობა ამახინჯებს, რომელიც ინდივიდუუმს აიძულებს, ნებისმიერ ადამიანს და ნებისმიერ მოვლენას ასეთი კითხვით მიუდგეს: „სამაგიეროდ რას მივიღებ?“ (2, 197). ვფიქრობ, ეჭვს არ იწვევს, რომ მოკრივე პატივმოყვარე ადამიანია. ამ თვისებამ მასში ჰუმანური თვისებები დათრგუნა და მოძალადედ ჩამოაყალიბა.

პატივმოყვარეობა და ნარცისიზმი არსობრივად მსგავსი ცნებებია. ვფიქრობ, დამოუკიდებლად ისინი არც არსებობენ. ამ თვისებების მატარებელია შტეფანიას ახალგაზრდა საყვარელი, ჰერმანი, რომელიც მას გათხოვებამდე ჰყავდა. ჰერმანი შტეფანიაზე გაცილებით ახალგაზრდაა. ქალი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მან ბედნიერად იგრძნოს თავი, ჰგონია, რომ თავისი დამოკიდებულებითა და ქცევებით საყვარელი ბედნიერია, მაგრამ პირიქით აღმოჩნდება. ჰერმანი აღმოაჩენს, რომ ქალი ბევრ რამეს მხოლოდ მის საამებლად აკეთებს და მას სრულიად არ მოსწონს, მაგრამ ქალს საყვარლის ბედნიერება ახარებს, რაც ბიჭისთვის სრულიად უცხო და წარმოდგენილი გრძნობაა. იგი ქალის სისუსტით სარგებლობს მანამ, სანამ მის ცხოვრებაში სხვა ქალი არ გამოჩნდება - ახალგაზრდა, მხიარული, რომლის გვერდით გავლაც არ მოერიდება. ის ირონიულია შტეფანიას მზრუნველობის მიმართ: „დაასრულე! თქვი, პატარა ბავშვი ვარ, ხო? უტუ-უტუ... დედიკო, შეიძლება რძე შევუკვეთო? ნესქვიკი მინდააა!! შენთვის ბავშვი ვარ, პატარა შავი არაბული ცხენი! გამხედნე, დედიკო!“ (1, 258). ამ სიტყვებში, ირონიასთან ერთად, გაღიზიანებაც იგრძნობა და სრულიად ბუნებრივია, მეტისმეტმა მზრუნველობამ ამგვარი შეგრძნება გამოიწვიოს. მაგრამ აქ ამორალური ის ფაქტია, რომ ამ გრძნობებს ჰერმანი მის ცხოვრებაში სხვა ქალის გამოჩენის შემდეგ ავლენს და, უფრო უარესი - მას შემდეგ, რაც შტეფანია ამხელს, მანამდე კი გემრიელ ლუკმას ხელიდან არ უშვებს, რადგან უზრუნველად ცხოვრობს შტეფანიას მკლავებში. ბოლო შეხვედრისას შტეფანია ეუბნება ჰერმანს, რომ იცის მისი ახალგაზრდა საყვარლის შესახებ, უფრო სწორედ, გრძნობს მის არსებობას. ისე ჩანს, თითქოს, ჰერმანი არ გეგმავდა ქალისთვის სიმართლის თქმას და ორმაგ თამაშს აპირებდა - ჰყოლოდა გვერდით სასურველი ქალი და, ამავე დროს, ჰყოლოდა ქალი, რომლისგანაც მატერიალურ ხეირს ნახავდა. მაგრამ, რადგან შტეფანიამ კუთხეში მიიმწყვდია, უკან აღარ დაიხია და დიდი ხნის ნაგროვები ბოღმა ერთბაშად ამოანთხია: „ყველა მეუბნებოდა, რომ ბოზი ხარ, ჩვეულებრივი, გარყვნილი 35 წლის ქალი, რომელსაც მე პატარა სექსუალურ ბიჭად გჭირდებოდი, და რომ შენ მიყენებდი! ხანდახან, როცა იმ გოგოსთან ვიყავი, მძულდი, მძულდა შენი ხელები, შენი მხრები, შენი ძუძუები და სახე! მახინჯი ხარ სინამდვილეში! ის კი უღამაზესია!“ (1, 262). ჰერმანი სასტიკად ექცევა ქალს და მასში არანაირი მადლიერების გრძნობა არ არის იმ მსხვერპლის მიმართ, რომელიც შტეფანიამ გაიღო მისთვის.

„შიშით მოცული ინდივიდუუმები გარბიან, ერთმანეთთან დაცვას ეძებენ, და ამგვარად ცდილობენ ძალის იმ ხარისხამდე მოპოვებას, როცა ისინი თავის თავს იმ საფ-

როსებთან შეხვედრის უნარის მქონედ შეიგრძნობენ, რომლებიც, მათი აზრით, ემუქრებათ“ (2, 286). შტეფანიას ეშინია ცხოვრების და, განსაკუთრებით, მარტოობის. მოკრივესთან თმობს თავის პოზიციებს იმის გამო, რომ მარტო არ დარჩეს. ჰერმანის ბედნიერება იმიტომ უნდა და იმიტომ იღებს მსხვერპლს მისთვის, რომ წასასვლელი გზები მოუჭრას. თავდაპირველად ის ოთოსთან საუბრისას აღზნებული და აღელვებულია, ამის მიზეზი კი ის არის, რომ ის არავის სჭირდება, მაგრამ ოთოს თავაზიანი საქციელი არბილებს. ისინი საუბრისას არაერთ თემას განიხილავენ. მაგალითად, როგორიცაა კულტურული განსხვავება ავსტრიელებსა და ქართველებს შორის. საუბრობენ როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ძალადობაზე, რომელსაც მამაკაცები ქალების მიმართ ავლენენ. შტეფანია ამბობს: „შენ ცეცხლს ეთამაშებოდი! ადამიანის ცხოვრებას, მის ფსიქიკას! ვინ მოგცა შენ ამის უფლება?! ის წავიდოდა... ის შენგან აუცილებლად წავიდოდა... დანგრეული, განადგურებული, მაგრამ წავიდოდა“ (1, 265). აქ მინიშნებაა იმაზე, რომ მორჩილება, რომელიც ბუნებრივად კი არ არსებობს ადამიანში, არამედ რაღაც ფაქტორებითაა გამოწვეული, აუცილებლად დასრულდება, თუნდაც ეს ძალიან მტკივნეული იყოს. იგი იქვე ამბობს: „ო, როგორი კომპლექსიანები ხართ, როგორი მშიშრები! ეგ ცემაზე უარესია, გესმის! იმიტომ, რომ ქალის ხანგრძლივი ფსიქოლოგიური ხმარება გაუპატიურებაზე უარესია, გესმის! უარესი... (ცრემლები ადგება)“ (1, 265). ამით ის ამბობს, რომ ძალადობა სისუსტისა და კომპლექსების უკიდურესი გამოვლენაა, რომელსაც მოძალადე თავისზე სუსტ არსებაზე ახორციელებს. ის აღიარებს, რომ სუსტია და მას იმედი სჭირდება, ოღონდ - არა ყალბი და არადამაჯერებელი, არამედ - ჭეშმარიტი. ჭეშმარიტ იმედს კი იმ ხალხისგან ვერ მიიღებს, რომელთაც არ უყვართ.

ოთო პიესაში შემოდის სიტყვებით: „... ხან წვიმს, ხან ცრის, მაგრამ დუნაი მაინც ჩუმია...“ (1, 251). ეს ფრაზა მეტაფორულად ცხოვრებას უნდა ასახავდეს, მისი თანმდევი სხვადასხვა მოვლენით და ფაქტით, რომ, რაც არ უნდა ხდებოდეს, ადამიანები მაინც დუმილს ამჯობნიებენ სიმართლის თქმას, რადგან დუნე და მიხვეული ცხოვრება ურჩევნიათ შეუჩვეველსა და მშფოთვარეს. ოთო ხედავს ხიდის მოაჯირზე მდგომ ქალს, ხედავს მის სახეს, მაგრამ თვალებს - ვერა, რადგან მას თვალები დახუჭული აქვს. ვფიქრობ, დახუჭული თვალების ხაზგასმა იმას ნიშნავს, რომ ქალს არ სურს გამოფხიზლება და მდინარის საწინააღმდეგო მიმართულებით გაცურვა, ამავე დროს, დახუჭულ თვალებში ადამიანის ემოციისა და შინაგანი სამყაროს დანახვა შეუძლებელია. ვაჟი ფრთხილად უახლოვდება ქალს, რომ არ დააფრთხოს. ქალი თავდაპირველად უხეშად ცდილობს ოთოს თავიდან მოშორებას, მაგრამ ბიჭი თავს არ ანებებს, რადგან ფიქრობს, რომ შტეფანია გადახტომას აპირებს. ის თავაზიანად ექცევა ქალს, ერთი შეხედვით, არაფრისმთქმელ, მსუბუქ თემებზე საუბრით ცდილობს, მისი ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოს და განზრახვა გადააფიქრებინოს. მათი საუბარი ქაოტურია, რადგან ერთი თემიდან მეორეზე გადადიან. ამ საუბარში ირკვევა ოთოს წარმომავლობა და ცხოვრებისეული მომენტები. იგი თბილისში, ერთ-ერთ ფირმაში, გაყიდვების აგენტი იყო. დედა, როგორც მრავალი ქართველი ქალი, საბერძნეთში მუშაობდა და ოთო აქ ჩამოვიდა იმედით, რომ „აეწყობოდა“, მაგრამ იმედი გაუცრუვდა და ახლა, როგორც ლტოლვილს, 450 ევროს უხდიან თვეში. თბილისში ცოლი ჰყავს, რომელთანაც მხო-

ლოდ ჯვარი აქვს დაწერილი და ამბობს, რომ ჯვრისწერა ხელმოწერაზე ძლიერი დოკუმენტია საქართველოში. ის შტეფანიას ბოდიშს უხდის იმის გამო, რომ მოატყუა, მოატყუა, რომ მისი ცოლისთვის არაფერი აუკრძალავს. სინამდვილეში კი ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია, რადგან უამრავ მოთხოვნას უყენებდა: არ ემუშავა, რადგან დიდი შანსი იყო, იქ ვინმეს მოსწონებოდა. უკრძალავდა თმის მოკლედ შეჭრას, რადგან მოკლე თმა განსაკუთრებით უხდებოდა, უკრძალავდა მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმას, უკრძალავდა ულიფოდ სიარულს და ეუბნებოდა, რომ მის გვერდით გავლა რცხვენოდა. შემდეგ ქუჩაში მარტო ტოვებდა ატირებულს. მერე ოთო ურეკავდა და ის, კვლავ ატირებული, პატიებას სთხოვდა, რადგან უყვარდა და ყველა მისი მოთხოვნა თხოვნად ეჩვენებოდა. საბოლოოდ ოთო ამბობს: „მე ვართმევედი მთელ ენერჯიას და სანაცვლოდ არაფერს ვაძლევდი“ (1, 264). ოთოს საქციელი ძალადობის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა, რომელიც შენიღბულია იმით, რომ უყვარს და რომ უნდა სხვა კაცების გარყვნილი მზერისაგან დაიცვას ქალი. ქალი კი ბრმად ენდობა მას, რადგან ფიქრობს, რომ ამას სიყვარულის გამო აკეთებს. რეალურად ეს სიყვარული კი არა, სისუსტისა და ეგოიზმის უკიდურესი გამოვლინებაა. სიყვარული თავისი არსით მსხვერპლს მოითხოვს. მსხვერპლი კი ის არის, აკეთო არა ის, რაც შენ გინდა, არამედ ის, რაც მას სურს. საბოლოოდ, ქალი, ხუთი წლის თავზე, წავიდა მასთან „რომელსაც ის გამოპრანჭული, მოკლედ შეჭრილი თმითა და მაღალ ქუსლებზე შემდგარი მოეწონა“ (1, 266). მან გაბედა და თავი დააღწია „სიყვარულად“ მონათლულ ძალადობას. ოთო კი იმაზე მეტად განადგურდა, ვიდრე ქალი - მათი ერთად ცხოვრებისას. შესაძლოა ვთქვათ, რომ ოთომ საკუთარი დანაშაული გააცნობიერა, რადგან ის გულახდილად საუბრობს ამ თემაზე ქალთან, რომლისგანაც თანაგრძნობას არ უნდა ელოდეს, რადგან ეს ქალიც ძალადობის მსხვერპლია, თუმცა არ ვიცით, ეს გაცნობიერება და ერთგვარი სინანული არის თუ არა პრევენცია იმისა, რომ ოთო შეძლებს სძლიოს ეჭვიან ბუნებას და მსგავსად აღარ მოიქცევა. რადგან მხოლოდ სინანული არ არის პრობლემის გადაჭრის გზა. მამარდაშვილი წერს: „პრობლემის გადაწყვეტა ჩადენილის გამო მონანიება კი არ არის, არამედ ის, რომ მონანიების მდგომარეობისას მოხდეს ჩართვა ისეთ რეგისტრში, რომელშიაც აღარ ჩაიდენ ისეთ რამეს, რაც მონანიებასთან მივიყვანს“ (3, 46).

პიესის ფინალში ირკვევა, რომ ოთო ამოდ ირჯებოდა შტეფანიას გადასარჩენად, რადგან ის თავის მოკვლაზე სრულიად არ ფიქრობდა: „შენ გგონია, თავს ვიკლავდი? ჰაჰაჰა! არა! არა! უბრალოდ წამოვედი! შენ კარგად თქვი - გასანიავებლად! მე ვოლკსგარტენის პარკში წასვლას ვაპირებ... იცი, იქ გემრიელად თენდება...“ (1, 271). შტეფანია, როგორც პიროვნება, განადგურებულია. მის პიროვნულ განადგურებას კი იწვევს ხვედრთან მისი შეგუება, ბრძოლის უუნარობა, ინდიფერენტიზმი: „რაც უკვე კვლავინდებურად აღარ გვაღიზიანებს, რადგანაც გრძნობები ჩლუნგდება, და თუ რაიმე დამოკიდებულია გრძნობების დაჩლუნგებაზე, ეს „რამე“ ვანიბნევა და ქრება“ (3, 49).

დასკვნის სახით შესაძლოა ვთქვათ, რომ დრამატურგმა საკმაოდ დამაჯერებელი პერსონაჟები დახატა - სამი განსხვავებული მამაკაცი, რომელთაც მოძალადის თვისებები აქვთ, მამაკაცთა გულცივობისა და დაუნდობლობის მსხვერპლი ქალი, რომელსაც წინააღმდეგობის გაწვევის ძალა არ შესწევს; ვფიქრობ, სწორედ მისი სისუსტე უნდა იყოს მასზე ძალადობის მაპროვოცირებელი მამაკაცების მხრიდან, რადგან ამგვარი

ფსიქოტიპის მამაკაცები ურთიერთობისთვის სუსტ ქალებს ირჩევენ იმის გამო, რომ ძლიერ ქალებთან თავიანთ ეგოს ვერ დაიკმაყოფილებენ და გოგო, რომელიც ბურანიდან გამოერკვა და აღარ ისურვა ყოფილიყო ქმრის უსიტყვოდ მორჩილი ცოლი. ამ პერსონაჟების მეშვეობით მწერალმა ქალზე ძალადობის არაერთი ფორმა წარმოაჩინა და ამ ძალადობისავე დათრგუნვის გზაც დაგვანახა, რაც დანაშაულის გაცნობიერებასა და აღიარებაში გამოიხატება.

ლიტერატურა:

1. კაკულია ს., 9 პიესა VS ძალადობა, თბ., 2012.
2. ადღერი ა., როგორ გავიგოთ ადამიანის ბუნება, თბ., 2014.
3. მამარლაშვილი მ., ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში, თბ., 2013.

Nino Todua

The violence theme in a play “Rain or torrent on the bridge” by Sandro Kakulia

Summary

The violence theme is an acute and unsolved issue not only in Georgia but all over the world. With the support of the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia a volume of selected plays “9 plays VS violence” has been published. The play “Rain or torrent on the bridge” by Sandro Kakulia is among those plays. It portrays many acts of discrimination against women. Our aim is to discuss the play in terms of philosophy and psychology, show the scientific analysis of this phenomenon.

Нино Тодуа

Тема насилия в пьесе Сандро Какулия «На мосту дождь или морось»

Резюме

Тема насилия представляет актуальную и сложную проблему не только в Грузии, но и во всем мире. При содействии Министерства культуры и охраны монументов было опубликовано собрание пьес «Девять пьес против насилия». В пьесе Сандро Какулия – «На мосту дождь или морось» описывается не одна форма проявления насилия в отношении женщин. Цель нашей работы - дать анализ пьесы в философском и психологическом контексте, чтобы показать научный аспект данного феномена.

ლევან თენიეშვილი

(საქართველო)

**რომის სამართლის გავლენა თანამედროვე
ქართულ საოჯახო სამართალზე**

ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხები თანამედროვეობაში გასაკუთრებულ აქტუალობასა და საზოგადოების ღრმა ინტერესს იწვევს. აღნიშნული დაკავშირებულია ქორწინების განმარტებასთან, რასაც სიმწვავეს მატებს მექორწინეთა სქესის საკითხის შესახებ სხვადასხვა პოზიციის არსებობა. ქორწინების დეფინიციის გაფართოება ხშირად იყო სპეკულაციის საგანი, რაც ხელს უწყობდა ჰომოფობიური განწყობების გაღვივებას. აღნიშნულის პრევენციის მიზნით, ქორწინების ცნება განისაზღვრა კონსტიტუციის დონეზე. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, 2017 წლის 13 ოქტომბრის საქართველოს კონსტიტუციური კანონით „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და მან მოგვცა ქორწინების ფორმულირება, რასაც ადრე კონსტიტუციურ დონეზე ადგილი არ ჰქონია. განისაზღვრა, რომ „ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას“. ცვლილებით საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდა ამ მიმართულებით არსებული ხარვეზი. მოცემული დებულება საქართველოში მოქმედებს 1997 წლიდან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის მიხედვით: „ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში [შემდგომ – სააგენტოს ტერიტორიული სამსახური] (3). „კავშირი“ მიუთითებს იმაზე, რომ ქორწინება არ არის სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების ადეკვატური ცნება. ამ გარიგების მხარეები კი არიან ორი სხვადასხვა სქესის ადამიანები - ქალი და მამაკაცი ანუ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის შეთანხმება ოჯახის შექმნის თაობაზე. პირველ რიგში, აქ კანონმდებელი იცავს მონოგამიის პრინციპს და საუბარია ქალსა და მამაკაცზე მხოლოდობით რიცხვებში. ხოლო მეორე რიგში, საუბარია ქალისა და მამაკაცის და არა ერთი სქესის მქონე პირების კავშირზე (10, 52).

ქორწინების დეფინიცია მსგავსი სახით ჰქონდათ განმარტებული რომაელ იურისტებს. იუსტინიანეს დიგესტების 23-ე წიგნის მეორე ტიტულში მოდესტინიუსი წერს, რომ „ქორწინება არის მამაკაცისა და ქალის კავშირი, მთელი ცხოვრების ერთიანობა, ღვთიური და ადამიანური სამართლის ერთობა“ (5, 10), ასევე იუსტინიანეს ინსტიტუციების მეცხრე ტიტულში აღნიშნულია - „ხოლო ქორწინება ანუ ცოლქმრობა არის მამაკაცისა და ქალის კავშირი, რომლის არსი ერთობლივ ცხოვრებაში მდგომარეობს“ (6,

23). ქორწინების ქრისტიანული კონცეფცია რომის სამართალში აღიარებული ტრადიციული სამართლებრივი ინსტიტუტისა და ოჯახის შესახებ სარწმუნოებრივი შეხედულების სინთეზის შედეგად შეიქმნა. კლასიკურმა მონოგამიურმა რომაულმა ქორწინებამ ქრისტიანული კონცეფციისთვის დამახასიათებელი მუდმივობისა და ერთგულების იდეები გაითავისა. ქორწინების ქრისტიანული გაგებისა და სამართლის შერწყმა პირველად იუსტინიანეს დროს განხორციელდა. შემდეგ კი შუა საუკუნეების კანონიკური სამართლის მცოდნეებმა აქტიურად გამოიყენეს იუსტინიანეს მიერ ჩამოყალიბებული სამართლებრივი მოდელი და ქორწინების კანონიკურ-სამართლებრივი კონცეფციისთვის, საქორწინო შეთანხმებისთვის, რომის სამართლის კლასიკური კონსესუალური ხელშეკრულების იდეა აიღეს. საოჯახო სამართლის ისტორიაში ქართული ოჯახი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და თვითმყოფადი ფენომენია. ისტორიულად საქართველოში საოჯახო ურთიერთობები და სამართალი ქრისტიანობის მნიშვნელოვანი ზეგავლენის ქვეშ იყო, თუმცა ინარჩუნებდა ინდივიდუალურად მისთვის დამახასიათებელ, ასევე, რომის სამართლიდან რეცეფცირებულ მახასიათებლებს. რომაულსამართლებრივი მიდგომა იმისთვისაა მნიშვნელოვანი, რომ ნათელი წარმოდგენა შეიქმნას ქორწინების თანამედროვე სამართლებრივ გაგებაზე, ვინაიდან თანამედროვე საოჯახო სამართალი ძველრომაული რეცეფციის შედეგია და ინსტიტუტთა უმრავლესობის სამართლებრივი შინაარსი დღემდე უცვლელია - განმარტავს ბატონი დიდიტრი გეგენავა (15, 149-153). „საქართველო არასდროს ყოფილა ჩაკეტილი თავის ნაციონალურ ღირებულებებში. იგი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა პროგრესული კულტურების მიმართ და ამ გზით სრულყოფდა თავის კულტურას. იგი მუდამ განიცდიდა აღმოსავლურ-დასავლური კულტურების გავლენას და შეადგენდა კიდევ მათ განუყოფელ ნაწილს“ (14, 19), - დასძენს ბატონი ბესარიონ ზოიძე.

კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის ადამიანის უფლებებთან და სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების შეფასებისას, საერთაშორისო ექსპერტი სერ ჯეფრი ჯოუელი აღნიშნავს, რომ „ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. ეს დებულება ამჟამად შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებას, რომლის მიხედვითაც „საქორწინო ასაკის მამაკაცსა და ქალს აქვთ ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება იმ ეროვნული კანონების შესაბამისად, რომელიც აწესრიგებს ამ უფლების განხორციელებას“ (4). ასევე, ახლახან ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ერთ-ერთი საქმის [ვალიანატოსი საბერძნეთის წინააღმდეგ] (9) განხილვისას დადგინდა, რომ სასამართლო არ ავალდებულებს ქვეყანას უზრუნველყოს ერთსქესიან წყვილთა „ქორწინების“ შესაძლებლობა, მაგრამ თუ პარტნიორობის რაიმე ალტერნატიული ფორმა დაშვებულია ჰეტეროსექსუალი წყვილებისთვის, მისი ეკვივალენტური ფორმა აგრეთვე დაშვებული უნდა იყოს ერთსქესიანი წყვილებისთვისაც (და პირიქით)“ (16, 213).

ცხადია, რომ ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა განიცდის ევროპული ქვეყნების სამართლის გავლენას. ხოლო თავის მხრივ ევროპულ სამართალს საფუძვლად უდევს რომის სამართლის დებულებები. მეცხრე საუკუნიდან მოყოლებული ქართულ იურისპუდენციაში არაერთხელ შემოსულა ევროპული სამართლის ძეგლები, ისეთები როგორებიცაა, დიდი და მცირე სჯულის კანონები, ვახტანგ მეექვსის კოდიფიკაცია

სომ უცხოური სამართლის ძეგლებითაა გაჯერებული. ყოველი ნახსენები სამართლის ძეგლი, უდავოდ, რომელი იურისტების ნაღვაწის გამოძახილია. თუმცა მათ პირდაპირ, უცვლელი სახით კალკირებას ადგილი არ ჰქონია. ისინი ყოველთვის მისადაგებული იყო ქართულ რეალობასთან. როგორც ბატონი ბ. ზოიძე აღნიშნავს, „ჩვენში დაწინაურებული ჩანს რეცეფციის ხელოვნება. ეს იმაშიც გაიხატება, რომ ადგილი არა აქვს უცხო სამართლის სარკისებურ რეცეფციას. ... სამართლის წიგნების თარგმნისას მთავარი ამოცანა იყო მათი ქართულ ნაღარგზე გადმონერგვა და საამისოდ ხელისშემშლელ ნორმებზე უარის თქმა. ეს ეხებოდა ძველ საქართველოში რეცეფცირებულ უკლებლივ ყველა სამართლის წიგნს“ (14, 20). ასეთივე ვითარებაა დღეს მოქმედ სამოქალაქო კანონმდებლობაშიც. იგი დიდი დოზით განიცდის რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის გავლენას, განსაკუთრებით სამოქალაქო კანონმდებლობაში, თუმცა ქართული რეალობის გათვალისწინებით. გერმანული სამოქალაქო კანონმდებლობის ანარეკლი, რომელიც თან სდევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, სწორედ რომის სამართლიდან იღებს სათავეს.

საფიქრებელია, რომ ამ სფეროშიც ევროპული კანონმდებლობის სწორხაზოვანი იმპლემენტაცია არაა აუცილებელი. შესაბამისად, საკითხის მოწესრიგება ქართული რეალობის და არსებული მრავალსაუკუნოვანი საკანონმდებლო გამოცდილების გათვალისწინებით იქნა განხორციელებული, მოცემულ ვითარებაში არსებული რეალიების გათვალისწინებით. დავაკვირდეთ მოვლენების და საზოგადოების მზაობის განვითარებას. კანონმდებლობა ხომ სინქრონულად უნდა მიჰყვებოდეს საზოგადოების ფეხისწივობას და არა პირიქით.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, №786-რს, 24.08.1995 (2018 წლის 23 მარტის მდგომარეობით).
2. საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, №1324-რს, 2017 წლის 13 ოქტომბერი.
3. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, №786-III, 1997 წლის 26 ივნისი (2018 წლის 22 დეკემბრის მდგომარეობით), 1106-ე მუხლი.
4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი, მუხლი 8.
5. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიკესტები, წიგნი ოცდამესამე, ლათინურიდან თარგმნა ნუგ ზარ სურგულაძემ, რედაქტორი ვალერიან მეტრეველი, თბ., 2001.
6. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა ნუგ ზარ სურგულაძემ, რედაქტორი ვალერიან მეტრეველი, თბ., 2002.
7. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2013.
8. განმარტებითი ბარათი საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“.
9. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3811818?publication=1> [01.08.19].

10. The European Court of Human Rights (Grand Chamber), CASE OF VALLIANATOS AND OTHERS v. GREECE (Applications nos. 29381/09 and 32684/09) JUDGMENT, STRASBOURG, 7 November, 2013.
11. შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2015.
12. შოშიაშვილი ლ., ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, თბ., 2003.
13. გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართალი, თბ., 2013.
14. მიხაილოვა ნ., ივანოვი ა., ასანიძე ს., რომის სამართალი, თბ., 2009.
15. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბ., 2005.
16. გეგენავა დ., სადოქტორო ნაშრომი „კონსტიტუციური შეთანხმება, როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2016.
17. ჯოუელი ჯ., „კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის ადამიანის უფლებებთან და სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების შეფასება“, ჟურნალი „აკადემიური მაცნე“, სპეციალური გამოცემა: „საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები“, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბ., 2017.

Levan Tenieshvili

Influence of the Roman law on the modern matrimonial law of Georgia

Summary

The article discusses matrimonial relations in Roman law and existing civil law of Georgia. The Roman and Georgian matrimonial legal institutions have been studied by using the historic method of comparison, which gives us the chance to run the parallel between the legal status of family members in Roman and Georgian laws in order to demonstrate the influence of Roman law on Georgian legislation.

The study covers the common characteristic elements which are part of old Roman law and modern matrimonial legislation. The article demonstrates the progressive events declared by the Roman law, which stay topical even today.

Леван Тениешвили

Влияние римского права на современное грузинское семейное право

Резюме

В статье рассмотрены семейно-правовые взаимоотношения римского права и действующего в Грузии гражданского кодекса. Грузинские и римские семейно-правовые институты изучены с применением сравнительно-исторического метода, что дает возможность провести параллели между правовым положением членов семьи в римском и грузинском праве и подчеркнуть влияние римского права на формирование грузинского законодательства. Были исследованы общие элементы, характерные для древнего и современного римского семейного права, выделены те прогрессивные явления, которые декларированы римским правом и которые даже сегодня сохраняют свою актуальность.

Ирина Матяш
(Украина)

**ДЕЯТЕЛЬНОСТЬ УКРАИНСКИХ ПРЕДСТАВИТЕЛЬСТВ В ГРУЗИИ
В 1918 - 1921 ГОДАХ**

Становление украинско-грузинских дипломатических отношений в 1919-1921 гг. обусловлено ходом революционных событий и противостоянием с большевистской Россией, в которых Украина и Грузия боролись за свою независимость и международную правосубъектность. Тогда многовековые отношения украинского и грузинского народов получили новые формы, выразившиеся в 1918 году в создании первых консульских учреждений Украинского Государства в Тбилиси и Батуми (1) и дипломатического представительства Грузинской Демократической Республики в Киеве и консульств в Одессе и Харькове.

Правовым основанием для создания украинских консульских учреждений на Кавказе стал Закон Украинского Государства от 4 июля 1918 года «О заведении генеральных консульств и консульских агентств за рубежом», согласно которому 16 августа приказом №266 были назначены консульскими агентами первого разряда Евгений Засядько в Батуми (с 4 июля) и Алексей Кулинский в Тбилиси (с 20 июля), 20 августа – секретарь Василий Бутков. Назначение Евгения Степановича Засядько инициировала украинская община в Баку, где он был активным членом Украинской общества «Просвита». Уроженец Полтавщины, «истинный украинец», человек честный, способный, трудолюбивый и достаточно образованный (2), до приезда на Кавказ работал в губернской администрации, а в 1918 году вернулся в Киев, чтобы служить Украине. Его профессионализм, патриотизм и знание французского языка стали убедительным аргументом для назначения на консульскую должность и он снова покинул родные просторы.

Однако из-за отмены этого закона, окончательно назначение украинских консулов в грузинские города состоялось в ноябре 1918 года. Согласно Закону Украинского Государства от 6 ноября 1918 года с 1 сентября упразднились ранее созданные консульские учреждения и образовывались генеральное консульство в Тифлисе и консульство Батуми - Поты. Генеральным консулом в Тбилиси 11 ноября был назначен Лев Лисняк, старшим секретарем – Николай Ковалевский, секретарем 19 ноября – Александр Дробышевский. На момент восстановления Украинской Народной Республики и прихода к власти в декабре 1918 года Директории Лев Лисняк едва успел добраться до места назначения. Поэтому он остался в Тбилиси, ожидая подтверждения полномочий от новой украинской власти.

Дипломатическое представительство УНР в форме чрезвычайной дипломатической миссии было создано уже правительством Директории 26 января 1919 года (3), незадолго до захвата Киева большевиками. Возглавил миссию УНР на Кавказе уроженец Подляшья, белорус по происхождению Иван Игнатьевич Красковский. Его дипломатические полномочия распространялись на Азербайджан, Армению и Грузию. Местом резиденции миссии

был определен Тифлис. 6 февраля 1919 года, уже в Виннице, куда выехало правительство Директории УНР, на должность советника миссии был назначен писатель и публицист, уроженец Бессарабии, выходец из польской дворянской семьи шведского происхождения, выпускник Уманского училища земледелия и садоводства Евгений Адольфович Ганейзера. Должность атташе занял член Центрального Совета от Юго-Западного фронта Всероссийского Союза городов и последний киевский губернский комиссар (с декабря 1918 г. – по январь 1919 г.) Зиновий Григорьевич Моргулис. Чиновником миссии стал бывший служащий гетманской комендатуры, подесаул Иван Алоизеевич Полянский. Однако не все сотрудники приступили к выполнению своих функций. В частности, отказался выехать на Кавказ атташе С. Г. Моргулис.

На содержание миссии и путешествие ее сотрудников к месту назначения было выделено 22 000 руб. (4). Дополнительные надежды на материальную поддержку деятельности миссии на месте назначения давало письмо на имя И. И. Красковского за подписью председателя Директории УНР В. К. Винниченко с поручением получить от грузинского правительства 500 000 рублей (5). Такую сумму гетманское правительство выдало на запрос временно исполняющего обязанности комиссара Грузии Н. П. Бреговдзе как заем для поддержки бывших военнопленных и инвалидов и организации их возвращения на родину. Посол Грузинской Демократической Республики в Киеве В. В. Тевзия, который начал свою деятельность в сентябре 1918 года, подтвердил получение средств грузинской стороной и выразил ходатайство перед грузинским правительством о возвращении соответствующей суммы украинскому коллеге. Указанные средства предназначались в распоряжение И. И. Красковского для использования в целях поддержки украинских учреждений и материальной помощи украинским гражданам (5).

18 февраля он получил поручение «позаботиться о скорейшем признании Генеральным консулом на Кавказе Л. Лисняка» (6), а на следующий день персональный состав миссии пополнился чиновником Андреем Венедиктовичем (Бенедиктовичем) Тишкевичем, потомком известной семьи крупных землевладельцев Виленщины. Дипломаты безотлагательно начали готовиться к отъезду и уже 20 февраля выехали из Винницы.

Первым пунктом остановки планировалась Одесса, куда миссия прибыла на следующий день, но задержалась из-за визирования французской администрацией паспортов и ожидания постоянной навигации почти два месяца. Еще одна задержка ждала в Новороссийске, Севастополе и Ялте. В Крыму написал рапорт об увольнении советник Е. А. Ганейзер, а И. А. Полянский временно остался для обследования условий жизни крымской украинской общины. И. И. Красковский отправился на Кавказ только с А. Б. Тишкевичем.

В Новороссийске, где ожидали пароход до Батуми, И. И. Красковский встретился с председателем Кубанского краевого совета Николаем Степановичем Рябоволом – патриотом Кубани и сторонником ее суверенных прав (7). Они обсудили перспективы создания Черноморской конфедерации и вопрос об уплате пророссийским правительством Кубани средств на предоставленное гетманским правительством военного снаряжение.¹³ С помощью кубанского лидера 25 марта украинские представители выехали к месту назначения, куда прибыли только 4 апреля.

¹³ Однако в июне 1919 года Н. С. Рябовол был убит деникинцами, вследствие чего договоренности не нашли воплощения.

Для размещения служб представительства и своей резиденции И. И. Красковский арендовал в Тбилиси в доме №3 на Верийский спуске (8) большое помещение: «семь комнат, большая кухня и балкон во двор» (9). Там устроили канцелярию, кабинет Главы миссии, гостиную для посетителей, столовую. Летней резиденцией стала дача в поселке Сурами - пять комнат с мебелью, садом, огородом и водоснабжением (10).

Вскоре после приезда И. И. Красковский вручил во время официальных встреч верительные грамоты руководителям правительств Грузии, Армении и Азербайджана он (11). Представители дипломатического корпуса в Тбилиси встретили украинского посла без особых эмоций. На его официальные визиты согласились только польские и литовские дипломаты. Представитель Великобритании, в сфере политико-экономического влияния которой находилось тогда Закавказья, комиссар Джон Оливер Уордроп отказался принять И. И. Красковского как государственного представителя, но встретился с ним как с частным лицом. Такая позиция не свидетельствовала о готовности английской администрации признать независимость УНР. Однако уже сама встреча воспринималась Украиной как положительный сигнал.

В служебные обязанности Главы миссии входило руководство созданными еще во время Гетманата консульствами в Тифлисе и Баку. Выясняя причины задержки экзекватуры Л. И. Лисняка, И. И. Красковский обнаружил, что одной из причин стало похищение в пути следования к месту назначения багажа Л. И. Лисняка, в котором находились официальные документы. Кроме того, имело место очевидное противодействие А. Кулинского, назначенного ранее и отозванного. Он не хотел оставлять должность. Проведенное в связи с этим главой миссии внутреннее расследование показало, что А. Кулинский за короткое время пребывания в должности вел политику, порой враждебную к Украине, а с приходом к власти Директории подал официальный запрос Грузинскому правительству о признании им правительства Директории (12). Стало известно также, что за безосновательное выдачи украинских удостоверений он был обвинен грузинской стороной в спекуляции (13) и взяточничестве, скрывал деньги, полученные за консульские сборы. Он отказывался передавать дела Л. Лисняку и не сдал на хранение в архив консульства в украинский комиссариат на Кавказе (13). Учитывая эти обстоятельства, И. И. Красковский категорически потребовал освобождения А. Кулинского без каких-либо выплат и приказал ему передать все дела и архив Л. Лисняку. В конце концов за отсутствие личного авторитета и деятельность, несовместимую с консульскими обязанностями, А. Кулинский был освобожден от занимаемой должности и уехал из Тбилиси.

Относительно Л. И. Лисняка И. И. Красковский направил в МИД Демократической Республики Грузия вербальную ноту по ускорению признания его полномочий, однако скоро ответа не получил. 15 апреля он предложил Л. И. Лисняку занять вакантную должность советника миссии. Лишь после повторного обращения 8 мая поступило сообщение о признании Л. И. Лисняка генеральным консулом УНР на Кавказе с расположением в Тифлисе. Тот сразу оставался в должности советника миссии до 1 декабря.

Первые обращения И. И. Красковского к грузинскому внешнеполитическому ведомству касались и выплаты миссии 500 000 рублей, на распоряжение которыми он имел поручение от правительства Директории (14). Грузинская сторона планировала немедленно оплатить указанную сумму с военного фонда, однако утверждения протокола заседания правительства от 15 апреля, во время которого было принято решение об уплате украинской стороне долга, откладывалось (14).

В начале июня 1919 в Батуми прибыла Украинская военная миссия к народам Северного Кавказа, сформированная по инициативе министра военных дел атамана Александра Шаповала с целью проведения подготовительной работы по вербовке горцев к украинской армии и формирования при условии получения соответствующих средств 10000 горских воинов (15). Ее руководителю – полковнику Николаю Моисеевичу Чеховскому – И. И. Красковский предложил занять пост военного атташе НДМ УНР учитывая совпадение функций и задач. Соответствующий приказ был издан 1 июля. Именно тогда миссия наконец приехала в Тбилиси, потому что «без объяснения причин» глава миссии и сотник Федор Шаповал были задержаны на некоторое время по приказу из Константинополя в Батуми британским командованием (16). Развернуть работу военной миссии должным образом не удалось из-за действий бывшего командующего Отдельной Запорожской дивизии, уроженца Аджарии генерала Александра Натиева. По информации, которую имел посол УНР в Стамбуле А. Г. Лотоцкий, он вступил «в Добровольческую армию с целью набрать на Кавказе военный кадр и, вступив с ним на Украине, приобщиться к украинской армии» (17, 125). План был разоблачен, А. Натиев отозван, но грузины, считая, что он собирал войска для Деникина, ликвидировали его (17, 126). Поэтому прекратила деятельность и военная миссия, а М. М. Чеховский остался военным атташе Чрезвычайной дипломатической миссии УНР на Кавказе.

Для обеспечения положительного имиджа УНР важно было в это время распространять правдивую информацию об Украине и ее борьбе с большевизмом. Потребность в этом была очевидна еще и из-за ложных тенденциозных сведений, распространявшихся большевистским радио, что было для Кавказа единственным источником информации. С целью ознакомления местных жителей и представителей дипломатического корпуса с украинской жизнью И. И. Красковский планировал создать печатный орган миссии. Он основал еженедельник «На рубеже» и ежедневную газету «Новь» при участии представителей Грузии, Армении, Туркестана, но из-за нехватки средств развитие издательскую деятельность не удалось.

Приоритетной задачей дипломатической миссии оставалось налаживание политического сотрудничества для реализации общей цели – защиты на международной арене интересов новообразованных государств. И. И. Красковский тщательно изучал отношение политических лидеров Кавказа и Кубани к идее Черноморского союза. Актуализацию в зарубежной политике УНР идеи создания Черноморско-Балтийского союза он считал действенным инструментом защиты от «Московии» (18). В направленном в МИД УНР отчете по этому вопросу дипломат отмечал, что эта идея «встречает большое сочувствие» на Кавказе и Кубани с пониманием, что инициатива по созданию такой организации и главная роль в ней должно принадлежать Украине, как только она освободится от большевиков (19).

Кроме политических вопросов, И. Г. Красковский исследовал экономические. Напоминая украинскому правительству о том, что во время Гетманата Кубанская Рада получила несколько миллионов артиллерийского снаряжения, он предлагал требовать от кубанского правительства возврата денег, которые могла бы составить специальный фонд для развития украинских экономических предприятий на Кавказе и Кубани. Формулировались при этом и конкретные предложения: приобрести для Украины медные рудники на Кавказе; начать украинское хлопчатобумажное дело в Мугани, где живет много украинцев и развивается хлопководство.

В августе 1919 года к И. И. Красковского обратились представители украинской общины в Крыму с просьбой помочь в решении вопроса о признании прав украинского консуль-

ства в Крыму за Исполнительным комитетом (Малым Советом) Краевого совета в Крыму или основания в Крыму представительства УНР. Идея, побудившая крымских украинцев к такому обращению, была значительно шире их бытовых, даже - культурных, интересов. Речь шла об идее национальной. Ее поддерживала Татарская Директория и курултай. Руководители татарского народа считали «желанным и нужным» основание украинского представительства в Крыму «для совместной деятельности плечом к плечу с Украинской в обороне национальных прав обоих народов». Просьба основывалась на решении съезда представителей украинских организаций Крыма, который состоялся 11 августа 1919 в Севастополе при участии представителей украинских общин Алупки, Евпатории, Симферополя, Севастополя, Ялты. Делегаты съезда избрали Украинским консулом педагога, журналиста и общественного деятеля Павла Ерофеича Горянского, а местом резиденции консульства определили Ялту [ул. Дворянская, 10] (20). Подобные учреждения в Крыму уже функционировали: в мае 1919 года Грузинский национальный комитет в Крыму создал в Ялте грузинское консульство, которое действовало до 1920 года. Крымские украинцы считали И. Г. Красковского авторитетным советчиком в деле образования Украинского представительства в Крыму учитывая его деятельность в сфере «соблюдение украинского национального движения в колониях» и специалиста в «восточной политике» (20). По поручению главы миссии секретарь А. В. Тышкевич переслал заверенные копии обращения, выписки из решения съезда и копию устава Краевого украинского совета в Крыму для принятия решения Советом Министров УНР (20). А И. И. Красковский, пользуясь своим правом главы дипломатической миссии в условиях практически полного отсутствия коммуникации с правительством поручил П. Е. Горянскому «взять на себя защиту Украинской на правах Консула» (21).

В это время произошло заметное сокращение финансирования деятельности миссии. Для создания более или менее соответствующих условий работы для других сотрудников И.И. Красковский решил выплачивать каждому ежемесячное пособие в размере ставки (21). Самым сложным было материальное положение консульства в Батуми: с января по апрель 1919 года (до прибытия миссии) консул практически не получал платы; значительно сократились доходы от совершения консульских действий, поскольку из-за тотальной дороговизны (цена 1 фунту мяса достигала 100-150 рублей) клиенты консульства не могли платить консульское пошлину.

15 ноября перед И. И. Красковским как официальным представителем УНР был поднят вопрос представителем коалиционного Совета обороны Северного Кавказа и Дагестана о необходимости сообщить украинскому правительству предложение о подписании договора о взаимном содействии в борьбе с Добровольческой армией. Оккупация деникинцами Дагестана и Чечни, конфискация продовольствия для нужд армии и объявления мобилизации среди горцев вызвали вооруженное сопротивление местного населения (22). Важным условием взаимопомощи, отраженной в проекте соглашения, было предоставление УНР как договорной стороной 45 млн рублей на организацию войска «не менее 15 000 бойцов» для борьбы за независимость Республики горских народов. Эти средства должна была передавать миссия под руководством И. Красковского по мере формирования отрядов. Для практической помощи в формировании армии горцев предполагалась отправка на Кавказ украинских инструкторов. Взамен правительству Директории предлагалось вербовать в пределах Горной Республики добровольцев-всадников «после укрепления политического положения Горной Республики» (23). Предложение осталась не

реализованной из-за поражения УНР в борьбе с Добровольческой армией и «полной невозможностью переехать на Украину кому бы то ни было» (24). Однако сообщение о необходимости подписания договора в МИД УНР И. Г. Красковский направил.

В январе 1920 года миссия и подчиненные ей консульства вообще остались практически без денег и возможности получить финансирование от правительства УНР. Негативное отношение к украинской миссии демонстрировали представительства государств Антанты. На прекращении деятельности вице-консульства в Батуми настаивала английские власти. Ни англичане, ни французы не ставили визы на украинские паспорта. Хотя И. И. Красковскому и А. В. Тишкевичу английский губернатор «ввиду того, что они не знают никакой Украины» сделал «предложение» взять российские паспорта, на которые безотлагательно будут поставлены визы, и уехать с Кавказа (25). Глава миссии воспользоваться предложением не собирался и продолжал выполнять свои функции.

В задачи миссии входило и выяснения положения украинцев на Кавказе. По организации регистрации украинских граждан И. И. Красковский сотрудничал с местными украинскими общинами. В марте 1920 года он получил отчет о количестве украинцев в Абхазии, живущих как в сугубо украинских селах (Спасения, Старая и Новая Черниговка, Полтавка, Владимировка, Петропавловка, Бомборы, Веселое, Парнаут), так и «в сумме с другими нациями» (Баклановка, Дранда, Псхулаты, Николаевка), а также в городах (Сухуми, Гудауты, Гагры). Проблема регистрации миссией украинских граждан заключалась в том, что многие из украинцев были записаны в российских статистических сведениях как «русские», значительная часть украинских семей выселилась во время революционных событий, многим нечем было заплатить членские взносы за участие в деятельности украинской общины. С учетом возможной по этим причинам погрешности председатель украинской общины в Абхазии подал в миссии информацию о зарегистрированных 225 ее членах и просил материальной помощи на развитие украинского дела в Абхазии (26).

И. И. Красковский принимал меры по организации лагеря для принудительно мобилизованных в Добровольческую армию украинцев, отказавшихся эвакуироваться с этой армией в Грузию и Крым и выразили желание бороться в Украине в рядах украинской армии «за демократические республиканские идеи» (27). Поэтому они находились в концентрационных лагерях вместе с другими интернированными «добровольцами». Обращаясь к министру иностранных дел Грузии, И. И. Красковский просил содействия в создании в г. Поти специального лагеря исключительно для украинцев (28). Речь шла о сосредоточении на одной площадке рассеянных по всей Грузии украинский. Здесь они ожидали возвращения в Украину (29). Предвидеть время ожидания было сложно не только из-за организационных моментов, но еще и потому, что в Украине к власти пришли большевики, а правительство УНР действовало за пределами родной земли, не теряя впрочем надежды на возвращение. Обращение украинского представителя министр иностранных дел Грузии направил в министерства внутренних дел и военного «для заключения» (29).

26 мая 1920 года Грузинская Демократическая Республика и РСФСР подписали мирный договор. И. И. Красковский утверждал в свои дипломатических отчетах, сделал все возможное, чтобы этого не произошло, однако его усилия были несоизмеримы с мерами большевиков. Согласно его договоренности с министром иностранных дел Грузинской Демократической Республики Е. П. Гегечкори некоторое время украинское представительство на Кавказе сохраняло свой статус (30). Но большевики требовали ее ликвидации. И. И. Красковский выслал в МИД УНР секретаря миссии А. В. Тышкевича с докладом о политичес-

ком положении на Кавказе и получения средств на содержание учреждения и директив по дальнейшей деятельности. Однако ни средств, ни директив руководитель миссии сначала не получил.

Ему приходилось действовать в условиях чрезвычайно осложненной связи с центром: иностранные дипломатические курьеры и Грузию не ездили, единственным каналом связи было Посольство УНР в Стамбуле. В условиях реальной возможности перехода власти к большевикам глава миссии получил прямое указание предоставлять визы для тех, кто собирался уехать, только на украинские документы, ставить визы на российские паспорта запрещалось (31).

В начале июня официальный орган – газета «Борьба» опубликовал телеграмму народного комиссара иностранных дел и председателя Совнаркома УССР Христиана Раковского с предложением Грузии об установлении официальных отношений между республиками. Реагируя на новость, И. И. Красковский подал вербальную ноту грузинскому внешнеполитическому ведомству с разъяснением, что «единственно законным правительством Украины является правительство УНР, созданное украинским народом в процессе его борьбы за свое национальное самоопределение и за свое независимое государственное бытие» (31).

24 июня 1920 года министр иностранных дел Андрей Никовский определил приоритеты в дальнейшей деятельности украинского представительства. Проведенную И. И. Красковским он назвал полезной и в дальнейшем поручил придерживаться главного направления внешней политики УНР, которое заключалось в том, чтобы добиться признания Украины «полным субъектом международных отношений» (31) и поддерживать национальные государства в их стремлении к не зависимой от большевистской России жизни. Ключевое значение придавалось достижению взаимного признания УНР и Грузии, Азербайджана и Армении (31). К письму министра прилагались датированные 25 июня 1920 года полномочия И. И. Красковского «быть представителем Украинской Народной Республики в Черноморщине, Кубанщине в Республике Союза Горских Народов - защищать там интересы украинских граждан и вести переговоры по всяким политическим и экономическим делам» (32).

Однако его положение постепенно приобретало угрожающий характер. Существенное влияние на дальнейшую перспективу деятельности миссии произвела в частности направленная 20 сентября 1920 года временным исполняющим обязанности полномочного представителя РСФСР в Грузии Леонидом Старком в МИД Грузии нота-протест, содержащая прямое требование прекратить деятельность Чрезвычайной дипломатической миссии УНР на Кавказе и подчиненных ей консульских учреждений. Как лица, пребывание которых нежелательно в Грузии, назывались И.И.Г. Красковский, М. М. Чеховский, Л. И. Лисняк, Е. П. Засядько и А. А. Петренко (33). Дополнительно требовалось поставить российского представителя в известность, какие меры принимаются для прекращения деятельности дипломатических и консульских учреждений на территории Грузии.

Грузинская сторона предоставила ответ за подписью исполняющего обязанности министра иностранных дел К. Сабахтаришвили уже 1 октября 1920 года. В ноте-ответе указывалось, что украинская миссия прибыла в Тбилиси как официальное представительство УНР и была официально признана грузинским правительством (34). В то же время выражалась готовность применить к украинским представителям соответствующую норму ст. 5 договора, признающую незаконным пребывание на территории Грузии

организаций, претендующих на исполнение государственных функций, и поручить своему представителю в Москве Г. Ф. Махарадзе начать переговоры с представителем УССР о подписании мирного соглашения (34). Тем самым грузинская сторона фактически обязывалась прекратить деятельность украинской миссии.

Председатель грузинского правительства Н. М. Жордания пригласил И. И. Красковского на аудиенцию. Разговор был сложной. Уверая в неизменности отношения грузинского народа к народу украинскому, «непоколебимости дружеских взаимоотношений» к национальному украинскому правительству и его представительства на Кавказе, Н. М. Жордания объяснил, что дальнейшее пребывание миссии под руководством И. Г. Красковского на Кавказе может послужить для большевиков *casus belli*, а потому он должен организовать выезд миссии под любым предлогом. По предложению И. И. Красковского вернуть верительные грамоты грузинский лидер заверил, что не желает разрыва дипломатических отношений с УНР, только политические обстоятельства заставляют искать такой выход из ситуации. Не имея соответствующих указаний и материального обеспечения от украинского правительства, И. И. Красковский организовал «информационную завесу» основной - политической - причины отъезда миссии. Местная пресса единодушно сообщала, что он уехал из Грузии «для доклада Правительству УНР и для участия в съезде зарубежных представителей УНР» (35).

Оставляя должность, И. Г. Красковский пытался сохранить малейшую возможность защиты украинских граждан. Он провел совещание с генеральным консулом Л. И. Лисняк и членами миссии Г. Петренко и военным аташе М. Чеховским. Его идея заключалась в поручении опеки над украинскими гражданами в условиях прихода большевиков не «официальным представителям украинского правительства», а председателям украинских общин, которыми фактически были те же лица: полковник Чеховский возглавил общину в Тифлисе, Волошинов - в Сухуми, Е. Засядько - в Батуми (35).

После выезда И. И. Красковского из Тифлиса ему дважды пришлось подавать рапорт об увольнении. Лишь 31 мая он получил информацию о том, что деятельность НДМ УНР на Кавказе «временно прекращается», а его рапорт о допэмиссии будет принято «днем его приезда в Тарнов» (36).

Генеральный консул УНР Левко Лисняк оставил Тифлис 25 февраля 1921 года, узнав о вторжении большевистской конницы в окрестностях города. Он уехал из города последним поездом, не предупредив семью. В Батуми Л. Лисняк встретился с консулом Евгением Засядько, который эвакуировался вместе с исполняющим обязанности секретаря консульства полковником Радцевичем-Плотницким. Вместе они добрались до Стамбула и долго скитались в поисках убежища и спасения от голода: жили в ночлежке (скрывая свои должности), без денег, стояли в очереди с беженцами по бесплатным обедам от Всероссийского земского союза, чтобы прокормиться вынуждены были работать чернорабочим на хуторе (Л. Лисняк) и грузчиком на складах Общества братьев Нобель (Е. Засядько).

Ценя их труд для Украины, руководитель посольства УНР в Стамбуле Ян Токаревич-Карашевич, «прикомандировал» их к посольству без выплаты зарплаты. В конце декабря 1921 года посол выехал в Тарнов, где временно находился Государственный центр УНР в изгнании, и начал работу в должности заместителя министра иностранных дел, а 12 января 1922 года возглавил МИД УНР в изгнании. 1 июня 1922 года он поручил бывшему генеральному консулу УНР в Тбилиси Льву Лесняку исполнение обязанностей генерального консула УНР в Стамбуле с возложением на него обязанностей управляющего посольством.

Е. Засядько согласно его рапорту от 26 февраля 1923 года был уволен со службы в Генеральном консульстве в Стамбуле фактически годом раньше - с 1 апреля 1922 года.

Таким образом, в течение 1918 – начала 1921 года на территории Грузии действовали украинские дипломатические (Чрезвычайная дипломатическая миссия УНР на Кавказе) и консульские (Генеральное консульство в Тбилиси и консульство в Батуми) учреждения. Их деятельность имела официальный характер и была признана грузинским правительством. В истории становления украинско-грузинских отношений имена руководителей этих учреждений – Иван Красковского, Льва Лесняка, Евгения Засядько – оставили яркий след. Дипломатическая миссия и консульские учреждения прекратили свое существование вследствие большевистского давления. Детальному изучению этого сложного периода дипломатической истории будет способствовать продолжение исследования соответствующей информации в украинских и грузинских архивах.

Литература:

1. Див.: Матяш Ірина. Українська консульська служба 1917-1923 рр. як державний інститут: становлення, функціонування, персоналії. К.: Інститут історії України НАН України, 2016.
2. ЦДАВО України, ф. 3696, оп. 2, спр. 184, арк. 6.
3. ЦДАВО України, ф. 3696, оп. 3, спр. 49, арк. 42.
4. ЦДАВО України, ф. 3696, оп. 3, спр. 49, арк. 79.
5. Центральний державний історичний архів Грузії (далі-ЦДІАГ), ф. 1861, оп. 2, спр. 94, арк. 2.
6. ЦДАВО України, ф. 3696, оп. 3, спр. 48, арк. 49.
7. Польовий Ренат. Микола Рябовол - великий українсько-кубанський політичний діяч// Кубанська Україна. Електронний ресурс. Режим доступу: <http://ukrlife.org/main/kubann/tiabovol.html>
8. ЦДАВО України, ф. 3696, оп. 3, спр. 48, арк. 41.
9. Красковська Людмила. З давніх часів. Прешув, 1999.
10. ЦДАВО України, ф. 3696, оп. 3, спр. 50, арк. 99 зв.
11. ЦДАВО України, ф. 3696, оп. 3, спр. 49, арк. 73.
12. ЦДАВО України, ф. 3696, оп. 3, спр. 49, арк. 73.
13. Гасымлы М. Дж., Купчик О.Р., Дамиров А.У., Украинско-азербайджанские политические отношения: история и современность. Изд. второе, испр. и доп. К.: Изд. дом Дмитрия Бураго, 2014.
14. ЦДІАГ, ф. 1861, оп. 1, спр. 94, арк. 1.
15. Матвієнко В. М., Українська дипломатія 1917-1921 років на теренах постімперської Росії. К. : Київський ун-т, 2002.
16. Бежуашвілі А., Україна і Грузія: дипломатичні відносини 1918-1920 років.
17. Лотоцький О., В В Царгороді. Варшава, 1939. Серія «Праці Українського наукового інституту. Т. XL; Мамуари, кн. 5».
18. ЦДАВО України, ф. 3696, оп. 2, спр. 311 а, арк. 21 зв.
19. ЦДАВО України, ф. 3696, оп. 1, спр. 29, арк. 74.
20. ЦДАВО України, ф. 3696, оп. 3, спр. 50, арк. 3.
21. ЦДАВО України, ф. 3696, оп. 3, спр. 49, арк. 46.
22. Див.: Матвієнко В. М. Українська дипломатія 1917-1921 років.

23. ЦДАВО України, ф. 3696, оп. 2, спр. 311а, арк. 1.
24. ЦДАВО України, ф. 3696, оп. 3, спр. 49, арк. 46 зв.
25. ЦДАВО України, ф. 3696, оп. 3, спр. 38, арк. 13.
26. ЦДАВО України, ф. 3696, оп. 3, спр. 50, арк. 16.
27. ЦДІАГ, ф. 1861, оп. 2, спр. 12, арк. 5.
28. ЦДІАГ, ф. 1861, оп. 2, спр. 185, арк. 5.
29. ЦДІАГ, ф. 1861, оп. 2, спр. 12, арк. 5.
30. ЦДАВО України, ф. 3696, оп. 2, спр. 270, арк. 88 зв.
31. ЦДАВО України, ф. 3696, оп. 3, спр. 50, арк. 32 зв.
32. ЦДАВО України, ф. 3696, оп. 3, спр. 49, арк. 149.
33. Синюк Б., Грузинсько-українські дипломатичні, економічні і громадські зв'язки на початку ХХ сторіччя//Дипломатичні, громадські та економічні відносини між Українською Народною Республікою та Грузинською Демократичною Республікою у 1917-1922 рр.: Зб. м-лів науково-практичної конференції. Тбілісі, 2007.
34. ЦДІАГ, ф. 1861, оп. 2, спр. 207, арк. 4.
35. ЦДАВО України, ф. 3696, оп. 2, спр. 270, арк. 89.
36. ЦДАВО України, ф. 3696, оп. 2, спр. 50, арк. 99.

ირინა მატიაში

უკრაინული წარმომადგენლობების საქმიანობა საქართველოში 1918-1921 წლებში რეზიუმე

სტატია მიზნად ისახავს უკრაინასა და ბულგარეთს შორის დიპლომატიურ ურთიერთობებში სოფიაში უკრაინის სახალხო რესპუბლიკის პირველი საელჩოს მიერ გამოყენებული კულტურული დიპლომატიის ინსტრუმენტების შესწავლას. 1918-1920 წლებში უკრაინის სახალხო რესპუბლიკის დიპლომატიის კულტურული საქმიანობის ანალიზი საშუალებას იძლევა თვალყური ვადევნოთ ბულგარელების მიერ უკრაინის კულტურული აღქმის ევოლუციას, ისევე როგორც ბულგარეთში უკრაინის კულტურული და ჰუმანიტარული პოლიტიკის განხორციელების ორიგინალურ გზებს.

Анна Тертична

**Деятельность Посольства Украинской Народной Республики в Болгарии: истоки
публичной дипломатии на этапе становления дипломатических отношений
Резюме**

Целью статьи является исследование инструментов культурной дипломатии в дипломатических отношениях Украины с Болгарией в период деятельности первого посольства Украинской Народной Республики в Софии. Анализ деятельности украинских дипломатов УНР в культурной сфере в период 1918-1920 гг. дает возможность проследить эволюцию основных культурных брендов в восприятии Украины болгарской общественностью, а также первых форм воплощения политики Украины в культурно-гуманитарной сфере в отношении Болгарии.

ლია სვანიძე
(საქართველო)

ზნეობრივი ძნევის ფსიქოლოგიური საფუძველი

საკაცობრიო მნიშვნელობის საკითხთა შორის ცენტრალური ადგილი უკავია ზნეობის პრობლემას, რომელიც ყველა დროის მოაზროვნეთა ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა.

ანტიკური ეთიკის მამამთავარმა სოკრატემ ზნეობის საფუძველად სიბრძნე, შეგნება გამოაცხადა. სიკეთის ცოდნა პლატონთანაც მთელი ზნეობის ჭეშმარიტი მამოძრავებელი ძალა არის, მაგრამ მან მთელი აქცენტი ნების მომენტზე გადაიტანა და ამით განსაზღვრა ქცევის ზნეობრივი ღირებულება.

ნების მომენტს პლატონის შემდეგ არისტოტელემ მიაქცია ყურადღება, მაგრამ მან განსაკუთრებული ყურადღება ბუნებრივ მისწრაფებებს – ვნებებს და აფექტებს დაუთმო. არისტოტელე ნებისყოფაზე მიუთითებს, როგორც იმ ძალაზე, რომელიც განაპირობებს გონების მიერ დადგენილი ნორმისადმი დამორჩილებას.

ინგლისში, კერძოდ კემბრიჯსა და შოტლანდიის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ სკოლებში ზნეობის პრობლემამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. კემბრიჯის სკოლის წარმომადგენელთა (ჰობსი, კლარკი, ბუტლერი და სხვ.) აზრით, ადამიანის ზნეობის საფუძველი მის გონიერებაშია, შოტლანდიის სკოლაში კი ეთიკური პრობლემატიკის გადაწყვეტას ზნეობრივ გრძნობებზე დაყრდნობით ცდილობენ. ამ სკოლის თვალსაზრისით წარმომადგენლები - იუმი, მანდვილი, ლოკი და სხვები, ცდილობენ დაასაბუთონ, რომ მორალური გრძნობა ადამიანის ბუნების ემოციური ნაწილია და ჩვენს სულისე მდგომარეობას გამოხატავს. მათი აზრით, ზნეობის მიზანია ადამიანში ბუნებრივი მიდრეკილებების ჰარმონიული განვითარება.

ინგლისური ინტელექტუალიზმისა და ემოციონალიზმის შერიგების ცდას რიჩარდ პრაისი იძლევა. იგი თვლის, რომ ზნეობის არსი გონების მიერ მხოლოდ სუბიექტური შეგრძნებების რეგულირებაში არ გამოიხატება. როგორც შემეცნების, ისე ზნეობის სფეროში სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები განუყოფელ ერთიანობაში იმყოფებიან. იქ, სადაც ინსტინქტები და აფექტები ბატონობენ, ადგილი არ აქვს ზნეობას. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ზნეობის წმინდა გონებიდან გამოყვანა არ არის სწორი.

ზნეობის პრობლემა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს იმანუილ კანტთან. ი. კანტის „ზნეობრივი გრძნობა“ გამომდინარეობს მხოლოდ გონებიდან და ემსახურება არა მოქმედების შეფასებას, არამედ იგი ასრულებს წამქეზებლის, აღმძვრელის როლს და მორალური კანონისადმი პატივისცემაში მდგომარეობს. ზნეობრივი კანონისადმი ასეთი მორჩილება პირადი სიმპატიის გარეშე ზნეობრივად არ შეიძლება ჩაითვალოს.

ეთიკური საკითხების კვლევას ჰეგელი ნების ცნების გარკვევით იწყებს. ეს ის გონიერი ნებაა, რომელსაც ინტელექტი ფლობს. ჰეგელთან თავისუფალი ნება გარეგანისა და შინაგანის ერთიანობას ვარაუდობს. თავისუფლების იდეასთან, ზნეობრივ იდეალთან გაიგივებული სუბიექტური ნება სხვა არაფერია, თუ არა ზნეობრივი გრძნობა, ხოლო, თავის მხრივ, ზნეობრივი იდეალი ზნეობრივი შეგნების შინაარსია.

ლუდვიგ ფოიერბახთან ზნეობის პრინციპი არის ტკობის პრინციპი „მესა“ და „შენს“ შორის, ორმხრივი, მრავალმხრივი ტკობა. ფოიერბახთან მთელი ყურადღება გადატანილია გრძნობებზე და ყურადღების გარეშე რჩება შეგნების მომენტი.

კლასიკური ეთიკური თეორიების ინტელექტუალისტურ და ემოციონალისტურ ცალმხრივობათა დაძლევის ცდას ვხვდებით მეცხრამეტე საუკუნის რუს მოაზროვნეებთან, რომლებმაც მოგვცეს ზნეობრივი ქცევის განხორციელების პროცესში გრძნობისა და გონების როლის არსებითად სწორი გადაწყვეტა. ისინი აღიარებენ აზრისა და გრძნობის ერთიანობის იდეას.

ასეთია მოკლე ექსკურსი ზნეობასთან დაკავშირებული პრობლემატიკის ირბელივ.

ზნეობა არეგულირებს ადამიანის ქცევას საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებრივ ყველა სფეროში. ზნეობა უშუალოდ უკავშირდება სიკეთისა და ბოროტების ფენომენს. ზნეობრივი მოქმედების შინაარსია სხვისთვის სიკეთის კეთება.

ზნეობრივი ღირებულების განმსაზღვრელად ქცევის **მოტივი** ითვლება. ზნეობრივ მოტივთან იმ შემთხვევაში გვაქვს საქმე, როდესაც ქცევის ობიექტური ღირებულების გაცნობიერებას თან ახლავს ამ ობიექტური ღირებულების განცდა. ეს არის საზოგადოებრივი შეგნებისა და ზნეობრივი გრძნობის ჰარმონია.

ქცევის ზნეობრივი ღირებულება მით უფრო მაღალია, რაც უფრო თავისუფლად ექვემდებარება პიროვნება მოვალეობის მოთხოვნას. ეს გახლავთ ზნეობრივი ქცევის ფსიქოლოგიური საფუძველი. მოვალეობის მოთხოვნის პიროვნულ მოთხოვნად გარდაქმნა ეთიკისა და ფსიქოლოგიის შეხების არსებით მომენტად გვევლინება!

ადამიანი სწორი აღზრდის შემთხვევაში ბავშვობიდანვე იძენს სხვა ადამიანთა ინტერესების მხედველობაში მიღების ჩვევებს. საკუთარ და სხვის ინტერესთა მიმართების გაცნობიერება საფუძველად ედება პიროვნების ზნეობრივი ხასიათის ჩამოყალიბებას.

ბუნებრივია, როდესაც საკითხი ეხება ზნეობრივი ქცევის ფსიქოლოგიურ საფუძველს, აქცენტი კეთდება ადამიანის ქცევაზე, სადაც მუდავნდება ადამიანის ზნეობრიობა.

რამდენიმე მოთხოვნილებიდან ადამიანი უპირატესობას ერთ-ერთ მათგანს ანიჭებს. ამ არჩევანს მოტივი განსაზღვრავს. მოტივი ადამიანის ნებისმიერი მოქმედების საფუძველია. მოტივი აადვილებს ადამიანის მოქმედებას, ხელს უწყობს მის გამოწვევას.

ზოგჯერ ადამიანის მოქმედების ან მოქმედებათა შეკავების მოტივად გამოდის არა ერთი რომელიმე მოტივი, არამედ ორი და რამდენიმე ერთად.

მოტივი არის ის რეალური ფსიქოლოგიური საფუძველი, რომლის ნიადაგზეც ადამიანი ნებისმიერ გააზრებულ საქციელს ჩაიდენს. იგი არის მოქმედების, ქცევის წამქეზებელი მიზეზი.

ნებისმიერი ქცევის მოტივი ყოველთვის პიროვნულ მოთხოვნილებათა სისტემიდან მომდინარეობს.

პიროვნული მოთხოვნილებებიდან მომდინარე ქცევის ობიექტური ღირებულების განცდა ზნეობრივი ქცევის კერძო შემთხვევაში **ზნეობრივი გრძნობისა და შეგნების ერთიანობას წარმოადგენს**. ე.ი. პიროვნებას სურს ის, რაც გონებამ დადებითად შეაფასა.

მოტივს სწორედ იმის გამო მიეწერება ზნეობრივი ღირებულება, რომ იგი ნებისა და შეგნების ერთიანობას წარმოადგენს. მასში უკვე ჩანს ზნეობრივი შეფასებისათვის აუცილებელი პირობა - დამოკიდებულება სხვა პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესებისადმი.

ადამიანთა ქცევის მარეგულირებელი ფაქტორებია მოვალეობის მოთხოვნა, ტრადიციები, ჩვევები, საკუთარი სინდისის ხმა და ა.შ. ადამიანის ქცევათა უმრავლესობა „გაშუალებულია“ ამ მარეგულირებელი ფაქტორებით, ხოლო თვით ეს ფაქტორები განპირობებულია სხვისი ინტერესების გაცნობიერებით.

ქცევა რომ ზნეობრივად შეფასდეს, აუცილებელია და საკმარისია ქცევის მოტივი შეესაბამებოდეს მოვალეობის მოთხოვნას. საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, როდესაც მოვალეობა სრულდება თავისუფლად, საკუთარი თავისადმი რაიმე ძალდატანების გარეშე. მოვალეობისადმი ეს თავისუფალი დაქვემდებარება იმის შედეგია, რომ ამ შემთხვევაში პიროვნების მოქმედების მოტივია მოვალეობის მოთხოვნა. ასეთი მოთხოვნილების მქონე პიროვნება თავისი მოქმედების შედეგად სიამოვნებას განიცდის. ეს ფაქტი სწორედ მის ზნეობრიობაზე უნდა მიუთითებდეს.

ადამიანი ზნეობრივად იქცევა მაშინ, თუ მას გამომუშავებული ექნება ზნეობრივი ქცევის განწყობა, თუ იგი, როგორც მთელი პიროვნება, აღზრდილი იქნება ზნეობრივად.

მოვალეობის მოთხოვნის გაცნობიერება პიროვნების ზნეობრივი შეგნების ჩამოყალიბების საფუძველია, ხოლო მოვალეობის მოთხოვნის საკუთარი ნება-სურვილის სისტემაში ჩართვა ზნეობრივი შეგნების ზნეობრივ გრძნობად ფიქსირებას განაპირობებს.

ზნეობრივი გრძნობა არის ის შინაგანი მიდრეკილება, რომელიც პიროვნებას ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ქცევების ისეთ მოტივს კარნახობს, მოვალეობის მოთხოვნას რომ შეესაბამება. როგორც აღინიშნა, მოვალეობის მოთხოვნის შესაბამისი მოტივები პიროვნების მიერ უმეტესწილად ცნობიერად, საკუთარი აქტივობის შედეგად შეიძინება, მოვალეობის მოთხოვნის საკუთარ მოთხოვნილებათა სისტემაში ჩართვის გზით.

აღზრდის როლი და მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ პიროვნება რაც შეიძლება ნაკლებ სიძნელეებს წააწყდეს სხვათა მოთხოვნებსა და საკუთარი მოთხოვნილებების ურთიერთმიმარტების პროცესში.

სწორი ზნეობრივი აღზრდის შედეგად შესაძლებელი ხდება სხვა ადამიანთა სურვილი პიროვნებას ეძლეოდეს როგორც საკუთარი, ან ერთმანეთს არ უპირისპირდებოდეს.

საკვლევი პრობლემის განხილვასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ქართველი სწავლულის ჯემალ ჯინჯიხაძის მიერ შემოთავაზებული ღეჟკციებიდან რიგ საკითხებს შევეხეთ – „გასული საუკუნის 80-იანი წლებისათვის განათლება-

ში მიმდინარე მრავალრიცხოვანმა ინოვაციურმა პროცესებმა თავისი განვითარების გზაზე შედეგის სახით ყოვლისმომცველი პედაგოგიური განზოგადება შემოგვთავაზა, რომელსაც **თანამშრომლობის პედაგოგიკას** უწოდებენ. ეს განზოგადება მოდის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური პრაქტიკის საუკეთესო ტრადიციებიდან (კონსტანტინ უშინსკი, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი უზნაძე, ნიკოლაი პიროგოვი, ლევ ტოლსტოი, სტანისლავ შაცკი, ვასილი სუხომილინსკი, ანტონ მაკარენკო, ჟან-ჟაკ რუსო, იანუშ კორჩაკი, კარლ როჯერსი, ერიკ ბერნი, შალვა ამონაშვილი და სხვ.).

თანამშრომლობის პედაგოგიკის იდეები შევიდა თითქმის ყველა თანამედროვე პედაგოგიურ ტექნოლოგიაში, იგი ამკვიდრებს ახალ პედაგოგიურ აზროვნებას, პედაგოგიური იდეების წყაროა და ნებისმიერ ინოვაციურ საგანმანათლებლო ტექნოლოგიაში „შელწევადობის“ თვისების მატარებელია.

თანამშრომლობის პედაგოგიკას გააჩნია თავისი საკლასიფიკაციო მახასიათებელი ნიშნები (1, 47), ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, პიროვნებაზე ორიენტირების მიხედვით – ზნეობრივი ქცევის ფსიქოლოგიური საფუძველი. ეს გახლავთ „ყოველმხრივ პარმონიული“, ბავშვის ჩასახვიდან და დაბადების პირველივე წამიდან მოყოლებული, მასში ყალიბდება მისი საკუთარი ბუნება და მისი ეს საკუთარი ბუნება (ზნეობა) თანდათან იძენს ერთადერთობისა და განუმეორებლობის სრულიად განსაკუთრებულ თვისებებს. და ამ უნიკალური თვისებების შექმნის გზაზე ბავშვის ბუნებას ამოძრავებს გარკვეული ძალები, რომელთაც შალვა ამონაშვილმა სტიქიური გატაცებები (стихийные страсти) უწოდა (1, 51-52).

საგანმანათლებლო პროცესს თავისი საგნობრივ-სივრცითი, ზნეობრივ-სოციალური თვისებებით, რომელიც ადამიანს მისცემს შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თავისი მისწრაფება განვითარებისაკენ, უნდა შეეთავაზოს გონივრული პირობები მისი მრავალწახნაგოვანი ბუნების ჩამოყალიბებისათვის; ხოლო პედაგოგიური ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საგანმანათლებლო პროცესში სუბიექტი მუდამ იმყოფებოდეს სხვადასხვა სახის სიძნელეების დაძლევის აუცილებლობის წინაშე და ეს სიძნელეები ეთანხმებოდეს მის **ინდივიდუალურ შესაძლებლობებს**“ (1, 276-277). ამ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა გაეხსნას ხაზი ფსიქოლოგიურ-ინფორმაციული ბარიერების გადალახვის პრინციპებს. როდესაც მასალა (ინფორმაცია) მიეწოდებათ სუბიექტებს გარკვეული საჭიროებისათვის მოცულობით დადგენილი ბარიერის ზემოთ, ეს უფრო დიდი მოცულობით მნიშვნელოვან უსიამოვნებებს იწვევს – ზოგჯერ სტრესულ მდგომარეობაშიც კი აგდებს ადამიანს.

საბედნიეროდ, აღნიშნული ბარიერის გადალახვა შესაძლებელია სწავლების პროცესის ინტენსიფიკაციისადმი **აკმეოლოგიური**¹⁴ მიდგომის საფუძველზე, თუ ინფორმაცია წარმოდგენილია უჩვეულო ფორმით: ემოციის მაღალ დონეზე; ფსიქიკური საქმიანობის არაგაცნობიერებადი სახეებისა და მდგომარეობის მართვის ცოდნით და უნარით... ეს ინფორმაციული სტიმულაცია საშუალებას იძლევა, ქვეცნობიერებაში ჩატვირთულ იქნეს ინფორმაციის დიდი მოცულობა, რომლის გამოყენებაც თავდაპირ-

¹⁴ აკმეოლოგია - ძვ. ბერძნ. მწვერვალი, მოძღვრება. იგი იკვლევს ინდივიდუალური განვითარების უმაღლესი საფეხურის მიღწევების შესაძლებლობის უზრუნველყოფელი მექანიზმების კანონზომიერებებს.

ველად, რეალურად შეუძლებელია, მაგრამ ეს ქვეცნობიერი ინფორმაციული ბაზა – დავიწყებული წარსული, გამოცდილების ანალოგიურად, საჭირო სიტუაციის გაჩენის შემთხვევაში ამოტივტივდება.

პიროვნების შესაძლებლობების უდიდესი რეზერვები ყოველდღიურ ცხოვრებაში დაფარულია და გამოყენებისათვის მიუწვდომელია ფსიქოლოგიური ბარიერების არსებობის გამო. მაგრამ ექსტრემალურ სიტუაციაში, მაღალი მოტივაციის არსებობის დროს, ადამიანი ძლებს ასეთ ბარიერებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, მაგალითად, პროფესიონალურ შერჩევებში, სასწავლო ჯგუფების ფორმირებაში და სხვ. ასეთი საქმიანობა თანდათანობით ვითარდება და მაღალ საფეხურზე ადის დღეისათვის.

ადამიანი ნებისმიერი ქცევის სუბიექტია, მისი ქცევა პირადი აქტივობით შექმნილი განწყობების რეალიზაციას წარმოადგენს.

ნებისმიერი ქცევის საფუძვლად აღიარებული მოტივი არის ქცევის გარკვეული ღირებულების განცდა, ხოლო ეს ღირებულება რომ განიცადო, საჭიროა ნებისყოფა, თვითაღზრდა, აღზრდა.

მორალურ თავისუფლებას მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როდესაც პიროვნების ქცევა მორალურ მოთხოვნებს შეესაბამება და ამავე დროს, ეს შესაბამისობა მოქმედი პიროვნების შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს. ამ დროს ქცევის მოტივი არის ზნეობრივი.

ზნეობრიობა ნიშნავს მოიქცე ისე, როგორც გონებამ დადებითად შეაფასა, ე.ი. როდესაც ქცევა სრულდება არა მარტო ზნეობრივი შეგნებისა და ნებისყოფის დახმარებით, არამედ ზნეობრივი გრძნობის უშუალო მონაწილეობითაც.

ზნეობრივი გრძნობის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია გახლავთ სინდისი, რასაც გრძნობისეულ ფენომენს უწოდებენ. ამავე დროს სინდისი არის პასუხისმგებლობა საკუთარ ნებაზე, ზნეობრივ შეგნებაზე, ამდენად იგი გონებისეული ფენომენიცაა, ე.ი. შეგნებაცაა.

თეხისი ნაშრომზე „ზნეობრივი ქცევის ფსიქოლოგიური საფუძველი“ წარმოაჩენს იმ, არაერთგზის დამტკიცებულ დებულებას, რომ მორალური მთლიანად თავსდება ფსიქიკურში, რომ მორალური არსებობს აზროვნების, გრძნობადობისა და ნებელობის საშუალებით, და შესაბამისად, ნებისყოფაზე შეიძლება ითქვას, რომ იგი ცნობიერების ერთ-ერთი შემადგენელი მხარე კი არ არის, არამედ მთელი ცნობიერების ის სუბსტანციური ფენომენია, რომელიც პიროვნულობის საფუძველს შეადგენს“ (2, 253).

როდესაც ნებისყოფა იმორჩილებს ინსტინქტებს და იმპულსებს, ასეთი ადამიანი ზნეობრივიც არის, გონიერიც, პრინციპულიც, თავდაჭერილიც და მორჩილიც.

როგორც ცნობილია, ნებისმიერ სამართავ სიტუაციაში (თვით ოჯახშიც კი) მნიშვნელოვან როლს მათ მართვასა და ფუნქციონირებაში ასრულებს სამართლებრივი და ორგანიზაციული ქვესისტემები, მაგრამ ადამიანური ქვესისტემა თავისი ფსიქოლოგიური პარამეტრებით, შეიძლება ითქვას, რომ გადამწყვეტია.

ადამიანთა ფსიქოლოგია სავსებით პასუხისმგებელია იმაზე, თუ რა ხდება მათი ცხოვრებისა და შრომის სამართავი ობიექტზე, რამდენად არის იგი წარმატებული. ადამიანთა სამართავი ობიექტის ძირითადი ძალა, მისი განვითარების ძირითადი რესურსი. სამართავი ობიექტის წინსვლა, იქ მომუშავე ადამიანების დამსახურებაა, მათი ზნეობრივი ქცევის, გონიერების შედეგია.

მრავალგზის კვლევებმა დაამტკიცა, რომ მართვის პროცესში ყველა ქვესისტემის სრულყოფამ შეიძლება უზრუნველყოს ნებისმიერი სამართავი ობიექტის არსებობისა და საქმიანობის ბალანსირება, სტაბილიზაცია და პროდუქტიულობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანური ქვესისტემის მიმართ სათანადოდ გაძლიერებული ყურადღება იქნება გამოჩენილი.

ფსიქოლოგიის პოზიციიდან მმართველის ძირითადი ამოცანაა სამართავ ობიექტში ისეთი პირობების შექმნა, რომლის დროსაც თითოეულ მუშაკს თვითონ ექნება კეთილსინდისიერი შრომისა და თავისი თავის მართვის სურვილი – განახორციელოს თვითკონტროლი, თავისი თავისადმი მოთხოვნილება, თავისი საქმიანობის ხარისხის ამაღლება, საერთო საქმის სრულყოფის გზების ძიება. თანამშრომელთა შორის (და სხვა ადამიანებთანაც) ზნეობრივი, საღი ადამიანური ურთიერთობები წარმატების მომტანი და ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნის საფუძველს წარმოადგენს.

ლიტერატურა:

1. ჯინჯიხაძე ჯ., თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები, თბ., 2012.
2. სვანიძე ლ., ლექციები ეკონომიკურ ფსიქოლოგიაში. შემეცნებითი სწავლება, თბ., 2016.

Lia Svanidze ***Psychological basis of moral conduct*** **Summary**

The problem of psychological basis of moral conduct is one of the most important forms of human behavior, which always occupied a central position among issues of panhuman importance, is considered in the work.

The author interestingly reviewed views of ancient Greek philosophers and other great thinkers in regards with the presented topic. She convincingly showed that moral regulates human behavior almost in all spheres of social life, and that the research of psychological basis of this behavior will one more time manifest repeatedly proven idea that moral completely finds room in mental, and that it exists thanks to mind, thinking, senses and will.

Лия Сванидзе ***Психологические основы нравственного поведения*** **Резюме**

В статье обсуждается одна из важнейших форм человеческого поведения – психологическая основа нравственного поведения, проблема, которая всегда была центральной среди вопросов всеобщего значения. В статье рассматриваются взгляды древнегреческих философов и других великих мыслителей. Мораль регулирует поведение человека во всех сферах общественной жизни. Исследование психологических основ этого поведения еще раз доказывает неоднократное утверждение, что мораль полностью заложена в психике, что она существует посредством разума, мысли, чувств и силы воли, что еще больше осложняет возможности освоения данной проблемы.

მზია თოფურძე

(საქართველო)

უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებული ასაკობრივ-ფსიქოლოგიურ თავისებურებათა ანალიზი (საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკის შემსწავლელთა მახალითზე)

სხვადასხვა ასაკობრივ ეტაპზე ადამიანის საქმიანობა წარმოშობს სხვადასხვა სისტემას, ყოველი ასაკობრივი ეტაპი ხასიათდება წამყვანი სახის აქტივობით. საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკისთვის, რომელსაც V-IX კლასის მოსწავლეები განეკუთვნებიან, ასეთ აქტივობას სწავლა წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, თუ სასწავლო პროცესის მოტივაცია არ არის უზრუნველყოფილი (აქ, პირველ რიგში, შინაგან მოტივაციაზეა ლაპარაკი), შემსწავლელები კარგავენ ინტერესს სწავლის მიმართ და, შესაბამისად, სასწავლო აქტივობის ეფექტურობა დაბალი ხდება. მოსწავლეთა მოტივირების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას სასწავლო პროცესში თამაშის ელემენტის ჩართვა წარმოადგენს.

ცნობილია, რომ თამაში - სკოლამდელი ასაკის წამყვანი აქტივობა - ადამიანების უმეტესი ნაწილის მთელი ცხოვრების განმავლობაში გარკვეულ ადგილს ინარჩუნებს. სწორედ ამიტომ უცხო ენის გაკვეთილზე თამაშთან დაკავშირებული აქტივობები მოსწავლეებში მოტივაციის ამალღების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. რასაკვირველია, ამ აქტივობის სახე იცვლება და ის უფრო მრავალფეროვანი ხდება შემსწავლელთა ასაკის მატებასთან ერთად: მოძრაი და მაგიდის თამაშები, ენობრივი თამაშები, ვიქტორინები, შეჯიბრებები, როლების გათამაშება, ინტერვიუ და ა.შ. (2, 409-427).

ისეთ აქტივობათა ინტეგრირება უცხოური ენის სწავლების პროცესში, როგორც ბიცაა: სპორტული - „მსოფლიო ჩემპიონატის“ სიმულაცია სპორტის ამა თუ იმ სახეობაში უცხოურ ენაზე კომენტარის გაწევით, ინტერვიუების აღებით, ექსკურსია სამხატვრო გალერეაში „უცხოელი სტუმრებისათვის“, მხატვრული - სპექტაკლის დადგმა უცხოურ ენაზე, შრომითი - გარემოს დაცვის მიზნით გამართული ღონისძიება (სკოლის ეზოს ან ახლომდებარე პარკის დალაგება) და მის შესახებ უცხოელი მეგობრების ინფორმირება ელექტრონული ფოსტის გამოყენებით სრულად პასუხობს სწავლების თანამედროვე მეთოდის მიზანს უცხო ენების დაუფლებასთან მიმართებაში, რომლის მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს ენის ათვისების პროცესში მრავალფეროვანი, რეალურ სამეცნიერო სიტუაციებთან მაქსიმალურად მიახლოებული აქტივობების ჩართვა, რაც ერთ-ერთ პროდუქტულ საშუალებას წარმოადგენს შესასწავლი ენის ეფექტური დაუფლებისას (1).

11 წლიდან ბავშვი გადადის ფორმალური ოპერაციების მაგალითზე. მას უკვე შეუძლია ფორმალურად განსაზღვროს ცნებები, რომლებსაც მანამდე იყენებდა, მაგრამ ვერ განსაზღვრავდა. ჩნდება გონებრივი მოქმედების აბსტრაქტულ ოლანში წარმართვის უნარი, უნარი მსჯელობისა არა მხოლოდ რეალურსა და არსებულზე, არამედ პიპოთეტურსა და შესაძლებელზე. ასეთია პიაჟეს შეხედულება (3, 234-239).

დაწყებითთან შედარებით, V-IX კლასების მოსწავლეების აზროვნება ძირითადად სიტყვიერ-ლოგიკურია. ამავე დროს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოსწავლეთა ნაწილის

აზროვნების ძირითად სახედ მთელი ცხოვრების მანძილზე შეიძლება დარჩეს ხატოვანი ფორმა, რაც სრულიად არ გამოორიციხავს მათ ნორმალურ ინტელექტუალურ განვითარებას, ამიტომ თვალსაჩინო-ხატოვან აზროვნებას მაინც საგრძნობი მნიშვნელობა აქვს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია შთამბეჭდავი აუდიო-ვიზუალური თვალსაჩინოების ინტენსიური გამოყენება. ასეთი თვალსაჩინოების გარკვეულ ნაწილს მოსწავლეები თვითონ ხალისით ქმნიან სწავლების პროცესში. თვალსაჩინოების შერჩევისას უნდა გვახსოვდეს, რომ დღევანდელი ბავშვები ყოველდღიურ ცხოვრებაში განებივრებული არიან მრავალფეროვანი და კაშკაშა აიდიო-ვიზუალური მასალით, ამიტომ ისინი უმეტეს შემთხვევაში არ კმაყოფილდებიან სწავლისას უბრალო ნახატებითა და სურათებით, არამედ ურჩევნიან ვიდეოჩანაწერების ან კომპიუტერული მულტიმედიის გამოყენება (1).

მეხსიერება ამ ასაკში უფრო მეტად ეყრდნობა გაგებას, ლოგიკურ ასოციაციებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი შემსწავლელი ისევ ძირითადად ენდობა დაწეებითი სკოლის მოსწავლეებისათვის დამახასიათებელ მექანიკურ დამახსოვრებას, რაც ხშირად მასწავლებლისა და მშობლების დანაშაულიცაა, რადგან მათ არ განუვითარეს ბავშვს დამახსოვრების სხვა მექანიზმები. უცხოური ენის სწავლებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ისეთი დავალებების აქტიური ჩართვა, რომლებიც განავითარებენ მოსწავლეების გონებას, დაკვირვების უნარს, უზრუნველყოფენ ასოციაციების შექმნას და ამგვარად განავითარებენ ლოგიკურ დამახსოვრებას. ამ მიზნით უცხოური ენის სწავლებისას სასრგებლოა სხვადასხვა სახის დაჯგუფების დავალებების (თემატური დაჯგუფება, სინონიმებისა და ანტონიმების, მონათესავე სიტყვების პოვნა, ცნებისათვის დეფინიციის ჩამოყალიბება და ა. შ.) გამოყენება.

10-13 წლის მოსწავლეთა მეხსიერება, მათი უნარი დაეუფლონ უცხოურ ენას ჯერ კიდევ ოპტიმალურია (უცხოური ენის შესწავლისადმი სენსიტივობა, ფსიქოლოგთა უმრავლესობის აზრით, 14 წლამდეა მაქსიმალური). სასწავლო საქმიანობაში წარმატება დადებითად მოქმედებს მოტივაციაზე. VIII კლასიდან კი, ერთი მხრივ, უნებლიე დამახსოვრების უნარი მნიშვნელოვნად კლებულობს, მეორე მხრივ კი, რთულდება შესასწავლი მასალა. ეს ზოგჯერ იწვევს წარუმატებლობის შთაბეჭდილებას, რაც უკარგავს მოსწავლეს თავისი უნარის (დაეუფლოს უცხოურ ენას) რწმენას და ამ საგნის შესწავლის მოტივაციაც, შესაბამისად, ხშირად კლებულობს. მასწავლებლის ამოცანაა, ერთი მხრივ, აუხსნას მოსწავლეს, რომ მისი მეხსიერება კი არ გაუარესდა, არამედ უბრალოდ შეიცვალა, მეორე მხრივ კი, გაითვალისწინოს ისეთი მასალა და დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ შექმნილი სირთულის გადალახვას. თუ მასწავლებელი შენიშნავს დიდი მოცულობის მქონე მასალის დამახსოვრების სერიოზულ სირთულეს, მასალის შესწავლის ტემპი დროებით უნდა გარკვეულწილად შენეულდეს, მეტი გამეორება უნდა იქნეს უზრუნველყოფილი (5, 23-26).

მასალის აღქმისას საშუალო და უფროს კლასებში სინთეზი და ანალიზი გაწონასწორებულია, რაც ხელს უწყობს საკმაოდ სრულყოფილ აღქმას. ეს საშუალებას იძლევა საკმაოდ სწრაფ ტემპს მივმართოთ. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, რომ როგორც მეხსიერების, ისე აღქმის დომინანტური ტიპი (აუდიო, ვიზუალური, კინესთეტიკური, სინთეზური, ანალიზური) ყველა შემსწავლელს ინდივიდუალური აქვს, ამიტომ უცხოური ენის შესწავლისას, ერთი მხრივ, უნდა დავეყრდნოთ მოსწავლეთა აღქმის და-

მახასიათებელ სახეს, მეორე მხრივ კი, ვეცადოთ განვუვითაროთ მათ აღქმის ის სახე, რომელიც მას ნაკლებად აქვს განვითარებული (4, 31-40). ბევრ შემსწავლელს უჭირს ყურადღების ხანგრძლივი კონცენტრაცია, ამიტომ აქტივობათა სახეების მონაცვლეობა აუცილებელია, რაც გულისხმობს სერიოზული აქტივობიდან გადაერთონ როლით თამაშებზე და ისევ დაუბრუნდნენ კითხვას ან წერას.

საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკის შემსწავლელებს თანდათანობით უვითარდებათ ინტერესების სპეციალიზაცია. თუ დაწყებითი სკოლის მოსწავლეებს ყველა სიახლე აინტერესებთ, მოზარდებს (ზოგს საკმაოდ ადრე, ზოგს კი - შედარებით გვიან) უვითარდებათ დომინანტური ინტერესი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროსადმი. ხშირად ეს ხდება ზოგიერთი სასწავლო საგნების მიმართ ინტერესის დაკარგვის ხარჯზე, რაც არასრული საშუალო სკოლის პირობებში ძალიან არასასურველია. უცხოური ენა საშუალებას იძლევა საგანთაშორისი კავშირების გამოყენებისა, ამიტომ საკუთრივ უცხოური ენისადმი მოტივაციის დაქვეითების შემთხვევაში, შეიძლება მივმართოთ მოსწავლის სხვა ინტერესების სფეროში ინფორმაციის მოპოვება-გაზიარების მოტივს.

იწყებენ რა უცხოური ენის შესწავლას, მოსწავლეები ავლენენ ინტერესს როგორც თვით ენობრივი მასალის შესწავლისადმი, ისე იმ ხალხის ცხოვრებისადმი, რომლის ენასაც ისინი ეუფლებიან. სწორედ აქედან გამომდინარე, მართებულად მიგვაჩნია, რომ სწავლების პროცესი გაჯერებული იყოს ისეთი მასალით, რომელშიც საინტერესოდ არის გადმოცემული შესასწავლი ენის მატარებელი ხალხის ისტორია, კულტურა და ათად-წესები. მოზარდობის ასაკში კამათი ერთ-ერთი საყვარელი საქმიანობაა. კამათში მოსწავლეებს უვითარდებათ ლოგიკური აზროვნება, დასაბუთების უნარი და უყალიბდებათ კომუნიკაციის კულტურა. დებატებსა და კამათში მოსწავლეების ჩართვა ენის სწავლებისას უცხოენობრივი სამეტყველო უნარ-ჩვევების სრულყოფის ერთ-ერთ საუკეთესო აქტივობას წარმოადგენს. მოზარდობის ასაკი საუკეთესოა შემოქმედების განვითარებისათვის, რადგან აღტაცებები ამ ასაკში განსაკუთრებით ძლიერია. მოზარდი თვითშემეცნების გზაზე დგას, შემოქმედება კი საკუთარი ძალების მოსინჯვის საუკეთესო საშუალებაა.

მოზარდთა ინტერესი უცხოური ენის დაუფლებისადმი დიდი იქნება, თუკი სწავლების პროცესში გათვალისწინებული იქნება მათი ასაკობრივი ინტერესები, აღქმის, მეხსიერებისა და აზროვნების თავისებურებები და მათთან მუშაობაც ადეკვატურად იქნება ორგანიზებული და წარმართული.

ლიტერატურა:

1. Butterworth G., Harris M., Principles of Developmental Psychology. Psychology press. Taylor & Francis Group, 1994.
2. Palermo D. S. and Molfese D. L., Language Acquisition from Age Five Onward, Psychological Bulletin, 1972, №78.
3. Piaget J., Inhelder B., The Psychology of the Child. London. Routledge and Kegan Paul, 1969.
4. Абрамова Г. С., Возрастная психология, М., 2003.
5. Обухова Л. Ф., Возрастная психология. Педагогическое общество России, М., 1999.

Mzia Topuridze

***Analysis of age-related psychological peculiarities in foreign language acquisition
(A case study of primary and secondary school children)***

Summary

The article analyzes the age-related psychological peculiarities in foreign language acquisition among primary and secondary school children. To raise foreign language learners' motivation and interest it is necessary to thoroughly consider the peculiarities linked to learners' age, perception, memory, and thinking; the process of foreign language teaching/learning should be organized and conducted adequately. The inclusion of various modern and interesting activities in foreign language teaching/learning raises students' positive motivation and enhances the effective formation of their language skills.

Мзия Топуридзе

***Анализ возрастнo-психологических особенностей обучения иностранному языку
(на примере учащихся средних и старших классов)***

Резюме

В данной статье анализируются возрастнo-психологические особенности учеников средних и старших классов, изучающих иностранный язык. Чтобы повысить мотивацию и интерес учащихся, важно, чтобы их возрастные интересы, восприятие, память и мышление были максимально учтены и задействованы в процессе обучения. Использование современных, разнообразных и интересных занятий на уроках иностранного языка в значительной степени способствует эффективному развитию навыков владения иностранным языком и положительной мотивации у учащихся.

ბელა სარია
(საქართველო)

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ – საკითხავი ტექსტების მნიშვნელობა

„პიროვნების საერთო კულტურა, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევები მშობლიური ენის საფუძველზე ყალიბდება. ის ქმნის იმ ძირითად ბაზისს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის თავისუფალი განვითარების მთელი შემდგომი პროცესი. სწორედ ამის გათვალისწინებით განისაზღვრება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიზნები“ (1).

ქართული ენისა და ლიტერატურის მთავარი სახელმძღვანელოს „დედა ენის“ უმნიშვნელოვანესი კონცეფტი ადამიანის თავისუფალი განვითარებაა ქართული ლიტერატურის უმდიდრესი მასალის საფუძველზე.

საკითხავების შერჩევისას „დედა ენის“ ავტორი უპირატესობას ანიჭებს პრინციპებს, რომლებზეც დაფუძნებული სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ინფორმაციის გაგებას, ანალიზსა და შეფასებას. სწორად შერჩეული ტექსტური კორპუსის წიაღში მოსწავლეები ეტაპობრივად ეუფლებიან თვითგამოხატვის ენობრივ საშუალებებს. სწავლების პროცესში შემოტანილი ტექსტები ენობრივი თუ შინაარსობრივი თვალსაზრისით მაქსიმალურად ახლოსაა ხალხურ მეტყველებასთან, რათა მოსწავლეებს კითხვის შესწავლა მათთვის შეგუებულ, ახლობელ და გასაგებ კონტექსტებში დააწყებინოს.

იაკობ გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ მხატვრული ტექსტის გაგებას ხელი უნდა შეეწყო ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური და შემოქმედებითი პოტენციალის აღმოჩენისა და გაძლიერებისთვის. ყველა ზემოთ დასახელებული პრინციპის განხორციელება გოგებაშვილსა და მის თანამოაზრეებს სასწავლო პროცესს გაააზრებინებს არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ უპირატესად საადამიანურ საქმიანობად. გოგებაშვილისა და მისი მხარდამჭერების ძალისხმევით, იმ დროს არსებულ ყველა ტიპის სკოლაში სწორედ საადამიანურ საქმიანობა გახდა ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება.

გოგებაშვილისათვის ხალხურობის იდეა ერწყმის თავისუფლების იდეას. მას მიაჩნდა, რომ თავისუფალი აღზრდა არის მნიშვნელოვანი პირობა ბავშვის ზნეობრივი და შემოქმედებითი განვითარებისათვის. ის უპირისპირდებოდა რუსული გიმნაზიებისათვის დამახასიათებელ ძალადობრივ აღმზრდელობით სისტემას, ბავშვის მიმართ უდიერ დამოკიდებულებას, ამიტომ სასწავლო-საადამიანურ პროცესში ბავშვის პიროვნების პატივისცემა მისთვის უპირობო აუცილებლობა გახდა. ამავე მიზეზით კითხვის შესწავლა, მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა იაკობ გოგებაშვილისათვის პირდაპირ დაუკავშირდა მოსწავლის მიერ საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობის შესაძლებლობას. სასწავლო პროცესის საფუძველად გოგებაშვილის მიერ არჩეული ჰუმანისტური ხედვა შესაძლებელს ხდიდა კითხვის/ლიტერატურის სწავლებისას პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესების დამკვიდრებას იმჟამინდელ ქართულ სკოლებში.

ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია გავეცნოთ „დედა ენის“ საანბანო ნაწილის წინასიტყვაობაში მასწავლებლებისათვის შექმნილი სწავლების მეთოდების ანალიზს. დიდი

ჰუმანისტისა და მეცნიერის მეთოდური მითითებები დაგვეხმარება „დედა ენის“ განსაკუთრებული ღირსებების დანახვაში:

- ✓ „სიტყვების კითხვის დროს მასწავლებელმა სასტიკი ყურადღება უნდა მიაქციოს მსაზედ, რომ ბავშვები სიტყვების ჰაზრს, მნიშვნელობას, შინაარსს, გონებას აღვენებდნენ, რომ სიტყვები მათ გონებაში აღვიძებდეს საგნების სახესა, რომ იგინი არ მიეჩვივნონ უაზრო, მექანიკურ კითხვას. ფრაზების კითხვის დროს იგი უნდა ითხოვდეს ბავშვებისაგან ანგარიშსა, რაზედ არის ლაპარაკი და რა არის ნათქვამი“.
- ✓ „პირველ საკითხავ წიგნში ჩვენა ვცდილობდით ერთი მხრით იმასა, რომ მას ქონდა რაც კი შეიძლება, მომეტებული მიმზიდველი ძალა ბავშვებისათვის, რომ იგი ყოფილიყო მათთვის სავსე ინტერესით და მეორეს მხრით - მის შინაარს წარმოედგინა არა ღარიბი მასალა ბავშვის გონების გახსნისათვის და განვითარებისათვის, ერთი სიტყვით, ჩვენ ვცდილობდით შეგვეერთებინა სასიამოვნო სასარგებლოსთანა“.
- ✓ „პირველი ადგილი წიგნში უჭირავს ზღაპრებს, იგინი არიან ან ხალხური, ჩვენგანვე შეკრებილნი, შეუცვლელად ან ცვლილებით შეტანილნი წიგნში... ან ქართველი მწერლების მიერ შექმნილი, ან რუსულიდან არიან გადმოღებულნი და გადმოკეთებულნი... ზღაპრებს ბავშვები მაშინ კითხულობენ კლასში, თუ კითხვაში გამართულნი იქნებიან... ზღაპრებს მისდევენ პაწაწა-პაწაწა მოთხრობები, იუმორიულნი, ზნეობითნი და სხვა ბევრ-გვარი შინაარსისანი. ესენი თავდაპირველადვე უნდა კლასში იკითხებოდნენ და მათი კითხვის დროს მასწავლებელმა უნდა მოითხოვოს მოწაფეთაგან გვარიანი კითხვის კანონების სასტიკი დაცვა“. შემდეგ მოდის იგავ-არაკები, ესენი, უმეტეს ნაწილად, ეკუთვნიან (მხოლოდ სიუჟეტით) ეზოპოსსა, მცირე ნაწილი კი ხალხურია, ან კრილოვიდგან არის გადმოღებული... ლექსებს ამ წიგნში დიდი ადგილი უჭირავთ“. ზოგჯერ ამოღებულია პეტრე უმიკაშვილის „დაუბეჭდელი კრებიდან... ზოგი თვითონ შეკრიბეთ და ზოგნი ამოვარჩიეთ ნ. მესხიევის თაოსნობით შეკრებილ „ახალციხური ლექსების“ კრებულიდან. მცირე ნაწილი ლექსებისა არ არის ხალხური და უმეტეს ნაწილად ჩვენგნივ არის შედგენილი. კარგად ვიცით, რომ უკეთესი იქნებოდა მათ მაგივრად რომ ჩვენი გამოჩენილი პოეტების ლექსები ყოფილიყო ჩართული, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ნაწარმოებში სრულიად არ მოიძებნება საბავშვო ლექსები. ლექსები, მეტადრე უკეთესი, ყმაწვილებმა უთუოდ ზეპირად უნდა ისწავლონ“.
- ✓ „რეალურ ელემენტს წიგნისას შეადგენს საუბარონი, რომლებიც შეიცავენ თითქმის მთელ ბავშვისთვის მისაწვდომ სფეროს საგნებისას... საუბრის დროს უთუოდ თვალწინ უნდა ჰქონდეს მოსწავლეებს ის საგნები, რომლებზედაც არის ლაპარაკი და ან მათი სურათები. უამისოდ სასაუბროები მეათედ სარგებლობასც არ მოუტანენ ბავშვსა. ის მასწავლებელი უბრალოდ მოჯამაგირვა და არა მსაწავლებელი, რომელიც მაგალითად, ბავშვებს ბალახებზედ ელაპარაკება და კლასში კი არა აქვს ბალახების კოლექცია, წინათვე შეგროვილი“.
- ✓ „სასაუბროებს მისდევენ ანდაზები, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვს მათთანა. თითქმის ყველა ანდაზას აქვს ორი აზრი: პირდაპირი და ზნეობითი. ზოგი

ანდაზებისა ჰაზრი გასაგებია ბავშვებისთვის, ზოგი კი - არა. ასეთ შემთხვევაში პირდაპირი აზრის გაგება უნდა ვიკმაროთ“.

- ✓ „გამოცანებსაც მტკიცე კავშირი აქვთ სასაუბრო საგნებთან. ივინი არიან ან ხალხური, ან რუსულიდან გადმოკეთებულნი, ან ჩვენგნივ შედგენილნი. გამოცანები შეადგენენ კარტინულ აღწერას საგნებისას და დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის გონების გახსნაში, თუ კი მასწავლებელი ხელოვნურად წაიყვანს მათ ახსნასა“.
- ✓ „თუმცა ამ წიგნის შედგენაზე ერთგულად ვიშრომეთ, მაგრამ ყოველგვარი სირთულით მაინც ვერ შევამკეთ და ზოგიერთი ნაკლულეგანებანი მაინც ვერ ავაცილეთ“... ამ ნაკლულეგანების შესავსებად ჩვენ მოკლე ხანში გამოვცემთ ცალკე ხატვისა და წერის რეგულსაც“.
- ✓ „ვინც ამ წიგნის ნაკლოვანებებს ჩვენთვის სასაყვედურო საგნად ჩათვლის, იმას ჩვენ მოვაგონებთ, რომ გამოჩენილი პედაგოგები ერთხმით სთვლიან პირველი საბავშვო წიგნის შედგენას უძნელეს საქმედ მთელს პედაგოგიაში, მაშინაც კი, როდესაც ხალხური ლიტერატურა შეიცავს მზამზარეულ მასალას ამ წიგნისათვის. რამდენად მომატებული უნდა იყვეს ეს სიძნელე იქ, სადაც ამგვარი მასალის დამზებით თავი არავის შეუწუხებია და სადაც კაცმა თითქმის არაფრისგან უნდა დაბადოს წიგნი“ (2, 105-107).

ჩვენი სტატია მიზნად ისახავს პარალელების გავლენას იაკობ გოგებაშვილის მიერ შემუშავებულ კონცეპტებსა და თანამედროვე სტანდარტებს შორის, რათა გავიაზროთ, რატომ არის დღეს ისევ აქტუალური ქართული სკოლისათვის გოგებაშვილის „დედა ენის“ პრინციპები.

1. გოგებაშვილს მიაჩნია, რომ კითხვის შესწავლის საწყის ეტაპზე დაუშვებელია მექანიკური დეკოდირება. მასწავლებელი უნდა უზრუნველყოფდეს გაგება-გააზრების ღრმა პროცესებს, რაც სწავლის პროცესისადმი მოტივაციის აღძვრისა და შენარჩუნების საფუძველია. ამავდეს ითხოვს არსებული სტანდარტი: „მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ ის, რასაც კითხულობენ. სწორედ ეს უნარი აძლევს მათ საშუალებას, შეიძინონ ცოდნა და მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ტექსტებიდან“ (2).

გოგებაშვილის სახელმძღვანელოს მიხედვით და თანამედროვე სტანდარტიც მიზანი მიღწეულია, თუ მოსწავლე ადეკვატურდ რეაგირებს მარტივ სამეტყველო სიტუაციებში; გამართულად იყენებს კითხვის მარტივ სტრატეგიებს დაფუძნებულს ანალიზურ ან მთლიანობით მეთოდზე; კითხულობს და იგებს მცირე ზომის ტექსტებს; ამოიცნობს მარტივი ტექსტების არსებით ენობრივ ნორმებს. მაგალითად: რამდენი ასონიშნსაგან შედგება ყველაზე გრძელი (ყველაზე მოკლე) სიტყვა; რამდენი მარცვალაია სიტყვაში; რამდენი სიტყვაა წინადადებაში; რადენი წინადადებაა ტექსტში; რამდენი კითხვითი წინადადებაა ტექსტში; რამდენი ძახილისა და ბრძანებითი წინადადებაა და ა.შ.

2. საინტერესოა, როგორ არჩევს გოგებაშვილი ძირითად ლექსიკურ ბაზას? რა ტიპის ლექსიკურ ერთეულებს ააქტიურებს თავის სახელმძღვანელოში? რამდენი სიტყვაფორაა მის მიერ შერჩეულ ტექსტებში? რამდენი ლექსიკური ერთეულია მის მიერ შექმნილ ან რედაქტირებულ ტექსტებში?

არსებული მასალის შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ გოგებაშვილი ძირითადად აგრარულ ლექსიკას ააქტიურებს, რადგან იმჟამინდელი სახალხო სკლესის მოსწავლეთათვის ეს იყო ყველაზე ნაცნობი და გასაგები ლექსიკური ერთეულები. სიტყვების შერჩევისას ის ცდილობს, სიტყვები ბავშვის წარმოსახვაში მიბმული იყოს კონკრეტული საგნების სახე-ხატებს. ბუნებრივია, საკუთარ სახელთაგანაც ის ქართული ყოფისათვის ყველაზე გავრცელებულ სახელებს იყენებს. ასევე, მას საკითხავებში შეაქვს საყოფაცხოვრებო ლექსიკის ყველაზე ხშირად ხმარებული ფრმები.

მიზანი ამგვარი შერჩევისა არის ის, რომ ტექსტსა და მოსწავლეს შორის მოიხსნას ყველანაირი ხელოვნური ბარიერი. სასწავლო მიზნით გამოყენებული ლექსიკური ბაზა უნდა გამორიცხავდეს ტექსტთან მოსწავლის გაუცხოებას.

ამას დიდი პედაგოგი უნაკლოდ აკეთებს, რასაც ვერ ვიტყვით თანამედროვე სახელმძღვანელოებზე. თავად გოგებაშვილის „დედა ენაც“ შეიძლება ძნელად წასაკითხი გახდეს თანამედროვე ბავშვისათვის, რომელიც XIX საუკუნის აგრარულ ლექსიკას სულ არ იცნობს; უცხოა მისთვის „დედა ენაში“ გამოყენებული საკუთარი სახელებიც და, რა თქმა უნდა, საყოფაცხოვრებო ლექსიკაც დიდად განსხვავდება არსებულისაგან. ამასთან ერთად დღეს სკოლებში აქტიურად მუშაობს I კლასის სახელმძღვანელოები, რომლებიც სავსეა სხვადასხვა ტიპის ნასესხობებით, ურბანული ლექსიკით.

ეს სახელმძღვანელოები რთულად დასაძლევია ხდება სოფლად მცხოვრები მოსწავლეებისათვის. რა თქმა უნდა, არსებული ვითარება მნიშვნელოვნად აზიანებს დაწყებითი სკოლების მოსწავლეებს. ამ მიმართულებით, როგორც ჩანს, სამუშაო ბევრია. გოგებაშვილის კონცეპტები კვლავ სამუშაო პრინციპებად უნდა დაიბრუნოს თანამედროვე ქართულმა სკოლამ.

3. იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს საკითხავების ჟანრულ მრავალფეროვნებას. გოგებაშვილის მემკვიდრეობის მკვლევარი ვ. რამიშვილი წერდა: „საკითხავი მასალები, როგორც ზემოთ „დედა ენის“ წინასიტყვაობის ანალიზიდანაც დავინახეთ, ჟანრის მიხედვით ნაირგვარია: ზღაპარი, მოთხრობა, იგავ-არაკი, ლექსი, სტატია, ანდაზა, გამოცანა... გარდა საკითხავი მასალებისა, მოთავსებული სასაუბროები, საწერი საგარჯჯოშოები... საკითხავი მასალა უმეტესად ხალხურია (ლექსები, ზღაპრები...) ხალხური ნაწარმოები. გოგებაშვილი უპირატესობას ანიჭებს იმიტომ, რომ მასში ხალხის სიბრძნეა გამოხატული, ხელს უწყობს ბავშვის ფანტაზიის, წარმოსახვის უნარის განვითარებას, ბავშვის გონებრივ და ზნეობრივ აღზდას. ხალხური ნაწარმოების ენა ლაკონურია და სადა, მის შინაარს მასში ადვილად ითვისებს, ხალხური ნაწარმოები ბავშვის მეტყველების განვითარების საუკეთესო საშუალებაა. თემატიკურად საკითხი მასალა მრავალფეროვანია: ეხება მცენარეებს, ცხოველებს, წელიწადის დროებს, გმირობას, კაცთმოყვარეობას, დედის სიყვარულს, გონება-მახვილობას, მოხერხებულობას, სიბეჯითეს, კეთილშობილებას, სულგრძელობას, ადამიანთა ურთიერთობას, ცხოველთა ურთიერთობას და სხვ. „დედა ენაში“ მოთავსებული მასალები მოცულობით მცირეა, მაგრამ აღმზდებლობითი და საგანმანათლებლო შინაარსით მეტად მდიდარია“ (3).

მოქმედი ეროვნული სტანდარტით შედეგი მიღწეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლე დამოუკიდებლად კითხულობს მცირე ზომის მოთხრობებს, იგავ-არაკებს, საბავშვო ლექსებს, ინფორმაციულ ტექსტებს, მიზნობრივ ტექსტებს; ვფიქრობთ, ამ კუთხითაც

გოგებაშილის „დედა ენაცა“ და მისი ყველა კონცეპტიც აბსოლუტურად შეესბამება ეროვნული სტანდარტის მოთხოვნებს; შეუძლია წაკითხული ტექსტის თემის ამოცნობა, იაზრებს ძირითად ზნეობრივ პოსტულატებს და ტექსტთან საკუთარ დამოკიდებულებას ამყარებს.

4. შესაძლებელია ჩვენი სტატიის ინტერესის სფეროს შეადგენდეს თვალსაჩინოების გამოყენება ზეპირმეტყველების განვითარებისათვის.

გოგებაშილის „დედა ენაში“ მოცემულია ძალიან საინტერესო სასაუბროები, რომლებიც მოიცავს ბავშვებისათვის საინტერესო, გასაგებ სფეროებს, თემებს, საგნებს.

გოგებაშილს მიაჩნდა, რომ მასწავლებელი საგულდაგულოდ უნდა მუშაობდეს ზეპირმეტყველების უნარის განვითარებაზე მინიშნებების, ილუსტრაციებისა და კონკრეტულ საგნებზე დაკვირვების გზით. თვალსაჩინოება კონკრეტული ტექსტის გააზრებას უნდა ეხმარებოდეს, უნდა ააქტიურებდეს ლექსიკას, რომელიც ტექსტში მოცემული ძირითადი ლექსიკური ერთეულების გაგებას მოემსახურება.

ზეპირმეტყველების უნარის განვითარება, როგორც ყველაფერი გოგებაშილის კონცეფციაში, მიზნად ისახავს თავისუფალი, კომუნიკაციისათვის მზადყოფი პიროვნების აღზრდას.

თანამედროვე სტანდარტი, რა თქმა უნდა, ძირითადად საკითხებში მისდევს გოგებაშილის მეთოდოლოგიურ შეხედულებებს, მაგრამ, ბუნებრივია, ის ასახავს თანამედროვე პედაგოგიკის მოთხოვნებსაც. კონკრეტულად, ის ითხოვს „საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებისა და სტრატეგიების განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფს სოციალურ გარემოში პიროვნების ადკვატურ თვითგამოხატვას... საუბარს, დისკუსიის, დებატების, სხვადასხვა თემებზე კამათის წარმართვას“ (4).

გოგებაშილი ჩვენ მიერ მოყვანილ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში თუ მასწავლებელს პროფესიონალიზმს უწუნებს თვალსაჩინოების გამოუყენლობის გამო, თანამედროვე მიდგომები მასწავლებელს ავალებს თვალსაჩინოების გამოყენებით შექმნას გარემო შემეცნებისა და წიგნიერების ხელშესაწყობად. ამისთვის შესაძლოა გამოვიყენოთ საგნები, მასწავლებლების მიერ დამზადებული ბარათები, მსხვილი ასოებით დაწერილი ე.წ. საკვანძო სიტყვები და სხვა.

2014 წ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში (ავტ. ანა ჯანელიძე და სხვ.) ვკითხულობთ: „სწავლებისათვის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მიზნობრივად, სასწავლო თემებიდან გამომდინარე, შეარჩიოს საკლასო ოთახში განსათავსებელი თვალსაჩინოებები“ (5, 22), რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება კითხვის უნარების განვითარებაში, საჭირო ლექსიკის დაუფლებასა და ძირითადი სამეტყველო უნარების განვითარებაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ი. გოგებაშილმა საფუძველი ჩაუყარა ევროპულ და მსოფლიო მოწინავე პედაგოგიურ ნააზრევთან წილნაყარ ქართულ პედაგოგიკას, მეთოდოლოგიას. და, მართლაც, მისი „დედა ენის“ მასალები თავისი შინაარსით, მხატვრული ღირსებით, ემოციურობით, პრაქტიკული მიზანდასახულობითა და ზოგადი დიდაქტიკური მოთხოვნებით დღესაც საოცრად აქტუალურია და თანამედროვე.

ლიტერატურა:

1. ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი, მუხლი 58.
2. გოგებაშვილი ი., თხზულებანი, 5, თბ., 1959.
3. რამიშვილი ვ., „შედევრი“, დაწყებითი სკოლა და სკოლამდელი აღზრდა, 1976, N4.
4. ქართული ენის სტანდარტი 2011-2016.
5. მასწავლებლის წიგნი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის (ანა ჯანელიძე, ნინო ლაბარტყავა, ვიოლეტა კვირიკაშვილი, ქეტევან ქობალია), 2014, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

Bela Saria

Iakob Gogebashvili's "DEDA ENA" - the importance of reading text **Summary**

The most important concept of the main textbook of Georgian language and literature "DEDA ENA" is the free development of human on the basis of the richest material of Georgian literature. For Iakob Gogebashvili, the study of reading, the understanding of literary text and the self-expression by the pupil directly was connected to pupil's ability of self-cognition and view of life. Our article aims to draw parallels between the concepts developed by Iakob Gogebashvili's and modern standards and interpret why Gogebashvili's "DEDA ENA" principles are still relevant to Georgian school today.

In conclusion, it can be said that Gogebashvili laid the foundations for the Georgian pedagogy, methodology, which shares European and world advanced pedagogical thinking. Indeed, his "DEDA ENA" materials, with their content, artistic dignity, emotionality, practical purpose and general didactic requirements, are still remarkably relevant and modern today.

Белла Сария

«Деда эна» Якоба Гогешавили - важность чтения текстов **Резюме**

Важнейшим понятием в главном учебнике грузинского языка и литературы «Деда эна» является свободное развитие человека на основе богатейшего материала грузинской литературы.

Обучение чтению, понимание художественного текста и самовыражение Якоб Гогешавили связал с прямой возможностью самопознания и познания мира. Данная статья ставит целью проведения параллели между концепциями Якоба Гогешавили и современными стандартами для того, чтобы понять, почему принципы «Деда эны» Гогешавили по-прежнему актуальны для грузинской школы. В заключении можно сказать, что Гогешавили заложил основы грузинской педагогики, методологии, которая противоречит европейскому и мировому передовому педагогическому мышлению. И действительно, материалы «Деда эна», с их содержанием, художественным достоинством, эмоциональностью, практическим назначением и общими дидактическими требованиями, по-прежнему удивительно актуальны.

Анна Павловская
(Россия)

ЕДА КАК НАУКА

Мы чаще всего не задумываемся, насколько все, что связано с едой, многогранно, разносторонне и заполняет наш мир. И речь идет отнюдь не о биологическом ее значении, здесь и думать не надо: еда – это жизнь, без еды человек просто не мог бы существовать. Именно поэтому человечество очень хорошо изучило две научные составляющие питания человека: потребление (в рамках физиологии и диетологии) и производство (в пределах экономики, бизнеса и технических наук). Но то, что еда еще и культура, история, политика, психология, искусство, литература, в том числе и высокая поэзия, и многое другое, мы чаще всего не задумываемся. А если и задумываемся, то сводим «пищевую проблематику» именно к двум базовым ипостасям – биологической («Что бы поесть?») или экономической («Где бы найти денег на то, чтобы поесть?»). Приземленность и обыденность еды не позволяют взглянуть на нее с должной степенью научного уважения. Причины этого кроются глубоко в человеческой натуре.

На протяжении всего исторического периода своего существования человек гордился собой, и тому было много поводов. Он сделал то, что неподвластно ни одному другому живому существу на земле: покорил природу, приручил огонь, одомашнил животных и растения, изобрел самые разнообразные и совершенные орудия труда, создал разные виды жилищ, приспособленные к различным природным условиям, избороздил моря и океаны и даже покорил космическое пространство. Прагматические достижения не были единственной победой человека: он научился говорить и абстрактно мыслить, создал великие произведения искусства, причем в самых разных жанрах – живописи, литературы, музыки; он сотворил различные науки и обобщил свои наблюдения над миром и собой в главной из них – философии. Немудрено, что на протяжении многих веков человек именовал себя царем природы, венцом творения и т.д.

В XVIII веке шведский естествоиспытатель Карл Линней вписал человека в общую классификацию растений и животных, слегка этим принизив его значение во вселенной, однако и этот несентиментальный ученый-естествоиспытатель назвал его *Homo sapien-sapiens* (человек разумный разумный), подчеркнув тем самым исключительность данного вида.

И действительно, силой своего разума этот разумный-разумный человек может достичь много, в том числе преодолеть множество животных инстинктов, заложенных в нем матушкой-природой миллионы лет назад, когда он еще не был столь разумен. Он может отказаться практически ото всего в этой жизни, кроме одного: как и любому другому живому существу на земле, для поддержания жизни ему надо питаться. Человек пытался бороться и с этим «животным» началом. Не случайно многие религии считают, что высшего совершенства, благодати и близости к Богу можно достичь только через аскетизм, важнейшей частью которого является максимальный отказ от пищи. Однако, преодолеть эту

слабость полностью не мог никто, пища – основа существования человека, как и любого другого живого существа.

Так удивительно ли, что история человеческой цивилизации это, по большей части, история еды. Она является основой истории человечества и ее главной движущей силой. Изначально именно способы приема пищи, овладение огнем для ее приготовления, усовершенствование орудий труда для ее добычи и обработки, создание культов для ее изобилия и удачи в ее достижении, выделили человека из животного мира. С едой, точнее ее избытком, связано возникновение и развитие первых цивилизаций, появление социального и гендерного неравенства, разделение труда, рост населения, торговля, войны. Поиски еды дали стимул к территориальной экспансии человечества, к открытию новых миров. Пищевые различия стали важнейшей основой для мировых религий, а отказ от пищи лег в основу духовного подвига. Развитие техники, революции, научные открытия часто в основе своей имели именно древнейший инстинкт насыщения. Голод и изобилие меняли историю государств, разрушали их и создавали новые.

Если бы еда была исключительно физиологической потребностью человека, он бы никогда не мог носить гордое звание «гомо разумный разумный». Прием пищи всегда находился в основе общественных и межличностных отношений, с ним связаны все важнейшие культы и ритуалы в жизни человека: рождение, свадьба, похороны. Еда и сегодня, когда нет проблемы с добычей пропитания, пронизывает все стороны жизни человека, от экономических и политических, до самых высоких и душевных: если романтический, то ужин, если дружеская, то посиделка, если семейный, то обед.

Еда – это важнейший фактор социальной, политической, экономической и культурной жизни человека. Она составляет базис международной интеграции и глобализации. Сегодня продукты питания используются как мощное оружие борьбы с противниками (еще бы, что может быть ближе и понятнее широким массам населения, чем запрет на определенные виды пищи). Ни что не создает такого негативного образа народа, как описание его неприятных пищевых привычек. С другой стороны, многие народы вполне осознанно, на государственном уровне, используют свои гастрономические традиции для создания позитивного представления о своей стране.

Еда завоевывает страны и народы и без оружия, она является проводником чужих идеалов и ценностей. Вспомним распространение по миру фастфудов и разного рода новых видов питания, они появляются скромно и незаметно, внедряются во вкусы населения и только потом преобразуют традиции и образ жизни, а с ними и мировосприятие и идеалы. Достаточно только вспомнить изменения, которые претерпел традиционный завтрак в России (а Россия – страна достаточно консервативная в вопросах питания) – многие сегодня по утрам предпочитают еще совсем недавно неизвестные нам йогурты и мюсли, а улыбающиеся, как в рекламе, мамы вместо свежих молочных продуктов и традиционных каш, решительно пичкают невинных младенцев молочными десертами в гляцевых обертках.

Одновременно еда является и посланцем мира и культуры, это самый простой способ понять иную культуру, проникнуться ее духом, даже не выезжая из своей страны (большинство наших соотечественников, не имеющих возможности путешествовать, познает мир через новые продукты питания и рестораны, которые появились в нашей стране после падения железного занавеса). И те же фастфуды, вытесняя национальные традиции, объеди-

няют людей в некое единое мировое пространство, все мы люди, все мы братья и мы едим одинаковую пищу.

